

მარტვილის  
მნარეთმცოდნეობის მუზეუმის  
შრომები

I



გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

**Givi Eliava Martvili Museum of Local Lore**

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები

I

**Proceedings**

**of the Martvili Museum of Local Lore**

I

წინამდებარე ნაშრომის I ტომით მარტვილის გივი ელიაგას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის იწყებს შრომათა კრებულის სერიის გამოცემას, რომელშიც ასახული იქნება, უპირველეს ყოვლისა, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციები და ამ კოლექციების შესახებ არსებული სამეცნიერო ინფორმაცია. დანართერებულ მკითხველს საშუალება მიეცება გაეცნოს მუზეუმში დაცულ მასალას და ამ მასალის შესახებ არსებულ გამოკვლევებს.

„შრომების“ მიზანია ხელი შეუწყოს არამარტო მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების სამეცნიერო პოტენციალის შემდგომ ზრდას, არამედ მარტვილის ახალგაზრდა თაობის სამეცნიერო-ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბებასაც და თავისი მხარის წარსულის შესწავლის საქმეში ჩართულობას.

„შრომები“ განკუთვნილია საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე მომუშავე ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისათვის, საქართველოს წარსულით დანართერებული მკითხველისათვის.

პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად.

რედაქცია: **ნინო სულავა** (რედაქტორი)

ქეთევან რამიშვილი

ნანა კირთაძე

გია (გივი) ელიაგა

სამხატვრო რედაქტორი: **ირაკლი ხუციშვილი**

The presented work constitutes the first volume of the collection of works series to be published by Givi Eliava Martvili Museum of Local Lore. The publication will represent in the first place the collections of Martvili Museum of Local Lore and scholarly data concerning these collections with the view of enabling interested readers to look through both the materials preserved in the museum and scientific researches concerning the artefacts.

The collection of works aims at further professional development of staff members of Martvili Museum of Local Lore, as well as formation of historical-scientific interests and subsequent involvement of Martvili youth in the historical study of their region.

The collection of works will certainly be of interest for both Georgian and international students of the history and archaeology of Georgia and Caucasus and for those readers who are interested in history of Georgia.

The above project was carried out in close partnership with staff members of the Georgian National Museum.

Editorial staff:

**Nino Sulava (Editor)**

**Ketevan Ramishvili**

**Nana Kirtadze**

**Gia (Givi) Eliava**

Arts Editor: **Irakli Khucishvili**

ISSN 2587-4756

© მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 2017 Martvili Museum of Local Lore

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2017 Georgia National Museum

ეძღვნება მუზეუმის დამაარსებლის  
გივი ელიავას ნათელ ხსოვნას

Dedicated to the sacred memory  
Of the Museum founder Givi Eliava



სარჩევი



## **რედაქტორებისაგან**

გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომათა კრებულის სერიის I ტომი ერთგვარი გზამკვლევი იქნება მუზეუმის კოლექციების შესახებ (გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, საეკლესიო ნივთების, ეთნოგრაფიული), რომელიც 53000-მდე ექსპონატითაა წარმოდგენილი.

I ტომის სტატიებში წარმოდგენილი არსებული სამეცნიერო ინფორმაციის კომპილაციური ხასიათის მიმოხილვა დახმარებას გაუწევს მუზეუმის თანამშრომლებს და გიდებს, ხოლო დაინტერესებულ მკითხველს საშუალება მიეცემა გაეცნოს მუზეუმში დაცულ მასალას და ამ მასალის შესახებ არსებულ გამოკვლევებს.

შრომათა კრებულის შემდეგ ტომებში (სავარაუდოდ გამოვა 2 წელიწადში ერთხელ) ვგეგმავთ იმ სტატიების გამოქვეყნებას, რომელიც შეეხება მარტვილის წარსულს (არქეოლოგია, არქიტექტურული ძეგლები, ისტორია, ეთნოგრაფია).

შრომათა კრებულის სერიის მიზანია ახალგაზრდა მკვლევრების გამოვლენა. ამ მიზნით მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი აცხადებს ერთგვარ კონკურსს: მარტვილის ისტორიით, არქეოლოგიით და ეთნოგრაფიით დაინტერესებული უფროსკლასელებისათვის და სტუდენტებისათვის თითოეულ კრებულში დაიშვება კონკურსის წესით შერჩეული ერთი ან ორი ნაშრომის დაბეჭდვა.

მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომათა კრებულის სერიის დაარსება მეორე პროექტია, რომელიც ხორციელდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად. პირველი ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანი იყო, მარტვილის განახლებული მუზეუმი მიახლოვებოდა მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების მქონე მუზეუმებს, საამაყო გამხდარიყო მარტვილელებისათვის, საინტერესო ჩამოსული სტუმრებისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციით დატვირთული და სასარგებლო მომავალი თაობებისათვის, ხოლო მხარის ისტორიითა და არქეოლოგიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის - სამუშაოდ ხელმისაწვდომი, განხორციელდა 2013-2014 წლებში მარტვილის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით.

„შრომები”, ვფიქრობთ, დახმარებას გაუწევს საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე მომუშავე არამარტო ქართველ, არამედ უცხოელ მკვლევარებსაც და საქართველოს წარსულით დაინტერესებულ მკითხველს.

**ნინო სულავა**

**ქეთევან რამიშვილი**

**ნანა კირთაძე**

**გია (გივი) ელიავა**

## **Editorial**

Volume I of the collection of works of Givi Eliava Martvili Museum of Local Lore will serve in a way as a guide of the collections preserved in the museum (geological, paleontological, archaeological, numismatic, ethnographic, church objects) counting approximately 53 000 artefacts.

Articles presented in the first volume offer a review of existing scientific information that might be valuable for the staff members and guides. Besides, it will introduce interested reader to the artefacts preserved in the museum and scholarly literature about them.

The following volumes of the above collection of works will be dedicated to (one volume per two years frequency is planned so far) the past of Martvili (its archaeology, architectural monuments, history, ethnography).

The above series aim at detecting young researchers as well. With this view, Martvili Museum of Local Lore announces a competition: one or two articles authored by local high school students interested in history, archaeology and ethnography of Martvili will be selected for publication on the basis of contest.

The collection of works of Givi Eliava Martvili Museum of Local Lore series is the second mutual project that is being carried out in cooperation with staff members of the Georgian National Museum. The first such mutual project was carried out in 2013-2014 with financial aid from Martvili municipality and Ministry of Culture and Monument protection of Georgia. Its objectives were to renovate the Martvili Museum in a way that it reached the standards of modern museums, to become something that inhabitants of Martvili could be proud of and visitors get interested in; a true center of culture and education in service of future generations and easily accessible for the students of history and archaeology of the region.

We believe that the collection of works will be helpful for both Georgian and foreign researchers of history and archaeology of Georgia and Caucasus, as well as readers generally interested in history of Georgia.

**Nino Sulava**

**Ketevan Ramishvili**

**Nana Kirtadze**

**Gia (Givi) Eliava**

## გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 60 წლისაა

საქართველოს რეგიონული მუზეუმების დიდი უმრავლესობა, რომელიც XX საუკუნეშია დაარსებულ-შექმნილი, იმ ღვაწლ-მოსილი ადამიანების დამსახურებაა, რომლებსაც კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ქვეყნის ისტორიისათვის კულტურული მემკვიდრეობის ამა თუ იმ ძეგლის შეგროვებისა და დაცვის მნიშვნელობა.

ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება გივი ელიავა, რომლის დაარსებული და მისი სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი უკვე 60 წლისაა. ბატონი გივი ელიავას დამსახურებაა მუზეუმის პირველი კოლექციების მოძიება და მისი ექსპონირება, დიდ ეთნოგრაფ გიორგი ჩიტაასთან ერთად მუზეუმთან არსებული კოლხური ვაზის ჯიშების ნაკვეთის გაშენება.

გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ყოველთვის აქტიურად ასრულებდა რეგიონის კულტურული ცენტრის როლს. გარდა მოწესრიგებული ფონდებისა, მრავალმხრივი და იმ დროისათვის მაღალი დონის ექსპოზიციისა, რომელსაც არასოდეს არ აკლდა მნახველი, მუზეუმში სისტემატიურად იმართებოდა სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც მთელი საქართველოდან იღებდნენ მონაწილეობას მეცნიერები.

გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, ჩვენი ქვეყნის კვალდაკვალ, მრავალი მნელბედობა გადაიტანა, მაგრამ იგი მაინც აგრძელებს თავის უმთავრეს ფუნქციას – რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის როლს.

დღეს გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი თავის 60 წლის იუბილეს მაღალ სამეცნიერო და თანამედროვე დიზაინის დონეზე მოწყობილი რენოვირებული ექსპოზიციით ხვდება, რაც საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია.

გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამომავლო გეგმები ემსახურება იმ დიდ მისიას, რომელიც აკისრია საქართველოს რეგიონულ მუზეუმებს – მოიპოვონ და დაიცვან ახალი ექსპონატები, შეასრულონ რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის როლი ჩვენი ქვეყნის სხვა მუზეუმებთან ერთად.

### ნინო სულავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორი

## **60<sup>th</sup> Anniversary of Givi Eliava Martvili Museum of Local Lore Summary**

Decisive majority of the museums of local lore in Georgia, founded in the 20<sup>th</sup> century represent a result of the enormous effort put by dedicated persons who fully realized the importance of collections and preservation of monuments of cultural heritage for the history of our country.

One of such distinguished personalities was Givi Eliava who established Martvili Museum of Local Lore that was named after him and has already celebrated its 60th anniversary. The very first collections of the museum were gathered and exhibited by Givi Eliava. Together with great ethnographer Giorgi Chitaia, Givi Eliava organized vineyard of Colchian grape varieties by the museum building.

Givi Eliava Martvili Museum of Local Lore had always functioned as a cultural center of Martvili region. Besides perfectly organized funds and exquisite exposition that never lacked visitors, museum frequently hosted scholars from all over Georgia on scientific conferences.

Givi Eliava Martvili Museum of Local Lore has endured many hardships, mirroring the history of the whole country, but it has never lost and still carries out its primary designation of a cultural and educational center.

Today, Givi Eliava Martvili Museum of Local Lore celebrates its 60<sup>th</sup> anniversary with the renovated exposition designed according to the best of modern scientific standards which became possible thanks to fruitful and intensive cooperation with the Georgian National Museum.

The future plans to be carried out by Givi Eliava Martvili Museum of Local Lore are designed in a way to fulfill the original mission of regional museums in Georgia – to obtain and preserve new exhibits and serve as a center of culture and education of Martvili region along with other museums of Georgia.

**Nino Sulava**  
Doctor of Historic Sciences  
Head Curator of the Georgian National Museum

## პეტრე კირთაძე გივი ელიაზა

წიგნის დამწერს, უწინარესად თავმდაბლობა ამშვენებს. თავმდაბლობა და გონებრივი განათლება. ვინც პატივმოყვარეობის დემონმა გაიტაცა, გონება ვეღარ შეაჩერებსო, გვასწავლის გერმანული სიბრძნე.

ყველა დროს ჰყავს გამორჩეული პიროვნება.

საინტერესოა, რა ნიშნით ხდება მათი გამორჩევა?

ჩვენს წინაშეა, რამდენიც გნებავთ, ერთი შეხედვით „სახელოვანი კაცი“, მაშასადამე, „დიდი პიროვნება“.

ვინ არის ასეთი? ვის პქვია დიდი კაცი?

„მორალური ადამიანი უფრო დიდია, ვიდრე ცნება „ბრძენი ადამიანი“.

„მეცნიერი“ და „ადამიანი“ ორი განუყოფელი ფენომენია, სადაც ერთია, იქ მეორეს ადვილად იპოვი, მაგრამ, რომელი რომელს წინა უსწრებს, ეს არ არის ადვილად გამოსაცნობი. ეგ საქმე საზოგადოებას ხელუწიფება.

რა უფრო ჭარბობდა გივი ელიავას პიროვნებაში? უმრავლესობა იტყვის ნიჭიო, განათლებაო, ვაჟკაცობაო, ოჯახიშვილობაო და ვინ მოთვლის კიდევ რა.

გივი ელიავა მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მის მდიდარ მემკვიდრეობას ორი ძირითადი ასპექტი აქვს: პრაქტიკული და თეორიული. მან შექმნა მარადიული უკვდავი სული - მუზეუმი და, თქვენ წარმოიდგინეთ, 800-მდე მეცნიერული ნაფიქრი. დიახ, რამდენი უნდა იფიქრო, რომ ბოლოს ეს ნაფიქრალი დასკვნის სახით ჩამოაყალიბო. (იხ. ნელი ოდიშარიას გივი ვლადიმერის ძე ელიავა, ბიბლიოგრაფიული საბიექტელი, 1999 წ.) მიუხედავად მისა, იყო თავმდაბალი, მოკრძალებული და როდესაც მის დამსახურებას ხაზს ვუსვამდით, დამნაშავე ბავშვივით წითლდებოდა.

ერთხელ, მეგობრული ლხინის დროს (ლხინი უყვარდა, შექცევა უყვარდა და არა ღვინო) დიახ, მეგობრული ლხინის დროს ენაწყლიანმა თამადამ ჩვენი მეჭურჭლეულცესი უწოდა. ბატონ გივის ლოყები აეტკიცა, არ იცოდა რა ექნა, საქართველოს ერთი მეჭურჭლე ჰყავს - ექვთიმე თაყაი-

შვილიო მასთან ჩემი შედარება, მეტი რომ არ იყოს, უხერხულია. ჩვენ ყველანი მოწმენი ვიყავით, როგორ გადაარჩინა ბატონმა გივიმ მუზეუმის განძი ყაჩაღებისგან. დღე და ღამ იდგა, როგორც რიგითი გუშაგი და ირგვლივ უვლიდა ეროვნულ ქონებას, იდგა შიშველი ხელებით და სწამდა, ნემსის საღირალსაც ვერავინ წაიღებდა. ასეც მოხდა.

როცა ბატონ გივის შესახებ სიტყვას ვამბობ, ასე მეონია სასპარეზოდ ვიწვევ და თავს უხერხულად ვგრძნობ. მისი ასპარეზი ფართოა, თუ შეიძლება ითქვას, უკიდეგანც. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მოასპარეზე რაინდული შემართებისა უნდა იყოს.

შეიძლება საქართველოში არ იყოს მეორე ისეთი კაცი, რომლის მეგობართა შორის ამდენი დიდი მწერალია, უფრო მეტი მეცნიერი და თანამდებობრივი მოხელე. სამი თუბილე გადაუხადა ბატონ გივის თავისმა ხალხმა, და უნდა მოგესმინათ არა ის, რაც ოფიციალურად უთხრეს, არამედ ის, რაც ჩურჩულით გადადიოდა რიგიდან რიგში, სკმიდან სკმზე. დაფასება არ დაკლებია, არ დაკლებია ორდენი, საპატიო წოდება, მაგრამ ეს სრულებით არ არის შესაშური (შესაშური არაფერია ამქვეყნად), შესაშურია ხალხის დაფასება, მისი ჭეშმარიტად სახალხოწოდება, კიდევ ერთხელ ამოტივტივდა კითხვა: რა უფრო ჭარბობს ამ ლამაზი სულის კაცში?

ვფიქრობ, ის აურწყავ-აუწონავი სიკეთე, რაც მან მოუტანა თავის ხალხს.

ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა დარგს შეეხო ბატონი გივის მეცნიერული ინტერესი და ყველგან დატოვა მოკრძალებული, მაგრამ მნიშვნელოვანი კვალი. მეცნიერულ გამოკვლევებში თქვენ ნახავთ სრულიად ახალ აზრებს, ანდა ძირმველ მეცნიერულ პრობლემებს, რომლის შესახებ გადამწყვეტი აზრი ჯერ არ თქმულა. ბატონი გივი ერთნაირად პრინციპულია ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში.

დიახ! საზოგადოებამ როგორც ვთქვით, სამჯერ გადაუხადა ბატონ გივის იუბილე,

სამჯერვე დააკვალიანა მან ახალგაზრდობა, როგორ ვიმუშაოთ.

გივი ელიავას ჩამოყალიბებულმა კოლექტივმა შორს გაიტანა მის მიერ სულ-ჩადგმული მუზეუმის სახელი.

სამართლიანად ამაყობენ დღეს მუზეუმელები.

ისინი უკვე მკვლევარები არიან.

დავუშვათ, თუნდაც წუთით დავუშვათ, აღმა-დაღმა, კაბინეტიდან კაბინეტში ერბინა მუდარით, ეთხოვა, ჩინ-მედლები და ტემლაკები.

სულ სულისკვეთებით აყალიბებდა იგი მუზეუმის კოლექტივს, რომელიც თავდაპირველად ოთხი წევრისაგან შედგებოდა.

მუზეუმის ყველა იუბილე გივი ელიავას იუბილეა, იგი ნათელმოსილი დააბიჯეს მის მიერვე გაკაფულ ლირსების გზაზე, ხოლო მუზეუმის კოლექტივი გულდაჯერებით იკვლევს მიმართულებებს: ისტორიას, არქეოლოგიას, უთოგრაფიას, ეპიგრაფიკას, ნუმიზმატიკას, რუსთველოლოგიას, ფოლკლორისტიკას, ნიადაგმცოდნეობას, ვაზის სელექციას, ცხოველთა სელექციას და სხვ.

მუზეუმი დაარსდა 1957 წელს და მის დირექტორად დაინიშნა მაშინდელი პარტიის რაიკომის პარტიული განათლების კაბინეტის გამგე, ისტორიკოსი, პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გივი ვლადიმერის ძე ელიავა, მეცნიერმუშაკად – დავით როსტომის ძე გაბისონია.

მისი პირველი თანამოსაქმენი და ენთუზიასტები იყვნენ: ნაზი ჯვებენავა, ვენერა თვალაძე, ნელი ოდიშარია, მიშა დანელია, პეტრე კირთაძე, გივი ფარულავა, როლანდ ადამია, რეზო ინჯგია, ნაზი გრიგალავა, რომანოზ ძაბაძია, ნიკოლოზ კამიშევი, ომარ ხუხუა, ალექსანდრე გაბუნია, ხუტა სურმავა, დავით ჯანჯლავა, გელონ ხუხუნი.

მუზეუმში ყოველდღიურად მატულობდა სამუზეუმო სიმდიდრე, თავდაპირველად გამოყოფილ სამ მომცრო ოთახში, როგორც იტყვიან, თავგი კუდს ვერ იბრუნებდა. ზოგი ხუმრობის გუნებაზე დადგა და სამუზეუმო ბინად ბატონ გივის ტაძრის წინ რომ სკოლის შენობაა, იმას სთავაზობდა. ზოგმა სატყეო მეურნეობის შენობა შესთავაზა, რა თქმა, უნდა არასერიოზულად. გივი ელია-

ვამ მოთმინება ამჯობინა. ბრძოლა გაგრძელდა, სადაო სახლს უამრავი პატრონი აღმოუჩნდა.

ძლიერი აღმოჩნდა მუზეუმელთა მისწრაფება - ჩვენ ვაშენებთ ეროვნულ მუზეუმს და მისი ნაგებობის ყოველი აგური ეროვნული უნდა იყოსო.

ენთუზიაზმება გაიმარჯვა. იმ შენობაში ახლა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ბინადრობს. ამ საქმეს ასრულებდა ინჟინერთა ძევლი და ახალი თაობა. ინჟინერ-არქიტექტორები ა. თაფლაძე, პ. გოროზია.

ყოველი წუთი მუზეუმისა იყო დამუხტული, ერთდროულად დაიწყო დაუდალავი შრომა ექსპოზიციისა და სამეცნიერო სესიისათვის.

და აი, 1960 წელს სტუმართმოყვარე კაცმა ფართოდ გაუღო სტუმრებს სახლის კარი. ტარდებოდა პირველი სამეცნიერო სესია, რომელსაც ესწრებოდა ერთი დოქტორი, პროფესორი – მირიან ძველაია, კეთილი ფეხისა გამოდგა ბატონი მირიანი: მას შემდეგ მუზეუმისთვის უცხო არ ყოფილა აკადემიკოსები და პროფესორები, ხოლო ბატონი მირიანი ყველა სესიის საპატიო სტუმარი გახლდათ.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიოგრაფია მნიშვნელოვანწილად ჰგავს შემოქმედის ბიოგრაფიას, როგორც ყოველი ადამიანი მოდის თავისი ბავშვობიდან, ე.ო. თავისი სიცოცხლის სათავეებიდან, ასევე, მუზეუმის ბიოგრაფიაც თავისი დაარსების სათავეებიდან იწყება, ისე როგორც შემოქმედმა ადამიანმა, მუზეუმმაც გაიარა ბავშვობის, ყრმობის, სიჭაბუკისა და ვაჟეცობის წლები. დავაჟეკაცების წლებში იქცა მხარის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების მემატიანედ.

მუზეუმს პირველი დღეებიდანვე მხარში ამოუღნენ მაშინდელი პარტიული და საბჭოთა მოღვაწენი, პედაგოგიური საზოგადოება, ინტელიგენციის ელიტა. გივი ელიავამ შეძლო გონებრივი სფეროს ადამიანების თავმოყრა მუზეუმში და მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების მიზანმიმართული გამოყენება.

1960 წლის ივლისში, ჩატარდა პირველი სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პროფესორი მირიან ძვე-

ლაია და გეგეჭკორის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი კლიმენტი ხუბულავა, გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბატონი გივი ელიავა.

მეორე სამეცნიერო სესია, რომელიც 1961 წლის დეკემბერში ჩატარდა, საინტერესოა იმით, რომ სესიის მასალები სსრკ საკავშირო ბიბლიოთეკის მეშვეობით მოითხოვა აშშ კონგრესის ბიბლიოთეკამ. ამით გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საზღვარგარეთის ქვეყნებში გავიდა.

1960 წლიდან დღემდე მუზეუმმა ჩაატარა 48 სამეცნიერო სესია, მოისმინა 483 მოხსენება. სესიის მუშაობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: გიორგი ჩიტაია, ანდრია აფაქიძე, ნიკო ვეკუა, შოთა მესხია, შოთა ძიძიგური, გიორგი ჯიბლაძე, ავთანდილ გუნია, აკაკი შანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ლეონ ზაქარაია, იური კაჭარავა, მ. კომახიძე და ვახტანგ ბერიძე, დოქტორები, პროფესორები: ვერა ბარდაველიძე, ილია მირცხულავა, მაქსიმე რამიშვილი, ლევან ჭილაშვილი, გიორგი პაიჭაძე, რამაზ გახოკიძე, ნოდარ ლომიური, მირიან ძველაია, ლ. დანელია, იგორ კვესელავა, ვ. ქანთარია, გული ცეპავა, გ. კუპრეიშვილი, გრ. ქეშელაშვილი, ვენერა თვალაძე, დოცენტები, მეცნიერებათა კანდიდატები: ბ. გეგეშიძე, შ. ჭაჭუა, მ. ბერძული, ბ. ლ. კარტოზია, ალ. კოკაია, გ. გაბუნია, მ. ჩიქოვანი, კ. დანელია, ნ. თოფურია, ო. ლორთქიფანიძე, ლ. ლომიტაშვილი, მ. ზამთარაძე, ო. გაბისონია, გ. გაბისონია, გ. ბახია, ო. ფრუიძე, შ. ჯლარკავა, პ. ვაჭრიძე. სულ 60 კაცი. მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, ლევან სანიკიძე, ირაკლი ციციშვილი, ოტია იოსელიანი. პოეტები: ზაურ ბოლქვაძე, გიორგი წერეთელი, ნომადი ბართაია, ლიდა სტვილია, იმედი ჯახუა, რევაზ დანელია, გენო კალანდია, თამაზ ბაძალუა, ნოშრევან ჯიშვარიანი. მუზეუმის თანამშრომლები: დევი ელიავა, ანა ჩიქვანაია, ამბროს ფაილოძე, მურმან წოწორია, გივი ფარულავა, თამაზ ელიავა, მერი წოწორია, რეზო ინჯვია, ცისანა ჭიოკაძე, ნაზი გრიგალავა, რომანოზ ძაძამია, ნიკოლოზ კამიშვი, ალექსანდრე გაბუნია, ომარ ხუსუა, მერი წოწორია, სერგო ურიდია და სხვ.

პეტრე კირთაძე, ომარ ხუსუა, რომანოზ ძაძამია, ლუდმილა მოწერელია, ტოჩი წოწორია, ბიკენტი გეგელია, იროდი სართანია, კოტე ძაძამია, ლეილა ციცხვაია, გ. სურმავა, ვარლამ ხაუომია, კოტე გაგუა, ალბერტ გაგუა, მიხეილ გაბისონია და სხვა.

მუზეუმთან ახლო კონტაქტები ჰქონდათ და პირადი მიმოწერით გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხზე უცხოელი მეცნიერები: ჯორჯ პიუიტი (ინგლისი), დავიდ მარშალ ლენგი (ინგლისი), რენე შმერლინგი, პან ფეინრიჩი (იენის უნივერსიტეტი), დანიელ ლევი (აშშ) და სხვა.

მუზეუმის არსებობის მანძილზე მოეწყო ასზე მეტი სამეცნიერო ექსპედიცია. მოპოვებულ იქნა 9653 არქეოლოგიური ხასიათის მასალა, 17813 ფოლკლორული ნიმუში. აქედან, სამეცნიერო მნიშვნელობა ენიჭება 2013 ექსპონატს.

ექსპედიციის მუშაობაში მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები.

2001 წელს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მიენიჭა მისი შემქმნელისა და უცვლელი დირექტორის გივი ელიავას სახელი.

ჩვენ რამდენჯერმე გავუსვით ხაზი, რომ თავდაპირველად მუზეუმი ჩაის ფარიკის საერთო საცხოვრებლის სამ ნესტიან ოთახში ჩასახლდა. შტატები, ოთხი ერთეულისგან შედგებოლა. საქმის დასაწყისიდან დასასრულამდე მოღვაწეობდა ე.წ. შტატგარეშე მეცნიერმუშავთა ინსტიტუტი, რაც შეუნიშნავი არ დარჩენია არც სტუმარს და არც მასპინძელს.

საქმე მიღვა ენთუზიასტებზე, მათი წყალობით სწორად იქნა განსაზღვრული მუზეუმის საკვლევაძიებო გზა.

ოპტიმიზმმა გაიმარჯვა. ამის დასტურია ქვემოთ მოხსენიებული ენთუზიასტები: ვენერა თვალაძე, ნაზი ჯვებენავა, ნელი ოდიშარია, მიშა დანელია, პეტრე კირთაძე, გივი ფარულავა, როლანდ ადამია, რეზო ინჯვია, ცისანა ჭიოკაძე, ნაზი გრიგალავა, რომანოზ ძაძამია, ნიკოლოზ კამიშვი, ალექსანდრე გაბუნია, ომარ ხუსუა, მერი წოწორია, სერგო ურიდია და სხვ.

გაივლის სულ ცოტა დრო და რაიონის ერთ-ერთი სტუმარი ე. მაისურაძე იტყვის:

„მისაბაძია მუზეუმის პრაქტიკაში პირველად გეგეჭყორში დანერგილი შტატგარეშე მეცნიერმუშაკთა აპარატი. ამხანაგ რომანოზ ძაბაძიას და პეტრე კირთაძის მუშაობა გვარწმუნებს ასეთი ინსტიტუტის შექმნის დიდ ეფექტურობაში“.

ზემოთ ავღნიშნეთ გამოჩენილ მეცნიერთა თანადგომა მარტვილის მუზეუმის საქმიანობის მიმართ. ესენია: გიორგი ჩიტაია, ანდრია აფაქიძე, ნიკო ვეკუა, შოთა მესხია, შოთა ძიძიგური, აკაკი შანიძე, როინ მეტრეველი, მარიამ ლორთქიფანიძე, პარმენ ზაქარაია, სერგი დანელია, სერგი ჯიქია, ვერა ბარდაველიძე, გამოჩენილი მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, ლევან სანიკიძე. აკაკი გაწერელია, ლევან გოთუა, ოტია იოსელიანი და სხვ.

მუზეუმის ფონდში დაცულია ფოტოსურათები, რომელებიც აცოცხლებენ დიდი მეცნიერის ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრაძის, გილდენმაიზერის, ბალოტინის, შლენიოვისა და სხვათა სახეებს.

თითოეული მათგანის გამოხედვა თვალწინ წარმოგვიდგენს მათემატიკოსთა საკავშირო სიმპოზიუმის მონაწილეობა სახეებს.

ჩვენ ავღნიშნეთ, რომ მუზეუმმა მუშაობა დაიწყო ოთხი საშტატო ერთეულით. თანამშრომელთა სია თანდათანობით იზრდებოდა: წუნუ გეგეჭყორი, ლეილა ჯიქია, ომარ მონიავა, თამაზ ელიავა, ანა ჩიქვანაია, ციცო ზურცილავა, ციცო ბერულავა, ზაირა სანაია, ნანა სულავა, ამბროსი ფაილოძე, მურმან წოწორია, ზურაბ დანელია, დევი ელიავა, ნონა ურიდია, მიმოზა ქორაია, მარიამ გიორგილი, უუჟუნა კაკულია, ალბერტ ზუნწელია, ირინა ცანავა, ლეილა დანელია, ფატი სიგუა, გოჩა ჩქოფოია, ციცო ქოიავა, დათო ელიავა, დალი ფარულავა, გიგი და უუნა ფარულავები, ნანი უორდანია, რაია ცანავა, ლალი ცხაკაია, დიანა სილაგავა, ციალა წულაია, ნონა ბართია, ვაჟა გეგია და სხვა.

ყოველი კაცი რომ ერთნაირად ემატებოდეს და აკლდებოდეს ქვეყანას, ცხოვრება მოსაბეჭრებელი იქნებოდა. ადამიანები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ რა მოაქვთ, როცა მოდიან, ანუ რა ემატება მათი მოსვლით სოფელს და რა მიაქვთ, როცა მიდიან, ანუ რა აკლდება მათი

წასვლით საწუთოს. ეს განსხვავება რომ არ იყოს, ცოდო და მადლი სასწორის ერთ პინაზე მოთავსდებოდა.

დიდი მადლით ცხებულნი არ გაჩენილან განცხრომით ცხოვრებისათვის. ისინი ემსახურებიან მაღალ ადამიანურ ღირებულებებს, ირჯებიან, იხარჯებიან, ქმნიან დიდ გონებრივ ფასეულობებს და შემდეგ, თუმცა უკმარისობის მტანჯველი განცდით, მაგრამ მაინც ვალმოხდილის კმაყოფილებით წარუდგებიან უფალს.

ასეთები ერთეულები არიან და ამ ერთეულთა მორის დაიმკვიდრა ადგილი ბატონმა გივი ელიავამ.

ადამიანი როცა საწუთოს ტოვებს, თან არაფერი მიაქვს, თვითონ აკლდება ცხოვრებას და განსასჯელად ცოცხალთ ცოდო-მადლს უტოვებს. ხშირად ცოდვილნი განსჯიან უცოდველს, მაგრამ ღმერთმა მიუტევოს მათ. გივი ელიავამ კი იმდენი მადლი, იმდენი სიკეთე დატოვა, განცვიფრება გვიპყრობს: როგორ შემლო ეს ერთმა კაცმა! ეს სიკეთე, თუ დიდი ადამიანური მადლი წინაპართა გენიდან, ოჯახიდან, სამეზობლოდან, სამეცნიეროდან იწყება და შემდეგ მრავალი მიმართულებით განტოტვილი მეცნიერების სხვადასხვა დარგში ვლინდება, როგორც ნააზრევი მაძიებელი მკვლევარი მეცნიერისა. ამ ყველაფერს რომ გონების თვალით გავზომ-ავწონით, ჩვენს წინაშე წარმოჩნდება მონუმენტური ფიგურა შემოქმედი კაცისა, მეცნიერისა და მოაზროვნისა, რომელმაც წარუხოცელი კვალი დაამჩნია ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგს, ლექსიკოგრაფიას, ფოლკლორს, ყველაფერს, რაც მხარის, მიწის წიაღისა თუ ადამიანთა ხსოვნაში მიმაღლული, მოელოდა გამცოცხლებელსა და ამამეტყველებელს.

ღმერთს ნიადაგ შეწუხება ცოდვილთა და ხელმოცარულთა ხვედრია. ღმერთს თავისი მადლით ესაუბრებოდა ბატონი გივი, მან იცოდა, რომ ღვთიურ მადლს ფლობდა, სული მისი უახლოვდებოდა უფალს და ეძლეოდა აღმაფრენას, დიახ! ღმერთი ანიჭებდა ძალას და ისიც ებრძოდა ჯიუტ ნამარს ნივთებს, როგორც მოქანდაკე - ქვას, მხატვარი - ფერს, მწერალი სიტყვას, ებრძოდა და ამეტყველებდა საუკუნოებრივ

უსულო ნივთების დუმილს, ჩვეულ ხმად მღადადებლისად არ დარჩენილა გივი ელიავას ხმა. იგი მალე გაცდა კავკასიონს და მისწვდა ამერიკის კონტინენტს, ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს. გადაშალეთ მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნი, ჩაიხდეთ არქივში და გაეცანით დიდ მეცნიერთა და მწერალთა პირად წერილებს. სახელები გნებავთ? - ინებეთ: პ. გუგუშვილი, ნ. კეცხოველი, ა. შანიძე, გ. ჩიტაა, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯიქა, ა. აფაქიძე, გ. ჯიბლაძე, ვ. ბერიძე, რ. მეტრეველი, ა. ბარაძიძე, კ. გამსახურდია, ლ. გოთუა, რ. მიშველაძე, ლ. სანიკიძე, ი. კვესელავა, ო. ოსელიანი, და სხვა, აქვეა ჰანც ფაინრიხის, დავიდ ლანგის, ჯორჯ ჰიუიტის, დანიელ ლევის და სხვათა გამონათქვამ-შთაბეჭდილებანი.

მარტვილის ეროვნული მუზეუმის სახელი ისე შორსაა გასული, ისე დიდია აქ დამუშავებული თემების მეცნიერული მნიშვნელობა, ისე მდიდარია ფონდები და ექსპოზიცია, საქმეში ჩაუხედავი კაცი არც კი დაიჯერებს, რომ იგი მხოლოდ 50 წლისაა. დიახ! 1957 წელს დანიშნეს ბატონი გივი ქალადის ნახევარ გვერდზე არსებული მუზეუმის დირექტორად. მის აღტაცებასა თუ ენთუზიაზმს, მაშინ - დავარქვათ მოვლენას თავისი სახელი - ბევრი დასცინოდა, მაგრამ მის გვერდით აღმოჩნდა რაიონის ინტელიგენციის დიდი ნაწილი და მოხდა სასწაული: ყველას თვალწინ აღმოცენდა ახალგაზრდა, მყარ ნიადაგსა და ღონიერ მუხლებზე მდგარი მუზეუმი, რომელმაც, უსახლკაროდ და არაფრის მქონედ მიჩნეულმა, თავის სახლკარში იმავე 1957 წელს ოფიციალურად იზემა ახალმოსახლეობა.

ამ სასწაულის ავტორი გივი ელიავა გახლდათ.

გივი ელიავას დანიშნას არარსებული მუზეუმის დირექტორად ერთი შეხედვით საგონებელში უნდა ჩაეგდო ოჯახი, მაგრამ ეს არ მოხდა, მთებედავად იმისა რომ მრავალწერიან ოჯახს ეს სამსახური უზრუნველყოფას არ ჰქინდებოდა მოხუცი დედა და მამა, მეუღლე ქნი ნორა, და მედეა, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ვაჟები თამაზი და დევო-ყველა მოცვა ახალმა საქმემ, მუზეუმის საქმემ, ოჯახი სუნთქავდა მუზე-

უმის ფილტვებით. მთელი ოჯახი ჩაება ძიებაში, თითქოს ყველამ დაივიწყა სახლი და კარი, ბატონ გივის გაუჩნდა მეორე ოჯახი - მუზეუმი, ხოლო პირველმა ოჯახმა თავის განუყოფელ ნაწილად ცნო მეორე. ორივე ოჯახის ერთიანობით იღვაწა ორივეს თავკაცმა და როცა უამკეთილობის დრო დაუდგა, მაშინ უმუხლოდ საწუთოობ-ხელიდან გამოეცალა უფროსი ვაჟი თამაზი. სამუდამოდ დაჭრილ გულს დიდმა ოჯახმა, მისმა განუზომელმა სიყვარულმა შეაშველა მკურნალი ხელი, მუზეუმმა გადაარჩინა მაშინ ბატონი გივი. თითქოს არ გაუტყდა ჭირს, თითქოს გადარჩა, კვლავ ფარად მოიშველია ფოლიანტები, მაგრამ შრომასა და ბრძოლაში (დიახ ბრძოლაში) გაილია და სიკვდილის წინა დღეებში ვინც ნახა, დაგვემოწმება, კი არ დადიოდა, ანგელოზივით დაფრინავდა მიწის ზედაპირს ოდნავ აშორებული.

დღეს ბევრს სჯერა და არც მთლად უსაფუძლოდ, ოჯახი რომ არა, ბატონი გივი თავის დიდ შემოქმედებით ძალას ვერ გამოავლენდა.

ბატონმა გივიმ მუზეუმთან ერთად, ბუნებრივია, მისი მოუსვენარი და მაძიებელი კოლექტივიც შექმნა, კოლექტივი, რომლის შესახებაც ბატონ კონსტანტინეს უბრაძნებდა, „ამ მუზეუმის თანამშრომელთა საქმიანობა დიდ შემოქმედებით გმირობად მიმართა“-ო. თანამშრომელს, შტატიანსა თუ შტატგარეშეს, ბატონი გივი თავის ოჯახის წერად თვლიდა, ზრუნავდა, ზრდიდა, ასწავლიდა და სთხოვდა. ეს შეუნიშნავი არ დარჩენია იქნის უნივერსიტეტის პროფესორს ჰანც ფაინრიხს და უთქვამს: „რაოდენ მნიშვნელოვან და პატრიოტულ საქმეს ეწევიან მუზეუმის მეცნიერები ბატონი გივის ხელმძღვანელობით“-ო. გ. ელიავამ მუზეუმი აქცია მძლავრ სამეცნიერო კერად, სადაც შექმნა და გამოაქვეყნა 70-ზე მეტი წიგნი, ასობით წერილი, ალბომი, მოხსენება. სულ მუზეუმში მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავდა 900 თემა. მუზეუმის კოლექტივი დაინტერესებული იყო ისეთი საკითხებით, როგორიცაა: ნიადაგის განოყიერების ხალხური პრაქტიკა, მხარის მესაქონლეობა და ხალხური სელექცია, ძველ-კოლხური ვაზის ჯიშები.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ბატონი გივი ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას მესტიის, წალკისა და მარტვილის საშუალო სკოლებში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მასწავლებელთა და ხელოვნების ქუთაისისა და ზუგდიდის ინსტიტუტებში. იყო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ხალხთა მეგობრობისა და ღირსების ორდენების კავალერი, საბჭოთა კავშირის კულტურის წარჩინებული, მარტვილის საპატიო მოქალაქე.

ყველა ჯილდოსა და წარჩინებაზე მაღლა აყენებდა უბრალო ადამიანებთან ყოფნას და, როგორც ხშირად იტყოდა, მათგან რაიმე ახლის გაგებას.

ბატონი გივის მეცნიერული შემოქმედებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დადასტურება გახლდათ მისი არჩევა ეგრისისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიების ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

მომხმარევი პიროვნება იყო ბატონი გივი, უბრალო და მხიარული, ზრდილი და თავაზიანი. დაამყარებდით მასთან ურთიერთობას და გიპტორობდათ მისი თავმდაბლობა, არაფრით არ განირჩეოდა უბრალო მოკვდავთაგან, სინამდვილეში ცოტამ თუ იცოდა რა კოლოსალური ენერგია და რა ხედვის უნარი იმაღლებოდა იმ ჯანსაღ, მაგრამ ტანთხელ კაცში. მას შეეძლო ფეხზე მდგარიყო და ეშრომა არა დღეობითა და თვეობით, წლობითაც მჯდარიყო და ეტეხა ღამები მის მიერ მოპოვებულ ნივთებთან, რომელთა ენაც იცოდა, ამეტყველებდა და მათი საუბარი გადაჰქონდა ქალალდზე, რა-

თა დიდი ხნის საიდუმლოს ჩვენც ვზიარებოდით.

ადამიანი რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას ტოვებს, სწორედ მაშინ ხდება მისი სწორი შეფასება. ამიტომ, სიცოცხლეში დაუფასებელი კაცი უკვდავებას ხშირად სიკვდილის შემდეგ ეზიარება. თუმცა, ცდომილება ყოველთვის მოსალოდნელია, ძირითადად მართალი მიცვალებულებთან ვართ. გივი ელიავას დაფასება სიცოცხლეშიაც არ ქონა სანატრელი, მაგრამ მისი ჭეშმარიტი აღიარება მომავლის საქმეა.

დაიბადა 1919 წლის 12 ივნისს. 1934 წელს სათავეში ჩაუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელ ორგანიზაციას. 1936 წელს პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ზემო სვანეთში. სამამულო ომის დამთავრებამდე მოღვაწეობდა პედაგოგად, ღირექტორად. 1957 წლიდან ხელმძღვანელობს პარტიის რაიკომის პარტკაბინეტს. იმავე 1957 წელს სათავეში ჩაუდგა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სიკვდილამდე განაგებდა ამ დიდი დაწესებულების შექმნას და აღორძინებას.

2001 წლის 26 აპრილს მშობლიურმა მიწამ შვილის გვერდით ჩაიკრა გულში გივი ელიავას 82 წლის დაღლილი სხეული, ხოლო მისი სული ამაღლდა სამუდაბო ნათელში. გაივლის უამი, ღროის სიღრმიდან გამონათდება მისი ღვაწლი და თაობები მოიკითხავენ მის საფლავს.

### წეტრე კირთაძე

მუზეუმის შტატგარეშე მეცნიერ-მუშაკი, პედაგოგი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

Petre Kirtadze  
**Givi Eliava**  
Summary

The presented memoirs contain Givi Eliava's biography. Memoirs describe the most important stages of his life and activities as well as the history of establishment and development of Martvili Museum of Local Lore. The author analyses and appreciates not solely the contribution of Givi Eliava to the formation of museum, but significance of his personality in social and cultural life of Martvil

ნანა კირთაძე  
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციები

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაარსდა 1957 წელს. დაარსების ინიციატორები იყვნენ: გივი ელიავა, ალექსანდრე გაბუნია, გედეონ ხუხუნი, ვასილ გადელია, სტეფანე დარჯანია, დავით ჯანჯლავა, როდიონ ფალავა, მირიან ძეველაია, ნიკოლოზ ოსიძე, მართა ჩიქოვანი და კლიმენტი ზუბულავა. დირექტორად დაინიშნა ბატონი გივი ელიავა, რომელიც მუზეუმს ორმოცხე მეტი წლის განმავლობაში, 2001 წლამდე ედგა სათავეში. მუზეუმში პირველსავე წელს 3000-მდე არქეოლოგიური, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ხელნაწერი და ფოტო მასალა შემოვიდა ექსპედიციების თუ კერძო შემოწირულობების გზით. წლებთან ერთად იზრდებოდა ექსპონატთა რაოდენობა, ხდებოდა მათი კლასიფიკაცია, ფონდებში გადანაწილება, მეცნიერული შესწავლა-დამუშავება და დაგროვილი ცოდნის შეძლებისდაგვარად სამზოზე გატანა. ყველაფრის სულისჩამდგმელი და უშუალო მონაწილე ბატონი გივი ელიავა იყო. თუ თვალს გადავავლებთ გ. ელიავას სამეცნიერო ნაშრომთა ბიბლიოგრაფიულ საბიებელს, ნათლად დაგინახავთ, რაოდენ მრავალფეროვანია მისი მოღვაწეობის არეალი - ისტორია, მითოლოგია, არქეოლოგია, ნუმიზატიკა, ეთნოგრაფია, ლექსიკოლოგიური საკითხების კვლევა და პრაქტიკული საქმიანობა - უძველესი კოლხური ვაზის ჯიშთა მოძიება, საკოლექციო ნაკვეთის მოწყობა. იმ საშვილიშვილო საქმეებს შორის, რომელთა აღსრულებაც მას ბედმა წილად არგუნა, იყო კოლხური ტოპონიმების კვლევა-ძიებაც. მან შექმნა მარტვილის, აბაშის, სენაკისა და ჩხოროწყუს რაიონების 80-მდე რუკა. მათზე აღნიშნულია დაახლოებით 20 000-მდე ტოპონიმი, რისი წყალობითაც ტოპონიმების ნაწილი მართლაც რომ გადაურჩა დავიწყებასა და დაკარგვას. მუზეუმში დაცული ექსპონატები განთავსებულია სამეცნიერო, ხელნაწერთა, არქეოლოგის, ნუმიზმატიკის, ბუნების, ეთნოგრაფიის, მხატვრულ და ფოტო ფონდებში და კლასიფიცირებულია ერთგვაროვანი ან თემატურად გაერთიანებული

კოლექციების მიხედვით - ა, ბ, გ, დ და ხშირ შემთხვევაში ე ჯგუფშიც. დღეოსათვის მუზეუმში დაახლოებით 53 ათასამდე არტეფაქტია თავმოყრილი სამეგრელოს ოთხი რაიონიდან: მარტვილი, აბაშა, სენაკი, ჩხოროწყუ. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ნაწილი კოლექციებისა მოპოვებულია მარტვილის რაიონში.

ბუნების ისტორიის კოლექციებში დაცულ გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნიმუშების დიდ ნაწილს შეადგენს პროფესორების - მ. ძველაიას, გ. გოდერძიშვილის, კ. მაღლაკელიძის მიერ შესწავლილი და მოწოდებული მასალები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. კოლექციაში აღიიღობრივ მასალებს შორის აღსანიშნავია კურორტ ლებარდეს გზაზე, ადგილ „კალანდიას კარავთან“ 1977 წელს მუზეუმის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მინერალი - ამეთვისტოს უეოდა, რომელიც მეოთხეულ პერიოდს განეკუთვნება; სოფელ ნალექსაოში 1958 წ. აღმოჩენილი ლიმონიტი, ლიმონიტის კონკრეციები, იმავე წელს ასხის მთაზე აღმოჩენილი ჰემატიტის კონკრეციები; სოფ. ნახუნაოდან ეოცენური პერიოდის მანგანუმის უანგები, 1965 წელს - პიროლუზიტი და 1957 წელს - ფსილომელანი, 1976 წელს ნაპოვნია მარგანეცის კონკრეცია. ფონდში აგრეთვე დაცულია სხვადასხვა ნიმუშები ხუნწიდან, მახათიდან, კიწიდან, თამაკონიდან, ღოშაყედან, ისკიის გამოქვაბულიდან. მარტვილის ტერიტორიაზე ნაპოვნი გაქვავებული ხის ნიმუშები - სალხინო (მეოთხეული), ბომბოთი (პლიოცენი) „არჩილ ბატონიშვილის ნასახლარი“ 1970 წ., ნახუნაო - (ზ/ეოცენი) 1960 წ., ლებაჩიე - (სარმატი).

რაც შექება პალეონტოლოგიურ მასალათა კოლექციას, აქ მრავლად არის ადგილობრივ მოპოვებული განამარტებული ზღვის ზღარბები (ასხის მთა - პ. ხაინდრავა, 2001 წ., ნახარებაო - გ. ფარულავა, ბალდა - ლ. დანელია 2010 წ.), მოლუსკები, ამონიტები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია გიგანტური ამონიტები, რომელთა

დიამეტრია 54 სმ და 39 სმ. ორივე ამონიტი ნაპოვნია მარტვილში მ. ძველაიას ექსპედიციის მიერ და განეკუთვნება ცარცულ პერიოდს. ძალზე საინტერესოა ბალასისმჭამელი მარტორქის ქვედა ყბისა და მენჯის ძვლები, რომლის ასაკი დაახლოებით 11-14 მილიონი წელია, და რომელიც აღმოჩენილია მუზეუმიდან დაახლოებით 2 კმ-ზე, მდ. ინჩხიას სანაპიროზე გ. ელიავას მიერ 1958 წელს.

არქეოლოგიური კოლექცია დაახლოებით 12 ათასამდე არტეფაქტს მოიცავს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანებია - „პეტრეს ნაკარუს“ არქეოლოგიური მასალა. მარტვილის მუზეუმში დაცულია დაახლოებით 1000-მდე ნივთი. „პეტრეს ნაკარუს“ მასალა მუზეუმში შემოვიდა 1974 წელს, მარტვილის რაიონის სოფ. მუხურჩიდან, სადაც შემდგომ არქეოლოგიური გათხრებიც ჩატარდა. მუხურჩის სამაროვანი განეკუთვნება გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანას, კერძოდ, ძვ.წ. VIII-VII და VII-VI სს. კოლექციაში მრავლადაა ბრინჯაოს კოლხური ცულები (მათ შორის გრავირებულიც) სატევრები, სეგმენტური იარაღი, სამკაულები, ფიბულები, ანთროპომორფული და ზოომორფული მინიატურული ფიგურები. „პეტრეს ნაკარუს“ მასალის უმნიშვნელოვანების ექსპონატს წარმოადგენს ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკება, რომელიც სამეცნიერო წრებში ცნობილია „მეეტლის“ ასევე, „მქადაგებლის“, სახელით (ძვ.წ. VIII-VII სს) [ელიავა გივი 1986; სულავა 2014]. მძივები წარმოდგენილია, როგორც გიშრისა და სარდიონის, ასევე ქარვის, ფაიანსის, ფერადი მინის მძივებით; აგრეთვე, ოქროს მცირე ზომის მძივით, რომელზედაც გარკვევით ჩანს ორნამენტის კვალი.

არქეოლოგიურ კოლექციაში მრავლადაა მარტვილის სხვადასხვა სოფლებიდან შემთხვევითი აღმოჩენების წყალობით მუზეუმში შემოსული საინტერესო მასალა: ბრინჯაოს ნივთები რომელიც ძვ.წ. III ათას-წლეულს განეკუთნება. ცალკე შეიძლება გამოვყოთ კურზუმში, ა. ახალაიას ეზოში 1957-1965 წლებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები: სასაფეთქლე ხვიები, რომელიც თარიღდება ძვ.წ. XVI-XIV სს-ით, შუბის-

პირები - ძვ.წ. VIII-VII სს, ფიბულები - ძვ.წ. VII-VI სს.

საინტერესოა კოლექციის ის ნაწილი, რომელიც ძველი კოლხური კერამიკის ნიმუშებითაა წარმოდგენილი [სულავა 2014].

მარტვილის ტერიტორიაზე მეტალურგიის მძლავრი კერის არსებობას ადასტურებს მეტალურგოული წარმოების ნაშთების სიუხვე - ბრინჯაოს ზოდები (რომელთა შორის უდიდესი 55 კგ-ს იწონის), ქურის შელესილობა, კერამიკული მილები, წილები, მადანი, ყალიბი [სულავა 2014].

მუზეუმში დაცულია ქვის რელიეფური დეტალები, რომლთა დიდი ნაწილი მარტვილის ტერიტორიიდან და აბაშის ტყვირის ეკლესიის ტერიტორიიდანაა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტვილის მხარეთმცოდნების მუზეუმში დაცული ფრესკები, რომელიც პრევენციის მიზნით 60-იან წლებში მარტვილის ტაძრიდან გადმოტანილ იქნა მუზეუმში - „ბზობა/იერუსალიმში შესვლა“, „მთავარანგელოზი გაბრიელი“, „წმ. ლუკა მახარობელი“, „წმ. მათე მახარობელი“.

ნუმიზმატიკის კოლექცია მონეტების, ქალალის ფულის ნიშნების და მედლების 1400-ზე მეტ ერთეულს მოიცავს. ესენია ანტიკური ხანის ვერცხლის მონეტები - ეგინა. ძვ.წ. V-IV სს, კოლხური თეთრი. ძვ.წ. V-III სს, ათენი/ტეტრადრაქმა, ძვ.წ. V-IV სს, კორინთო. ძვ.წ. V-IV სს., სტატერი, ტიგრან დიდი. ძვ.წ. 95-55 წ. ტეტრადრაქმა, რომი. რესპუბლიკა. ძვ.წ. I ს/81 წ., ალექსანდრე მაკედონელი (315-323 წწ) ტეტრადრაქმა. ეს ის უძველესი და უიშვიათესი მონეტებია, რომელიც მუზეუმში ცნობილი ნუმიზმატის დ. კაპანაძის მეშვეობით მოხვდა. კოლექციაში მრავლადაა ერთიანი საქართველოს მეფეების: გიორგი III, თამარის, ლაშას და რუსუდანის ქართული მონეტები, რუსულ-ქართული მონეტები და არაბული დირჰემები. კოლექციაში სამი ოქროს მონეტაა: აღმოსავლური მონეტა, სოლიდი; ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე XI-ისა (1059-1067 წწ) და მესამე ოქროს მონეტა, ბიზანტიური, იმპერატორ მავრიკიუს ტიბერიუსის (582-602 წწ) მოჭრილი კონსტანტინოპოლის. იგი აღმოჩნდა არაბულ დირჰემებთან ერთად სოფ. ინჩხურში ლოდქვეშ

(ადგილი ღვამუში) 1988 წელს. ეს მონეტები ცნობილია ინჩხურის განძის სახელით და ომაიანთა და აბასიანთა დინასტიას ეკუთვნის და სხვადასხვა ზარაფხანაშია მოჭრილი. კოლექციის ნაწილია ისულას განძი, მასში 15 კოლხური თეთრია და აღმოჩენილია სენაკის რაიონის სოფ. თეკლათის ტერიტორიაზე ქვევრ-სამარხში.

ეთნოგრაფიულ მასალათა კოლექცია ასახავს სამეგრელოს მხარის გვიანი შუასაუკუნებისა და XX საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა სოციალური ფენის ყოფა-ცხოვრებას. ესენია - იარაღი, ვერცხლის ქამრები, ცხენის აღკაზმულობა, ტრადიციული სამოსი, ჭურჭლეული, სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო იარაღები, სპილენძისა და ხის საოჯახო ნივთები [ელიავა გივი 1989].

ხელნაწერ მასალათა კოლექციაში დაცული ხელნაწერი საბუთები, მიმოწერები, სხვადასხვა დოკუმენტები, ხელნაწერი წიგნები, პიროვნებათა არქივები, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სამეგრელოს, კერძოდ მარტვილის, საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან დღემდე. ჩვენ შეგვიძლია მოვიძიოთ საინტერესო ცნობები მარტვილში სწავლა-განათლების შესახებ, სასულიერო პირთა მიმოწერა, დადიანებთან დაკავშირებული საბუთები, სასამართლო დავის საბუთები, წყალობის სიგელები, ხელწერილები, ვექსილები, ქორწინების მოწმობა (1850 წ.). აგრეთვე, ხელნაწერი წიგნები, ძირითად სასულიერო ხასიათის - „კითხვა-მიგებანი სასულიერო თემებზე“; „ქადაგებები“ - 1856 წ; სჯულის კანონისგან აღმოწერილი 1882 წ; „ქრისტიანული მოძღვრების სასწავლო ჩანაწერები“, ლოცვათა კრებული, 1866 წ.; „კატეხიზმო“ (XIX ს); „კანონები სისხლით ნათესაობის შესახებ“ (XIX ს), „ასტროლოგიური კრებული“; „ბეჭანიანი“; ლოცვები (1874 წ., 1890 წ.), „სამთვარიო“ (1852 წ); ლექსთა კრებულები (XIX ს); ხელნაწერ წიგნთა შორის უძველესია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გადაწერილია 1825 წელს.

მუზეუმის მხატვრულ მასალათა ფონდის კოლექციაში თავმოყრილია, როგორც ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები,

ასევე ქანდაკებები, ბიუსტები, ჭედური ხელოვნების და ხეზე კვეთილობის ნიმუშები, მოზაიკა, გობელენები, დეკორატიული ლარნაკები. კოლექციას საფუძველი 1959 წელს ჩაეყარა და შეიქმნა კერძო შემოწირულობების, ნასყიდობისა და სამხატვრო გალერეის მიერ სხვადასხვა წლებში მუზეუმისათვის გადმოცემული ნამუშევრების საფუძველზე. კოლექციაში წარმოდგენილია გამოჩენილი ქართველი მხატვრების: ლადო გუდაშვილის, ელენე ახვლედიანის, უჩა ჯაფარიძის, ვ. ჯაფარიძის, თ. გოცაძის, გ. თოიძის, რ. კეჭებმაძის, ს. მაისაშვილის, ზ. გოგოლაშვილის, რ. ადამიას, გ. გეგეჭკორის, რ. სტურუას, შ. წიკლაურის, ა. ქუთათელაძის და სხვათა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ ლადო გუდაშვილის ფერწერული ტილო - „იაზონი აიეტის საღვთო ჭალაში ცეცხლის-მფრქვეველი ხარებით ხნავს მიწას“, შექმნილია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1959 წელს, დირექტორის, ბატონი გივი ელიავას თხოვნით.

კოლექციაში ასევე წარმოდგენილია ი. ოჩიაურის, რ. იაშვილის, რ. გოცირიძის, კ. გურულის, ი. ქოიავას ჭედური ნამუშევრები, მოქანდაკე ო. ფარულავას მარმარილოში შესრულებული ნამუშევარი - „მშვიდობა“, გიორგი ჭყონდიდელის ბიუსტი, კ. გამსახურდიას ბიუსტი, რომელიც ჩამოსხმულია ბრინჯაოში. საინტერესოა, კ. ბაკურაძის მოზაიკა - „დავით აღმაშენებელი“. კოლექციაში ასევე დაცულია ლ. ელიაშვილის, ი. სიგუას, თ. გაბიძაშვილის, ს. მთვრალაშვილის, ა. გვახარიას, ი. წულაძის გობელენები.

ცნობილ ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გვერდით ღირსეულ ადგილს იკავებენ ადგილობრივი მხატვრების: მ. დანელიას, უ. ციცხვაიას, ე. ჯლარკავას, ა. გაგუას, კ. ჯანაშიას, ვ. ცაავას, ახალგაზრდა მხატვრის გ. გაწერელიას; ხეზე ჭრის ოსტატების: ი. ჭაჭუას, გ. ბექაურის; მოქანდაკე ჯ. ბუალავას ნამუშევრები.

მუზეუმის ფოტო კოლექციამ შემოვინახა როგორც ისტორიულ პიროვნებათა სახეები, ასევე ისტორიული მოვლენების და ადგილების ამსახველი ფოტოები. კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

სამეგრელოს მთავრების, დადიანებისა და მიურატების ოჯახის წევრთა სურათებს. არანაკლებ საინტერესოა თავადაზნაურთა ყოფის ამსახველი ფოტოები: ბანძის თავადაზნაურთა ფოტო გადაღებული 1886 წ., ბანძის თეატრალური საზოგადოება, ალ. იოსელიანი ბანძაში (შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ პირველი დამდგმელი), XIX ს. ბანძის წარჩინებული მანდილოსნები, ი. ჭავჭავაძე ბანძაში საზოგადო მოღვაწისა და იურისტის, მექი ფალაგას ოჯახში, ქორწილი ბანძაში – გაბუნიების ოჯახში, დარია ფალაგა - მექი ფალაგას მეუღლე. მრავლის მთქმელია სამეგრელოსა და აფხაზეთის ცნობილი თავადთა ფოტოები, რომელზედაც გამოსახულნი არიან თავადები: გეგეჭკორი, ფალაგა, ჯოტო შერვაშიძე, ბონდო მიქელაძე, ლადო ემხვარი, ალექსანდრე შერვაშიძე, ასტამურ ინალიფა და სხვ.

კოლექციაში, სხვა მნიშვნელოვან ფოტოებს შორის, დაცულია ცნობილი მეცნიერების: აკაკი შანიძის, ილია ვეკუას, გორგი ჩიტაიას, აკაკი გაწერელიას და სხვათა მარტვილში სტუმრობის სურათები.

სამეცნიერო მასალათა კოლექციაში დაცულია, როგორც ხელნაწერი, ასევე ნაბეჭდი სამეცნიერო შრომები, სტატიები, სხვადასხვა სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა (როგორც ძველი, ასევე თანამედროვე), მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, ნაბეჭდი საეკლესიო წიგნები, პერიოდიკა, მუზეუმის ექსპედიციის ჩანაწერები, ცნობილ ადამიანთა მოგონებები. აქ შეიძლება მოვიძოთ საინტერესო ცნობები სამეგრელოში პირველი სკოლის, მარტვილის ორკლასიანი სასწავლებლის შესახებ, სამეგრელოში სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ, კავკასიის მთავარმართებლისა და ლევან დადიანის მიმოწერა, ი. ბახტაძის მოგონება ნაოდალევის შესახებ. აქვეა დაცული გივი ელიაგას მიერ შედგენილი მარტვილის, აბაშის, სენაკისა და ჩხოროწყუს რაიონების ტოპონიმიკური ატლასები.

სამეცნიერო მასალათა კოლექციის ნაწილია მე-19 ს-ის მიწურულისა და მე-20 ს-ის პერიოდული გამოცემები: „ივერია“ - 1888-1889 წწ., „დროება“ - 1909 წ., „მწყემსი“ - 1883-1886, 1889, 1890, 1896 წწ., „კვალი“

- 1902-1903 წწ., „ცნობის ფურცელი“ - 1896, 1902, 1905, 1906 წწ. და სხვა. აგრეთვე, უურნალები: „კრებული“ - 1897 წ., „საოჯახო უურნალი“, „სალამური“, „ქართული ბიბლიოთეკა“ - 1883 წ. სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო უურნალის 1910 წლის სრული კომპლექტი, უურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1914-1923 წწ., სრული კომპლექტი (უურნალი გამოწერილი ქონდა ბანძაში მცხოვრებ კლავდია გაბუნიას. უურნალზე დაკრულია წარწერა - ბანძა (Кутаиск. გუბ) - მადმუაზელ კლავდი ლუარსაბოვნე გაბუნია).

არანაკლებ საინტერესოა ამავე კოლექციაში დაცული საეკლესიო წიგნები: სახარება, კონდაკი, კურთხევანი, მარხვანი, წიგნი მღვდელმსახურების შესახებ, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი, რომელიც გამოცემულია იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის მიერ 1898 წელს. მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმშა და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზის პეტრე დავითის ძის კონჭოშვილისა, ტფილისი, 1901 წელი. ძველი სახელმძღვანელოები: პირველ-დასაწყისი კურსი რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, 1882 წლის გამოცემა. ი. გოგებაშვილის Русское слово. Книга для чтения -1916 წელი. ლექსიკონები: ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბასულხან ორბელიანისაგან, გამოცემული რაფიელ ერისთავის რედაქტორობით, თბილისი, 1884 წელი. მარი ბროსეს ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი და ქართული გრამატიკა, გამოცემული პეტერბურგში 1841 წელს. ქართული ქრესტომათია, გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ, პეტერბურგი 1846 წელი. წიგნის ერთ-ერთ გვერდზე კითხულობთ: მიხაილ ნიკოლაევიჩ მუსინუ-პუშკინу. უსერდნეშე принование автора.

ამგვარია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციების მოკლე და სქემატური მიმოხილვა.

## ლიტერატურა

სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ.,  
ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვი-  
ლი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრა-  
ძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ.,

კალანდია თ., 2014. მარტვილის მხარეთ-  
მცოდნეობის მუზეუმი. ალბომი. თბილისი.  
ელიავა გივი 1989. ეთნოგრაფიული სამეგ-  
რელო. ალბომი. ქუთაისი.  
ელიავა გივი 1986. პეტრეს ნაკარუს არქე-  
ოლოგიური მასალა. თბილისი.

Nana Kirtadze

## Collections of Martvili Museum of Local Lore Summary

Martvili Museum of Local Lore was founded in 1957. Its establishment was the result of incessive efforts of Givi Eliava, Alexander Gabunia, Gedeon Khukhuni, Vasil Gadelia, Stephan Darjania, David Janjghava, Rodion Paghava, Mirian Dzvelaia, Nikoloz Osidze, Martha Chikovani and Climent Khubulava. For more than 40 years, the museum was under the leadership of Givi Eliava.

Approximately 3000 exhibits representing archaeology, geology, ethnography, manuscripts and photo archives found their way to the museum in the very first year of its existence either obtained by expeditions or as private donations.

The exhibits are stored in scientific, manuscript, archaeology, numismatic, nature, ethnography, art, and photo funds and are classified according to typological or topical collections in a, b, c, d, and e groups.

Nowadays, there are approximately 53 000 artefacts from four regions of Samegrelo (Martvili, Abasha, Senaki, Chkhorotsku) preserved in the museum.

Principal part of the collections is obtained in the Martvili region.

მაია ბუხესიანიძე  
ნამარხი მარტორქა სოფელ საელიავოდან

**შესავალი.** მარტვილთან ახლოს, სოფ. საელიავოში, მდინარე ინჩხიას შუაწელში 1962 წელს გივი ელიავას, გივი ფარულავას და როლანდ ადამიას მიერ ნაპოვნი იქნა ნამარხი მარტორქის ფრაგმენტები. ეს ნიმუშები მარტვილის გივი ელიავას სახელობის ეროვნულ მუზეუმში ინახება.

ნამარხების სისრულე, დეფორმაციის კვალის არ არსებობა, ასევე, ნამარხების ერთი ინდივიდისათვის კუთვნილება მეტყველებს იმაზე, რომ საელიავოს მარტორქა დაღუპვის შემდეგ მაღვევე დაიმარხა ისე, რომ სხეულის სხვადასხვა ძვლების გაბნევის გარეშე, განამარხდა და ასე შემოინახა ჩვენს დრომდე. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მენჯი სრულია, ასეთი ნიმუში ნამარხებს შორის დიდი იშვიათობაა. ამის გამო, სრულებით შესაძლებელია, რომ ჩონჩხის სხვა ნაწილებიც იქვე ყოფილიყო.

დასანანია, რომ ამ სტატიის დაწერამდე ვერ მოხერდა უშუალოდ იმ ადგილის მონახულება, სადაც 1962 წელს აღმოჩნდა მარტორქის ნაშთები. ეს უფრო ზუსტ წარმოდგენას შეგვიქმნიდა იმ გეოლოგიური ეპოქის შესახებ, რომელშიც ეს ცხოველი ცხოვრობდა და გააიოლებდა სხვადასხვა ფორმებთან მის შედარებას.

საქართველოს გეოლოგიური რუკის მიხედვით სოფელი საელიავო შუა მიოცენურ (16-11,5 მლნ.წ.) ნალექებზე განლაგებული. მდინარე ინჩხია ტაბაკელას მთიდან ჩამოედინება და სანამ მდინარე აბაშის წყალს შეუერთდება კვეთს პალეოცენურ-ეოცენურ (66-56 მლნ.წ., 56-34 მლნ.წ.), ოლიგოცენურ-ადრე მიოცენურ (34-23 მლნ.წ. და 23-16 მლნ.წ) და შუა მიოცენურ (16-11,5 მლნ. წ.) დანალექ ქანებს. მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ უფრო დასავლეთით, აბაშის წყლის დასავლეთ ნაპირზე ზედა მიოცენური (სარმატული და მეოტის-პონტური; 11,5-5,5 მლნ.წ.) დანალექი ქანებიც შიშვლდება.

ეს ინფორმაცია იმ გეოლოგიური ეპოქების შესახებ, საიდანაც შესაძლოა იყოს საელიავოს მარტორქა, არც მეტი არც

ნაკლები, მთელი 50-60 მილიონი წლის დიაპაზონს იძლევა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ხმელეთის არსებობა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გვიან ოლიგოცენში დასტურდება ბენარას (ახალციხის რაიონი) ფაუნით. ადრე და შუა მიოცენური ხმელეთის ფაუნები საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი არ არის, თუმცა კუნძულების არსებობა რა თქმა უნდა არაა გამორიცხული, ეს მით უფრო მოსალოდნელია გვიან მიოცენში.

პალეოგენური და ნეოგენური ხანის ხმელეთის ძუძუმწოვართა ფაუნების ადგილ-საპოვებლები საქართველოს ტერიტორიაზე არც ისე ბევრია. მათი უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება. სამხრეთ საქართველოში კი, თუ არ ჩავთვლით ძუძუმწოვრების თითო-ორთოლა ნამარხებს ქისათიბიდან და საროდან, ბენარას გვიანი ოლიგოცენური ფაუნის გარდა არაფერია ნაპოვნი. დასავლეთ საქართველოში კი ძუძუმწოვრებიდან, მხოლოდ ვეშაპისმაგვარები და ორადორი ხორთუმიანის კბილია ცნობილი. მარტვილის მუზეუმში დაცული ნამარხები თუნდაც იმის გამოა საყურადღებო, რომ ისინი დასავლეთ საქართველო-დანაა.

**მარტორქები (Rhinocerotidae)** კენტჩლი-ქოსნების ერთ-ერთი ოჯახია. დღეს ეს ჯგუფი სულ 5 სახეობითაა წარმოდგენილი. აქედან ორი – აფრიკაში, ხოლო სამი – სამხრეთ აზიაში გვხვდება. ეს სახეობები წითელ წიგნშია შეტანილი. მათგან სამივე აზიური სახეობა გადაშენების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება. დღევანდელი სურათი ახლოსაც არ არის იმასთან, რაც საქართველოს გეოლოგიურ რუკაზე თვალის გადავლებით შემოფარგლულ დროში ხდებოდა.

**მარტორქის მსგავსი ცხოველების (zeojaxi Rhinocerotoidae)** სამივე ოჯახი გვიან ეოცენში წარმოიშვა *Hyrachyus*-ის მსგავსი ფორმისგან. აღნიშნული ზეოჯახი მოიცავს სამ ოჯახს: (1) ნამდვილი მარტორქები - Rhinocerotidae, მასში შედის დღეს არსებული ხუთივე სახეობა და საო-

ცრად მრავალფეროვანი გადაშენებული ფორმები; (2) ამინოდონტები – Amynodontidae, სრულებით გადაშენებული ოჯახი, რომელშიც შედიოდნენ ბეჭემოთისა და ტაპირის მსგავსი ძალიან დიდი ზომის ცხოველები და (3) ასევე გადაშენებული ჰირაკოდონტების Hyracodontidae ოჯახი, რომლის შემაღებალობაში შედიოდნენ მომცრო, ძალლის ზომის მორბენალი ფორმებიდან დაწყებული დამთავრებული დედამიწაზე არსებულ ძუძუმწოვართა შორის ყველაზე დიდი ზომის ცხოველებამდე – ინდრიკოთერიუმები ანუ ბალუჩითერიუმები, რომელთა ერთ-ერთი წარმომაღებელი ცნობილია ბენარას ფაუნიდანაც. ამინოდონტები და ჰირაკოდონტები ოლიგოცენის დასასრულს/-ადრე მიოცენის დასაწყისში გადაშენდნენ, ხოლო ნამდვილმა მარტორქებმა დღემდე მოაღწიეს.

ნამდვილი მარტორქების ოჯახის დივერსიფიკაცია ადრე ოლიგოცენში დაიწყო. მიოცენი ამ ოჯახის გაფურჩქვნის ხანა იყო. მიოცენის დასასრულისთვის მარტორქების სახეობრივი მრავალფეროვნება მკვეთრად შემცირდა: ისინი გაქრნენ ამერიკის კონტინენტიდან, ხოლო ევრაზიასა და აფრიკაში Rhinocerotinae-ს ქვეოჯახი ძალზე გალარიბებული ფორმები (წარმოდგენილი მხოლოდ Rhinocerotinae-ის ტრიბით) და ელასმოთეირუმების (Elasmotheriinae) ქვეოჯახის თითო-ორთოლა წარმომაღებენელი შემორჩა. ბოლო ელასმოთერიუმები პლეისტოცენის ბოლოს ამოწყდნენ. ნამდვილი მარტორქების ოჯახიდან დღემდე მხოლოდ Rhinocerotinae-ის ტრიბის წარმომაღებენლებმა მოაღწიეს.

საინტერესოა, მარტორქების რომელ ფორმას ეკუთვნის საელიავოს ნამარზი? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ შემონახული ნაშთების მორფოლოგიაში შეიძლება მოგვცეს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ კბილები ისე ძლიერად არის მოცვეთილი, რომ

მრავალ დიაგნოსტიკურ ნიშანზე დაკვირვება შეუძლებელია. ესეც რომ არ იყოს, თავის ქალას მორფოლოგია ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია სახეობის იდენტიფიკაციისათვის. ცხადია, რომ მარტვილის მუზეუმის მასალა არ იძლევა დეტალური ტაქსონომიური კუთვნილების დადგენის საშუალებას.

## სისტემატიკა

რიგი Perissodactyla Owen, 1848

ოჯახი Rhinocerotidae Gray, 1821

ქვეოჯახი Rhinocerotinae Gray, 1821

ტრიბი Rhinocerotini Gray, 1821

გვარი Dihoplus Brandt, 1878

*Dihoplus* sp.

სურათი 1; ცხრილი 1, 2.

**მასალა:** 1843/8-2 ერთი ინდივიდის ქვედა ყბის მარჯვენა და მარცხენა სხეული (corpus mandibulae), ორივე p4-m3-iT; da 1842/7 - თითქმის სრული, არადეფორმირებული მენჯი, რომელსაც მხოლოდ მარცხენა საჯდომი ძვალი (os ischii) აკლია.

**აღწერა.** ქვედა ყბის მხოლოდ მარჯვენა და მარცხენა სხეულებია შემორჩენილი. ისინი მეზიალურად სიმფიზის უკანა კიდეზეა გადატეხილი, ხოლო დისტალურად აღმავალი ტოტი (მარჯვენაც და მარცხენაც) აკლია. ქვედა ყბის კუთხე და ქვედა ყბის ხვრელი (foramen mandibulae) მხოლოდ მარცხენა, ხოლო ნიკაპის ხვრელი (foramen mentale) მხოლოდ მარჯვენა ფრაგმენტები შემორჩენილა. კბილების რიგი არასრულია და მხოლოდ ძლიერ მოცვეთილი p4-m3-ია შემორჩენილი. ამ ორი ფრაგმენტის მსგავსი ზომები, კბილების მორფოლოგიისა და მოცვეთის ხარისხი მეტყველებს იმაზე, რომ ქვედა ყბის ეს ნაშთები ერთსადამავე ინდივიდს ეკუთვნის



სურ. 1. *Dihoplus* sp. სოფ. საელიავოდან, მარტვილის რაიონი. ქვედა ყბის ორი ფრაგმენტი 1843/8-2. მარცხნივ – ქვედა ყბის მარცხენა სხეული; მარჯვნივ - ქვედა ყბის მარჯვენა სხეული; ზევიდან ქვევით – ბუკალური, ლინგვალური და ოკლუზარული ხედი.

ქვედა ყბის სხეული მაღალია და ტრანსვერსალური მიმართულებით განიერია (მარჯვენა მხარეს m3-ის ქვევით 64,2 მმ ხოლო მარცხენა მხარეს 66,3 მმ). მისი ქვედა კიდე სუსტად მოხრილია. სიმფიზის უკანა კიდე p2/p3 საზღვრის გასწვრივაა. საგიტალური ლინგვალური დარი არ არის. ნიკაპის ხვრელი p2-ის ქვეშაა, ხოლო ქვედა ყბის ხვრელი მოლარების ფუძეების შემართებელი წარმოსახვითი ხაზის ქვევით მდებარეობს. ქვედა ყბის კუთხე მომრგვალებულია, საღეჭი კუნთის (m. masseter) მიმარტების ადგილები უხეში და დატალდულია.

კბილები ძალზე მოცვეთილია და მრავალ მორფოლოგიურ ნიშანს ვერ დაგაკვირდებით, თუმცა შეიძლება შეინიშნოს შემდეგი:


ცემენტის ფენა ძალზე სუსტია. კბილის მინანქარი დატალდულია. კბილები ტრანსვერსალურად საკმაოდ განიერია. ლოფიდების გარე კიდეები მორკალულია, რაც კბილებს მომრგვალებულ, გაბერილ ელფერს სმენს. ლინგვალურად კბილის საყელოზე (*cynogulum*) დაკვირვება შეუძლებელია, ბუკალურად კი საყელო ძალზე სუსტადაა განვითარებული. პ4-ზე საყელო არის, როგორც წინა, ასევე უკანა წილზე, თუმცა, წინა წილზე უფრო მაღალია, ხოლო მოლარებზე მხოლოდ წინა წილზეა განვითარებული. მოლარების უკანა წილები უფრო გრძელია ვიდრე წინა, ხოლო p4-ზე წინა და უკანა წილები თანაბარი სიგრძისაა.

პარალოფიდი გრძელია ყველა კბილზე და თითქმის აღწევს მეტაკონიდის დონეს. ტრიგონიდის ფორმა ყველაზე ნაკლებ

მოცვეთილ კბილზე (m3) მახვილი დიპე-დრონია. ექტოლოფიდის ღარი კარგადაა გამოხატული და გვირგვინის ფუძეს (კბილის ყელს) აღწევს. ყველა კბილზე უკანა ღრმული ლინგვალურ ზედაპირზე უფრო ახლოს არის კბილის ყელთან, ვიდრე წინა ღრმული. რთულია p4-ის უკანა ღრმულის ფორმაზე დაკვირვება, თუმცა საკარაულოდ ის ვიწრო და V

ფორმის უნდა ყოფილიყო, რადგანაც ცენტრალურად აშკარა, მკვეთრი ღარი შეინიშნება. მოლარების ენტოკონიდები ღარის გარეშეა.

აღსანიშნავია, რომ ქვედა ყბის სხეულები პაქიოსოტოზურია. ქვედა ყბის სხეულის, ასევე კბილების განზომილებები ძალიან დიდი ზომის ცხოველზე მეტყველებს



სურ. 2. *Dicerorhinus sumatrensis marjvena* m2-ის სქემატური გამოსახულება. მარტორქის კბილების აღწერისას გამოყენებული ტერმინოლოგია უერინ, 1980-ის მიხედვით.

ზომები (მმ)	<i>Dihoplus</i> sp. საელიავო, 1843/8-2.			
	LB	LL	WD	WP
p4 sin-dex	>37.6	38.0	34.8	30.4
m1 sin-dex	43.0	42.8	>37.1	30.4
m2 sin-dex	49.5	49.1	36.4	35.6
m3 sin-dex	53.1	54.3	33.4	31.2
p4 dex	38.2	38.3	35.8	28.2
m1 dex	44.0	42.0	33.7	31.5
m2 dex	49.4	48.3	35.8	35.0
m3 dex	>51.4	>51.1	31.2	31.5
m1-m3 sin	149.3	148.5		
m1-m3 dex	>146.4	>144.7		
H corpus p4 ant sin	>95.9			
H corpus m3 post sin	112.7			
H corpus p4 ant post	103.0			
H corpus m3 post post	114.6			

ცხრილი 1. ქვედა ყბისა და კბილების ზომები. შესაბარებელი მონაცემები აღებულია – Pandolfi - 2015. LB – კბილის მეზიო-დისტალური დიამეტრი ბუკალური მხრიდან; LL – კბილის მეზიო-დისტალური დიამეტრი ლინგვალური მხრიდან; WD კბილის ბუკოლინგვალური დიამეტრი კბილის ფუძესთან ახლოს, WP – კბილის ბუკოლინგვალური დიამეტრი საღეჭვ ზედაპირთან ახლოს.

ზომები (მმ)	<i>Dihoplus sp. saeliavo</i>	<i>Dihoplus schleiermacheri</i>	<i>Dihoplus megarhinus</i>	<i>Dihoplus pikermiensis</i>
L m1-m3	144.6-149.3	139-177	134-165	135.8-156
H corpus m3 post	112.7-114.64	89.5-110	87-127	101.4-107.6

ცხრილი 2. საელიავოს მარტორქის ქვედა ყბის ზომების შედარება *Dihoplus*-ის სახეობებთან. მონაცემები აღებულია – Pandolfi - 2015.

ზომის მიხედვით საელიავოს მარტორქა შუა მოცენში ფართოდ გავრცელებულ *Brachytherium brachypus*-ს ედრება (ქვეოჯახი Rhinocerotinae, ტრიბა Teleoceratina), თუმცა, მისგან განსხვავდება რიგი ნიშან-თვისებებით, მათ შორის გრძელი პარალოფიდით და კბილების წინა და უკანა წილების მორკალული ბუკალური კიდეებით - *Brachytherium*-ს მოკლე პარალოფიდი და გაბრტყელებული ბუკალური ზედაპირი ახასიათებს.

გრძელი პარალოფიდი, რომელიც ლინგვალურად მეტაკონიდის დონეზდე გრძელდება, აღნიშნულ მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვნია. ეს ნიშანი ცალსახად მიუთითებს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს *Rhinocerotini*-ის ტრიბის წარმომადგენელთან (ქვეოჯახი Rhinocerotinae). *Rhinocerotini*-ების ტრიბიაში კი, როგორც მორფოლოგის, ასევე ზომის თვალსაზრისით, ის განსაკუთრებით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ე.წ. *Dihoplus*-ის გვარში შემავალ ფორმებთან, როგორებიცაა *D. schleiermacheri*, *D. pikermensis*, *D. megarhinus* (= *D. ringstroemi*). ამ გვარის ფილოგენეზი საკამათოა (უფრო დაწვრილებით იხ.: Pandolfi 2015). ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ეს პარაფილეტური ჯგუფია და მისი ერთერთი წარმომადგენელი *D. megarhinus* გვარ *Stephanorhinus*-ის ეკუთვნის [Fortelius 1993; Cerdeno 1995]. რაც უნდა იყოს, ჩვენს ხელთ არსებული მასალა მსგავს დებატებში შესვლის საშუალებას არ გვაძლევს, რადგანაც მირითადი დაგნოსტიკური ნიშნები თავის ქალაზეა გამოხატული. თუმცა, გარკვეული სიფრთხილით მაინც შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ *Dihoplus*-ის ჯგუფის შედარებით ძველ ფორმასთან *D. schleiermacheri*-თან გვაქვს საქმე, რომელიც პირველად ვალეზიურ ფაუნაში ჩნდება (MN9; ზღვიური ფაუნის ბიოსტრატიგრაფიაში შუა სარმატული, ბესარაბიული რეგიონებსართული შეესაბამება). მითუმეტეს, რომ სოფ. საელიავოს მიდამოებში შუა მიოცენური ზღვიური დანალუები ქანებია წარმოდგენილი, რომლებიც ოდნავ დასავლეთით სარმატული ასაკის ასევე ზღვიური ქანებითაა დაფარული. სრულებით დასაშვებია, რომ ამ მიდამოებში კონტინენტური წარმოშობის სარმატული ასაკის ქნებიც იყოს წარმოდგენილი. აქევე დავამატებთ, რომ ეს ნამარხი უფრო ახალგაზრდა კონტინენტური ნალექებიდანაც შეიძლება მოდიოდეს. კონტინენტური ქანების ბიოსტრატიგრაფიულ დათარიღებას ხმელეთის ფაუნა სჭირდება. ეს ნამარხი მიუთითებს იმაზე, რომ მარტვილის მიდამოების პალეონტოლოგიური დაზვერვები ძალიან საჭირო საქმეა.

**დასკვნა.** სოფელ საელიავოში აღმოჩენილი ნამარხი მარტორქის ნაშთები მორფოლოგიურ და ბიომეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობით ეკუთვნის *Dihoplus*-ის გვარის წარმომადგენელს. ჩვენს ხელთ არსებული მასალა, სახეობამდე განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა, თუმცა, გარკვეული სიფრთხილით მაინც შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ *Dihoplus*-ის ჯგუფის შედარებით ძველ ფორმასთან *D. schleiermacheri*-თან გვაქვს საქმე, რომელიც პირველად ვალეზიურ ფაუნაში ჩნდება (MN9; ზღვიური ფაუნის ბიოსტრატიგრაფიაში

შუა სარმატული, ბესარაბიული რეგიონებისა და სართული შეესაბამება). ამას არც მარტვილის მიღამოების ზოგადი გეოლოგიური მონაცემები არ გამორიცხავს. ეს ნამარხი აშკარად მიუთითებს მარტვილის მიღამოების დეტალური პალეონტოლოგიური დაზვერვების საჭიროებას.

### ლიტერატურა

- Cerdeno E., 1995.** Cladistic analysis of the family Rhinocerotidae (Perissodactyla). American Museum Novitates 3143, 1–25.  
**Fortelius M., Mazza P., Sala B., 1993.** Stephanorhinus (Mammalia: Rhinocerotidae) of the Western European Pleistocene,

with a revision of *S. etruscus* (Falconer, 1868). *Palaeontographia Italica* 80, 63–155.

**Guérin, C. 1980.** Les rhinocéros (Mammalia, Perissodactyla) du Miocène terminal au Pléistocène supérieur en Europe occidentale: comparaison avec les espèces actuelles. Documents des Laboratoires de Géologie de la Faculté des Sciences de Lyon 79, 1–1182. Guérin, C., 1982. Les Rhinocerotidae

**Pandolfi P., Gasparik M., Piras P., 2015.** Earliest occurrence of “*Dihoplus*” megarhinus (Mammalia, Rhinocerotidae) in Europe (Late Miocene, Pannonian Basin, Hungary): Palaeobiogeographical and biochronological implications. *Annales de Paléontologie* 101 (2015) 325–339.

Maia Bukhsianidze

### Fossil rhino from the village Saeliavo

summary

The rhino fossils from the village Saeliavo (Martvili region, Western Georgia, Southern Caucasus) are described and discussed in this paper. Basing on morphology and biometry it belongs to the genus *Dihoplus*. The fossil material does not allow identification to the species level. Yet, with a certain caution it can still be suggested that we might be dealing with the early representative of the genus – *D. schleiermacheri*. This species first appeared in the Vallesian faunas (MN9; corresponds to the Middle Sarmatian s. l. - Bessarabian sub-stage of the Eastern Paratethys). This idea does not contradict the geological setting of the Martvili region. This fossil points to the need of detailed paleontological explorations in the area.

ნინო სულავა, ნანა რეზესიძე  
მარტვილის მხარეთმცოდნების მუზეუმის პრეისტორიული  
მეტალურგიის ექსპონატები

ბერძნი ისტორიკოსის და გეოგრაფის, სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ „[კოლხეთის] სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინთა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბას“ (სტრაბონი. გეოგრაფია. I, 2, 39) – ამყარებს ძველი კოლხეთის ნაწილის – სამეგრელოს (მარტვილის მხარე), ლითონწარმოების ამსახველი არაერთი მონაპოვარი – მაღნის, წიდების, ნაღვენთების, საქშენი მილების, ყალიბის, ციცქვის (ტიგელი) და ლითონის სადნობი ქურების შელესილობის ფრაგმენტების მრავალრიცხოვანი ნიმუშით, სხვადასხვა წონის ბრინჯაოს ზოდების სიუხვით (უდიდესი ფრაგმენტირებული ზოდის წონაა 55 კგ<sup>1)</sup>) (სულავა 2014: 25-29]. ამ არტეფაქტების ერთობლიობა ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მეტალურგიული წარმოების სიმბლავრის ამსახველია.

მუზეუმში არსებული ლითონწარმოების მასალის რაოდენობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არცერთ მუზეუმში არ არის წარმოდგენილი პრეისტორიული მეტალურგიის არტეფაქტების ასეთი კოლექცია. ისინი ცნობილია ოცდაათამდე პუნქტიდან. ესენია – აბედათი (დიხაგუმბა), ნახუნაო (ნაცაცხვერა, ნაფაცხუ), ლეჭეხა, ლებარდე, ქვიბია, ვედიდკარი (მახათი, ჭიოკას ჯიხა, ნაჯიხუ), ოკაცე, კურზუ, ბალდა, კიწია (ნაოსხაპუ), მარტვილი (ალანიას გა), ნალექსო, თამაკონი, აბპესი, ქვაითი, საელიაო, ლეხაინდრაო, ნაოხვამუ, გურძემი (ნაოხვამუ), დოშაყე, სალჩინო და რამდენიმე უცნობი ადგილიდან. ზოგი არტეფაქტი მოპოვებულია ერთი პუნქტის სხვადასხვა ადგილას (რუკა 1)<sup>2)</sup>.

<sup>1</sup> ზოდს დოშაყედან (ა/534/1/გ-69) ნახვარი მოტეხილი აქვს, ე.ი. სავარაუდო, მისი სრული წონა 110 ან 120 კგ. უნდა იყოს.

<sup>2</sup> რუკაზე აღნიშვნულია მარტვილის მხარეთმცოდნების მუზეუმში დაცული არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენათა ადგილები; ხოლო პრეისტორიულ მეტალურგიასთან დაკავშირებული პუნქტები დანომრილია.

თუ დავაჯვუფებთ თითოეულ პუნქტში აღმოჩენილ არტეფაქტებს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შემთხვევით მონაპოვართან გვაქვს საქმე, ვლებულობთ კომპლექსს, რომელიც მეტალურგიული წარმოების სრული ციკლის ამსახველია. მაგალითად:

ნახუნაოში (რუკა 1/1) აღმოჩენილია: ბრინჯაოს 4 ზოდი, ქურის შელესილობის ფრაგმენტები, ნაღვენთები, წიდები, ღროსებური ფორმის მადანი, 13 ცალი თიხის საქშენი მილი, თიხის ტიგელი. სახეზე გავქვს როგორც წარმოება, ასევე საბოლოო პროდუქტი, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ძეგლების მიხედვითაც;

ლეჭეხაში (რუკა 1/2) – წიდები, ქურის შელესილობის დაწიდებული ფრაგმენტები, თიხის საქშენი მილი, ლითონის სადნობი ქურა (აღდგენილია<sup>3)</sup>;

ვედიდკარში (რუკა 1/3) – ბრინჯაოს 2 ზოდის ფრაგმენტი, ლითონის სადნობი ქურის შელესილობის ფრაგმენტი, წიდები, თიხის 2 საქშენი მილის ფრაგმენტი;

ოკაცეში (რუკა 1/4) - ბრინჯაოს ზოდი;

მარტვილში (რუკა 1) – ბრინჯაოს ზოდი, თიხის 2 საქშენი მილი, წიდა და ქურის შელესილობის ფრაგმენტი, ნაღვენთები;

ქვიბიაში (რუკა 1/5) - ბრინჯაოს 3 ზოდი, თიხის საქშენი მილი, წიდები;

აბედათში („დიხაგუმბა“) (რუკა 1/6) – წიდები, თიხის საქშენი მილის ფრაგმენტები, ყალიბი (ცულის ?);

სალჩინოში (რუკა 1/7) – შელესილობის ფრაგმენტი;

კურზუში (რუკა 1/8) – კალის ნადნობი;

ლებარდეში (რუკა 1/9) – ბრინჯაოს ზოდი;

ლეხაინდრაოში (რუკა 1/10) – ყალიბი, წიდები, ქურის შელესილობა;

გურძემში (რუკა 1/11) – ქურის შელესილობის ფრაგმენტი, თიხის საქშენი მილის ფრაგმენტები;

<sup>3</sup> აღდგენილია გივი ელიავას მიერ.

დოშავეში (რუკა 1/12) – ბრინჯაოს ზოდი (სურ. 3);

ქვაითში (რუკა 1/13) – წილა;

თამაკონში (რუკა 1/14) – ბრინჯაოს ზოდი;

ნაოხვამუში – თიხის საქშენი მილის ფრაგმენტი<sup>4</sup>.

კირიაში (რუკა 1/16) – ბრინჯაოს ზოდი, თიხის საქშენი მილები (5 ც.);

მარტვილის რეგიონი, რომლის პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლები არასდროს არ ყოფილა შესწავლით არქეოლოგიურად, ორგანულად უკავშირდება როგორც ხობის რეგიონის, ასევე, მთანი კოლხეთის (უპირველეს ყოვლისა, ლეჩხუმის) შესწავლით ძეგლებს, მათ შორის არის მოქცეული და ერთობლიობაში წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთის მეტალურგიულ სიმძლავრეზე.

უფრო კონკრეტულად, სამხრეთ-დასავლეთიდან მარტვილს აკრავს ძველი რკინის<sup>5</sup> მეტალურგიის კოლხური ცენტრის ხობიობომურის სამთო-მეტალურგიული საწარმოო კერა (ძეგლები - ჭოლა I, II, III) [Хахутаишвили 1987: სურ. 56A], რომელიც ლოკალიზებულია მდ. ოჩხომურის ხეობაში (მდ. ხობის მარცხენა შენაკადი). ძეგლს ჩრდილოეთიდან გადმოჰყურებს კავკასიონის ქედის კალთები. ზღვის ნაპირამდე 120 კმ-ია. როგორც დ. ხახუჭაიშვილი აღნიშნავდა, ზღვიდან ასეთი დაშორება აყენებდა საკითხს ამ კერის ნედლეულის ბაზის შესხებ [Хахутаишвили 1987: 164]. მაგრამ, ჩვენის აზრით, როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევებით ირკვევა, ნედლეულის წყარო მარტო მაგნიტური ქვიშები არ უნდა ყოფილიყო.

როგორც პრეისტორიული მეტალურგიის ყველა ძეგლს, ხობი-ოჩხომურის სამთო-მეტალურგიულ საწარმოო კერასაც ახლავს მდინარეებით წარმოდგენილი ჰიდროსისტე-

<sup>4</sup> ნაოხვამუ რუკაზე არ არის აღნიშნული, რადგან დავთრის მიხედვით გაურკვეველია თუ რომელი ნაოხვამუ იგულისხმება.

<sup>5</sup> უძველესი რკინის მეტალურგიის ძეგლებად განსაზღვრული არქეოლოგიური ძეგლები ამჟამად გადასინჯვის პროცესშია, და საყრაუდოდ, უფრო დაკონკრეტდება ახალი მონაცემების ფონზე, თუ რომელი ლითონის წარმოება გვაქვს სახეზე.

მა და ტყის მასივები. აქ საწარმოო გადანაყარის მიხედვით დაახლოებით 50 ობიექტია დაფიქსირებული [Khakutaishvili 2009: 95].

ხობის რეგიონში არქეოლოგიურად შესწავლილია ლითონის სადნობი სახელონოები „ჭოლა I“ [Хахутаишвили 1987: სურ. 57. Khakutaishvili 2009: 95-97], რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით [Хахутаишвили 1987: 169. Khakutaishvili 2009: 97]; „ჭოლა II“ [Хахутаишвили 1987: სურ. 59. Khakutaishvili 2009: 97-101], დათარიღებულია ძვ.წ. X-IX სს-ით [Хахутаишвили 1987: 175. Khakutaishvili 2009: 101]; და „ჭოლა III“ [Хахутаишвили 1987: სურ. 62. Khakutaishvili 2009: 101-104] დათარიღებულია ძვ.წ. X-VIII სს-ით [Хахутаишвили 1987: 177. Khakutaishvili 2009: 104]. ამ არქეოლოგიური ობიექტებიდან მხოლოდ „ჭოლა I და III“-ზეა ჩატარებული რადიოკარბონული ანალიზები დათარიღებაზე [Хахутаишвили 1987: 179. Khakutaishvili 2009: 105].

მარტვილს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან აკრავს მთიანი კოლხეთის ერთი ნაწილი (კინჩხა, ასხის პლატო, ლეჩხუმი), სადაც ბოლო დროინდელი გამოკვლევებით დადასტურებულია არაერთი ანალოგიური ძეგლი [სულავა 6. 2014: 33. Sulava, Chagelishvili, Kalandadze, Beridze 2013: 375-379].

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ზოდები სხვადასხვა ფორმისა და წონისაა. ჩვენი დაკვირვებით, ზოდის ფორმის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ სადნობი ქურის ზომა და ფორმა; წაკვეთილი კონუსის ფორმის ზოდები, რომლებიც ყოველთვის დიდი ზომისაა გამოიდნობოდა ქურაში, რომლის ძირსაც ასეთივე ფორმა (ბრტყელი) ქონდა; ხოლო კონუსური ფორმის ზოდები, შედარებით მცირე ზომისაა და გამოიდნობოდა კონუსური ფორმის ძირის მქონე ქურაში [სულავა 2014: 34].

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ზოდები, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა წონისაა და წარმოდგენილია, როგორც დიდი, ასევე მცირე

ზომის არტეფაქტებით<sup>6</sup>, რომელთა წონა მერყეობს 100-300 გრამს შორის და ისინი მრგვალ-ბრტყელი ფორმისაა (სურ. 3, 4). ამგვარი ზოდების შესახებ, რომელთა ანალოგიურიც ცნობილია სოხუმიდან, ზენითიდან, გოგოლეისუბნიდან, ბეჟათუბნიდან, კალვათიდან, ოჩხომურიდან, გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ისინიც, ისევე როგორც ევროპის „განძებში”, გარკვეულ საცვლელ ფასეულობას წარმოადგენდნენ [ლორთქიფანიძე 2001: 186; იხ. იქვე დასახ. ლიტ.].

შესაძლოა, ზოგიერთ პუნქტში (დოშავე, თამაკონი, ლებარდე) ერთად აღმოჩენილი რამდენიმე ზოდი, მიუხედავად იმისა, რომ განძების აღმოჩენის ვითარება თითქმის ყოველთვის უცნობია ან ბუნდოვანი, მივიჩნიოთ ე.წ. „სპილენძის ზოდების” განძად, ე.ი. ისეთ განძად, რომელიც ზოდების გარდა სხვა ნივთებს არ შეიცავს [ქორიძე 1965: 46-47. ლორთქიფანიძე 2001: 181]<sup>7</sup>.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეტალურგიასთან დაკავშირებულ არტეფაქტებს შორის არის აბედათში აღმოჩენილი ქვის ყალიბის ფრაგმენტი<sup>8</sup>, რომელიც, სავარაუდოდ, ცულის უნდა იყოს (სურ. 5). საქართველოში, და განსაკუთრებით, კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში აღმოჩენილი ყალიბების სიმრავლე მეტალურგიული წარმოების დიდ მასშტაბზე მიუთითებს [სახაროვა, სულავა 2012: 88-104]. ყალიბები მარტვილის მიმდებარე დანარჩენი სამეგრელოს ტერიტორიიდან ცნობილია ყულევიდან, ერგეტიდან, ანაკლიიდან, ფიჩორიდან [სახაროვა, სულავა 2012: 88-104].

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტებს შორის არის, აგრეთვე, თიხის ციცხვი (ტიგელი) (სურ. 6), რომლის ანა-

ლოგიურიც ცნობილია ყულევიდან, განთიადიდან [GEORGIEN . . . 2001: 167, 343, 401. ლიტ. იხ. იქვე].

განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ზომის თიხის საქმენი მილები (სურ. 1, 2). მათ დიდ ნაწილზე შერჩენილია წილის კვალი; არის ნიშნანი ეგზემპლარებიც. მილების ანალოგიურად წილების კვალი შერჩენილია ნაცრისფერი ცეცხლგამძლე თიხისაგან დამზადებული ქურის შელესილობის ფრაგმენტებზე<sup>9</sup>, რომლებიც ასევე მრავლადაა მუზეუმში (სურ. 9).

მუზეუმში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა სხვადასხვა ზომისა და ფორმის წილები (სურ. 7); არის ისეთებიც, რომლებიც იმეორებენ ქურის კედლის ფორმას ან ზედ შერჩენილი აქვთ ქურაში საწვავად გამოყენებული ხის კვალი (სურ. 8).

მუხედავად იმისა, რომ ჯერ არა გვაქვს ანალიზების მონაცემები, რაც მომავალი კვლევის საგანია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუზეუმში წარმოდგენილი უძველეს მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტები ბრინჯაო-რკინის მეტალურგიას უნდა ეკუთვნოდეს. ეს ვარაუდი რეალურ საფუძველზეა დაყრდნობილი, რადგან მარტვილის რეგიონი კოლხური ბრინჯაოს კულტურის (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახ. – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახ.) არეალის უმნიშვნელოვანესი რეგიონია და მდიდარია ამ ხანის ბრინჯაოს ნაკეთობებით.

ამგვარად, თუნდაც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშის სპილენბ-ბრინჯაოსა თუ რკინის მეტალურგიის უხვი ექსპონატების მიხედვითაც კი შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ბერძნული და ურარტული წყაროებისათვის ცნობილი ლეგენდარული კოლხეთი, რომელიც ძველმა სამყარომ ბერძნული მითოლოგიური თემებით (არგონავტიკა, პრომეთეს მითი) გაიცნო, მითიდან რეალობად იქცა. შემდგომი კვლევები კი ჩვენს ვარაუდს უფრო მეტ კონკრეტულობას შესძენს.

<sup>6</sup> დოშავეს ზოდი, სავარაუდოდ 120 კგ უნდა ყოფილიყო [სულავა 2014: 27]. დოშავეს ზოდის მსგავსი, წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვს ზოდს ლეჩუმიდან [სულავა 2014: 33, ტაბ. I/2].

<sup>7</sup> ცალკეული ან ბრინჯაოს ზოდების ჯგუფის (რომლებიც ვთოომდა ჯართის შემსყიდვებებს ჩაბარებს), პოვნის შესახებ ინფორმაცია ხშირად მოგვისმენია რეგიონებში, მაგრამ ფაქტობრივი მასალა არ მოგვეპოვება.

<sup>8</sup> ყალიბი - ა/14688/1-2129

<sup>9</sup> ლეჭეხაში აღმოჩენილი ქურის (ა/14348/1-2004) რეკონსტრუქცია გაკეთებულია გივი ელიავას მიერ.

## სურათების აღწერილობა

- რუკა 1 – პრეისტორიული მეტალურგიის არტეფაქტების აღმოჩენათა ადგილები.  
სურ. 1 – საქშენი მილები  
სურ. 2 – საქშენი მილები წილის კვალით  
სურ. 3 – დიდი ზომის ზოდი (დოშავე)  
სურ. 4 – მცირე ზომის ზოდები  
სურ. 5 – ყალიბი  
სურ. 6 – თიხის ციცხვი (ტიგელი)  
სურ. 7 – წილა  
სურ. 8 – წილა ხის ანაბეჭდებით  
სურ. 9 – ქურის შელესილობის ფრაგმენტი

## ლიტერატურა

ლორთქიფანიძე ოთ. 2001. „განძები” კოლ-ხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა), კრ. კავკა-სია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატებანი VI. 178-194.

სულავა ნ., აღაძიშვილი თ., ჰატარიძე მ., ჩა-გვლიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალან-

დია თ., 2014. მარტვილის მხარეთმცოდნე-ობის მუზეუმი. აღმომი. თბილისი.

სტრაბონი. გეოგრაფია. I, 2, 39.

სახაროვა ლ., სულავა 6. 2012. საქართვე-ლოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ჩა-მოსასხმელი ყალიბების ისტორიისათვის – ონლაინ არქეოლოგია № 2. თბილისი. 88-104.

სულავა 6. 2014. ცაგერის ისტორიული

მუზეუმის პრეისტორიული მეტალურგიის ექსპონატები. ცაგერის ისტორიული მუზე-უმის შრომები I. თბილისი.

ქორიძე დ. 1965. კოლხური კულტურის

ისტორიისათვის, თბილისი.

Хахутაишвили Д. А. 1987. Производс-тво железа в древней Колхиде. Тб.

GEORGIEN. Schätze aus dem Land des Goldenen Vlies. 2001. Bochum.

Khakutaishvili D. 2009. The Manufacture of Iron in Ancient Colchis. Oxford.

Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013. Newly Discovered Monuments of the Ancient Iron Metallurgy: Research Perspective and Expected Outcomes. „The Thracians and their Neighbors in the Bronze and Iron Ages”. Volume I (Proceedings of the 12<sup>th</sup> International Cong-ress of Thracology). Târgovişte. 375-379.

Nino Sulava, Nana Rezesidze

## **Exhibits of Prehistoric Metallurgy in Martvili Museum of Local Lore**

### **Summary**

Already the Greek historian and geographer Strabo asserted about Colchis that “the riches of the country in gold, silver, and iron, proclaim the motive of Jason's expedition” (Strabo, I, 2.39). This statement is well-corroborated by the archaeological finds pertaining to metallurgy obtained on the territory of Samegrelo (Martvili region). The following artefacts were unearthed – fragments of ore and slag, drippings, bellows, molds, metal-casting ladles, fragments of plastering of smelting crucibles, quantity of ingots of various weight (the heaviest fragmented ingot weighing 55 kg). These artefacts reflect strong industrial capacity of metalworking in the Bronze and Early Iron Age Colchis.

Judging by numbers of artefacts preserved in Martvili museum, it can be stated that no other museum in Georgia hosts this rich collection of materials connected to prehistoric metallurgy. The artefacts come from approximately thirty places: Abedati (Dikhagudzuba), Nakhunao (Natsatskhvera, Napatskhu), Lechekhi, Lebarde, Kvibia, Veditkari (Makhati, Chiokas Jikha, Najikhu), Okatse, Kurzu, Balda, Kitsia (Naoskhapu), Martvili (Alanias Ga), Nalefsao, Tamakoni, Abhesi, Kvaiti, Saeliao, Lekhaindrao, Naokhvamu, Gurdzemi (Naokhvamu), Doshake, Salkhino. A few artefacts come from the unknown locations and some are unearthed in different parts of the same area.

The grouping of archaeological materials from the above locations reveals a complex of artefacts that are associated with a single metallurgic cycle (bronze ingot, fragments of plastering of smelting crucible, drippings, slags, fragments of rod-shaped ore, clay bellows, clay metal-casting ladle).

Metallurgic sites of the region of Martvili have not been studied archaeologically up to present. The region itself is organically connected and lays between Khobi and highland Colchis (primarily Lechkhumi) regions that abound with metalworking sites and fills in the general picture of metallurgic industry of Colchis.

Rich collection of copper-bronze and iron items in Martvili Museum of Local Lore proves that legendary Colchis mentioned in the Greek and Urartian sources and introduced to the ancient world by myths of the Argonauts and Prometheus was no myth after all, but reality. We hope that further research will provide specific evidence for the above suggestion.

# საქართველო GEORGIA



● მარტვილის მხარითოცოდნობის მუზეუმის ექსპონატების აღმოჩენის აღმილები  
EXHIBIT FINDSPOTS. THE MARTVILI MUSEUM OF THE LOCAL LORE

სურ. 1 – საქშენი მილები



სურ. 2 – საქშენი მილები წილის კვალით



სურ. 3 – დიდი ზომის ზოდი (დოშავე)



სურ. 4 – მცირე ზომის ზოდები



სურ. 5 – ყალიბი



სურ. 6 – თიხის ციცხვი (ტიგელი)




სურ. 7 – წილა



სურ. 8 – წილა ზის ანაბეჭდებით



სურ. 9 – ქურის შელესილობის ფრაგმენტი



ნინო სულავა, ირაკლი ქორიძე  
**მუხურჩის (პეტრეს ნაკარუს) სამაროვანი მარტვილის  
მხარეთმცოდნეობის მუზეუმში**

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უმნიშვნელოვანების არქეოლოგიური კოლექციაა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის ერთ-ერთი საეტაპო ძეგლის - მუხურჩის (პეტრეს ნაკარუს) სამაროვანის მასალის ის ნაწილი, რომელიც შეაგროვა მუზეუმის ექსპედიციამ გივი ელიავას ხელმძღვანელობით, 1974 წელს, როცა სამეურნეო არხების გაყვანისას სამაროვანი დაზიანდა<sup>1</sup>. როგორც გ. ელიავა აღნიშნავდა - „ჭაობიანი მიწების დასაწერეტი არხების გაყვანისას გაშიშვლდა სამარხები (8 ოვალური სამარხისეული შთე, მის მარცხენა მხარეს კიდევ 5 სამარხი გამოჩნდა). ეს სამარხები ძლიერ მოშიშვლებული იყო, ამიტომ 1974 წლის თებერვალში გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა მისი გაწმენდა-პრეპარაცია მოახდინეს, მასალა მუზეუმის ფონდში ინახება<sup>2</sup>. ამ წინასწარი ღონისძიებების შემდეგ მოწვეულ იქნა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, უფრ. მეც.

<sup>1</sup> მასალის უაღრესად დიდი სამეცნიერო ღირებულების გამო გადავწყვიტეთ წინამდებარე კრებულში ერთად შეგვეკრიბა ყველა ის ნამრობი, რომელიც მუხურჩის (პეტრეს ნაკარუს) სამაროვანს ეხება. ამ მცირე მიმოხილვით კი წარმოგიდგნთ მხოლოდ იმ მასალას, რომელიც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებშია დაცული და ექსპონირებული.

<sup>2</sup> №№ გმ. A/11390/გ-197 – გმ. A/11760/1/გ-1119-1121 [ელიავა გივი 1986]. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუხურჩის (პეტრეს ნაკარუს) მუზეუმის კოლექცია წარმოდგნილია შემდეგი არტეფაქტებით: ბრინჯაოს ზოომორფული და ანთროპომორფული ფიგურები, კოლხური ცულება, სატევრები (ბრინჯაოსი და რკინისა, ისრის წვერები, სეგმენტისებური იარაღი, თოხი, ზოდის ფრაგმენტები, ბრინჯაოს ჭურჭლის ჭური, მართკუთხა და პეპლისებური აბზინდა, ფიბულები, დაფანჯრული ზარი, დუგმა, ძეწკვები, ბრინჯაოს სხვადასხვაგვარი საკერებელი ფირფიტები, საკისრე რკალი, სასაფეთქლე რგოლები, თავგახსნილი რგოლები, სამაჯურები, ოქროს მძივი, მძივები – სარდიონის, გიშრის, მინის სხვადასხვაგვარი (დიდი რაოდენობით), თიხის ღილები, სალესი ქვები, კაჟის ჩასართები და კაჟის ისრის პირი.

მუშაკის ე. გოგაძის ხელმძღვანელობით [ელიავა გივი 1986:4].

ამგვარად, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ სოფ. მუხურჩასთან (პეტრეს ნაკარუ) ერთ-ერთ სამაროვანზე, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე შეკრებილი მასალა გახდა საფუძველი აქ, ამ ადგილას, XX ს-ის 70-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციისა, (ხელმძღვ. ე. გოგაძე, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი), რომელმაც გამოავლინა და შეისწავლა ძვ.წ. VIII-VI სსის კოლხური კოლექტიური სამაროვანი<sup>3</sup>.

გათხარა ტერასულად განლაგებული ორი დასაკრძალავი მოედანი, ანუ კოლექტიური სამარხები, რომელებიც ორ თანამშრომლებმა მისი გაწმენდა-პრეპარაცია მოახდინეს, მასალა მუზეუმის ფონდში ინახება<sup>2</sup>. ამ წინასწარი ღონისძიებების შემდეგ მოწვეულ იქნა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, უფრ. მეც.

დასაკრძალავი მოედნების გარდა, ცალკეული კოლექტიური სამარხებიც გამოვლინდა დასაკრძალავი მოედნების ჩრდილოეთით და სამხრეთით. ჩრდილოეთის სამარხი შეიცავდა სტრატიგრაფიულად, ერთმანეთის თავზე განლაგებულ კოლექტიურ ორ სამარხს. როგორც ვარაუდობენ, ორივე სამარხი ქრონოლოგიურად უნდა ემთხვეოდეს ზედა და ქვედა დასაკრძალავ მოედნის. სამხრეთის სამარხი კოლექტიური დაკრძალვის მძლავრ ფენას შეიცავდა და სავარაუდოდ, ქვედა მოედნის ასაკის ტოლი ან ცოტა ადრეული იყო.

ქვედა დასაკრძალავი მოედნის მასალა წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: ბრინჯაო – სეგმენტისებური იარაღი, კოლხური ცულები, ვიწროპირიანი თოხები, ფიბუ-

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ. აქვე. - გვ. 38-137.

ლები, სატევრები, შუბისპირები, ყუნწიანი ისრისპირები, სადა სარტყლები, პეპლისებური აბზინდები, პინცეტები, სადა და ორნამენტირებული სამაჯურები, ზარაკები და აუკურული საკიდები, ძეჭკვები, ორმაგცულისებრი საკიდები, სათვალისებრი ღუგმები, სავარცხლები, ღილები; რკინა – სატევრები; კერამიკა – ბადისებურონამენტიანი ფრაგმენტები, ვერტიკალურკანელურებიანი და მცირე ზომის მარყუჟისებრყურიანი კერამიკა; ტალკის, „დომინოს“ ტიპის პასტის, სარდიონის, მინის მძივები და ქვის საკიდები. ქვედა მოედნის კომპლექსი დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით.

ზედა დასაკრძალავი მოედნის მასალა წარმოდგენილია: ბრინჯაო – საკიდები, ზარაკები, პინცეტები, საკისრე რკალები, რგოლები; რკინა – პირგანიერი თოხები, სატევრები, ცულები; კერამიკა – მცირე ზომის მოყავისფრო და მოშავო ყურმილიანი ღოქები, ქოთხები, კათხები, ბიკონუსური ჭურჭლები, სასმისები და კათხები მაღალ ცილინდრულ ფეხზე, ვიწროძირიანი სასმისები, მოზრდილი ქოთხები და ღოქები; კერამიკის ორნამენტაცია – კონცენტრული წრეები მხარზე, ნაჭდევები, წნევით დატანილი ხაზები; მინის ერთფერი და პოლიქრომული მძივები. მასალის ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ზედა მოედნის კომპლექსი დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი და VI ს-ით.

1976 წელს მუხურჩის სამაროვნის შესწავლა დამთავრდა და მრავალრიცხოვანი პარალელების საფუძველზე „ქვედა დასაკრძალავი მოედნის“ მასალები, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII ს-ით იყო განსაზღვრული, შესაძლებელი გახდა ძვ.წ. IX ს-ის ბოლოთი და VIII ს-ის დასაწყისით დათარიღებულიყო. თუმცა, ე. გოგაძემ თავის იმ ნაშრომში, რომელიც კოლხური კულტურის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებს ეხება, მუხურჩის სამაროვნის ადრეული კომპლექსების თარიღად ისევ ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევარი დატოვა<sup>4</sup>.

მუხურჩაში მოპოვებული მასალები (დაცული როგორც საქართველოს ეროვნულ

და მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში) უაღრესად მნიშვნელოვანია ძვ.წ. VIII-VI ს-ის ბერძნულ-კოლხური კონტაქტების თვალსაზრისითაც. ამ კონტაქტების ამსახველია ის სიახლეები მასალაში (სხვა კოლხურ სამაროვნებზე აღმოჩენილ არტეფაქტებთან ერთად), რომლებიც ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ გვიანგეომეტრიული ხანის საბერძნეთის მატერიალურ კულტურასთან, ესენია, პირველ რიგში, ფიბულები და მცირე პლასტიკის ნიმუშები<sup>5</sup>.

<sup>4</sup> იხ. აქვთ. - გვ. 117-137.

<sup>5</sup> რომელთაც ცალკე სტატიები ეძღვნება აქვე – გვ. 38-137.

Nino Sulava, Irakli Koridze

**Mukhurcha (Petres Nakaru) Necropolis in  
Martvili Museum of Local Lore (Brief Review)**

Summary

A part of archaeological materials from Mukhurcha (Petres Nakaru) necropolis – an outstanding Late Bronze – Early Iron Age Colchian site obtained by archaeological expedition of Martvili Historical Museum under the leadership of Mr. Givi Eliava in 1974, constitutes a significant archaeological collection of Martvili Museum of Local Lore. Necropolis was damaged in the process of digging channels. As reported by G. Eliava, eight graves were revealed and contours of five more became visible. Collected materials comprise rich variety of artefacts (bronze zoomorphic and anthropomorphic figurines, weapons and tools, jewelry, garment decorations, and beads).

The above discovery gave way to the archaeological excavations (expedition of S. – Janashia Georgian State Museum, director - E. Gogadze) conducted here in the 70s of the 20<sup>th</sup> cent. The expedition unearthed and studied collective Colchian burials dating from the 8<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cent. BC.

Archaeological data from Mukhurcha (nowadays stored in the funds of both State Museum and Martvili Museum of Local Lore) is extremely important for the study of material culture of Colchis, as well as for the analysis of Graeco-Colchian contacts back in the 8<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cent. BC. These contacts are well attested by the introduced innovations that can be traced through materials – fibulae and specimens of minor plastic art in the first place (along with the data from other Colchian sites) and reveal typological similarities with the Greek material culture of Late Geometric period.

გივი ელიავა  
პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა

კოლხეთი \* უძველესი დროიდან მსოფლიოში აღიარებულ ქვეყნად ითვლებოდა. იგი განთქმული ყოფილა სამშენებლო ხელოვნებით, მიწათმოქმედებით, მედიცინით, განათლებით, კულტურით, ოქროთი და მისი წარმოებით. ეტყობა, მაშინ იდეოგრამული დამწერლობა მაღალ დონეზე იდგა. თქმულება არგონავტების შესახებ კი „ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ცხოვრებისა და ბუნების ანარეკლზეა აშენებული”<sup>1</sup>. როგორც კ. რიტტერი აღნიშნავს, კოლხები ბერძნებზე ადრე იცნობდნენ კარტოგრაფიულ ხელოვნებას<sup>2</sup>. ბერძნები აქ გაეცნენ ფოლადის გუთანს<sup>3</sup>, ხოლო კირკემ და მედეამ ჯადოსნური მალამოებითა და მკურნალობის სხვა საშუალებებით მოხიბლეს ბერძნები.

II ათასწლეულის დასასრულისათვის როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად კოლხეთი ძლიერ დაწინაურებულ ქვეყნად ჩანს<sup>4</sup>, რასაც ადასტურებს კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული უამრავი მასალა. მათ შორის უაღრესად საინტერესო და ორიგინალურია „პეტრეს ნაკარუ“ გეგეჭკორის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის XXXVI სამეცნიერო სესიის მასალები. 1981 წ., გვ. 32-33.

„პეტრეს ნაკარუ“ დიდხანს ტყიანი ადგილი იყო. ოციან წლებში იგი გაიჩეხა, ხოლო 30-40-იან წლებში კი გამოყენებულ იქნა ჩაის მასივად და საძოვრებად. აქ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ადგილობრივ მესაქონლე პეტრე ფოჩხუას კარავი ჰქონია მოწყობილი. ამოტომაც ამ ადგილს „პეტრეს ნაკარუ“ /პეტრეს ნაკარავი/ შერქმევია და

\* ნაშრომი გამოქვენებული იყო 1986 წ. წინამდებარე პუბლიკაციაში ტაბულები დამუშავა მ. წულუკიძემ

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძნიშვილი, „საქართველოს ისტორია“, ნაწ. I, თბ. 1948 წ., გვ. 50.

<sup>2</sup> აღ. ჭყონია „ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომათია საქართველოს ისტორიისათვის, უძველესი დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე“. თბ. 1896 წ. გვ. 124-125.

<sup>3</sup> ა. ურუშაძე. „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში“. თბ., 1964. გვ. 214-222.

<sup>4</sup> „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. თბ., 1970 წ., ტ 1, გვ. 243.

ამ სახელით მოაღწია დღემდე. ნაკარავი ემიჯნება გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობას და ნოქალაქევის წყალსაცავს, სადაც თვეზის სარეწია მოწყობილი. ეს მეურნეობები გაფართოვდა, მომიჯნავე ჭაობიანი მიწები დაიწრიტა ხელოვნური ღრმა არხებით, ხოლო არხთა შორის ადგილები გამოიყენეს სატბორო მეურნეობის გასაფართოებლად. „პეტრეს ნაკარუ“ მესამე არხმა გადაკვეთა, რომლის სიღრმე სამ მეტრზე მეტია, ხოლო განი 5 მეტრს აღმატება. მიწისმთხრელმა მანქანებმა „ზუგას“ შუა ნაწილი ამოღარა და დავიდა მიწატეპნილამდე. მიწატეპნილი აღმოჩნდა სამაროვანის საფუძველი, რომელზედაც დარჩა კულტურული ფენის რვა ოვალური ჭრილი, ე.ი. რვა სამარხისეული შრით. მის მარცხენა მხარეს კიდევ, თითქმის გაშიშვლებამდე მისული ოთხი სამარხი გამოჩნდა, ხოლო მარჯვნივ - ერთი. ეს სამარხები ძლიერ მოშიშვლებული იყო, ამიტომ 1974 წლის თებერვალში მისი გაწმენდა და პრეპარაცია მოვახდინეთ, მასალა გეგეჭკორის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის ფონდში ინახება. სამარხები ადრერკინის ხანას, დაახლოებით VIII-VII საუკუნეებს /ჩვენს ერამდე/ შეიძლება მიეკუთვნოს. ამ წინასწარი ღონისძიების შემდეგ მოწვეულ იქნა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, უფ-როსი მეცნიერი მუშაკის ე. გოგაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ეს ადგილი ფუნდამენტალურად გათხარა და შეისწავლა. ექსპედიციის ხელმძღვანელი დოც. ე. გოგაძე წერს: „გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გივი ელიავას ხელმძღვანელობით, ჩაატარეს კულტურულებელი სამუშაო და ღონისძიება სამაროვანის წინასწარი გამოკვლევისა და გამოვლენილი მასალების მუზეუმში თავმოყრის მიზნით“.

... მუხურჩის სამაროვანი განეკუთვნება გვიანი ბრინჯაოს - ადრერკინის ხანას. აქ გამოვლინდა ასაკობრივად განსხვავებული ორი სამარხისეული ჯგუფი - ძვ.წ. VIII-

VII და VII-VI სს. კოლექტიური სამარხები. ეს ჯგუფები, რომლებიც ტერიტორიულად და ერთ შემთხვევაში სტრატიგრაფიულადაც, ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო, განსხვავდებოდნენ დაკრძალვის რიტუალითაც: ერთ შემთხვევაში დასტურდება ჩონჩხის ძვლების /ძვლების გროვის/ მეორადი დაკრძალვა /ძვ.წ. VIII-VII სს/, მეორე შემთხვევაში კი კრემაცია, ე.ი. მიცვალებულის დამწვარი ნეშთის დაკრძალვა<sup>5</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამარხი კოლექტიური ხასიათისაა. ჩვენ მიერ ნაპოვნი მასალის დიდი ნაწილის სამარხის გარკვეული ჯგუფისათვის მიკუთვნება არ შეიძლება. იგი ზედაპირულად იქნა შეკრებილი და ამდენად, მხოლოდ ასაკობრივი და ეტაპობრივი აღეკატებით თუ შეიძლება მათზე საუბარი. ხოლო ის ხუთი სამარხი, რომელიც გაიწმინდა და პრეპარირებულ იქნა, სტრატიგრაფიულად მიეკუთვნება პირველ ჯგუფს. უაღრესად საინტერესოა დამარხვის თავისებურება - ძვლების გროვის მეორადი დაკრძალვა, რაც ოთხი სამარხიდან თვალსაჩინოდ ჩანს, თუმცა, ოთხივე სამარხის ინვენტარი ძლიერ მდიდარია. ყურადღებას იქცევს მაჯის ძვლებზე შემორჩენილი სამაჯურები, ბრინჯაოს საკულტო, საბრძოლო და სამურნეო ინვენტარის მრავალფეროვნება. სამარხის ძვლებს მიახლოებით მკერდის არეში და, აღბათ, სხეულის მთელ შეფეხვაზეც ეფარა ბრინჯაოს თხელი ფურცელი, რომელიც ძლიერ ეროზირებული იყო და ამოღებისას დაქუცმაცდა. არხის მარჯვენა ნაპირას, მეხუთე სამარხი, სტრატიგრაფიულად იმავე დონეზე იყო, თუმცა, განსხვავდებოდა მასალათა სიღარიბით და ძვლების უფრო ხშირი და უწესრიგო თავმოყრით, რაც სამარხის სოციალურ განსხვავებაზე უნდა მიუთითებდეს.

აღმოჩენილ მასალათა შორის გამორჩეულია სამარხისეული და ზედაპირულად უწესრიგოდ ნაყარი მასალა, ხუთი სამარხისეული ინვენტარი.

ჩვენს ფონდებში დაცული „პეტრეს ნაკარუს“ არქეოლოგიურ მასალათა კოლექცია მეტყველებს უაღრესად განვითარებულ

მხატვრულ გემოვნებასა და კულტურაზე. ნივთები, ეტყვობა, საკულტო-სარიტუალო მიზნით იყო დამზადებული, ხოლო ქანდაკები საკულტო დანიშნულების პარალელურად სამკაულადაც იქნებოდა გამოყენებული. მეტალურგი ოსტატი მხატვარ-ხელოსანი უნდა ყოფილიყო. ხარისა და ვეფხვის მინიატურული ზომები და სამნელო მხატვრული დამუშავება მხატვარ-ოსტატის დიდ გაქანებასა და დახელოვნებაზე მეტყველებს. ამ დროისათვის, აღბათ, საუკუნეების წიაღიდან მომდინარე მტკიცე ტრადიცია გრძელდებოდა. ბრინჯაოს ნივთების მხატვრული გაფორმების ეს ტრადიცია თვალსაჩინოდ გადადის რკინის ინვენტარზედაც, რასაც ადასტურებს სატევრების, ცულების და სხვა ნივთების მხატვრული გაფორმება. აქვე ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ნივთები შექმნილია წმინდა კოლხურ, დასავლურ-ქართულ ნიადაგზე.

გარდა ამისა, მასალათა მრავალფეროვნება და მეტალურგიული დაოსტატება უდავოდ მეტყველებს შრომის დანაწილებასა და მეურნეობის დარგთა მკეთრ დიფერენციაციაზე. ამასთან, ნივთების ნაირსახეობა მიგვითითებს ინტენსიური მეტალურგიის, მიწათმოქმედების, საფეიქრო საქმის, მატყლის საწარმოო გამოყენების მაღალ კულტურასა და დონეზე.

მუზეუმის ფონდებში დაცული ეს საინტერესო მასალა ყოველგვარი მეცნიერული ანალიზის გარეშე, ერთგვარი პირველადი პასპორტირების სახით უნდა გამოქვეყნდეს, რასაც მოითხოვს მუზეუმის დებულება და კულტურის სამინისტროს ოფიციალური განკარგულება. ამიტომ მასალა წარმოდგენილია მათი ზოგადი აღწერით და ფონდში ადგილის /საინვენტარო ნომრის/ მითითებით, აღმოჩენის თანმიმდევრობით, რათა ყოველ მსურველს შეეძლოს ერთგვარი წარმოდგენა იქნიოს მასზე.

<sup>5</sup> გეგმების მხარეთმცოდნების მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესიის მასალები. 1981 წ., გვ. 32-33.

**სოფელ მუხურჩაში „პეტრეს ნაკარუს“  
არქეოლოგიურ მასალათა კატალოგი  
(გეგეჭკორის მხარეთმცოდნების  
მუზეუმის ფონდებიდან) 1974 წ. 11.**

### **1. კოლხური ცული**

გმმ. ა. (1139 0/1)/(გ-197) (ტაბ. 1)

კოლხური ცული. ბრინჯაო. მცირე ზომის 11 სმ X 5 სმ X 2 სმ. ყუა ნაკლული, მესამე სახეობის. საკვეთი პირი ეროზირებული, ოვალი მოშლილი. ზედაპირი იმდენად ეროზირებული, რომ ზედ ორნამენტი არ ჩანს. ტანი წახნაგოვანი, ზურგულა ჩაბრტყელებული. პირი საკმაოდ ამოზიდული, წახნაგი ტანს მიუყვება ყუისაკენ. სატარე ხვრეტილი ოვალური ფორმის, წინა მხარეს ყუას გარს უვლის ამოღარული არშია, უკანა მხარე არშის გარეშე. სატარე ერთ მხარეს, მოსახრელში 2 სმ სიმაღლეზე, ხოლო მეორე მხარეზე 1 სმ-ზე წამტვრეულია.

ნაპოვნი იქნა არხის ფსკერზე, კულტურულ ფენაში. პარალელური მასალა იხ. დ. ქორიძე „კოლხური კულტურის ისტორიასათვის“. 1965 წ. თბ. გვ. 67.

### **2. კოლხური ცული**

გმმ. ა. (1139 1/1)/(გ-198) (ტაბ. 1)

კოლხური ცული. ბრინჯაო. მცირე ზომის 11 სმ X 5 სმ X 2 სმ. მეორე სახეობის. ყუა გადამტვრეული. სატარე ხვრეტილი ოვალური, უარშიო, უბრალო და სწორი. ყუაზე ორივე მხარეს დაუყვება ოთხი სიგრძივი ლარი. ერთ მხარეზე სწორადაა ჩაკვეთილი პირი, რომლის გაფართოება იწყება წელსქვედა ნაწილიდან. მოხრილი და საკმაოდ აწეულია პირის წინა მხარი, რომელზედაც ტანისმიერი წახნაგები გრძელდება. ნივთი ნაკლებად ეროზირებული და უორნამენტოა, ნაპოვნია არხში ნაყარ მასალათა შორის.

ლიტერატურა იგივე.

### **3. სატევრები**

გმმ. ა. (1139 2/1-4)/(გ-199-201)(ტაბ. 1)

რკინის ოთხი ფრაგმენტი. ძალზე დაჟანგული. აქედან ერთის – 13 სმ X 2,5 სმ. თავი და ბოლო მომტვრეული. შემორჩენილია ტანის ნაწილი, რომელიც საკმაოდ ამოწეულია და ორივე მხარეზე წყვილი სიგრძივი ლარი მიუყვება. მეორე – 16 სმ X 3,5 სმ. სატარე მომტვრეულია. წინა მხა-

რეს ამჩნევია შებეჭება და სიგრძივი ლარები, უკანას კი მხატვრული გაფორმება მკრთალად აქვს შემორჩენილი. მესამე, ყუნწიანაა გადამტვრეული, წვერი წამტვრეული, ზედაპირზე მკრთალად ემჩნევა ქედი და მისი გამყოლი ლარები. მეოთხის მხოლოდ შუა ნაწილია შემორჩენილი (5 სმ X 2,5 სმ), იგი ბრტყელია, სრულიად საღა. აღებულ იქნა არხის ფსკერზე ნაშალ კულტურულ ფენაში. დაახლოებით მსგავსი ნაკეთობანი კასპის სამაროვნის მასალებში აღწერილი აქვს მ. ბარამიძეს /მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგისათვის, გვ. 52. ტაბულა IV-III (მსგავსი სატევრები გვხვდება ეწერის მასალებში. (ბ. კუფტინი 11. ტაბულა XV. 2-3-4 სურათები).

### **4. ცხვრის ქანდაკება**

გმმ. ა. (1139 3/1)/(გ-202) (ტაბ. 2)

ცხვრის მინიატურული ქანდაკება. ბრინჯაო. 6 სმ X 2 სმ X 4 სმ. რქებწამტვრეული: ნაკლული, დახრილი თავით, სარქენად გამზადებული. ქანდაკება საკმაოდ დინამიკურია. რქის ქვემოთ, შუბლზე თვალის ორი ღრმა ფოსოა, მათ შოროს ცხვრი საკმოდ წამოწეული. ტანზე აშლილი მატყლის ჯავარია გამოხატული. წინა ფეხები საერთო სადგამზე დგას. როგორც ჩანს უკანა კიდურებიც სადგამზე იღვა. სადგამის ბოლოებზე რგოლები ყოფილა მკედის ჩასაბმელად. ერთ მხარეზე რგოლის მხოლოდ ზედა ნაწილია შემორჩენილი. მეორე მხარეზე კი მთელი რგოლია დაცული, 1 სმ დიამეტრით. ქანდაკება ღრუა ფურცლოვანი ნამზადიდან დამზადებული. ნივთი ნაპოვნია არხის ფსკერზე, ნაყარში.

### **5. ანთროპომორფული გამოსახულება**

გმმ. ა. (1139 4/1)/(გ-203) (ტაბ. 2)

კაცის ფიგურა. ბრინჯაო. მინიატურული. 11 სმ X 21 სმ. სტილიზებული, ასიმეტრიული. ქანდაკება ეროზირებულია, თავწამტვრეული, გაშლილი მკლავებით. კიდურის წინა ნაწილი მომტვრეული, ტანი წვრილი, ხოლო მენჯი განიერი; ქვედა კიდურების ტერფები მოტეხილია. ტანის ნაწილებს და მკერდს არავითარი ნიშანი არა აქვთ.

### **6. მძივები**

გმმ. ა. (1139 5/1-5)/(გ-204-208)(ტაბ. 3)

არხის ღია ნაყარში მასობრივად აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივი.

სულ 31 ცალი. აქედან გიშრის - დაწყებული მინიატურულიდან (0,5 სმ დიამეტრის) საკმაოდ მოზრდილამდე (2 სმ დიამეტრის), სულ 9 ცალი. ყველა ოვალური ფორმის თავ-ბოლო დაბრტყელებული, 3-4 მმ სიგრძივი ნახვრეტით. 21 ცალი სარდიონის მმივი, ოვალური ფორმის, მინიატურული (0,5 სმ - 2 სმ სიმაღლისა); 1 ცალი პასტის, რომბის ფორმისა, ორივე მხარეზე ბადისებრი ნაკაწრი ხაზებით შემკული. მმივის სიგრძეა 2 სმ, სიგანე წელში 1 სმ, სისქე 0,5 სმ. სამკედე ნახვრეტი გადის რომბის სიგრძეზე; მსგავსი მძივები აღწერილია კასპის მასალებში.

(იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. თბ., 1966 წ., მ. ბარამიძე, „კასპის სამაროვანი”, გვ. 54. ტაბულა VI-2).

#### 7. სეგმენტური იარაღი

გმჩ. ა. (1139 6/1-2)/(გ-209-210)(ტაბ. 4)

ბრინჯაო. 2 ცალი. ორივე საკმაოდ ეროზირებული. ერთი შედარებით მცირე ზომის – 7 სმ X 9 სმ, მეორე – 11 სმ X 12 სმ. აქვს მოკლე ბრტყელი სწორკუთხა სატარე, სწორი მხრები, სიმეტრიულად მორკალული პირი, ცალმხრივ ლესილი. ზედაპირზე არ ეტყობა ორნამენტის კვალი. სატარის სიგანე 3 სმ, სიმაღლე 2,5-4 სმ. მსგავსი სეგმენტი მრავლადაა ცნობილი კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში. ნაპოვნია არხის ნაყარში.

#### 8. ჯიხის ქანდაკება

გმჩ. ა. (1139 7/1)/(გ-212) (ტაბ. 5)

ჯიხის ქანდაკება. ბრინჯაო. 7 სმ X 4 სმ. უკანა ერთი კიდური (კვირისთავის ქვემოთ) და რქები წამტვრებული. ჭანი ფურცლოვანი ნამზადის მოხრის გზით მიღებული, მუცელი ბრტყელი, კუდი წაბრტყელებული. ფიგურა საკმაოდ დინამიკურია. ყელადერილი, გრძელი, წაწვეტებული პირით. წინა და უკანა კიდურებზე, მუხლის ზემოთ აქვს 0,5 სმ დიამეტრის ნახვრეტი. ფიგურა აღმოჩნდა არხში, ნაყარზე.

#### 9. ცხვრის ქანდაკება

გმჩ. ა. (1139 7/1)/(გ-211) (ტაბ. 5)

ცხვრის ქანდაკება ბრინჯაო. დამზადებული ფურცლოვანი ნამზადის მოხრის გზით, ღრუ, ეროზირებული. წინა და უკანა თითო კიდური კვირისთავის ზემოთ გადამტვრებული, რქები გადატეხილი. თვალისა და სახის

ნაკვთები მოშლილი, ტანი ოვალური, მატყლის ბეწვის შტრიხებით; ზურგზე კუდიდან რქებამდე 2 მმ სიფართის ღარით. ოთხივე კიდურზე, კვირისთავის ზემოთ 0,5 სმ დიამეტრის ნახვრეტით. საკმაოდ სქელი (0,7 მმ დიამეტრის) ფეხები გამოსახული ჩლიქებით. კიდურთა შორის მენჯთან ასეთივე ნახვრეტით. 7 სმ X4 სმ. მსგავსი ფოგურები ქართულ არქეოლოგიურ მასალებში საკმაოდაა აღწერილი. ფიგურა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

#### 10. სამკაული

გმჩ. ა. (1139 9/1-5)/(გ-213-217)(ტაბ. 6) ქვის. სალესი ქვა 1 ცალი. 6,5 სმ სიგრძის, 3 სმ სიფართის, 0,8 მმ სისქის. თავთან 0,7 მმ სიფართის ნახვრეტით. ცალ მხარეზე სალესი გაცვეთილია. მეორე სალესი სილაქვისაა, ნაცრისფერი, ოვალურთავიანი, ბოლო სწორი. 7 სმ X 3 სმ ზომის სალესი (სისქე 1 სმ მეტია). ცალ მხარეზე ეტყობა ლესვის კვალი. რიყის ქვა ოვალური ფორმის. წვერწაზიდული, ზედა ნაწილში 1 სმ სიფართის ნახვრეტით, მეორე მხარეზე 0,5 სმ სიფართის ღარით. აქვეა სარდიონის ნუკლეუსიც. მასალა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

#### 11. კერამიკული ჭურჭლის ხუფი

გმჩ. ა. (11400/1)/(გ-218)

მრგვალი ფორმის, ნაპირებაკეცილი; შუაში გარეთა მხრიდან რელიეფური ბურცობით; შიდა მხარე სწორი. (დიამეტრი 8 სმ). 2 სმ დიამეტრის სახელური წელში ოდნავ შეწეულია და წელის ღარი გამოკვეთილი. ნივთი ნაცრისფერი, სილანარევი კვარცის მინარევებიანი მასიდანაა დამზადებული.

ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

#### 12. კერამიკული ჭურჭლის ძირის ნამტვრევები

გმჩ. ა. (11401/1-2)/(გ-219-220)(ტაბ. 6)

ორი ფრაგმენტი, ერთმანეთზე შეწებვით იძლევა სურის ფსკერის და კედლების ნაწილს. ფსკერი სწორი, 5 სმ დიამეტრით. ერთ ფრაგმენტზე 4 სმ სიმაღლის კედლის ნაწილიცაა შემორჩენილი. სადა. კეცი ნაცრისფერია, მინარევებიანი. ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

#### 13. კერამიკული ჭურჭლის პირის ფრაგმენტები

გმჩ. ა. (11402/1-4)/(გ-221-224)(ტაბ. 7)

შავად გამომწვარი, დამზადებული მინარევებიანი კეცისაგან, პირქოიანი, სადაზედაპირიანი. ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

#### 14. სატევრები

გმმ. ა. (11403/1-3)/(გ-225-227)(ტაბ. 7)

ბრინჯაო. ნაკლული. 3 ცალი. სამივე ყუნწიანი სატარით. წვერწამტვრებული, საკმაოდ ეროზირებული. ერთის სატარე მაღალია. (2,5 სმ X 0,8 სმ). შემორჩენილი პირი - სიგრძე 6 სმ, განი 3 სმ; ბრტყელ ზედაპირზე არ შეიძლება აბექება და სიგრძივი დარები. სატარეს მეორე ნამტვრევი 1 სმ სიგრძისაა. (7 სმ X 3,5 სმ) პირის ორივე მხარე ეროზირებულია და ჩამტვრებული. ზედაპირზე ქედი და სიგრძივი დარები არ ჩანს. მესამე, სატარე ყუნწის მხოლოდ 0,5 სმ შემორჩენილი. სატევრის ზომებია: 8 სმ X 4 სმ. პირის ორივე მხარე ეროზირებულია და ჩამტვრებული; ზემოთ აღწერილების ანალოგიურია.

ნივთები ნაპოვნი იქნა არხიდან ამოყრილ მიწაში.

#### 15. სატევრის ტარი

გმმ. ა. (11404/1)/(გ-228) (ტაბ. 7)

ბრინჯაო. რკინის გარსაცმლის კვალით. (6 სმ X 2 სმ, სისქე 0,5 სმ). წვერწამტვრებული, თავი სამკუთხედისებური, ვადა ორივე მხარეს ოვალურად ჩაკვეთილი. ნივთი ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

#### 16. თოხები

გმმ. ა. (11405/1-2)/(გ-229-230)(ტაბ. 7)

ბრინჯაოსი. 2 ცალი. ნივთის სიგრძე 7 სმ, სიგანე 7 სმ, სატარე ნახვრეტი 3 სმ დამეტრის, წელში მოხრილი. საკვეთი პირი მორკალულია და ნაკლული. მსგავსია სმუჟეთაში ნაპოვნი თოხეისა. (იხ. დ. ქორიძე, გვ. 76, სურ 68). მეორე სწორი ტანით 6 სმ X 5 სმ. იმეორებს პირველი თოხეის ფორმას. სატარე ნახვრეტი გარეთა მხარეს უფრო განიერია, ვიდრე შიდა პირზე.

#### 17. კოლხური ცულები

გმმ. ა. (11406/1-3)/(გ-231-233)(ტაბ. 8)

კოლხური ცულები. ბრინჯაო. ყველა, ყუაწამტვრებული, აქედან ორი მესამე, ხოლო ერთი - მეორე სახეობის. სამივე მინატურული, საკმაოდ ეროზირებული, აქედან ერთი 7 სმ სიგრძის, პირის სიფართე 3 სმ, ტანის სიფართე 1,5 სმ, სატარე ოვა-

ლურია, ერთ მხარეზე არშია შემოუყვება. საკვეთი პირი მომრგვალებულია, ორნამენტი მოშლილი, ტანი წახნაგოვანი, წახნაგებზე ირიბი ხაზებით. მეორე ცულიც მესამე სახეობისაა, 9 სმ საგრძის, საკვეთი პირის სიფართე 4,5 სმ, მხარის სიგრძე 2 სმ, ოვალური სატარე ნახვრეტით, ცალ მხარეზე არშით. ეროზის გამო, წახნაგებზე მკრთალად ჩანს ორნამენტის კვალი. ყუას ორივე მხრივ მიუყვება ორი რელიეფური ზოლი. მესამე, მეორე სახეობის ცულია. ისიც მინიატურული, 8 სმ სიგრძისა, სიგანე 4 სმ. ტანი სეგმენტურია, საკვეთი პირის ცალი მხარი სწორია, მეორეს წიბო ზემოთაა აწეული. ჭუაზე მიუყვება ორი ღარი, რომელთა შორის სამი რელიეფური ზოლია. ორნამენტის კვალი მკრთალად ჩანს.

#### 18. სატევრები

გმმ. ა. (11407/1-3)/(გ-234-236)(ტაბ. 8)

სატევრები. ბრინჯაო. 3 ცალი. სამკუთხასატარიანი. აქედან ორი საკმაოდ დაცული, ერთი კი სატევრის შუა წელის ნამტვრევი, ერთი, 9 სმ X 3 სმ. პირები ეროზირებულია. ზედაპირზე არ ჩანს ორნამენტის კვალი. მეორე, 14 სმ X 2,5 სმ, პირები და ტანიც ეროზირებული, სადაზედაპირიანი. მესამე, 5 სმ X 3 სმ. მხოლოდ შუა წელის ნამტვრევია, ეროზირებული. ზედაპირზე ემჩნევა ორნამენტის კვალი.

#### 19. ძეწკვი

გმმ. ა. (11408/1)/(გ-237) (ტაბ. 8)

ბრინჯაო. ბრინჯაოს თოხეკუთხა მავთულის სხვადასხვა ზომის თავგახსნილი რგოლები, ერთმანეთზე გადაბმული. ძეწკვის ფრაგმენტები და ცალკეული რგოლები ეყარა არხის ნაყარში, ცალობით მასობრივად აიკრიფტება მიწის ნაყარშიაც. რგოლები გვზვდება მინიატურულიც, არის 1-2 სმ დამტეტრამდეც; მსგავსი ძეწკვი აღწერილია ფიჭვნარის მასალებში. (იხ. ა. კილაძე: „მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის“, მასალები საქართველის და კავკასიის არქეოლოგიისათვის). 1977 წ., თბ., გვ. 90. ტაბულა 8-3.

#### 20. სამაჯურები

გმმ. ა. (11409/1)/(გ-238) (ტაბ. 8)

სამაჯურის რგოლის ფრაგმენტი. ბრინჯაო. ფირფიტოვანი გრავირებული ზედაპი-

რით. 4 სმ X 1 სმ. ორი, სამკუთხედებად განლაგებული ტეხილი ხაზი ქმნის ლენტს, რომლის ნაპირებს ამოკაწრული წერტილების შვერივი დაუყვება.

მასალა ნაპოვნი იყო არხიდან ამოყრილ მიწაში.

## 21. სამკაულთა ფრაგმენტები

გმმ. ა. (11410/1-8)/(გ-239-246) (ტაბ. 8)

სამაჯურისა და სხვა სამკაულის ფრაგმენტები, რვა ცალი, როგორც მინიატურული, ისე საკმაოდ მოზრდილი. ზოგიერთზე შეიმჩნევა ღრმა განივი ღარები. მასალა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

## 22. სამაჯურები

გმმ. ა. (11411/1-3)/(გ-247-249) (ტაბ. 8)

სამაჯურის რგოლის ფრაგმენტები. მრგვალგანიველთანი. სამი ცალი. ერთის დიამეტრი 6 სმ, ლითონის სისქე 5 მმ. ეტყობა გრავირების კვალი. ორი სხვა დანარჩენი მხოლოდ ფრაგმენტია, ასევე ორნამენტის კვალით. მასალა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

## 23. ზოდი

გმმ. ა. (11412/1)/(გ-250) (ტაბ. 9)

ბრინჯაო. სეგმენტის ფორმის. საკმაოდ ეროზირებული. აღებულ იქნა არხის კულტურული ფენის ნაყარში.

## 24. კოლხური ცულის ყუის ნატეხები

გმმ. ა. (11413/1-2)/(გ-251-252) (ტაბ. 9)

ბრინჯაოსი. ორი ცალი. ერთი საკმაოდ დიდი, მესამე სახეობის. ოვალური სატარე ნახვრეტის ზემოთ იშლება სუგმენტური ყუა. ნაპირზე გრეხილი არშია მიუყვება, სიბრტყე შემკულია დაღარული ორნამენტით. მეორე – შედარებით მინიატურულია. მესამე სახეობის. ცულის ყუის ნამტვრევი, ოთხი ღარისანი ხაზით შემკული, რომელთა შორის არე რელიეფურ ზოლებს ქმნის. სატარე ნახვრეტი ოვალურია.

## 25. ნიანგის თავის ქანდაკება

გმმ. ა. (11414/1)/(გ-253) (ტაბ. 9)

ნიანგის თავის ქანდაკება. ბრინჯაო. ძვლის საფუძველზე. ძვალი გამოხრულია. 7,5 სმ X 2 სმ გრძელი ცხვირი, შედარებით ფართო თხემით ბოლოვდება. ცხვირის შუა ნაწილიდან მოყოლებული მაღალი შებეჭებაა, რომლის აქეთ-იქით 0,5 სმ სიმაღლის, 2 მმ სისქის მაღალი, წვრილი

რქებია დატანილი. ქანდაკება აღმოჩენილი იქნა არხის კულტურული ფენის ნაშალში.

## 26. სარტყელის ბალთები

გმმ. ა. (11415/1-4)/(გ-254-257) (ტაბ. 10)

ბრინჯაოსი. ფრაგმენტები. 4 ცალი. სამზე საკმაოდ გრძელი სამაგრი ყუნწით. ერთი, 6 სმ X 2 სმ. ყუნწიდან ოვალურად ჩახრილი. ბალთის პირი შემკულია ორნამენტებით, ბალთის ზედაპირზე ირგვლივ ორი ღარის არშია მიუყვება, შიგ კი სამკუთხედის ფორმის ორნამენტია ჩახაზული. ყუნწის სიგრძე 1 სმ მეტია; მეორე, 4 სმ X 2 სმ, საკმაოდ ეროზირებული, სადა. აქვს საკმაოდ გრძელი ყუნწი; მესამე, 4 სმ X 3 სმ. ბალთის შუა ნაწილი და ყუნწი მომსხვრეული. ემჩნევა ზედაპირის გრავირების კვალი. მეოთხე, 5 სმ X 2 სმ. ოვალური ბალთის ფრაგმენტი. ეროზიის გამო ზედა ღარით გამოყოფილი ნაპირი ნახევარზე ჩაჭმულია. ბალთას ზედაპირზე ეტყობა ორნამენტის კვალი. ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

## 27. სამაჯურის და ფიბულათა

რგოლები. ბრინჯაო

გმმ. ა. (11416/1-6)/(გ-258-263) (ტაბ. 10)

სხვადასხვა ზომის, მრგვალგანიველთანი მავთულისა. რვა ცალი. ეროზიის გამო ორნამენტის კვალი არ ჩანს. აღებულ იქნა არხის ნაყარში.

## 28. კოლხური ცული. რკინა

გმმ. ა. (11417/1)/(გ-264) (ტაბ. 10)

18 სმ X 6 სმ. დაუანგული. საკვეთი პირი გორდაა. წელი შევიწროებული, სატარე ოვალური, ყუა შევიწროებული და მკვეთრად გამოყოფილი. სატარეზე გარედან სიგრძეზე 3 რელიეფური ზოლი დაუყვება. მსგავსი ნაპოვნია სოხუმის მთის მასალებში. (VI ს. ჩ.ე.-ძდე). (იხ. B. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии, тбилиси, 1976 წ. დაბ. 18, სურ. 10) ნაპოვნი იქნა არხიდან ამოყრილ მიწაში.

## 29. სეგმენტები

გმმ. ა. (11418/1-2)/(გ-265-266) (ტაბ. 11)

ბრინჯაოსი. ფრაგმენტები. ორი ცალი. 9 სმ X 8 სმ. ერთ მათგანს აქვს მაღალი სწორკუთხა სატარე ყუნწი, სწორი, განიერი შხრები. პირი მორგალულია, ჩამოტებილი. მხარის სიგანე 3 სმ, სატარის სიგრ-

ძე 2,5 სმ, სისქე 3 მმ. მეორის მხოლოდ სატარის და მხარის ნაწილია შემორჩენილი. 4,5 სმ X 4 სმ, სატარის ნაწილის სიგრძე 1 სმ, მხარის ნაწილი - 1,5 სმ; ნაპოვნი იქნა არხის ნაყარში.

### 30. სატევრის ტარი, ბრინჯაო

გმმ. ა.(11419/1-6)/(გ-267-272)(ტაბ. 11)

№ გ-267. სატევრის ტარის ნაწილი სწორკუთხა ფორმის, ვადასთან წამტვრეული, წელზე ერთი მანჭვლით, ვადიდან ოვალად გამოყოფილი. 5,5 სმ X 2,5 სმ. მმ. ვადიდან, ყელის სიგრძე 2,5 სმ, სისქე 0,5 სმ. ნაპოვნია არხის ნაყარში.

№ გ-268. სატევრის ტარი ვადაში გადამტვრეული, ბრინჯაოსი, ოდნავ პრიზმული ფორმის ერთ ბოლოზე აზის ორი, დაახლოებით 2 სმ სიგრძის მანჭვალი, რომლის ბოლოები მეორე მხარეზე გადის. მეორე ბოლოზე – ერთი. საგნის ზომებია 5,5 სმ X 2 სმ, სისქე 8 მმ. უორნამენტო. როგორც ჩანს, სატარეზე, ძვლის ან ზის ფირფიტა უნდა დაკრულიყო.

№ გ-269. სატევვრის ტარი ბრინჯაოსი, სწორკუთხედის ფორმის, ბოლოებზე ორორი მანჭვლით. 4 სმ X 1,5 სმ. ზედაპირზე 1 მმ სისქის ფურცელი აკრავს, რომელიც ზურგზე აგლეჯილია. სისქე 7 მმ. ეტყობა სატარის გულია ძვლის ან ზის ფირფიტის დასამაგრებლად.

№ გ-270. სატევრის ტარი ბრინჯაოსი, ვადასთან გატეხილი; ვადის ოვალური ნაპირი ერთ მხარეზე შემორჩენილი, მეორეზე - ავარდნილი. ტარი კონუსური ფორმის ყოფილა, წვერი წამტვრეულია, 2,5 სმ X 3 სმ, სისქე 5 მმ.

№ გ-271. სატევრის ტარი, ბრინჯაოსი, სწორკუთხა ფორმის, ოდნავ გაშლილი თავით, ტარზე ერთი სამანჭვლე ნახვრეტით, (დიამეტრი 0,5 სმ). მეორე მხარეზე შემორჩენილია მანჭვალი 1 სმ სიმაღლის და 0,5 სმ სისქის. ნივთის ზომა 4,5 სმ X 2 სმ, სისქე 0, სმ.

№ გ-272. სატევრის ტარის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი. ორივე მხარეზე შემორჩენილია ბრინჯაოს თხელი საფენი, რომელიც საკმაოდ ეროზირებულია. საგანი ორივე ბოლოზე და ნაპირებზე ჩამტვრეულია. ერთ ბოლოზე აქვს 0,5 მმ სისქის მანჭვალი. საგნის ზომაა 3 სმ X 2 სმ.

31. ძვლები და მიწატკეპნილის ფრაგმენტები.

გმმ. ა. (11420/1)/(გ-273) (ტაბ. 11)

მიწატკეპნილი თიხაში შეზელილი ტუფისა და კირქვის ნამცეცებია. სამარხის ფსკერი და იატაკი ამ მასალითა მტკიცედ დამუშავებული. მასზე ჩართულია ძვლების ფრაგმენტები.

32. ანატკეცი ობსიდიანის.

გმმ. ა. (11421/1)/(გ-299) (ტაბ. 12)

2,5 X სმ 1,5 სმ. ლამელა მინიატურულია, ოდნავ ოვალური ფორმის. ერთ ნაპირზე ემჩნევა შეღრმავება, რომელიც დამუშავებულია რეტუშით. შესაძლოა ნივთი სახოკს ეკუთვნოდეს.

33. ბრინჯაოს ჭურჭლის ფურის ფრაგმენტები.

გმმ. ა. (11422/1)/(გ-300) (ტაბ. 12)

შემორჩენილია ბრინჯაოს ჭურჭლის კვდლის და შუაზე გადამტვრეული ყურის მოხრილი ნაწილი. ყურის დიამეტრი 0,5 სმ მეტი ყოფილა, შემორჩენილია 2 სმ. ტანის კვდლის ზომა უდრის 2,5 სმ X 2,5 სმ. მსგავსი ბრინჯაოს ჭურჭლის ყურები ბ. კუფტინს აქვს გამოქვეყნებული კოლხეთის მასალებში.

34. ბრინჯაოს ზოდის წვრილი ნამტვრევები.

გმმ. ა (11423/2)/( გ-301) (ტაბ. 13)

უფორმო, სხვადასხვა ზომის 5-10 სმ სიფართისა.

35. ბრინჯაოს სხვადასხვა სამაჯურისა და სასამკაულო რგოლების ფრაგმენტები.

გმმ. ა 11424/(გ-318)

გვხვდება როგორც ბრტყელი, ფირფიტოვანი, ისე მრავალგანიველითიანი ნატეხები. ზედაპირზე ემჩნევა ზვიებით შემკობის კვალი.

36. სატევრები. რკინის.

გმმ. ა. (11425/1)/(გ-324) (ტაბ. 13)

4 ცალი წვრილი, ორლესული. მკვეთრი საშაშრე ღარებით. ძლიერ ეროზირებული. პირველი - 12 სმ X 2 სმ, მეორე - 11 სმ X 1,5 სმ, მესამე - 14 სმ X 2 სმ, მეოთხე - 9 სმ X 2 სმ. ყველა დაზიანებულია, ბოლოწამტვრეული და ტარმომსხვრეული. მსგავსი მასალა ის. საქართველოს არქეოლოგია. თბ. 1959 წ. ტაბულა 11, სურ, 7, 14.

### **37. კერამიკური ჭურჭლის ძირი.**

გმბ. ა. (11426/1)/(გ-346) (ტაბ. 14)  
 შავი ფერის. მინარევებიანი მასისგან დამზადებული. აქვს ქუსლიანი, მკვეთრად გამოყვანილი ბრტყელი ძირი, გაშლილი კედლები. ძირის სიმაღლე 1, 5 სმ, შედრეკილი ნაწილის დიამეტრი 3 სმ, ჭურჭლის ძირის დიამეტრი 4 სმ. პარალელური მასალა იხილეთ ბ. კუფტინ. მათериалი კ არხეოლოგიი კოლხიდები. 11. თბ. 1950 წ. ტაბულა 11. სურ 2.

### **38. კერამიკული ჭურჭლის.**

გმბ. ა. (11427)/(გ-347) (ტაბ. 14)

მონაცრისფრო-მოშავო მინარევებიანი მასისგან დამზადებული ჭურჭლის უფორმო ფრაგმენტები, მათ შორის ერთი, ძირის ფრაგმენტია, ტანზე მკვეთრი გადასვლით, 5 სმ X 2 სმ და მეორე, პატარა ორიგინალური ვაზის ზედა წელის ფრაგმენტი 4 სმ X 2 სმ. მსგავსი მასალა ბ. კუფტინს აღწერილი აქვს თავის ზემოდასახელებულ წიგნში.

### **39. ვაზის ფრაგმენტები.**

გმბ. ა. (11428/1-2)/(გ-352) (ტაბ. 15)

შემორჩენილია სახელურის და ყელის ნაწილი, დამზადებული მონაცრისფრო მინარევებიანი მასისგან, მისი შავად გაპრიალებული კედლები გახეხილია. ყელის ფრაგმენტი, 3 სმ X 2 სმ ჩახვეული, შიგნით ჩაკეცილი ქობით ხასიათდება, რომელიც მასიურ უორნამენტო კედლის ფრაგმენტს გარშემო უვლის. ვაზა, ეტყობა, პატარა, მაგრამ ძლიერ ორიგინალური ყოფილა. სახელური მრავალგანივებიანი, შუაზე გადამტვრეულია. მიერთებული ყოფილა უშუალოდ მხართან. ყერის განივევთის დიამეტრი 0,8 სმ. შემორჩენილი ნაწილის სიგრძე 2,5 სმ. მსგავსი მასალა დამოწმებულია ბ. კუფტინის მიერ აღწერილ კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში.

### **40. მაღალი, შუალა საფხეკი კაჟის.**

გმბ. ა. (11429/1)/(გ-354) (ტაბ. 15)

ხორცისფერი კაჟის შუალა ლამელა მაღალი ზურგით. ერთი ბოლოთი ოდნავ წაწვეტებული, მეორეთი - ოვალური; შუალის მხარეზე მაღალი ქედით, ორივე ფერდზე რეტუშის მკვეთრი ხაზით; ზომით 4,5 სმ X 2 სმ.

### **41. მინიატურული ისრის წვერები.**

გმბ. ა. (11420/1-3)/(გ-355-357)(ტაბ. 15)

ბრინჯაოსი, საკმაოდ ეროზირებული, სამი ცალი. პირველი, 3 სმ X 0,8 სმ, მოგრძო, ტირიფის ფოთლის ფორმის, დაბალი მომსხვრეული ყუნწით. ეროზის გამო მხრები მოგლუვებული, გვერდები და პირი დაკბილული აქვს. წვერი მახვილი. მეორე, 2,5 X სმ 1 სმ, უფრო მოკლე, შედარებით გრძელი ყუნწით და მკვეთრი სწორი მხრებით, ფართო ტანით, მახვილი წვერით ხასიათდება. მესამეს (3 სმ X 8 სმ) საკმაოდ გრძელი, სამკუთხა პირი, მოკლე ყუნწი, დაშვებული მხრები და მახვილი წვერი აქვს.

### **42. ფრაგმენტები.**

გმბ. ა. (11431/4)/(გ-356-361)(ტაბ. 15)

ბრინჯაოს სატევრის პირების. ოთხი ცალი. აკრეფილ იქნა არხის ფსკერზე.

**№ 358.** საკმაოდ გრძელი და სრული. ტირიფის ფოთლის ფორმის. შემორჩენილია ფართო ტრაპეციის ფორმის სატარის ნაწილი. 13 სმ X 25 სმ. მხრები დაშვებულია, პირი დათხელებული. წვერი ირიბად მომსხვრეული, ორივე გვერდი ეროზის გამო დაკბილული.

**№ 359.** საკმაოდ გრძელი და სრული ერთეული. სატარე და მხრები ჩამოტეხილი, წვერი მომსხვრეული. ერთ მხარეზე პირი ეროზით ძლიერ დაკბილული. მეორე მხარეს ოვალური ფორმით ჩახრილი და ნაკლებად დაზიანებული. სიგრძივი ხაზები არ შეიმჩნევა. 12 სმ X 3 სმ.

**№ 360.** ფრაგმენტი. სატევრის შუა ნაწილი სატარის მხარე და წვერი ირიბად მომსხვრეული. საკვეთი პირი ეროზით დაკბილული. ტანი შედარებით სუფთადაა შემორჩენილი. 6 სმ X 2,5 სმ

**№ 361.** ფრაგმენტი. სატევრის შუა ნაწილი ორივე მხარეზე მომსხვრეული, წვერის ნაწილი ოვალურადაა გადამსხვრეული, ბრტყელგანივეთიანი. გვერდები ოდნავ ოვალურადაა ამოზრდილი, პირები ეროზით დაკბილული. 6 სმ X 2,5 სმ მსგავსი სატევრები საკმალაა აღწერილი გვიანი ბრინჯაოს ყველა კოლექციაში.

### **43. სარტყელის ბალთები.**

გმბ. ა. (11432/1-4)/(გ-362-365) (ტაბ. 15)

ფრაგმენტები. ბრინჯაო. 4 ცალი. სწორ-კუთხა ფორმის. აკრეფილ იქნა არხის ფსკერზე.

**№ 362.** ბალთის მარცხენა მხარი ზურგზე სამაგრი კაკვით. 5,5 სმ X 1,5 სმ. ნაპირი ოდნავ ჩამოტეხილი. ზედა წელი ჩახრილი, ქვედა სწორი. შუა ამოზიდულ კუთხედზე ზურგის მხარეს ზის წვერმომსხვრეული 1 სმ სიგრძის, 0,5 სმ სიფართის კაუჭი. ნივთის შუბლი ორნამენტირებულია ორიბი, ერთმანეთზე სამკუთხედად მიწყობილი ხაზებით, ნაპირიდან ბოლოზე ფართო, ღრმა ღარით გამოყოფილი ეროზიის გამო, ორნამენტი სუსტად ჩანს.

**№ 363.** ბალთის შუა ნაწილი 2 სმ X 4 სმ. შუა წელის ფრთები აწეული და ზურგზე ჩაკეცილი სამაგრი მანკვლით; კაუჭის წვერი (0,5 სმ X 0,5 სმ) წამტვრეულია. ბალთის მარცხენა მხარი შედარებით მოკლე, მარჯვენა უფრო გრძელი. ქვედა ნაპირი ეროზით ოვალურად ჩახლეჩილი. შუბლზე ორნამენტი არ ჩანს. ნაპირზე ემჩნევა ურთიერთგადამკვეთი ხაზები.

**№ 364.** ბალთის მარცხენა მხარი სრულად შემორჩენილი. 5 სმ X 2,5 სმ. ზედა მხარე ოვალურად ჩახრილი შუა წელისაკენ, ფრთა წამომართული. ზურგზე შემორჩენილია კაუჭის ნაშსხვრევი. ქვედა ნაპირი 0,5 სმ სიფართის ღარით გამოყოფილია ტანიდან, რომელზედაც ღრმულებია დატანილი. მხარის ბოლო ორი პარალელური ღარითაა ჩახაზული, ხოლო შუბლი მთლიანად სამკუთხოვანი ღარით შემკული, მასში ნაჩვრეტთა ვარდულებით დატანებული.

**№ 365.** ბალთის მარცხენა მხარის ფრაგმენტთა ზედა ნაწილი. 4 სმ X 1,5 სმ. სწორი, ბოლო ირიბად მომსხვრეული. ქვედა ნაპირი ოვალურად ჩახრილი. შუბლი ოდნავ წამოწეული ზურგულით. სადა.

#### 44. სატევრის ფრაგმენტები. რკინა.

გმმ. ა.(11432/1-7)/(გ-356-372)(ტაბ. 15)

5 ცალი. ძალზე დაფანგული და დეფორმირებული. ორი საკმაოდ მოზრდილი. აკრეფილ იქნა არხის ფსკერზე.

**№ 365.** ფრაგმენტი ოდნავ გამოყოფილი შუა ქედით. 12 სმ X 3 სმ. საკვეთი პირი ეროზირებული.

**№ 367.** სატევრის შუა ნაწილი, ძალზე ეროზირებული. 8 სმ X 3 სმ.

**№ 368.** სატევრის შუა ნაწილი, 8 სმ X 2,5 სმ. ოვალურგანივეტიანი. ზედა-პირზე ღრმა პარალელური სიგრძივი ღარებით.

**№ 369.** სატევრის შუა ნაწილი. 7 სმ X 2,5 სმ. სრულიად ეროზირებული ფრაგმენტი, ეტყობა გვერდებზე მაღალი ქედი მოუყვებოდა, რომლის გასწვრივ ორივე ფერდზე პარალელური ღარებია დატანებული.

**№ 370.** სატევრის სატარე ტანის ზედა ნაწილით. 6 სმ X 3,5 სმ X 1,5 სმ. კონუსური სატარე გადადის ერთ მხარეს სწორ და მეორეზე ჩამოტეხილ მხარეზე. საკვეთი გვერდები შედარებით სრულადაა შემორჩენილი, ქვედა ნაწილი სწორადაა გადამსხვრეული. ეტყობა, ორივე გვერდზე მაღალი, ოვალური ქედი ყოფილა, რომლის ორივე ფერდი ამოღარული იყო.

**№ 371.** საკმაოდ გრძელი და სრული სატევარი, სამი პარალელური ღარით. 13 სმ X 3 სმ. წვერი და ყელი მომსხვრეული აქვს.

**№ 372.** შედარებით ფართე და მოკლე ფრაგმენტი მასზე შემორჩენილი პარალელური სიგრძივი ღარებით. 11 სმ X 3 სმ.

#### 45. სატევრის ფრაგმენტები. რკინა.

გმმ. ა. (11414/1-25)/(გ-373) (ტაბ. 16)

6 სმ X 4 სმ - 1 სმ X 2 სმ ზომის ფრაგმენტები, 25 ცალი. წვერის, წელის და მხარის ნაწილები, სრულიად ეროზირებული. ზოგიერთ ფრაგმენტზე მკვეთრად ჩანს ქედი და პარალელური ღარები. აიკრიფა არხის ფსკერსა და მიწის ნაყარზე.

#### 46. სეგმენტები. ბრინჯაო.

გმმ. ა.(11435/1-9)/(გ-398-406)(ტაბ. 16)

არხის ფსკერზე და მიწაყრილზე აიკრიფა. ეროზით ყველა საკმაოდ დაზიანებული. ყველაზე სრულადაა შემორჩენილი ტარი. მათ შორის:

**№ 398.** ერთი მხარი ჩამოტეხილი აქვს. სატარე მაღალია, მხრები სწორი, პირი მორკალული, ზომები (10 სმ X 10 სმ)

**№ 399.** საკვეთი ოვალის ერთი მხარი აგლევილი და უსწოროდ დაბილული. შემორჩენილია ერთი სწორი მხარი მთლიანად, მეორის ნაწილი და მაღალი ბრტყელი სატარე 10 სმ X 9 სმ.

**№ 400.** ერთი მხარი და საკვეთი ბოლო მოტეხილი, მეორე მხარი, საკვეთი ოვალი და სატარე შედარებით უკეთაა შემორჩენილი. შუბლზე ემჩნევა პარალელური ღარები, რომელიც ყველზედაც გადადის და ზემოთ მზის სხივის მსგავსად იშლება. შუბლი ოვალურადაა წამოწეული, ხოლო ზურგი სწორია და სადა. 10 სმ X 4 სმ.

**№ 401.** საკვეთი ოვალი საკმაოდ ერთზირებული, ნივთის ფართი ძლიერ შემცირებული და უპროპორციო, სადა. 10 სმ X 9,5 სმ.

**№ 402.** საკვეთი ნაწილი ეროზირებული და ძლიერ შემცირებული, სადა. სატარეზე შემორჩენილია ირიბი დაღარვის კვალი. 10 სმ X 9 სმ.

**№ 403.** ერთი მხარი და საკვეთი ბოლო სრულიად ეროზირებული. ორნამენტი არ იკითხება. სატარე და ცალი მხარი სრულადაა შემორჩენილი. 9 სმ X 10 სმ.

**№ 404.** შედარებით დაცული ეგზემპლარი, მარჯვენა მხარი ოდნავ ეროზირებული. აქვს მაღალი, ბრტყელი სატარე, სწორი მხრები, მორკალული პირი, ცალპირლესილი. 9,5 სმ X 11 სმ.

**№ 405.** შედარებით დაცული ეგზემპლარი. სატარე მაღალი, მარცხენა მხარი სწორი და სრული. მარცხენა მხარი და საკვეთი ბოლო ეროზით დაკბილული, სადა. 9 სმ X 11 სმ. ანალოგიური ზემოაღწერილი ნიმუშის.

**№ 406.** შედარებით დაცული ეგზემპლარი. სატარე მაღალი, მარცხენა მხარი სწორი და სრული. მარჯვენა მხარი და საკვეთი ბოლო ეროზით დაკბილული, სადა. 9 სმ 11 სმ.

მსგავსი მასალა აღწერილია გვიანი ბრინჯაოს ეპოქის ყველა განძის შემადგენლობაში.

**47. ფარის უმბონის ფრაგმენტი. ბრინჯაო.**  
გმმ. ა. (11436/1)/(გ-407) (ტაბ. 17)  
მრგვალი ფორმის. შემორჩენილია ნახევარი. ცენტრში ორი სამანჭვლე ნახვრეტი. ეროზირებული. დიამეტრი 14 სმ. ნაპოვნია არხის ფსკერზე

**48. სეგმენტი. ბრინჯაო.**  
გმმ. ა. (11437/1)/(გ-408) (ტაბ. 17)  
შედარებით სრულადაა შემორჩენილი. მარჯვენა მხარის წვერი მომსხვრეული. სა-

კვეთი პირი ეროზით დაკბილული. საორნამენტო ხაზები არ იკითხება. ზურგზე შემორჩენილია პატინა, ქსოვილის ფაქტურის კვალით. 11 სმ X 11 სმ. აქვს ფართო მაღალი ბრტყელი სატარე, სწორი მხარი, გორდა პირი

**49. სეგმენტთა ფრაგმენტები. ბრინჯაო.**  
გმმ. ა. (11438/1-15)/(გ-409) (ტაბ. 17)

15 ცალი. ყველა ეროზირებული. მათ შორის № 423 საკმაოდ სრულადაა შემორჩენილი. წარმოდგენილია ძირითადად სატევრის ფრაგმენტები. ზომით 11 სმ X 12 სმ-დან, 7 სმ X 9 სმ.

ნაპოვნია არხის ფსკერზე და მიწის ნაყარში.

**50. სეგმენტთა სრულიად დაჭუცმაცებული ფრაგმენტები.**

გმმ. ა. (11439/1-25)/(გ-424-444)(ტაბ. 18)

21 ცალი. უფორმო. ზოგს სატარე აქვს შემორჩენილი, ზოგს მხარი, ზოგს პირი. ძლიერ ეროზირებული, სადა. ზომით 9 სმ X 10 სმ-დან 9 სმ X 4 სმ-მდე

ნაპოვნია არხის ფსკერზე და მიწაყრილში.

**51. კაჟის ანატეკეცი.**

გმმ. ა. (11440/1)/(გ-445) (ტაბ. 18)

13 სმ X 11 სმ. ხორცისფერი კაჟი ნაცრისფერი კვარცის ჩანართებით. შუბლი ორი ფართე და მოგრძო ატკეცვის კვალით. თავი და ბოლო მომსხვრეული.

ნაპოვნია მიწაყრილში.

**52. ბრინჯაოს ზოდის ნამსხვრევები.**

გმმ. ა. (11441/1-28)/(გ-446-473)(ტაბ. 19)

უფორმო 26 ცალი. ზოდების ნამსხვრევები, ზოგი გუნდის გვერდებჩამომსხვრეული ფრაგმენტი. 3 სმ X 2 სმ - 9 სმ დიამეტრის ოვალით. არხის ფსკერზე და მიწაზვინულშია ნაპოვნი.

**53. რკინის გუნდების ნამსხვრევები.**

გმმ. ა. (11444/1-3)/(გ-505-506)(ტაბ.19)

სამი ცალი. დიამეტრი 3 სმ X 4,5 სმ. სრულიად ეროზირებული. ნაპოვნი იქნა არხის ფსკერზე.

**54. ბრინჯაოს ნივთთა ნამსხვრევები.**

გმმ. ა. (11442/1-25)/(გ-474-508)

25 ცალი. კედლის, ყელის ან სახელურის ფრაგმენტები. სრულიად უფორმო ერთეულები.

**55. ლამელები კაჟისა და რიფის ქვისა.**

გმმ. ა. (11443/1)/(გ-249)

**5** ცალი. რიყის ქვის გვერდებახლეჩილი და თავბოლოწამტვრული ნივთი ოვალური ფორმის - ერთი ცალი, ორი-სილქვის წვეტანები. ერთი, სილქვის ნივთის ბოლო ნაწილი, შესაძლოა 3,5 სმ სიგრძისა და 2 სმ სიფართის მინიატურული ხელცულის საკვეთი ბოლო. ნაპირები გახეხვით ჩაგლუვებული. საკვეთი ბოლო ჩახეხილი. ერთი, კაჟის შუალა საფხექის ბოლო ნაწილი, მეორე, შუალა, მაღალი საფხექი, მინიატურული. ზურგზე ატკეცვის ხაზებით. 4 სმ X 1,5 სმ. ნაპოვნია არხის ფსკერზე და მიწაყრილში.

**56. კოლხური ცულის ყუის ფრაგმენტები. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11409/1-3)/(გ-507-509) (ტაბ. 20)  
სამი ცალი. ნაპოვნი იქნა არხის ფსკერზე.

**№ 507.** მინიატურული ცულის ბრტყელი თავის და ყუის ზედა ნაწილი. ყუასა და თავზე გადადის 5 პარალელური ხაზი, რომელთა შორის სივრცე ფართო დარებს წარმოქმნის. თავის ერთი მხარი ეროზირებულია. 3 სმ X 5 სმ.

**№ 508.** მინიატურული ცულის ბრტყელი თავის და ყუის ზედა ნაწილი. შუბლზე სამი ხაზით, რომელთა შორის ფართო დარებია წარმოქმნილი. ეროზის გამო ეს ხაზები ზურგზე არ გადადის. 2,3 სმ X 4,5 სმ.

**№ 509.** მინიატურული კოლხური ცულის ყუის ფრაგმენტი. 3 სმ X 2,5 სმ. გადამტვრული. ყუის ნახვრეტი არ ჩანს. სრულიად ეროზირებულია.

**57. მიწატკეპნილთა უფორმო ფრაგმენტები.**

გმმ. ა. (11558/1)/509  
ეყარა მიწაყრილის ზვინულზე.

**58. სამკაულების ფრაგმენტები. ბრინჯაო.**  
გმმ. ა. (11450/1-7)/(გ-510-516) (ტაბ. 20)  
ძეწკვის რამდენიმე რგოლი, ფიბულის ნამსხვრევები, კაუჭები. სრულიად ეროზირებული, სადა.

აკრეფილ იქნა არხის ფსკერზე.

**59. ქვიშაქვის ოთხკუთხედი ფორმის ნივთი.**

გმმ. ა. (11450/1)/(გ-517) (ტაბ. 20)

ზურგზე ბრინჯაოს კვალით. შესაძლოა ჩარჩოში იყო ჩასმული. 2 სმ X 1,5 სმ. შუბლზე ეტყობა თავჩაღუნული ქართული

ს - მსგავსი ხაზი, რის გამოც შესაძლოა სამკაული იყო.

**60. კურამიკული ჭურჭლის ნამსხვრევები.**  
გმმ. ა. (11452/1)/(გ-518-539) (ტაბ. 21)

22 ცალი. წითელი და ნაცრისფერი სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. გამოიყოფა ჭურჭლის ფსკერის, კედლის, პირის პროფილები. ადაზედაპირიანი. აკრეფილ იქნა არხის ფსკერზე და მიწაყრილში.

**61. ძვლების ფრაგმენტები.**

გმმ. ა. (11453/1)/(გ-540)

ყველა მათგანზე არის ბრინჯაოს პატინა, ან მისი შეფერილობა. აკრეფილ იქნა არხის ფსკერზე.

**I სამარხის ინვენტარი /14/ III /1974 წ/**

მიცვალებულს მკერდის არემდე ეფარა ბრინჯაოს 1 მმ სისქის ძლიერ დეფორმირებული ფურცელი, რომელიც ამოღების დროს დაიმსხვრა. სამარხი, არხის მარცხენა მხარეს მდებარეობდა, საკმაოდ მოშიშვლებული და ბულდოზერის ნიჩბით ნაწილობრივ დაზიანებული. სამარხში აღმოჩნდა:

**62. ბრინჯაოს ფირფიტის ფრაგმენტები.**

გმმ. ა. (11454/1)/(გ-548) (ტაბ. 22)

1 მმ სისქის; მიცვალებულს ეფინა სახესა და მკერდის ნახევრამდე. ეროზით ძლიერ დაქუცმაცებული იყო, ამოღების დროს დაიმსხვრა. ხელთა გვაქვს ექვსი მცირე ფრაგმენტი. მსგავსი საფარი (სიფართე 16 სმ, განი 12 სმ). კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში აღწერილი არ არის.

**63. თმის შესაკრავი რგოლი. ან შუბლის სამკაული, თავგახსილი.**

გმმ. ა. (11455/1)/(გ-549) (ტაბ. 22)

რგოლის ბოლოები დაბრტყელებული და წაწვეტებულია. ეტყობა რაღაც ნივთში გასაყრელი ან იქნებ დიადემის შესაკრავი რგოლი იყო. ოვალურად მოხრილი ბრინჯაოს მავთულის განივალების დიამეტრი 0,7 სმ უდრის; ოვალის დიამეტრი - 16 სმ. რგოლის ტანი ირიბი ხაზებითაა დაღარული. მსგავსი რგოლები კოლხეთის არქეოლოგიური მასალების ცალკეულ კოლექციებში მრავლადაა აღწერილი.

**64. მძივი ქარვის, სარდიონის და ფერადი მინისა.**

გმმ. ა.(11456/1-3)/(გ-550-552) (ტაბ. 22)

**57. ერთეული, მრგვალი და ოვალური ფორმის 1,5 სმ X 0,6 სმ დიამეტრით. მათ შორის ერთი მომცრო ზომისა, ფერადი მინის მუქი მწვანე ფერის 0,5 სმ დიამეტრის.**

**65. სასამკაულო ფირფიტები. ბრინჯაო.**  
გმმ. ა. (11457/1-2)/(გ-553-554) (ტაბ. 22)

**№ 553.** კვადრატული ფორმის ფირფიტა 5 სმ X 5 სმ. 1 მმ სისქის. ნაპირებზე წერტილების ორი პაპალელური ხაზი დაუყვება: სწორკუთხედის კუთხეებიდან დაშვებული ნაჩვრეტებისაგან მიღებული დაგონალური დარები ცენტრში ერთმანეთს კვეთებ. ამდენად, სწორკუთხედის შიგნით შექმნილია თანაბარი სიდიდის ოთხი სამკუთხედი. ნივთის ორი ნაპირი მორღვეულია და ერთი სამკუთხედის კუთხე მოგლევილია.

**№ 554.** იგივე ფორმის და ზომის ფირფიტა. ისეთივე წვრილი ნაჩვრეტების პარალელური ხაზებით დამშვენებული. სამკუთხედები აქაც გამოყოფილია: ერთი მხარი მთლიანად მოგლევილია, თითქმის სამკუთხედის შეა წელამდე, მეორე მხარის კინახევარი, სამკუთხედის ერთი კუთხით. ზომით იგივეა. ეტყობა, ნივთები სასამკაულო ნივთის საბურველი იყო, შემდეგ დამლილი და ცალკე შემორჩენილი. მსგავსი ერთეული ლიტერატურაში დამოწმებული არაა.

**67. სარდიონის თვალი ბრინჯაოს ბუდით.**

გმმ. ა. (11460/1)/(გ-555) (ტაბ. 23)

3 სმ X 2 სმ. ჩარჩოს განი 0,8 სმ. მკერდზე მისაბნევი სამკაული. შემორჩენილია სარდიონის მრგვალი თვალი და ბრინჯაოს რგოლის ნაწილი. ზედაპირი გაპრიალებული. ზის ბრინჯაოს წახნაგოვან ჩარჩოში, რომლის მხოლოდ ერთი ოვალური რკალია შემორჩენილი. ჩარჩო ძლიერ ეროზირებულია, რის გამო ორნამენტი არ ემჩნევა. გვერდები ჩაჭრილი აქვს.

**68. ფიბულა. ბრინჯაო.**

გმმ. ა (11451/1)/(გ-556) (ტაბ. 23)

7 სმ X 3,5 სმ. 0,3 სმ. მავთული დაგრენილია ბუდე გაბრტყელებული, მოხრილი. სამაგრი ღერძი მრგვალგანივეტიანი, თავწანებული. კაუჭის დიამეტრი 1 სმ უდრის. ფიბულის ტარს სამაგრის ჩასადები

ბუდე მომსხვრეული აქვს. მავთულის მოხრილი წელი ჩაგრეხილია, მსგავსი ფიბულები ბრინჯაოს ეპოქის არქეოლოგიურ კოლექციებში მრავლადაა აღწერილი.

**69. სამაჯურები და მათი ფრაგმენტები. ბრინჯაო.**

გმმ. ა.(11462 /1-2)/(გ-557-559) (ტაბ.23)

**№ 557.** საკმაოდ მსხვილი ოთხკუთხა განივეკვეთიანი ბრინჯაოს სამაჯური მოღუნული წრედ, თავგახსნილი, თავებგადასული. ცალი ბოლო ჩაკეთილი, მეორე წაწვეტებული. თავიდან ბოლომდე შუაში ღრმა ღარით. სხვა ორნამენტი არ აქვს, შედარებით სადაა. იგი მაჯაზე ეკეთა მიცვალებულს. ამოღებისას ძვალი ჩაიმსხვრა. დიამეტრი 5,5 სმ, სისქე 0,5 სმ - 0,8 სმ.

**№ 558.** წვრილი, შედარებით ფაქიზად ნაკეთილი რგოლი, 0,4 სმ სისქის წახნაგოვანი მავთული ბრინჯაოსი, თავგახსნილი, წრედ ჩახვეული, ოთხი წახნაგა განივეკვეთიანი. ეტყობა, ჰერინდა ორნამენტიანი ზედაპირიც, მაგრამ ეროზით ძლიერ დაზიანებულია და არ იკითხება. დიამეტრი 4,5 სმ

**№ 559.** სამაჯურის რგოლის ნამტვრევი, 7 სმ. სიგრძისა და 0,3 სმ სისქის. ერთი ბოლო ჩაბრტყელებული და გველის თავის მსგავსი. ასეთი სამაჯურები აღწერილია კოლხეთის არქეოლოგიურ მასალათა თითქმის ყველა კოლექციაში.

**70. ზარაკი. ბრინჯაო. საკმაოდ დიდი ზომისა.**

გმმ. ა. (11463/1)/(გ-560) (ტაბ. 23)

თავზე ადგას სამაგრი წახნაგოვანივეკვეთიანი, მრგვალნახვრეტიანი რგოლი. სამაგრის ნახვრეტი 1 სმ დიამეტრისაა, სიგანე 0,5 სმ. ნივთი სულ 7 სმ სიმაღლისაა, ზარის ფუძის დიამეტრი 4 სმ. თავთან გარდიგარდმო გაყრილია ბრინჯაოს წვრილი ღერო ენის სამაგრად. ენა ამოღებისას დაიმსხვრა. ზარის გარე კედლები იყოფა ორ ნაწილად. ფუძის ნაპირი გადმოკეცილია და რელიეფური ზოლით დამშვენებული. ზედაპირზე შეა ნაწილში დაუყვება მკეთრი რელიეფური ზოლი, რომელიც თითქმის ორ ნაწილად ყოფს ზარაკს. ამ ნაწილებში 4 სამკუთხა ფორმის ფანჯარაა ამოკვეთილი. სამკუთხედის სიმაღლე 1,3 სმ, ფუძის სიგანე 1 სმ. ზედა ნაწილში ზარაკის თავი

რელიეფური წიბოთი არის გამოყოფილი ტანიდან. ორნამენტი არსად არ ემჩნევა. ფუძის კიდე ერთ მხარეზე ჩამსხვრეულია.

### 71. სეგმენტი. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11464/1)/(გ-561) (ტაბ. 24)

გაუწმენდავი. შემორჩენილია მიწის ფენა და ზედაპირზე ბრინჯაოს ფურცლის ფენილის ნაწილი (მხოლოდ სამი მცირე ფრაგმენტი). სეგმენტი საკმაოდ სრულია. 9 სმ X 10 სმ. აქვს მოგრძო ბრტყელი სატარე, სწორი მხრები, გორდა პირი.

### 72. სეგმენტი. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11465/1-4)/(გ-562-565) (ტაბ. 24)

4 ცალი. მიცვალებულის წელის არეში აიკრიფა. ეროზით ძლიერ დაზიანებულია.

№ 562. ძლიერ ეროზირებული. შემორჩენილია ერთი მხარი, მეორე მხარის ბოლო მომსხვრეულია, საკვეთი პირი დაფორმირებული, ზურგი ეროზით დაჭმული. მხოლოდ სატარეზე შემორჩენილია ირიბი დარებით ამოკვეთილი ჭადრაკული უჯრედები. სხვაგან ორნამენტი არ ემჩნევა. 10 სმ X 12 სმ. მსგავსია ზემოაღწერილის.

№ 563. შედარებით დაცული ერთეული. მხრები და სატარე საკმაოდ დაცული, საკვეთი პირი და ზურგი ეროზირებული. ზედაპირზე ემჩნევა ირიბი დარების წყება, რომელიც ყელზე მახვილკუთხებად იკუცება. 11 სმ X 11 სმ. მსგავსია ზემოგანხილულის.

№ 564. ეროზით ძლიერ დეფორმირებული. საკვეთი ბოლო ჩახლებილი. ერთი მხარი მოტეხილი. ორნამენტი არ ემჩნევა. 9 სმ X 10 სმ. მსგავსია ზემოგანხილულის.

№ 565. საკვეთი ბოლო და მხრები ეროზით დაკბილული. სატარე კარგად დაცული. ზედაპირზე სატარის არეში ირიბი დარები სამკუთხედის ფორმის ღია სეგმენტებს ქმნიან, ტანზე დარები არ ჩანს. 11 სმ X 12 სმ.

### 73. კოლხური ცული. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11566/1)/(გ-566) (ტაბ. 25)

მეოთხე, პირველი ქვესახების. ორგზის მოხრილი ტანით. საჭრელი პირის ორივე მხარე თრიალენტით დამშვენებული, სატარეზე გარედან სამი რელიეფური ხაზით. საჭრელ პირსა და კაჩაზე ვრცელდება ორნამენტი. გადაბმული სპირალის, ტეხილსაზოვანი და წერტილოვანი ორნამენტის

კომბინაცია. ზომები: 18 სმ X 7 სმ. საჭრელი პირის სიგან-7 სმ. ოვალური ფორმის ყუის ნახვრეტის დიამეტრი 2,5 სმ, სიგრძე 4,5 სმ, ტანი-2 სმ.

### 74. კოლხური ცული. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11467/1)/(გ-567) (ტაბ. 26)

ყუა მოტეხილი, ძლიერ ეროზირებული. მესამე სახეობის. ყუა ნახვარზე გადამტვრეული. ორნამენტი არ ემჩნევა. 13 სმ X 5,5 სმ. ყუის ნახვრეტის დიამეტრი 2,5 სმ. აქვს მაღალი წანაგოვანგანივეკვეთიანი კაჩა, ოდნავ ასიმეტრიული მომრგვალებული პირი.

### 75. ცული ბრტყელი, რკინისა.

გმმ. ა. (11468/1)/(გ-568) (ტაბ. 26)

წელში გამოყვანილი, ასიმეტრიულპირიანი, მხრებგაშლილი, სამკუთხა მოგრძო სატარით.

### 76. კოლხური ცული. რკინა.

გმმ. ა. (11469/1)/(გ-569) (ტაბ. 27)

ყუა მოგლეჯილი. მესამე სახეობის. ძლიერ ეროზირებული. შემორჩენილია ტანის ნაწილი და საკვეთი პირი. 10 სმ X 4,5 სმ. საკვეთი პირის სიგანე 4,5 სმ.

### 77. ფარის უმბონი. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11470/1)/(გ-570) (ტაბ. 27)

მრგვალი ფირფიტა, შუაზე გადამტვრეული, ერთი ნაწილი მომსხვრეული. დანარჩენი - ეროზით ჩახლებილი. ზედაპირზე აქვს ფართო ნახვრეტი, დიამეტრით 3 სმ; ფურცლის სისქე 4 მილიმეტრამდეა. 17 სმ X 12 სმ.

### 78. ისრის პირი. ბრინჯაო. ყუნწიანი.

გმმ. ა. (11471/1-2)/(გ-571-572) (ტაბ. 27)

2 ცალი. აქვს სამკუთხედის ფორმის დაშვებული ფრთები, მოგრძო ყუნწი. 4 სმ X 0,5 სმ.

### 79. მამაკაცის ანთროპოლორფული ქანდაკება. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11472/1)/(გ-573) (ტაბ. 27)

ქანდაკებას თავი ნაკლელი აქვს. შემორჩენილია რომბისებული ფორმის ტანი, გავა და მკვეთრად გამოხატული ფალოსი. ბრტყელი, სწორი ფეხები ტერფებმომსხვრეულია, ძლიერ ეროზირებული. 7 სმ X 1,5 სმ.

### 80. ქალის ტანის ტორსი. ბრინჯაო. წელის ქვემო ნაწილი.

გმმ. ა. (11473/1)/(გ-574) (ტაბ. 27)

გავით, წინა მხარეს ასოს ხვრელი ჩანს. ორი სწორი ფეხით. ცალზე ტერფი ნახე-

ვრამდე მომსხვრეულია, უკან საკმაოდ ვრცელი დარით. 5,5 სმ X 1,5 სმ.

**81. სარის ქანდაკება მაღალი რქებით. მასიური, ბრინჯაოსი.**

გმშ. ა. (11474/1)/(გ-575) (ტაბ. 28)

საკმაოდ დინამიკური, გრძელი კუდით, მსხვილი ფეხებით. 7 სმ X 3,5 სმ.

**82. ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება.**

გმშ. ა. (11475/1)/(გ-576) (ტაბ. 29)

მაღალი ყელით, ნისკარტის მსგავსი პირით, თავზე თვალის ჭრილით და წარბებით. ქედი წინწამოწეული ქეჩოთ. წელი დაჭიმული, დინამიკური, წვრილი მაღალი ფეხებით, აწეული გრძელი კუდით. ტანი ფორევებით აჭრელებული. ყელის სიმაღლე 4,5 სმ, პირის სიგრძე 1 სმ, კუდის სიგრძე 2,5 სმ. სულ 7 სმ X 4 სმ.

**83. სალესი რიყის ქვისა.**

გმშ. ა.(11476/1-3)/(გ-577-579)(ტაბ. 30)

სილაქვის, საკმაოდ გახეხილ-გაპრიალებული. ერთი მათგანი თავთან გახვრეტილი.

**№ 577.** შავი სილაქვის საკმაოდ გრძელი სალესი. თავთან გახვრეტილი, ბოლო თვალურად ჩაგლუვებული. 2 სმ სიფართის, 1 სმ სისქის და 9 სმ სიგრძის ერთეული. გაპრიალებულ-გახეხილი. ნახვრეტი სმარებისაგან გაცვეთილი.

**№ 578.** ოვალური ბოლოები, ნახვრეტის გარეშე. გახეხილ-გაპრიალებული, ელიფსური ფორმის, 5 სმ სიგრძის, 2,5 სმ სიფართის და 0,5 სმ სისქის.

**№ 579.** სალესი ქვა, ნაცრისფერი, გლუვი ტანით. 6 სმ სიგრძის, 2,5 სმ სიფართის, 0,5 სმ სისქის. ერთ ბოლოზე ნახვრეტით.

**84. ა/თოხი. ბრინჯაოსი, ნაკლული, მინიატურული.**

გმშ. ა. (11478/1)/(გ-580) (ტაბ. 30)

აქვს ოდნავ მოხრილი ტანი, მრგვალნახვრეტიანი სატარე დიამეტრით 2 სმ, 5 სმ X 4,5 სმ.

ბ/თოხი ბრინჯაოსი სწორი ტანით.

გმშ. ა. (11478/1)/(გ-581) (ტაბ. 30)

საჭრელი პირი ნაკლული, სადა ზედა-პირით. სატარე ნახვრეტის დიამეტრი 3 სმ. ტანის სიმაღლე 7 სმ. საჭრელი პირის ტანი 10 სმ. 11 სმ X 10 სმ. ეჩოსებური.

გ/თოხი სწორი ტანით.

გმშ. ა. (11478/1)/(გ-582) (ტაბ. 30)

სატარე მრგვალნახვრეტიანი, საჭრელი პირი მოტეხილი. ყუის ნახვრეტის დიამეტრი 3 სმ X 6 სმ X 8 სმ.

მსგავსი მასალა დამოწმებულია კოლხეთის ყველა არქეოლოგიურ განძებში.

**85. სატევარი. ბრინჯაო.**

გმშ. ა. (11480/1)/(გ-583) (ტაბ. 30)

კარგად მოგრძო სამკუთხა ფორმის, მკეთრქედიანი, ქედის გასწვრივ წყვილი შაშაბით. ყუნწი მოგრძოა, სამანჭვლე ნახვრეტით. დიამეტრი 20 სმ; სიგანე 3 სმ.

**86. სასამკაულო ფირფიტა ვერცხლისა, სამკუთხედის ფორმის.**

გმშ. ა. (11481/1-3)/(გ-584-586)(ტაბ. 30)

3 ცალი. ორივე მხარე ღარებით დამშვენებული, ეროზიის გამო ორნამენტი არ ემჩნევა. № 585 სამკუთხედის ერთი გვერდი მოგლეჯილია. 2,5 სმ X 3 სმ.

**87. სარტყლის ბალთა და ბალთის ფუნწი. ბრინჯაო. ბრტყელი.**

გმშ. ა.(11482/1-2)/(გ-587-588)(ტაბ. 30)

**№ 587.** სამკუთხედის ფორმის. ბალთის შუა ნაწილი, ბოლოები ორივე ფრთაზე მოგლეჯილი, მხრები ჩახრილი. ცენტრი სამკუთხედის წვეროსავით ამოწეული. ქვედა ნაწილი ოვალური ფორმის. ეტყობა ნახვრეტებით შექმნილი დარი. ბალთას დაუყვება მაღალი ქედი, რომლის გვერდები სწორადაა ჩათლილი, სადა. ზურგის მხარეს აქვს 0,5 სმ სიფართისა და 1 სმ სიგრძის კაუჭი.

**№ 588.** ბალთის კაუჭი ან ყუნწი ნისკარტის ფორმისა, ყუნწის სიგანე 0,5 სმ. წვეროზე კი 0,1 სმ, სიგრძით 2 სმ.

**88. ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები.**

გმშ.ა.(11483/1-2)/(გ-589-590)(ტაბ. 30)

**№ 589.** ბრტყელი, გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი, საკმაოდ ეროზირებული. 4,5 სმ X 25 სმ.

**№ 590.** ოთხეულის ფრაგმენტი, ტანი ეროზირებული და ჩაჭმული, კუთხესთან ნახვრეტით.

**89. მილი. ბრინჯაო. საკმაოდ დიდი ზომის.**

გმშ. ა. (11484 /1)/(გ-591)

4 ფრაგმენტად დაშლილი, მათ შორის ერთი საკმაოდ დიდი ზომის, გვერდებჩახვეული, სხვა დანარჩენი ფრაგმენტები ჩაჭმილია და მილის ტანის ნაწილს წარმო-

ადგენს. დიამეტრით იგი 2,5 სმ უნდა ყოფილიყო.

**90. ობსიდანის წვეტიანი ლამელა.**

გმმ. ა. (11485/1)/(გ-595) (ტაბ. 30)

ნაპირებრეტუშირებული. 3 სმ X 1,3 სმ

**91. კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები.**

გმმ. ა. (11486/1-3)/(596-598) (ტაბ. 31)

**№ 596.** ვაზის ძირი მრგვალი ფოლაქისებური ქუსლით. გამოყვანილი ქუსლი გადადის ტანზე. ძირის ზომები: 1 სმ X 2 სმ, კედლის სიმაღლე 3 სმ, კედლის შემორჩენილი ნაწილის გარშემოწერილობა 6 სმ. ურნამენტოა.

**№ 597.** ჭურჭლის პირ-გვერდი, პატარა ზომის, პირგადაშლილი, მინიატურული, სადა. 3 სმ X 4,5 სმ.

**№ 598.** შავი ფერის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი. კედელზე ირიბი რელიეფური კანელურებით შემკული. 5 სმ X 4 სმ.

**92. ძეწკვი. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11487/1)/(გ-599) (ტაბ. 32)

წვრილი მავთულის რგოლები ოვალურად ჩახრილი და ერთმანეთზე აკინძული. 27 ცალი. თითოეული თვალის სიგრძე 0,8 სმ, განი 0,5 სმ.

**II სამარხის ინვენტარი  
16/III/1974 წ.**

მიცვალებულს მკერდზე ეფარა ბრინჯაოს 1 მმ სისქის ფურცელი, რომელიც ძლიერ დეფორმირებული და დაქცემაცებული იყო. სამარხი ტრანშეის მარცხნა მხარეს I სამარხის გვერდით მდებარეობდა. საფლავის ზედა ფერა გადახსნილი, თითქმის მოშიშვლებული იყო. მასში აღმოჩნდა:

**93. ბრინჯაოს ფურცლოვანი ფირფიტის ნატეხები და მძივი.**

გმმ. ა. (11490/1)/(გ-600),

ა. (11400/1)/(გ-601) (ტაბ. 31)

**№ 600.** ფირფიტოვანი საფარის ფრაგმენტები ძალზე ერთხირებულია, ნატეხი 1 მმ სისქისაა და 10 სმ სიფართის.

**№ 601.** მძივები გიშერის, სარდიონის, ფერადი მინის, პასტისა და რიყის ქვისა, სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის, ორიგინალურად დამუშავებული, რომბისებრი, ბიკონუსური და მრგვალი ფორმის, ზოგიერთი ნახაზი ორნამენტით შემკული. ერთ

მხარეზე 100, მეორეზე - 65 ერთეული აღმოჩნდა.

**94. სამაჯური. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11491/1-3)/(გ-602-604)(ტაბ.33)

სამი ცალი.

**№ 602.** მსხვილი ბრინჯაოს მრგვალგანივებული მავთულის თავგახსნილი, რომლის ზედაპირი ოდესრაც ორნამენტით ყოფილა შემკული, მავთულის დამეტრი 0,5 სმ, რგოლის დამეტრი 7,5 სმ.

**№ 603.** ბრინჯაოს სამაჯური, მრგვალგანივებული 0,5 სმ დამეტრის; თავგახსნილი. 6 სმ დამეტრის. ეტყობა, ტანზე დარული ორნამენტით ყოფილა შემკული.

**№ 604.** წვრილი, მრგვალგანივებული ბრინჯაოს მავთულის რგოლი, თავგახსნილი, სადაზედაპირიანი. ჩაღუნული. მავთულის დამეტრი 3 მმ, რგოლის დამეტრი 6 სმ.

**95. ბრინჯაოს სამაჯურის ფრამენტები.**

გმმ. ა. (11492/1-2)/(გ-605-606)(ტაბ.33)

**№ 605.** ბრტყელფირფიტოვანი, ბოლოებწამსხვრეული. ზედაპირზე ორნამენტი კარგად იკითხება. ნაპირებზე შებრუნებული სამქუთხედები მიუყვება, რომლის ფუძე ნაპირებისკნაა შებრუნებული, ცანტრში კი კლაკნილი ხაზი რჩება. სამკუთხედები შევსხებულია ნაჩვერეტი წერტილებით. სიგრძე 5 სმ, სიფართე 1 სმ, სისქე 4 მმ.

**№ 606.** ბრტყელფირფიტოვანი ბრინჯაოს ფურცელი, ჩაგეცილი. სამაჯურის შუა ნაწილი. ნაპირები ღრმა რელიეფური ზოლით აქვს გამოყოფილი, ხოლო შიგნით ორ მწრივიდან მიუყვება საკმაოდ მსხვილი წერტილების პარალელური ხაზები. ეტყობა, ქვედა ნაწილზე გრძელდებოდა მსგავსი ორნამენტიც, მაგრამ იგი მოგლეჯილია და მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი.

**96. ძეწკვი. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11493/1)/(გ-607) (ტაბ. 33)

წვრილი ბრინჯაოს მავთული ჩახვეული ოვალურ რგოლებად, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ერთნაირი სიდიდის მარცვლებთან ერთად გამოყენებულია საკმაოდ მსხვილი რგოლებიც. 0,7 სმ სიგრძის რგოლი 62 ცალია, რომელშიც ჩართულია საკმაოდ დიდი დამეტრის ოთხი მარცვალი.

**97. ძეწკვი.**

გმმ. ა. (11494/1)/(გ-608-609)(ტაბ. 33)

სამარხის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდილი.

**№ 608.** асегтизге დიამეტრის რგოლები 39 ცალი.

**№ 609.** მათ შორის იყო, ალბათ, საპნევები, საკინძე 2 ცალი. ოდნავ პრიზმული ფორმისა, ყელზე კოპით და მასზე დამაგრებული კაუჭით, რომელიც ქვემოთ ფართოვდება და ოვალური ბოლოთი სრულდება. ერთს გვერდი ჩახლებილი აქვს. 3,5 სმ X 1,5 სმ.

#### 98. ლილი.

გმმ. ა. (11495/1-2)/(გ-610-611)(ტაბ. 33) 2 ცალი. ერთი ბრინჯაოსი, მეორე თიხის. კონუსური ფორმის.

**№ 610.** ლილი. ბრინჯაო. კონუსური ფორმის, გული ღრუ, უფსკერო, წვერში წვრილი ნახვრეტით. ტანგახვრეტილი. უორნამენტო. დიამეტრი 1,5 სმ, სიმაღლე 1,5 სმ.

**№ 611.** ლილი თიხის, კონუსური ფორმის. ტანზე პარალელური სამი ღარით. ღარის რგოლი ქვემოთ საკმაოდ ფართოა, წვეროსაგენ კი ვიწროვდება. გული ღრუა, უფსკერო. ნივთი გარდიგარდონ გახვრეტილია. დიამეტრი 1,5 სმ X 1,5 სმ.

#### 99. სატევარი. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11496/1-2)/(გ-612-613)(ტაბ. 34)

2 ცალი, ორივე საკმაოდ ეროზირებული.

**№ 612.** სატევარი ყუნწიანი, მოგრძო სამკუთხა ფორმის, განივევეთში ოვალური, ფხებდალესილი, გამოყოფილი მსუბუქად დაშვებული მხრებით, საკმაოდ მახვილი წვერით; ყუნწის სიგრძე 2,5 სმ. თავთან გახვრეტილი. მსგავსი სატევრები აღწერილი აქვს ბ. კუფტინს; ასევე, მსგავსი ნაკეთობანი მრავლადაა აღწერილი კოლხეთის ექსპედიციის მასალებში. ზომები 23 სმ X 3,5 სმ.

**№ 613.** სატევარი ყუნწიანი, მხრებდაშვებული, ოვალურგანივევეთიანი პირით ფხებალესილი, მახვილი წვერით. ყუნწი გახვრეტილია, დიამეტრი 0,5 სმ. ყუნწის სიგრძე - 2 სმ, სატევრის ზომებია 23 სმ X 3 სმ. ორნამენტის კვალი არ ჩანს.

#### 100. სარტყელის ბალთა. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11497/2)/(გ-614) (ტაბ. 34)

ბალთა შედარებით სრულადაა შენარჩუნებული, პეპლისებური ფორმის. ბოლოობაწეული. ცენტრში ზურგზე საკინძე კაუჭი 0,5 სმ სიფართის და 1 სმ სიგრძის მანჭვლით ბოლოვდება. შუბლზე ქვედა ნაწილი ფართო ღარითაა ჩაკვეთილი /სიფართე 0,6 სმ/.

ბალთის ზედაპირი ორნამენტით ყოფილა დაფარული, რომელიც ეროზიის გამო სუსტადაა შემორჩენილი. შემორჩენილია ბრინჯაოს მანჭვალი, რომლის თავი სოკოს მსგავსი ქუდადა ჩაკეცილი. ქუდის ზედა ნაწილი ოვალურია. ღერო 0,2 სმ სისქის და 1,5 სმ სიგრძისაა. 9 სმ X 2,5 სმ.

#### 101. ისრისპირი ბრინჯაოსი.

გმმ. ა. (11498/1)/(გ-615) (ტაბ. 32)

აქვს სამკუთხედის ფორმის დაშვებული მხრები საკმაოდ გრძელი სატარე ყუნწით. ყუნწი ისრისწვერის შუა ნაწილამდე მაღალი ქედით ვრცელდება. ისრისპირის ზომებია: 6,5 სმ X 2 სმ. ყუნწის სიგრძე 4 სმ.

მსგავსი ისრისწვერები კოლხეთის არქეოლოგიურ კოლექციებში გვხვდება. განსაკუთრებით ბ. კუფტინის მასალებში.

იხილეთ: Б. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. Т. 11. Гл. 17. Сур. 5

#### 102. სეგმენტები. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11499/1-9)/(გ-615-624)(ტაბ. 34)

9 ცალი. ყველა მეტნაკლებად ეროზირებული.

**№ 616.** საკმაოდ დიდი ეგზემპლარი. ცალი მხარი ეროზიის გამო ჩახლებილი, საკვეთი ბოლო დაკბილული, ტანიც ამოჭმული. 11 სმ X 12 სმ. აქვს მოგრძო ბრტყელი სატარე, სწორი მხრები, მორკალული პირი, ცალმხრივლესილი.

**№ 617.** საკვეთი პირი და მხრები ეროზიის გამო მოშსხვრეული. ტანიც საკმაოდ დეფორმირებული. ორნამენტის კვალი არ ჩანს. 9 სმ X 10 სმ. ზემოაღწერილის მსგავსია.

**№ 618.** საკმაოდ დაცული ეგზემპლარი. საჭრელი პირი დეფორმირებული და ჩაკბილული. ტანი უანგისაგან საკმაოდ შეჭმული. მხატვრული გაფორმების კვალი არ ჩანს. 10 სმ X 10 სმ. ზემოაღწერილის მსგავსია.

**№ 619.** სეგმენტის ნაწილი. მხრები და საკვეთი პირი ჩამსხვრეული. 5 სმ X 6,5 სმ. სატარეს ზურგზე აქვს ზეტის მსგავსი საზობრივი ნიშანი -ძ-. ზემოაღწერილის მსგავსია.

**№ 620.** სეგმენტი. ცალი მხარი და საკვეთი პირი მოშსხვრეული. ტანი ეროზირებული. 11 სმ X 9 სმ. ზემოაღწერილების მსგავსია.

**№ 621.** სეგმენტი. საკმაოდ დეფორმირებული, სქელი. მხრები შუამდე, ასევე საკვეთი პირი მის გასწვრივ მოშსხვრეული. ტანზე ორნამენტი არ ჩანს. 10 სმ X 7,5 სმ. ზემოაღწერილების მსგავსი.

**№ 622.** სეგმენტი. საკმაოდ დეფორმირებული. მხრები დიდ ნაწილზე მოშსხვრეული, საკვეთი პირი ჩახლუხილი, სატარე დეფორმირებული, ტანი ჩაჭმული. მხატვრული გაფორმების კვალი არ ჩანს. 11,5 სმ X 11 სმ. ზემოთაღწერილების მსგავსი.

**№ 623.** სეგმენტი სრულიად დეფორმირებული. მარჯვენა მხარი და მარცხენას ნაწილი მოშსხვრეული. საკვეთი პირიც დაჭმული, ჩახლებილი. ზედაპირზე, სატარეზე ჩანს ორნამენტი ირიბი ღარებით; ცენტრში ერთი ღარია დატანილი. 10 სმ X 9 სმ. ზემოაღწერილების მსგავსი.

**№ 624.** სეგმენტი. საკმაოდ ეროზირებული. ორივე მხარი დიდ ნაწილზე მოგლეჯილი. საკვეთი პირი დეფორმირებული. ზედაპირზე ირიბი ღარების ორნამენტით, რომელიც ტანზე უფრო მკრთალადაა შემორჩენილი. 10 სმ X 9 სმ. ზემოაღწერილების მსგავსი.

### **103. 1/. კოლხური ცული.**

გმმ. ა. (11500/1)/(გ-625) (ტაბ. 35-ა)

ბრინჯაოსი. აქვს მაღალი შვეტილი ტანი. სიმეტრიულად მორკალული. პირი, წახნაგოვანგანივეკვეთიანი კაჩა, ოვალურნახვრეტიანი სატარე და ოდნავ აზიდული, წაწვეტებული ყუა. სატარეზე ოთხი რელიეფური ზოლი დაუყვება.

მთელი ცული დაფარულია გეომეტრიული ორნამენტით, რომელშიც ვხვდებით თევზიფხურ და ტეხილ ხაზებს, ღარებს, რომბებს, ჰარებს, წრებს, ბადისებრ ორნამენტს და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მზის სტილიზებული გამოსახულებები, რომელიც ცულის სატარის გასწვრივ არის დატანებული და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდოროინდელი მოსახლეობის კოსმოგონიურ შეხედულებებზე. ცულის ზომებია 17 სმ X 6 სმ-ზე.

### **103. 2/. კოლხური ცული. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11501/1)/(გ-626) (ტაბ. 36)

მეორე სახეობის, ყუაზე ორნამენტით. თავშებრყტელებული, მკვეთრად გამოყოფილი ყუიდან. მის ქვემოთ იწყება ორი

რელიეფური ზოლი, რომლის შორისაც იქმნება ღარები. სატარე ოვალურია, კაჩა წახნაგოვანი, პირი მორკალული. საკვეთ პირს შემოვლებული აქვს ერთი ამოკაწრული ღარი. მის ზემოთ ორნამენტი არ იკითხება. ზომები: 18 სმ X 7 სმ. სატარის დიამეტრი 4 სმ X 3 სმ-ზე.

### **103. 3/. კოლხური ცული. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11502/1)/(გ-627) (ტაბ. 36)

მეორე სახეობის. მცირე ზომის. საკმაოდ დაცული, თავისებრ სოლისებურად დაბრტყელებული, ოვალურნახვრეტიანი სატარით /3 სმ X 2 სმ/. სულ 10 სმ X 3,5 სმ. სადა.

### **103. 4/. კოლხური ცული. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11503/1)/(გ-628) (ტაბ. 36)

მეორე სახეობის, მინიატურული ფორმის, სოლისებურყუანი, მაღალი, ლამაზი ყელით. ყუის ერთი მხარი ერთობით ჩაჭმული, რის გამო ორნამენტი არ იკითხება. 8 სმ X 3 სმ.

### **103. 5/. კოლხური ცული. მინიატურული. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11504/1)/(გ-629) (ტაბ. 37)

ყუის ნაწილი მოშსხვრეულია. პირველი სახეობის. ყუაზე ფართე რელიეფური ზოლით, რომელიც შემდეგ საკვეთ პირად იშლება. ორივე გვერდზე ყუის ოვალის წვეროდან ეშვება მაღალი რელიეფური ხაზი, რომელიც საკვეთი პირის მხარეზე გადადის და ქრება. ყუას არშიად უვლის ჩახვეული რელიეფი. ეტყობა, ცული შემკული იყო ორნამენტით. დღეს ერთობის გამო მოშლილია და ცუდად იკითხება. საკვეთი პირი ეროზით დაკბილულია. 7,5 სმ X 3 სმ. ყუის დიამეტრი 2 სმ. პირის ფართი 3 სმ.

### **103. 6/. კოლხური ცული მცირე ზომისა.**

გმმ. ა. (11505/1)/(გ-630) (ტაბ. 37)

პირველი სახეობის. ტანი გლუვი. ყუის წვეროდან ჩამოდის ქედი, რომელიც მხრების კიდემდე ვრცელდება. ყუის ოვალური ნახვრეტი შემკულია ფართე ორ-ორი ღარით. ტანი მოხატულია ირიბი ღარებით. ვარდულები ცუდად ჩანს, ამოკითხვა ძნელია. 8 სმ X 9,5 სმ. პირის ფართი 3,5 სმ, ოვალური ფორმის ყუის დიამეტრი 2,5 სმ.

### **103. 7/. კოლხური ცული. რკინა.**

გმმ. ა. (11559/1)/(გ-631) (ტაბ. 38)

მეორე სახეობის. ძლიერ დეფორმირებული. ყუა გადამსხვრეული. ყუას სწორი

კოპი ადგას. 14 სმ X 6 სმ. პირის ფართი 6 სმ. ყუის ნახვრეტის დიამეტრი 3 სმ.

#### 103. 8/. კოლხური ცული. რკინა.

გმმ. ა. (11507/1)/(გ-632) (ტაბ. 38)

მეორე სახეობის. ფუ და კოპი მოტეხილი. შემორჩენილია ყელის ნაწილი და საკვეთი პირი, მხატვრული გაფორმება ეროზის გამო სრულიად მოშლილია. 8 სმ X 4 სმ. საჭრელი პირი 4 სმ. ყელის ნაწილი 3,5 სმ.

#### 104. სატევრები. რკინა.

გმმ. ა.(11508/1-3)/(გ-633-635)(ტაბ. 37)

3 ცალი, საკმაოდ დეფორმირებული.

№ 633. საკმაოდ გრძელი ერთეული. ტანი მოშსხვრეული. წვერი დაზიანებული. ტანზე ორივე მხარეზე სამი პარალელური ღარი შეიმჩნევა. 15 სმ X 3 სმ.

№ 634. საკმაოდ შემონახული ერთეული. სამ ადგილას გადამტვრეული. წვერი და სატარის ნაწილი შემორჩენილი. საკვეთი პირი ძლიერ ეროზირებული. წელის ორივე მხარეზე აღინიშნება სამი პარალელური ღარი. 14 სმ X 3 სმ.

#### № 635. ტანი და წვერი მოშსხვრეული.

საკვეთი პირები ჩაჭმული. წელის ორივე მხარეზე უტყობა ოთხი პარალელურ ღარს შორის ხუთი რელიეფური ხაზი. 8 სმ X 2 სმ.

#### 105. ნივთი. ბრინჯაოსი.

გმმ. ა. (11509/1)/(გ-636) (ტაბ. 38)

მარფულისებური, მრგვალგანივეკვთიანი მავთულისაგან დამზადებული. დიამეტრი 0,3 სმ. ზომები 2 სმ X 2,5 სმ.

#### 106. 1. ანთროპომორფული გამოსახულება. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11510/1)/(გ-637) (ტაბ. 37)

საკმაოდ დაცული. ყელს ზემოთ თავი მოტეხილი. ყელზე შემოხვეულია თავსაბური. რომელიც გადადის ნაწავის ხვეულზე. გაშლილი მკლავების ნაწილია შემორჩენილი, რომელზედაც თხელი სამოსის საფარი ჩანს. მკერდი და ძუძუს კერტები რელიეფურადაა გამოსახული და ფარავს თხელი საბურველი. კარგადაა დაცული გავა, გაშლილი ფეხები, თხელ ფირფიტაზე დაბჯენილი ტერფები. სიმაღლე 7 სმ, მხრების სიგანე 3სმ.

#### 106. 2/. ანთროპომორფული გამოსახულება. ქანდაკებელი.

გმმ. ა. (11511/1)/(გ-638) (ტაბ. 39)

ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკება. მამაკაცი დგას ტრიბუნაზე, ოვალურ მოაჯირს ისე მძიმედ მიყრდნობია, რომ თითქოს ჩაუზნექია კიდეც. მოაჯირში ჩართულია ფალოსი. ფიგურას მკლავები წამოწეული, მაჯები ჩაგეცილი და მტერნები დამუშტეული აქვს. ტუჩი ჩაპობილი, თვალები წამოქაჩული, ფეხები განზე, ერთი ფეხი ოდნავ წინ წადგმული. თავზე კონუსური ფორმის ქუდი ახურავს, რომელიც წარბებამდეა ჩამოფხატული. ყურები განიერი, ცხვირი საკმაოდ წინწამოწეული, ნესტოები დაბერილი. სახის და ტანის ყველა ნაკვთი მოძრაობაშია და მიგვითოთებს, რომ იგი მეტყველების პროცესშია. მაღლა ქანდაკება მქადაგებლის შტაბეჭდილებას ტოვებს. ფიგურის სიმაღლე 7 სმ, ტრიბუნის განი 5 სმ X 5 სმ, მოაჯირის ოვალის დიამეტრი 5 სმ. ქანდაკება სტილიზირებულია. 7 სმ X 5 სმ.

#### 106. 3/. ხარჯის ქანდაკება ქორბულა რქებით. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11512/1)/(გ-639) (ტაბ. 39)

დინამიკური, თითქოს საბრძოლველად გამზადებული, მაღალი ყელით, გრძელი პირით და ქორბულა რქებით. კუდი წამოწეული და ჩაღუნული. რქების სიმაღლე 2 სმ, ყელის სიმაღლე 2,5 სმ, პირის სიგრძე 1,5 სმ. უკანა ერთი ფეხი მსხვილი, სხვა ფეხები წვრილი და წაწვეტებული. სულ 8 სმ X 4,5 სმ.

#### 106. 4/. თვეზის ქანდაკება. ბრინჯაო.

გმმ. ა. (11513/1)/(გ-640) (ტაბ. 40)

ბრინჯაოს სქელი ფირფიტა, ყალიბში ჩამოსხმული, ოვალური ზურგით, ტალღოვანი მუცლით, ფართო, უფორმო კუდით (კუდის ნაწილი მოშსხვრეულია), სქელი დრუნჩა ტუჩით. შუბლზე კოპებით გამოყოფილია ფარფლები. ორი კოპი ზედა ფარფლს გამოხატავს. მუცლის არეში ორი, ცენტრში ერთი, ყელის არეში ხუთი კოპი ზის. თვალის ჭრილის ირგვლივ შეიმჩნევა ფართო წამწამები, ან თვალის ფარფლები. ყელის ქერისთან ერთი, ცენტრში, მუცლზე - ოთხი, ჯვარის მსგავსად გაწყობილი ფარფლი ზის. ზურგზე არავითარი გაფორმება არ აღინიშნება. ყელთან ნაოჭებიანი ნაჩვრეტებია, ჩამოსხმის ნაკლი. 9 სმ X 3,5 სმ. სისქე 0,5 სმ.

**106. 5/. ბეჭემოთის ან სხვა მსგავსი ცხოველის გამოსახულება. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11514/1)/(გ-641) (ტაბ. 40)

ფიგურა საკმაოდ დინამიკურია. მოძრაობა საკმაოდ ხაზგასმულია. ფიგურა მოძრაობის სხეულით წინ წამოწეულია, ნახტომისათვის გამზადებული. ქეჩი წამომართული, დაღრინილი პირით, წინ წახრილი მკერდით. ფიგურა მოკლე, სქელ ოთხ ფეხზე დგას (1 სმ X 0,5 სმ) საკმაოდ უფორმო, კვადრატული დაღრინილი პირით. ენა გადმოგდებული, ცხვირის ნესტოები საკმაოდ გამოყოფილი. დინგს ზემოთ ორი თვალის ღრუ ირგვლივ ამობურცული არშიით არის გამოსახული. ერთი თვალი უფრო გამოკვეთილი, თვალთა შორის ცხვირის კეზი წამოწეული. დაახლოებით 0,4 სმ სიფართის თვალიდან 1 სანტიმეტრის უკან ქეჩოა წამომართული, ორი, საკმაოდ ძლიერი ფარფლით, რომელიც შუაში გაყოფილია ღარით. ზურგის ხაზი მიუყვება კუდამდე. ტანი ოვალურადაა მუცლისაკენ ჩახრილი. მუცელი ამოღარულია 1 სმ X 3 სმ ღარით. უკანა ფეხები მენჯით საკმაოდ ამოწეულია. ზურგის ხაზი ბოლოვდება მძლავრი კუდით. კუდი მომსხვრეულია; კუდის ქვემოთ, მასიური მენჯის ნაკვეთზე არის ფართო ჭრილი. მენჯის შუაში ზის ორი საკმაოდ ხაზგასმული საკვერცხე ჯირკვლები, საიდანაც მუცლისაკენ შეხრილია 2 სმ სიგრძის და 0,5 სმ სისქის ასო, მუცელი ღრუა. სულ 9 სმ X 3 სმ. მსგავსი ფიგურა ლიტერატურაში დადასტურებული არ არის.

**107. ობსიდანის ლამელა.**

გმმ. ა. (11515/1)/(გ-642)

მომსხვრეული საკვეთი პირით. 3 სმ X 1,5 სმ.

**108. ბრინჯაოს საბურველი.**

გმმ. ა. (11516/1-14)/(გ-643-656)

14 მცირე ფრაგმენტი. საბურველი დაჭუცმაცებული, მრავალ ადგილას ჩაჭმული ნაფლეთები. 1 მმ სისქის ფურცელი. 15 სმ X 11 სმ.

**109. ნაცრისფერი თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები.**

გმმ. ა. (11517/1)/(გ-657) (ტაბ. 41)

12 ცალი. ვაზის ფსკერი ფართო, მომსხვრეული, ეტყობა, შემოხაზული იყო ორი ღა-

რით და მის ზემოთ ორ ფრიზად დაყოფილი კედელი. პირველი და მეორე ფრიზები გამოყოფილი იყო 0,3 სმ სიფართის ღარით, ხოლო მესამე-ქვემოთ და ზემოთ ღარებით ამოხაზული ფართო ზოლით. თითოეულ ფრიზზე ჭურჭლის ირგვლივ სამკუთხედები იყო ამოღარული, რომლის შიგნით ჭადრაკული უჯრედებია ჩახაზული, ხოლო ყელთან ისევ ღარი. შემორჩენილია მრგვალგანიველთანი ყურიც, დიამეტრით 1 სმ. მასზე ემზევა ურთიერთდახრილი ხაზები, შესაძლოა მზის სხივების სტილიზაცია.

**მესამე სამარხი**

18 /III/1974 წ.

მიცვალებულს მკერდის არემდე ეფარა ბრინჯაოს 1 მმ სისქის ფურცელი, რომელიც ეროზიის გამო ძლიერ დაზიანებული იყო. ამოღების ღროს დამისხვრა. სამარხი ძალზე დაზიანებულია. თიხის მთელი ზედა ფენა გადაცლილი და ნაწილი ბულდოზერის ნიჩბით იყო მოგლეჯილი.

**110. მძივი.**

გმმ. ა. (11518/1-49)/(გ-669) (ტაბ. 41)

49 ცალი. აღმოჩნდა ყელის არეში. არის სარდიონის, ქარვის, პასტის, მინის, გიშერის მბივები სხვადასხვა ზომისა და ფორმის, უპირატესად მრგვალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სარდიონის - 2,5 სმ დიამეტრის, მრგვალი, გარდიგარდმო ღარების ფართო უჯრედებით შემკული მძივი, დაახლოებით ისეთი, როგორიც ეს კოლხეთის ექსპედიციის მასალებში აქვს აღწერილი ბ. კუფტინს ერთ-ერთი კერამიკული ჭურჭლის კედელზე<sup>6</sup>; გიშერის 1 სმ დიამეტრის რამდენიმე მარცვალი; თეთრი ფერის პასტის 1 სმ სისქის მძივი, მწვანედ შეღებილი მრგვალი და შედარებით ბრტყელი ერთეული სიგრძივ გახვრებილი. წელი ერთი ღარით შეწეული და ყოველი მხარე წვრილი ღარებით დაქსელილი. მწვანე ფერადი მინის 0,5 სმ დიამეტრის 4 ერთეული, სარდიონის 1,5 სმ დიამეტრის 5,1 სმ დიამეტრის 16, 0,8 სმ დიამეტრის 22 მარცვალი.

<sup>6</sup> Куптин Б. А. Материалы к археологии Колхиды II, Тб., 1950. ტაბ. 62, სურ. 1.

### **111. ფიბულის კაუჭი.**

გმ. ა. (11519/1)/(გ-718) (ტაბ. 42)

ბრინჯაოს მრგვალი მავთული 0,5 სმ სისქის, თავში კაუჭად ჩახვეული. სწორი ღეროთი და მახვილი წვერით. ეტყობა ქინძისთავის მოვალეობასაც ასრულებდა.

### **112. მძივი ორი ცალი. ოქრო.**

გმ. ა. (11520/1-11521/1)/(გ-719-720)

(ტაბ. 42)

**№ 719.** 1 სმ დიამეტრის ერთეული; ცალი მხარით ჩაჩრეტილი, კედლები კუწუბო წერტილებით შემოსილი და ირგვლივ რელიეფური ვარდულებით. სამკედენახვრეტის თავი და ბოლო რელიეფური ზოლითაა გამოყოფილი, რომელსაც წვრილი დარი შემოუყვება.

**№ 720.** წვრილი 3 მმ სისქის ერთეული. ამოღების დროს დაიმსხვრა. ფრაგმენტის გარე კედლებზე ორნამენტი არ ჩანს.

ეს ორი ერთეული გვაფიქრებინებს, რომ საფლავის ინვენტარში აღბათ, ოქრო და ვერცხლი ბლობად იყო, მაგრამ გაძარცვულია ძალიან ადრეულ ხანაში.

**Б. Күфтин. Материалы к археологии Колхиды.** Г. 11 ტაბულა 62. სურ. 1.

### **113. ზარაკი. ბრინჯაო.**

გმ. ა. (11522/1)/(გ-721) (ტაბ. 42)

კონუსური ფორმის, ტანდაფანჯრული, მინიატურული. ამოღების დროს დაიმსხვრა. სამაგრი კაუჭი მომსხვრული აქვს; შემორჩენილია მხოლოდ ნაწილი. ასევე წელისა და ფუძის ერთი მხარი დაცული. 3 სმ X 1,5 სმ, ფუძის დიამეტრი 1,5 სმ. მსგავსი ნივთები ხშირად გვხვდება კოლხეთის ეთნოგრაფიულ მასალათა კოლექციაში.

**114. ვერცხლის ბეჭდები. სხვადასხვა ზომის.**

გმ. ა. (11523/1-5)/(გ-722-726)(ტაბ.42)

ვერცხლის წვრილი 3 მმ სისქის ოდნავ ბრტყელი მავთული. ჩახვეული. ეროზიის გამო ბეჭდების მხატვრული გაფორმება არ ჩანს. რეოლები ტექნიკურად ერთვაროვნი, ერთი-ორი სმ დიამეტრისაა. სხვა დანარჩენი 2 სმ დიამეტრის; ერთის მხოლოდ ორი ოვალის ფრაგმენტია შემორჩენილი. მსგავსი ბეჭდები საქმაოდაა აღწერილი ლიტერატურაში.

### **115. სამაჯურები. ბრინჯაოს რგოლები.**

გმ. ა.(11524/1-2)/(გ-727-728)(ტაბ. 42)

ორი ცალი.

<sup>50</sup> Т. К. Микеладзе. Ук. соч., с. 49-52 сл.

подчеркивается и Т. К. Микеладзе<sup>51</sup>. Подобное явление имеет место также и в других отраслях хозяйства и в быту.

Что касается определенного удревнения нижних горизонтов Носири, и особенности I культурного слоя, отличающегося большой архаичностью материалов, то мы в принципе не возражаем против этого. В отношении I слоя мы и допускаем это, но воздерживаемся от определения большинства слоев периодом в более 200 лет (см. хронологическую схему, с. 39, 52).

Как нам кажется, хронологическая интерпретация нижнего слоя прибрежного участка Носирского поселения (слой с каннелюрной керамикой) требует уточнений. Это равным образом касается как ранее предложенный нашей датировки (предантичный и раннеантичный периоды)<sup>52</sup>, так и датировки Т. К. Микеладзе, изложенной в цитируемых трудах. Автор относит соответствующую керамику к древнеколхскому II периоду от первых веков I тыс. до н.э. до начала среднеколхского I (по периодизации автора), т.е. ко времени до середины VI в. до н.э.<sup>53</sup> Мы, как уже говорили, теперь уже этот слой (вместе с IV в.) датируем X-IX (или концом XI-IX вв.) до н.э. Затем, по нашим данным (Мухурча), ранние виды этой керамики исчезают, а до VI-V вв. до н.э. доживает в основном другая (налепная) техника «каннелирования» (налепными ребристыми полосками). Следовательно, между прибрежным нижним слоем Носирского поселения и залегающим выше раннеантичным слоем (VI-IV вв. до н.э.) тоже существует хронологический разрыв, которому должен соответствовать «предантичный» культурный слой, обследованный нами на зап. окраине сел. Мухурча, в местности «Нациеквилари». Самый же верхний слой прибрежного участка Носирского поселения был перемешан, содержал материалы эллинистического и других периодов.

К сожалению, из-за скучности публикаций, мы не имеем полного представления о таких первостепенных памятниках г. Кобулети, как многослойный жилой холм Намчедури (шесть культурных слоев), раннебронзовое поселение Испани и культовый памятник Пичвнари<sup>54</sup>. Можно предположить, что керамика нижнего – VI слоя Намчедури в общем соответствует материалам I слоя Носири. Что же касается Абедатского Диха-Гудзуба (Гегечкорский р-н), то судя по публикуемым материалам<sup>55</sup> весь совокупный керамический материал можно было бы отнести к периоду III, а частью и II слоя Носирского холма. Однако такое определение противоречило бы заключению автора раскопок о том, что весь этот материал относится к одному периоду и невозможно выделить какие-либо этапы. Хотя следует заметить, что на памятнике автором фиксировано стратиграфически четко разграниченных три культурных слоя, а материалы из них, датированные XV-XIV вв. до н.э., сопоставляются с материалами двух слоев холма Наохваму – нижнего и среднего<sup>56</sup>.

Итак, период начала и расцвета каннелированной керамики Колхиды мы предполагаем непосредственно до начала раннего комплекса Мухурчского могильника (начало VIII или конец IX в. до н.э.), в котором замечается финальное присутствие раннего вида каннелюрной керамики, связывающей памятники этих двух групп.

Менее конкретным будет определение абсолютного возраста I-III культурных слоев Носирского холма. Ввиду значительной мощности и расчлененности слоев допускаем колебание их хронологических рубежей с удревнением нижних (I-II) слоев в соответствии с архаичностью материалов. С учетом вышеотмеченной радиокарбонной датировки (Зурга) мы можем назвать следующие даты этих слоев (сверху вниз):

<sup>51</sup> Т. К. Микеладзе. Ук. соч., с. 68.

<sup>52</sup> Археологические экспедиции ГМГ, III, 1974, с. 65, 70.

<sup>53</sup> Т. К. Микеладзе. Ук. соч., с. 53.

<sup>54</sup> А. К. Инанишвили. Ук. соч., с. 75-81, табл. XXXIII—XXXVII.

<sup>55</sup> Г. Г. Пхакадзе. Материалы из Абедатского Диха-Гудзуба, МАГК, VI. 1974, с. 137-144, табл. I-V.

<sup>56</sup> Г. Г. Пхакадзе. Ук. соч., с. 142.

III слой – XIII-XII (или XIII-XI) вв.; II слой – XV-XIV (или XVI-XIV) вв. и I слой – XVIII-XVII или XIX-XVII вв до н.э. Следовательно, эти слои относятся к разным этапам бронзовой эпохи<sup>57</sup>.

Эту хронологию может подтвердить общий характер некоторых находок. Нижние (I-II) слои изобилуют не только керамикой архаичного облика, но также и каменными и костяными орудиями, инструментами и другими предметами (рис. II, 28-32, 47-59). В верхних слоях подобных предметов гораздо меньше или не обнаруживается. В верхнем же (III) слое найдены: плоский топор (рис. II, 24), фрагментированный нож или кинжалчик, маленький резец (рис. II, 25) и сферическая бусина, обломок литеиной формочки и литеиные сосудики (миниатюрные ковши). Подобный плоский топор (несколько иных пропорций) известен из Цихисдирского клада, датированного позднебронзовой эпохой (Б. А. Куфтин) или XII-XI вв. до н.э. (Д. Л. Коридзе)<sup>58</sup>. Резец напоминает по форме образцы из Урекского клада середины или конца первой половины II тыс. до н.э.<sup>59</sup> и тем самым подчеркивает тяготение данного слоя к середине этого тысячелетия. Предполагаемая для III слоя дата может быть подкреплена и находкой при раскопках последних лет в сел. Даблагоми Самтредского р-на. Здесь, в нижнем культурном сдое холма Насакдrevi (раскопки В. А. Толордava), соответствующем III слою Носирского холма, были обнаружены образцы керамики с клиновидным штампованным орнаментом<sup>60</sup>, характерным для керамики Восточной Грузии на сравнительно раннем этапе поздней бронзы (прибл. XIII-XII вв. до н.э.). Примечательно, что этот слой в Даблагоми лежал иод слоем с каннелюрной керамикой.

<sup>57</sup> Археологические экспедиции ГМГ, I- IV.

<sup>58</sup> Б. А. Куфтин. Ук. соч., II. рис. 43,3: Д. Л. Коридзе. Вопросы взаимоотношений колхидско-кобинской и восточно-грузинских культур, табл. II, 41(рукопись на груз. яз., ГМГ).

<sup>59</sup> Д. Л.. Коридзе. К истории Колхидской культуры. Тбилиси, 1965, с. 10, табл. I, 9-10.

<sup>60</sup> Сборн. «Вани», III, Тб., 1977, с. 75- 77, 186 -187, рис. 57.3,4.

Упомянутый выше резец из III слоя, как мы сказали, хотя и проявляет сходство со значительно более ранними образцами (из Урекского клада), но этот факт нам не пригодится для уточненного определения возраста упомянутого слоя без учета других совокупных данных. То же самое можно сказать о бронзовой бусине из того же слоя, напоминающей некоторые более ранние образцы из раннебронзовых курганов Сачхере<sup>61</sup> и Эшерского и Азантского дольменов в Абхазии<sup>62</sup>.

Отдельные ранние керамические элементы из круга Колхидской культуры как, напр., формы сосудов с загнутым внутрь краем, неорнаментированной поверхностью и иногда отдельными шишками из керамики культурного слоя Испани, хотя и проявляют определенное общее сходство с ведущими группами керамики нижних слоев жилых холмов, но без конкретных связей. Достаточно близкую аналогию одного из редких орнаментальных видов на шей керамики (многорядного лунчатого углубленного орнамента) могут представлять образцы из III, раннебронзового слоя Мачарского поселения в Абхазии (Гудаутский р-н)<sup>63</sup>. Однако они изолированы от рассматриваемого нами керамического пластиа ввиду присутствия в среде совершенно иного типологического ассортимента.

Именно отсутствие сравнительно-типологического комплексного состава материалов принуждает воздержаться от конкретных хронологических сопоставлений даже тогда, когда намечается близкий параллелизм по отдельным элементам между керамикой колхидских и территориально более удаленных памятников. Например, как ушки в виде «птичьей грудки» в керамике некоторых более восточных памятников конца ранней и

<sup>61</sup> О. М. Джапаридзе. К истории грузинских племен на раннем стадии медно-бронзовой культуры, Тбилиси, с. 139, табл. XX, 15 (на груз. яз. с русс. и англ. рез.).

<sup>62</sup> О. М. Джапаридзе. Дольменная культура в Грузии. Труды ТГУ № 7, 1959, с. 91-92, рис. 7 (на груз. яз. с русск. рез.).

<sup>63</sup> В. В. Бжанния. Мачарское поселение эпохи Энеолита и бронзы в Абхазии. СА, № 1, 1966, с. 122-123, рис. 5,3-5.

начала средней бронзы (Корети<sup>64</sup>, Ховле<sup>65</sup>, Григолети<sup>66</sup>, Илто<sup>67</sup> и др.). В ту же эпоху или еще ранее замечается распространение подобных вариантов в Южной Европе и в некоторых Эгейских областях. Можно отметить также раннее появление в разных регионах Европы (как и в Колхиде) керамики, украшенной комбинированным декором из конических шишек и выступов, желобков и т. д.<sup>68</sup>

Мы коснулись некоторых отдельных вопросов хронологии памятников Носири-Мухурча и отчасти других, отнюдь не претендующих на исчерпывающий анализ данных или решение какой-либо проблемы. Новые раскопки и исследования, публикации материалов, вероятно, помогут уяснению таких немаловажных вопросов, как хронологические интервалы между стратифицированными культурными слоями или же частичное совпадение различных памятников и слоев, соответствие между сравнительными и абсолютными датировками, увязка культурных пластов с металлической индустрией древней Колхиды и т. д.

---

<sup>64</sup> О. М. Джапаридзе. К истории грузинских племен. .. с. 138, рис. 29.

<sup>65</sup> Хранится в Гос. музее Грузии (экспозиция).

<sup>66</sup> Э. М. Гогадзе. Периодизация и генезис курганной культуры Триалети. Тб., 1972, с. 39-44, 90, табл. 30,1—3 (на груз. яз. с русск. рез.).

<sup>67</sup> Ш. III. Дедабришвили. Памятники эпохи ранней и средней бронзы. Труды Кахетской археологической экспедиции, 1, Тб., 1969, с. 57-58, рис. 13,3,4.

<sup>68</sup> Б. А. Куфтин, Ук, соч., с. 237, сл. рис. 55- 59, 61, 63.

ნინო სულავა, ირაკლი ქორიძე  
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის  
შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაო-რკინის ხანის ექსპონატები

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის კოლექციების დიდი ნაწილი შემთხვევითაა აღმოჩენილი, ან მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სადაზვერვო ექსპედიციების მიერაა (ხელმძღვ. გივი ელიავა) მოპოვებული. ექსპონატების დიდი ნაწილი აღმოჩენილია კურზუში, დანარჩენი კი - მარტვილის სხვადასხვა პუნქტებში: ეჭაჭუე, ნაოსხაპუ, კიწია, სალხინო, ქაჯის ნამარანუ, ინჩეური, თამაკონი, ზედა ხუნწი, ნახარებაო, ნალეფ-საო, თეკლათი (სურ. 1, 2).

მარტვილის სხვადასხვა პუნქტებსა და კურზუში შემთხვევით აღმოჩენილი მასალა შეცაგს როგორც კოლხური კულტურის ადრეული ეტაპის (ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული - ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევ. - შუა ბრინჯაოს ხანა), პროტოკოლზური კულტურის მატერიალურ ელემენტებს, ასევე მის წიაღშივე წარმოშობილი და განვითარებული კოლხური ბრინჯაოს კულტურის (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახ. - ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახ.) ელემენტებსაც.

დასავლურქართველური ტომების - კოლხების წინაპრების მიერ შექმნილ პროტოკოლზურ კულტურას განსაზღვრავდა ძელურნაგებობიანი ნამოსახლარები, ხელოვნურ თუ ბუნებრივ ბორცვებზე (ანაკლია, ერგეტა, ნაოხვამუ, ნოსირი, აბედათი, ნაჭვის ზუგა, კეკელური ზუგა, ზურგა და სხვ.), თოხნითი მიწათმოქმედებითა და უკვე საკმაოდ განვითარებული მეტალურგით (თითქმის ყველა კოლხურ ნამოსახლარზე აღმოჩენილი ყალიბებითა და ტიგელებით), რასაც ადასტურებს ბრინჯაოს ის არტეფაქტები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევითი აღმოჩენებითაა ცნიბილი, თანადროული სამაროვნების არსებობაზე მიუთითებს.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციების პროტოკოლზური ეტაპი სპეციფიკური კერამიკის<sup>1</sup> გარდა, წარმოდ-

გნილია ადრეული ლითონების ეპოქის ბრინჯაოს ნაწარმითაც - ინჩეურიდან, ყუამილიანი ცულით, რომელიც დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებზე (საჩხერის ყორდანები, აფხაზეთის დოლმენები, ურეკის განძი, გაგიდა, ფიჩორი, სვანეთი, ლეჩხუმი) აღმოჩენილი მსგავსი ცულების მიხედვით ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო ხანებითა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი მეოთხედით თარიღდება. ანალოგიური ცულები თავისი მრავალფეროვანი ტიპოლოგიური ვარიანტებით საქართველოში ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ერთეული ყველაზე მნიშვნელოვანი და განმასხვავებელი ელემენტია. ყუამილიანი ცული კოლხეთის (ბრტყელ ცულთან ერთად<sup>2</sup>) სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებაში არსებული ტექნიკური პროგრესის ნიმუშია [სულავა 2014: 40-45; იხ. იქვე მით. ლიტ.]

ამავე ეპოქის განეკუთვნება ჯვრისებურთავიანი და შემსხვილებულთავიანი საკინძები. ისინი ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება და სამარხეული კომპლექსის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს [სულავა 2014: 31].

ადრეული თარიღებით განსაზღვრული ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენის ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე გროვდება, თუნდაც შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად, კოლხური ნამოსახლარების თანადროული სამაროვნებიდან მომდინარე მასალები.

როგორც აღვნიშნეთ, კოლხური კულტურის შემდგომი პერიოდია - ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახ. - ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახ., - კოლხური ბრინჯაოს კულტურის ხანა, რომელიც ხასიათდება ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღის (კოლხური ცულები, სეგმენტისებური იარაღი, შუბისპირები) სიუხვით, განვითარებული მეტალურგიისა და

<sup>2</sup> ბრტყელი ცული, ძვ.წ. XII-X სს, კიწია [სულავა 2014: 31].

<sup>1</sup> იხ. სტატია აქვე - გვ. 142-147.

გარე სამყაროსთან უკვე არსებული კონტაქტების ამსახველი მასალებით.

ლითონის არტეფაქტების სიმრავლისა და მრავალფეროვნების მიუხედავად კოლხური ბრინჯაოს კულტურის განმაზღვრელი ელემენტია კოლხური ცული, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ადრეული, ასევე მოგვიანო ვარიანტებით, როგორც შემკული მდიდრული, გრავირებული ორნამენტით („ფარაონისტიკური ცხოველი”, ირმები, გველი, თევზები, სვასტიკა, მეანდრი, მალტური ჯვრები და სხვა გეომეტრული სახეები)<sup>3</sup>, ასევე შემკულობის გარეშე, გავრცელებულია არა მარტო კოლხური კულტურის არეალში, არამედ მისი ინფორმაციის ზონებშიც. მათი ჩამოსასხმელი ყალიბები აღმოჩენილია კოლხეთის მრავალ ძეგლზე (ჩოლოქისპირა ნამოსახლარი, თაგილონი, ყულევი, ერგეტისა და ნიგვზიანის სამაროვნები და სხვ.). დასავლეთ საქართველოში ყალიბების აღმოჩენა, ძირითადად სამოსახლოებზე, იმის მოწმობაა, რომ მაღალი ზოდების სახით ჩამოჰქონდათ და სამოსახლოებზე ამზადებდნენ ნივთებს; ე.ი. ბარიც და მთაც ჩართული იყო მეტალურგიულ საქმიანობაში.

მარტვილის მუზეუმის კოლექციებში დაცული სეგმენტისებური იარაღის ცალები (ზედა ხუნწიდან) ერთი სახეობისაა. ესაა სწორმხრებიანი, მაღალი სამუშაო პირის მქონე იარაღი, ბარისებური ფორმის, რომელიც, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა პრიმიტიულ სახველად. მეცნიერთა დიდი ნაწილი სეგმენტისებურ იარაღს, სავსებით მართებულად, სასოფლო სამეურნეო იარაღად თვლის. ამ მოსაზრების სასარგებლოდ რამდენიმე ფაქტის მოყვანა შეიძლება: ერთი ის, რომ მისი გავრცელება დადასტურებულია კოლხეთის იმ ნაწილში, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება. მეორე ის, რომ სეგმენტისებური იარაღი, როგორც წესი, განძებსა და სამარხებში სამიწათმოქმედო იარაღთან, თოხებთან და სახნისებთან, ერთად გვხვდება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იგი მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი. სეგმენტისებური იარაღი კოლხეთის

ბრინჯაოს ნივთების განძების უმრავლესობის განუყოფელი ნაწილია, ასეთებია თხმორის, თხილნარის, ციხისძირ-სამების, ბობოყვათის, ცაგერას, ზენითის, ვაკიჯვრის და სხვ. განძები. მსგავსი ნივთები განსაკუთრებით ბევრია აღმოჩენილი ცენტრალურ და სამხრეთ დასავლეთ კოლხეთში. უნდა აღინიშნოს, რომ სეგმენტისებური იარაღი აუცილებელი ატრიბუტია ადრეული რკინის ხანის კოლხური სამაროვნების სამარხეული კომპლექსებისთვისაც [მიქელაძე 1985]. იგი აღმოჩენილია მუხურჩის, ნიგვზიანის და ურეკის სამაროვნებზე, დიდი რაოდენობითაა დაფიქსირებული ერგეტის სამივე სამაროვანზე.

სეგმენტისებური იარაღი (ზედა ხუნწიდან), რომელიც მიწათმოქმედებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი. ის დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი კოლხეთის სამაროვნებსა და ბრინჯაოს განძებში [ქორიძე 1965].

პეპლისებური აბზინდები კოლხეთში ძვ.წ. VII-VI სს-ის ძეგლებზე გვხვდება და ბრინჯაოს ფურცლოვანი, თუ ტყავის განიერი სარტყლებისთვის იყო განკუთვნილი [მიქელაძე 1978].

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სხვადასხვა პუნქტებში შემთხვევით აღმოჩენილი მასალა - ბრინჯაოსა და რკინის მრავალფეროვანი და მრავალრიცხვანი საომარი და სამეურნეო იარაღი, სამკაული, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები, მცირე პლასტიკის ნიმუშები, ნახევრადვირფასი სხვადასხვა ქვისა და მინის მძივსამკაული და, აგრეთვე, სხვა არტეფაქტები მოპოვებულია შემთხვევით დანგრეული კოლხური კოლექტიური სამარხებიდან, ნასახლარებიდან, მეტალურგიული წარმოების ქურა-სახელოსნოებიდან.

უნდა გამოვყოთ მრავალრიცხვნების, მრავალფეროვნებისა და აღმოჩენის ლოკალურობის გამო კურზუში<sup>4</sup> სხვადასხვა

<sup>4</sup> 1932 წელს კურზუსთან იპოვეს ძვ.წ. VIII-VII სს. განძი, რომლის შემადგენლობაში იყო: სპილენძის ზღლი, რკინის ცული, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი, რგოლი, ჭურჭლის ნატეხები, სპირალური ხვია, ამობურცული სახეებით შემკული ბრტყელფერფიტი-

<sup>3</sup> იხ. სტატია აქვე – გვ. 159-167.

## ლიტერატურა

დროს შემთხვევით აღმოჩენილი მრავალფეროვანი მასალები (კოლხური ცულები, სატევრები, შუბისპირები, ისრისწვერები, თოხები, საკინძები, აბზინდები, ფიბულები, საკისრე რგოლები, სამაჯურები, სასაფეთქლეები), რომლებიც კოლხური ბრინჯაოს კულტურის აყვავების ხანის (ძვ.წ. VIII-VII სს.) დამახასიათებელი ნიმუშებითაა წარმოდგენილი, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ძეწკვებითა და დუგმისებური საკიდებით შემკული ფიბულა, რომელიც ძვ.წ. VII-VI სს-ის კოლხური ფიბულების შესანიშნავი ნიმუშია [იხ. აქვე, გვ. 153-157]. კარგად შემონახული მწვანე პატინით დაფარული, რკალისებური ფიბულა, რომელსაც რომბისებურგანიკვეთიანი რკალი სიგრძივ მიმართული, ე.წ. თევზიფხური ორნამენტითა აქვს დაფარული, ტიპური კოლხური ფიბულა. ანალოგიური შემკულობის მქონე ფიბულები უცნობია ეგვისური სამყაროდან, საიდანაც კოლხეთის ადრეული ფიბულების პროტოტიპების გენეზისი ივარაუდება. კოლხური კულტურის არეალში მსგავსი ფიბულები ცნობილია აფხაზეთის სამაროვნებიდან (წითელი შუქურა, ჯანტუხი - 3 ცალი) და ბრილის სამაროვნიდან (რაჭა - 12 ცალი). კურზუში აღმოჩენილი ფიბულა ადგილობრივი სახელოსნოს ნაწარმი უნდა იყოს, რაც ადგილობრივი მძლავრი მეტალურგიული ბაზის ნიადაგზე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი.

ამგვარად, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შემთხვევით აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ექსპონატები ნათლად ადასტურებს კოლხური ნამოსახლარების თანადროული სამაროვნების არსებობას, ხოლო კოლხურ ბრინჯაოს კულტურას ახალი ექსპონატებით ამდიდრებს.

სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ., 2014. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ალბომი. თბილისი.

მიქელაძე თ. 1978. არქოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კაეშ, ტ. I, თბილისი.

ქორიძე დ. 1965. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.

## სურათების აღწერა

სურ. 1. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „კურზუსა“ და შემთხვევით აღმოჩენილი კოლექციის მომზადება საექსპოზიციოდ.

სურ. 2. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „კურზუსა“ და შემთხვევით აღმოჩენილი კოლექცია ექსპოზიციაზე.

ანი ნივთი და უმბონი. განეკუთვნება კოლხურ კულტურას (დაცულია სემ-ში – ქორიძე დ. 1965: 44).

Nino Sulava, Erekle Koridze

## Casual Finds of Bronze–Iron Age Artefacts in Martvili Museum of Local Lore

### Summary

Major part of Bronze–Iron Age collections in Martvili Museum of Local Lore are comprised of casual finds or artefacts gathered in the process of archaeological survey carried out under the leadership of Givi Eliava. Majority of items were obtained in Kurzu, whereas others come from different places all over Martvili region – Echachue, Naoskhapu, Kitsia, Kajis Namarnu, Inchkhuri, Tamakoni, Zeda Khuntsi, Nakhareba, Nalefsao, Teklati.

The materials demonstrate elements of material culture characteristic of the early stage of Colchian culture (end of the 3<sup>rd</sup> - first half of 2<sup>nd</sup> millennia BC. – Middle Bronze Age); proto-Colchian and succeeding Colchian Bronze Age culture (second half of the 2<sup>nd</sup> – second half of the 1<sup>st</sup> millennium BC.).

Specific pottery, characteristic of proto-Colchian culture, bronze ax with a tubular handle from Inchkhuri dating from the early metal age and cross-shaped buttons and buttons with a thickened head indicate that archaeological materials from necropolises contemporary to the Colchian settlements get gradually accumulated into funds even though as casual finds.

Subsequent period of the Colchian culture (second half of the 2<sup>nd</sup> – second half of the 1<sup>st</sup> millennium BC) – period of Colchian Bronze culture is represented with quantities of various weapons and tools, jewelry, items connected to clothing, specimens of the minor plastic arts, adornments of semiprecious stones and beads, as well as artefacts from metallurgic centers.

Thus, casual finds of Early and Late Bronze – Iron Age artefacts from Martvili Museum of Local Lore clearly testify to the existence of necropolises contemporary to the settlements and enrich Colchian culture with new exhibits.



სურ. 1. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „კურზუსა” და შემთხვევით აღმოჩენილი კოლექციის მომზადება საექსპოზიციოდ.



სურ. 2. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „კურზუსა” და შემთხვევით აღმოჩენილი კოლექცია ექსპოზიციაზე.

ნინო სულავა, ირაკლი ქორიძე  
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტური კერამიკა

ვიდრე მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულ თიხის ნაწარმს შევეხებოდეთ, რომლის ნაწილიც ამჟამად ექსპონირებულია, მოკლედ წარმოგიდგენთ მარტვილის რეგიონის არქეოლოგიურად შესწავლის ისტორიას.

1966 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს სამიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სენაკისა და მარტვილის მუზეუმების თანამშრომელთა მხარდაჭერითა და მონაწილეობით ჩატარა დაზვერვითი სამუშაოები სენაკისა და მარტვილის რეგიონებში. ამ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მარტვილის (მაშინდელი გეგმები) მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელი და დირექტორი ბატონი გივი ელიავა, რომლის მიერ შედგენილი რაონის არქეოლოგიური რუკითაც სარგებლობდა ექსპედიცია.

გამოვლენილ იქნა სხვადასხვა ხასიათისა და ასაკის ათეულობით არქეოლოგიური ძეგლი: ქვის ხანის ლია და მღვიმური სადგომები, ბრინჯაო-ანტიკური ხანის ნასახლარები, სამაროვნები, ლითონწარმოების ნაშთები და სხვ.

მიკვლეული ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოებია შუა პალეოლითი-გვიან ფეოდალური ხანა. ვინაიდან, ექსპედიცია დაზვერვითი ხასიათის იყო, მას სტაციონარული გათხრები არ უწარმოებია. მხოლოდ რამდენიმე ძეგლზე გაკეთდა საძიებო თხრილი. აქედან გამომდინარე მოპოვებული მასალის ურავლესობა ზედაპირულადაა აკრეფილი. მარტვილის რეგიონში ექსპედიციამ მიაკვლია ორ ათეულამდე მრავალფენიან და ერთფენიან ძეგლს. მათი უმეტესობა გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანისაა. მათგან, განსაკუთრებული აღნიშვნის ლირსია ნაგვაზაოს „ზურგა“, სოფ. საელიაოს „კურზია“ და აბედათის დიხა-გუმბა. მათგან, მრავალრიცხოვნებით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ნაგვაზაოს „ზურგა“. ამ ძეგლზე მოპოვებული მასალის ზოგიერთი ცალი - ცილინდრული ფორმის ჯამები, გარკვეულ მსგავსებას პოულობს შუა ბრინჯაოს

ხანის დასასრულით დათარიღებულ მეტეხე-ქასათალის ჯამებთან. მგვლევარებმა ძეგლზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამი კულტურული ფენა დაადასტურეს. ანალოგიური მასალა იქნა მოპოვებული აბედათის დიხა-გუმბაზე. ბორცვზე აღმოჩენილი ნივთებს ანალოგები ნაოხვამუს ქვედა და დიხა-გუმბას ზედა ფენის მასალებში ექ-ბნება. ძეგლზე დაფიქსირდა გვიანი ბრინჯაოს საწყისი საუკუნეების და ძვ.წ. I ათას-წლეულის პირველი ნახევრის კულტურული ფენები. მესამე მრავალფენიანი ძეგლი, რომელზეც საყურადღებო მასალა აღმოჩნდა არის საელიაოს ბორცვი „კურზია“. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა სოფ. ლეხანიდრაოში, გოგიაშ ნაოხვა-მუ-1-ზე. მგვლევარებმა იგი გვიანი ბრინჯაოს საწყისი საუკუნეებით დაათარიღეს. აუცილებელი აღნიშვნის ლირსია ექსპედიციის მიერ მიკვლეული ისეთი სამოსახლო ბორცვები, როგორებიცაა სოფ. ლეხანიდრაოს დიხა-გუმბა, სერგიეთის დიხა-გუმბა I და II, სოფ. ბანბის ტაბაკური, და ბანბის დიხა-გუმბა I, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბალდუდის“ ბორცვს უწოდებს [მასალები . . . 1973: 20-29]. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მარტვილის რეგიონში ინტენსიურ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირი-მუხურის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციამ მიაკვლია და არქეოლოგიურად შეისწავლა სამოსახლო ბორცვები კეპელური ზუგა, ნაჭვის ზუგა, ნაწისქილარი და მუხურის სამაროვანი [გოგაძე 1982]. ამავე პერიოდში კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. სალ-ხინოს აღმოსავლეთ ნაწილში ლეცავას მთაზე სალაზერვო თხრილით შეისწავლა ძვ.წ. IX-VIII სს. სამოსახლოს ნაშთები [ჯიბლაძე 2007: 24].

რაც შეეხება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულ კერამიკულ მასალას\*, მისი უდიდესი ნაწილი

\* ტაბულები შესრულრბულია ი. ესვანჯიას მიერ.

წარმოადგენს ან შემთხვევით მონაპოვარს, ან დაზვერვების შედეგად მოპოვებულს. იგი სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლიდან მომდინარეობს: ვედიდკარი, ნაოსხაპუ, კიშია, სალხინი, ქაჯის ნამარანუ, ინჩხური, თამაკონი, ზედა ხუნწი, ნახარებაო, ნალეფსაო, თეკლათი, კურზუ და სხვა. ეს კი ამნელებს მასალის რომელიმე არქეოლოგიური ეტაპისადმი მიკუთვნებას. თუმცა, კერამიკის ტიპოლოგიურმა ანალიზმა და კოლხეთის დაბლობის სხვა ძეგლების მასალებთან შედარებამ იმის საშუალება მოგვცა, რომ მეტნაკლები სიზუსტით გამოგვყო სამი ქრონოლოგიური ჯგუფი: ძვ.წ. XVIII-XVI სს, ძვ.წ. XV-XIII სს და ძვ.წ. IX-VI სს-ით დათარიღებული ჯგუფები.

ძველი კოლხეთის არქეოლოგიით დაინტერესებული მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში კოლხეთში მეთუნეობა იყო სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი წამყვანი და ყოვლისმომცველი დარგი, რომლის პროდუქცია აქაურ ძეგლებზე გაცილებით ჭარბობს ყოველნაირ სხვა მასალას, რაც კარგად დასტურდება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მრავალრიცხოვნი კერამიკული ნაწარმით. ჭურჭლის ფორმების მრავალსახეობა და მრავალფეროვნება და, ამავდროულად, ამავე ძეგლებზე აღმოჩენილი სხვა ტიპის მასალა: ხელსაფეხვავები, სანაყები, სასრესები, პურის საცხობად გამოყენებული რიყის ბრტყელი ქვები და სხვა<sup>1</sup>, იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ კოლხეთის ბარის იძღროინდელი მოსახლეობის, მათ შორის მარტვილის მხარის მოსახლეობასაც ვგულისხმობთ, მირითად სამეურნეო საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ამ მოსაზრებას ამაგრებს ამავე ძეგლებზე აღმოჩენილი ხორბლეულის ნაშთები. ნოსირის ბორცვისა და ტეხურისპირა უბნის ქვედა ფენებში, დიხა გუმბუბა 1-ის მეორე ფენაში დაფიქსირებულია კარგად დაცული ენდემური ჯიშის ხორბლის მარცვლები - ლიკა და მახა. ენდემური ჯიშების გაგრცელება ძველ კოლხეთში და ინტენსიური მიწათმოქმე-

დების მიმდევარი მოსახლეობის საცხოვრებლებზე მისი დადასტურება საკმაოდ მყარ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ კოლხეთის ბარის რაიონები ხორბლეულისა და კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ერთ-ერთ ნავარაუდევ ცენტრში შემავალ მხარედ მივიჩნიოთ [გოგაძე 1982: 73].

აღრეული ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. XVIII-XVI სს) კერამიკული მასალა ძალზე ფრაგმენტული სახითაა წარმოადგენილი, რის გამოც თიხის ჭუჭლის ფორმების შესახებ საუბარი გვიხდება მისი შემადგენელი ნაწილების ძირების, გვერდებისა და ყელპირის მიხედვით. კერამიკა, ძირითადად ლეგაა ან ნაცრისფერი, იშვიათია ჩალისფრად, აგურისფრად და ყავისფრად გამომწვარი. კეცში ქარსის, კვარცის და ქვიშის მინარევებით. გავრცელებულია საშუალო და მოზრდილი ზომის პირგადაშლილი და ბაკიმომრგვალებული დერგები, მცირედ პირგადაშლილი და პირმოყრილი ქილები, ქვაბ-ქოთნები. ჭურჭლის ყურები ვერტიკალურად აქვს მიძერწილი, რომლის ზურგი, როგორც წესი, ჩაღარული ორნამენტითაა შემკული. ეს ყურები იმდენად პატარაა, რომ თავისი მოვალეობის შესრულებას ვერ შეძლებდა და, როგორც ჩანს, მხოლოდ დეკორაცია გამოყენებული. ბევრია კონუსური, ნახევარსფერული, თავდაბრტყელებული დანაძერწებით შემკული ჭურჭლი. პირმოყრილი ქილის ერთ ფრაგმენტს ლილვაკისებური შვერილი აქვს. ორნამენტირება საკმაოდ მრავალფეროვანია. გახვდება ე.წ. პარკეტული ორნამენტი, ერთმანეთში ჩასმული ნახევარწრეები და წრეები, ირიბი მარცვლოვანი ჭდეები, წვრილი-ოთხწახნაგა ნაჩრეტების ჯგუფები და სხვა [სულავა 2014: 47]. ზემოთ აღწერილ სამეურნეო ნაწარმის ტიპებს, გამოწვის ტექნიკას და ორნამენტაციის მოტივებს არა ერთი პარალელი ეძებნება კოლხეთის დაბლობის სინქრონულ ძეგლებზე.

ე.წ. ძველკოლხურ I ეტაპს (ძვ.წ. XV-XIII სს) მიკუთვნებული კერამიკა კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია [სულავა 2014: 48-49]. იგი გამომწვარია შავად, ნაცრისფრად, მოწითალოდ, ყავისფრად, ჩალისფრად. კეცი ერთფენიანია.

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს ის, რომ მსგავსი მასალა მუხურჩის ძეგლების ყველა კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი.

თიხა, როგორც წესი, ქვიშის, ქარსის და ტალკის მინარევებიანია. ტაბოლოგიურად გამოიყო ჭურჭლის ორნამენტირებული მოზრდილი დერულად ორნამენტირებული მოზრდილი დერული და ქვერები (ტაბ. II/5-8), კრატერისებური პირის მქონე და პირმოყრილი ქოთნები, რომლის გვერდები შემკულია ჭდეული წიწვოვანი ორნამენტით და ორია, მოკლე ზოლებით (ტაბ. II/4; ტაბ. III/1), პირმოყრილი ქილები, ზომორფულშვერილიანი ქოთანი, ტოლჩები. შემკულობაში დომინირებს რკალური სახეები, თევზიფხური და პარკეტული ორნამენტი, სავარცხლის კბილისებური ორნამენტის სხვადასხვა ვარიანტები. გვხვდება ფრინველის მკერდისებური, მუხლისებრი, ზურგდაწახნაგებულილილვაკისებრ დანაძერწიანი, ზომორფულინაკლებად გამოკვეთილ შევრილიანი ყურებით შემკული სხვადასხვა დანიშნულების მქონე ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. V/4,5,8,10). გვაქვს ბრტყელი და კონუსურშვერილიანი ფრაგმენტებიც (ტაბ. V/11).

მოგეხსენებათ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ათეულობით პირველხარისხოვანი ძეგლია გათხრილი კოლხეთის დაბლობზე და, ვინაიდან, მარტვილის მხარე კოლხური კულტურის ნაწილია, წარმოდგენილ ნივთიერ მასალას არა ერთი პარალელი ექვენება თანადროულ კოლხურ ძეგლებზე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის მოხსენიებით დავგმაყოფილდებით ესენია: - ნოსირის ბორცვის II და III ფენები, ფიჩორის ცენტრალური ბორცვის III ფენა, ნაოხვამუს ძირა ფენა, ზურგას I და II ფენები, ნამარნუს ჩრდილოეთი გორა, საელიაოს კურზიას II ფენა და სხვა.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული კერამიკის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს ძვწ. VIII-VI სს დათარიღებული ჯგუფი წარმოადგენს [სულავა 2014: 50-51]. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხურ სამყაროში იწყება რკინის ფართო ათვისების ხანა. რასაც, ზოგადად, კოლხეთის ეკონომიკური განვითარებისთვის, და, პირველ რიგში, მიწათმოქმედების ინტენსივიკაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რკინის ფართო ათვისებამ დიდი როლი ითამაშა საწარმო

ძალთა განვითარებაში, რაც აღინიშნა კარდინალური ძვრებით ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში. ხდება დემოგრაფიული აფეთქებაც, რაც კარგად აისახა არქეოლოგიურ მონაპოვარში: კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ათეულობით ნასახლარი, სამაროვნები, „მელითონეთია განძები”, რკინისა და ბრინჯაოს წარმოების ნაშთები და სხვა [ლორთქიფანიძე 2002: 171].

თიხის ჭურჭელი, ძირითადად, სწრაფად მბრუნავ ჩარხზეა დამზადებული, რაც მეტყველებს მასზედ, რომ ამ რეგიონში, ისევე, როგორც სრულიად კოლხეთის დაბლობზე კერამიკული წარმოება წარმოადგენდა ერთ-ერთ განვითარებულ და დაწინაურებულ დარგს.

კერამიკული მასალა გამოირჩევა ფორმების სიმრავლით და სინატიფით, ორნამენტის მრავალფეროვნებით. თიხა, როგორც წესი, ქარსისა და ტალკის მინარევებიანია, ნაპრიალები. მასალა ძალზე ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა ჭურჭლის ფორმებისა და დანიშნულების განსაზღვრა.

დანიშნულების მიხედვით კერამიკული ნაწარმი ორ ჯგუფად შეიძლება დაყოს: 1. სამეურნეო-სამზარეულო ჭურჭელი და 2. სუფრის ჭურჭელი. დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია და ჭურჭლის გამოყენების სხვა ასპექტზეც მიუთითებს.

ორივე ჯგუფის ჭურჭელი მდიდრულადაა ორნამენტირებული. გამომწვარია შავად, ლეგად, ნაცრისფრად, ჩალისფრად ან აგურისფრად. სხვადასხვა ჭურჭლის ზედაპირი, ძირითადად, მოგლუვებულია და ნაპრიალები, თუმცა გვხვდება მქისე ზედაპირიანი ცალებიც.

სუფრის ჭურჭელი მრავალფეროვანია. იგი არაპირდაპირ ასახავს იმ სამეურნეო ცვლილებებს, რომელსაც საფუძველი ამ დროს ჩაეყარა კოლხეთში. ამ სახეობის ჭურჭლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სასმისები, რომელსაც დიდი ზომის ქვევრებთან და ყურმილიან ხელადგებთან ერთად განმსაზღვრელი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. მათი სიმრავლე ნათელი მაგალითია იმისა, რომ რეგიონში ძვწ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მევე-

ნახეობა-მეღვინეობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია.

სასმისები ოთხი ტიპითაა წარმოდგენილი:

1. მაღალცილინდრული კორპუსით და კონუსური ქუსლით, ოვალურგანივეთიანი ცალი ყურით. თიხა არათანაბრადა გამომწვარი, მისი ზედაპირის ნაწილი ნაცრისფერია, ნაწილი კი ჩალისფერი. შემცულია სავარცხლისებური შტამპით დატანილი ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით. თიხა ქარსიანია (ტაბ. IV/4). პარალელები ეძენება კოლხეთის დაბლობის ზოგიერთ ძეგლზე: სიმაგრის ნამოსახლარის I და II ფენებში, ჭალადიდის საბაჟოს-მაშვას საყანე ნაკვეთში [მიქელაძე 1978: ტაბ. XXXI, სურ. 1, ტაბ. X, IX], მამულიების (ერგეტა) დიხაგუმუბას I კულტურულ ფენაში [პაპუაშვილი, პაპუაშვილი 2005: ტაბ. XVI], ურეკის სამარავნის საკულტო მოედანზე [მიქელაძე 1985: ტაბ. II, სურ. 43].

2. მაბრისებრი სასმისი (ტაბ. IV/1), ბრტყელი-ვიწრო ძირით; თიხა ქარსისა და ტალკის მინარევებიანია, გამომწვარია მოყვისფრო-მოჩალისფროდ, გარეპირი მოგლუვებულია და სუსტადა ნაპრიალები. კორპუსი შემცულია მსგავსი სასმისებისთვის დამახასიათებელი ორნამენტით-კონცენტრული დარით. მსგავსი ჭურჭელი დაფიქსირებულია კოლხეთის დაბლობის როგორც სამაროვნებზე, ასევე ნასახლარებზე: სიმაგრის ნასახლარის II კულტურულ ფენაში, ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნების საკულტო მოედნებზე, ნიგვზიანის სამაროვნის № 1 და № 12 სამარხებში, მამულიების დიხაგუმუბას I კულტურულ ფენაში [მიქელაძე 1985: ტაბ. XXXVII].

3. კასრის ფორმის სასმისი (ტაბ. IV/3), ბრტყელი ძირით, ოვალურგანივეთიანი ცალი ყურით, თიხა ქარსისა და ტალკის მინარევებიანია, რუხი ფერისაა, ზედაპირი მოგლუვებულია და კარგადა ნაპრიალები, კორპუსი კონცენტრული ღარებითაა შემცული.

4. ლარნაკისებური სასმისი, მაღალი და მსხვილი წელგამოყვანილი ფეხით, მოშავო და მოყავისფრო ნაპრიალები ზედაპირით. შემცულია კონცენტრული ღარებით, რაც დამახასიათებელი ორნამენტია ამ ტიპის ჭურჭლისთვის.

მსგავსი მასალა დადასტურებულია ნიგვზიანის, ურეკის, ერგეტას ოთხივე სამარავანზე, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში წითელი შუქურას სამაროვანზე [Микеладзе 1990: 37].

შემდეგი ჯგუფი სუფრის ჭურჭლისა წარმოდგენილია ყურმილიანი დოქების ათეულობით ფრაგმენტით. კერამიკა გამომწვარია ნაცრისფრად, შავად და აგურისფრად. ყურის ღერო ოვალურგანივეთიანია, ან ბრტყელია. ერთი მათგანის ზურგი შემცულია ირიბი მარცვლოვანი ჭდეებით. იგი კოლხური კერამიკის ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეა და იმდენად ერთგაროვანია, რომ მათი ტიპილოვიური კლასიფიკაცია არ ხერხდება. მსგავსი ჭურჭელი მხოლოდ ზომებით და განსხვავებული პროპორციებით გამოწვეული თავისებურებებით შეიძლება დაჯგუფდეს. ყურმილიანი დოქები დაფიქსირებულია აღრეული რკინის ხანის კოლხეთის ყველა ნასახლარზე, ყველა კულტურულ ფენასა და სამაროვანზე [სულავა 2014: 51].

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში მრავლადაა დაცული ამ პერიოდის დიდი და საშუალო ზომის სამეურნეო და სამზარეულო ჭურჭელი-ქვევრები, ღერგები, სხვადასხვა ფორმის ღოქები, კრატერისებრპირიანი და ზოომორფულყურიანი ქვაბ-ქოთნები და ჯამები. თიხა ქარსის და კვარცის მინარევებიანია. გამომწვარია შავად, ნაცრისფრად, აგურისფრად, ყავისფრად. უმეტესწილად ზედაპირი ნაპრიალებია. ზოომორფული ყურები ორი ტიპისაა: ერთს გადაბელილი რქის ფორმის შვერილები აქვს, მეორეს – ლილვაკისებური დანამერწი. ქვევრებისა და დერგების ყელ-პირი შემცულია თევზითხური, ბადისებრი, ტალღოვანი, გრეხილლეროვანი ორნამენტით. მრავლადაა განიერ და ვიწრო კანელურებიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც (ტაბ. V/5,6,7) [სულავა 2014: 51].

უხვადა საფეიქრო საქმესთან დაკავშირებული ნივთები-თიხის კვირისთავები. იგი ორი ტიპისაა: ქოლგისებრი თუ სოკოსებრი და უფრო აღრეული ხანისთვის დამახასიათებელი დისკოიდალური და ბორბლისებური ფორმის. გამომწვარია ნაცრისფრად, ყავისფრად და აგურისფრად; თიხა ქვიშისა და

ქარსის მინარევებიანია (ტაბ. V/1,3) [სულავა 1914: 50].

როგორც ვხედავთ, მარტვილის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული არქეოლოგიური მონაპოვრის ქრონოლოგიური ჩარჩოები ორ ათასწლეულზე მეტ პერიოდს მოიცავს<sup>2</sup> და საზოგადოების გან-ვითარების რამდენიმე ეტაპს ასახავს. ამ ტერიტორიაზე მოპოვებული ძეგლების რა-ოდენობა (ნასახლარები, კულტურული ფე-ნები, სამაროვნები), მასალის მრავალფე-როვნება, მათი მსგავსება კოლხეთის დაბ-ლობის სინქრონულ ნასახლარებსა და სამაროვნებზე მოპოვებულ მასალასთან იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ მარტვილის რეგიონი კოლხური სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო და ბრინჯაოს ხანაში ქვეყანაში ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ როლს თამაშობდა.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუ-მის კოლხური კერამიკის ექსპოზიცია, რომელიც ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური პრინციპითაა აგებული, დიდ დახმარებას გაუწევს დამწყებ არქეოლოგებს.

### ტაბულების აღწერა

- I - კერამიკა, ძვ.წ. XVIII-XVI სს.
- II - კერამიკა, ძვ.წ.XV-XII სს.
- III - კერამიკა, 1-2 - ძვ.წ.XV-XII სს.;
- 3-5 - ძვ.წ. VIII-VI სს.
- IV - კერამიკა, ძვ.წ. VIII-VI სს.
- V - კერამიკა, ძვ.წ. VIII-VI სს.

### ლიტერატურა

- გოგაძე ე. დავლიანიძე ც. 1981. გორაძირი. თბ.
- გოგაძე ე. 1982. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2002. ქველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ.
- მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის, 1973. V. თბ.
- სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვი-ლი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრა-ძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ., 2014. მარტვილის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი. ალბომი. თბილისი.
- მიქელაძე თ. 1978. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ.
- მიქელაძე თ. 1985. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ.
- პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2005. კოლ-ხეთის ძველი ნასახლარები, ერგეტა. თბ.
- ჯიბლაძე ლ. 2007. კოლხეთის დაბლობი ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე. თბ.
- Микеладзе Т. 1990. К археологии Колхида. Тб.

<sup>2</sup> სტატიაში, არ არის განხილული ანტიკური და ფეოდალური ხანის მასალა.

Nino Sulava, Erekle Koridze

**Colchian Pottery of Martvili Museum of Local Lore**

Summary


The article deals with clay ware both exhibited and preserved in funds of Martvili Museum of Local Lore.


The introductory part relates information regarding archaeological study of settlement-sites and necropolises of Martvili region (brief review of the reports of Iv. Javakhishvili History, Archeology and Ethnography West Georgia exploration and archaeological expedition and S. Janashia Georgian State Museum Nosiri-Mukhurcha and Centre for Archaeologigal Studies Samegrelo archaeological expeditions).

Major part of the materials stored in Martvili Museum funds was collected from the surface and represents either casual finds or was gathered in the process of survey. Artefacts come from various archaeological sites: Vedidkari, Naoskhapu, Kitsia, Salkhino, Kajis Namaranu, Inchkhuri, Tamakoni, Zeda Khuntsi, Nakhareba, Nalepsio, Teklati, Kurzu and others. Typological analysis of pottery and its comparative study together with ceramics from other sites of the Colchian Plain enabled us to distinguish with relative precision three following chronological groups that clay wares can be attributed to: 18<sup>th</sup> -16<sup>th</sup> cent. BC; 15<sup>th</sup> -13<sup>th</sup> cent. BC and 9<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cent. BC.


The study of archaeological material demonstrated that the Colchian pottery stored in the funds of Martvili Museum of Local Lore fits into the chronological frame of more than two thousand years and reflects a few stages of development of society. Quantity of artefacts obtained in the region of Martvili, their variety and similarity to the materials unearthed at contemporary settlement-sites and necropolises of the Colchian Plain, inevitably leads us to the conclusion that Martvili region always represented inseparable part of the Colchian world and served extremely important political and socio-economic functions in the Bronze Age.

ঁো. I







ঁো. III



გად. IV





ნინო სულავა  
კოლხური ფიბულა კურზუდან

ერთწილადი<sup>1</sup> რკალისებური ფიბულა<sup>2</sup> პრეიისტორიული არქეოლოგიური არტეფაქტებიდან ერთ-ერთი უძნიშვნელოვანები ნივთია. მის მნიშვნელოვნებას განაპირობებს ის, რომ ფიბულათა ეს ტიპი გავრცელებულია მთელ მედიტერანულ სივრცეში, აპენინის ნახევარკუნძულიდან კავკასიის ჩათვლით, შეა ევროპასა და მცირე აზიაში (Laux 1978; Kilian 1975; Betzler 1974; Sapouna-Sakellarakis 1978; Eles Masi 1986; Bader 1983; Gergova 1987; Caner 1983; Řihovský 1993; Vasić 1999; Pedde 2000; Storch 1988) და განეკუთვნება იმ არტეფაქტების კატეგორიას<sup>3</sup>, რომელთა საშუალებითაც შეიძლება დიდ სივრცეშე არსებულ არქეოლოგი-

<sup>1</sup> სტატია სათაურით - „კოლხეთი და ფიბულები“ დაიბეჭდა 2015 წელს საერთაშორისო კონფერენციის მასალებში – ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-2, ბათუმი, 2014. წინამდებარე სტატია წარმოდგენილია რედაქტირებული სახით.

<sup>2</sup> ფიბულა შეფეხბა: 1. ნემსისაგან, რომელიც განკუთვნილია ტანსაცმლის შესაკრავად; 2. ნემსისა-ჭერისაგან; 3. რკალის ანუ ფიბულის კორპუსისაგან და 4. ზმბარისაგან. ფიბულა გამოიყენებოდა ტანსაცმლის შესაკრავად და სამკულად. ფიბულა ლათინური სიტყვაა (*fibula, fibulae*) და საკინძს, შესაკრავს ნიშავს (ლათინურ-ქართული ლექსიკონი 1940; 1961; ლათинско-რусский словарь 1952; 1976; 1986). ამ ნივთის აღმნიშვნელად ლათინურ ტერმინს იყენებდა ოვ. ჯავახიშვილი: „სამოსელის შესაკრავად ჰქონიათ ღილები, ღუგმები, ფიბულები და სხვადასხვანაირი ქინძისთავები . . .“ (ჯავახიშვილი 1960: 14).

<sup>3</sup> აგრეთვე, ზოომორფულფურანი კერამიკა, სათვალისებრი ღუგმები, სპირალურბოლოებიანი სამაჯურები და საკისრე რკალები, ბრინჯაოს ვაზები, ბრინჯაოს ნაწარმზე გრავირების მეთოდის გამოყენება (სულავა 2011: 211) და ამ მეთოდით შესრულებული გამოსახულებები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა ეწ. „ფანტასტიკური“ ცხოველების გამოსახულებები, რომელთა ანალოგიურიც ევროპის მასალებშიც დასტურდება (სულავა 2010: 154-159. სულავა 2011: 187-189, სურ. 43-46. სულავა, რამიშვილი 2011: 131-144. Sulava 2013.).

ურ კულტურათა შორის უძველესი კონტაქტების, ამ კონტაქტების დროისა და სახეობის დადგენა. მკვლევართა აზრით, ყველა ეპოქაში თავისი კვალი დატოვა ფიბულაზე (ესთეტიკური, ტექნიკური, საკულტო), ამიტომ ისტორიული ქრონოლოგისათვის ფიბულებს დიდი მნიშვნელობა აქვს (Энциклопедический словарь 1902: 642, 643).

კავკასიაში ამ ტიპის ფიბულების გამოჩენამ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია<sup>4</sup>. მკვლევარები ცდილობდნენ კავკასიის ფიბულები დაეკავშირებინათ ჩრდ. იტალიისა (ე. შანტრი) და საბერძნეთის მასალებთან. უცხოულ მეცნიერთა აზრით, კავკასიის ფიბულები გამოცანა იყო; ისინი პრობლემებს ქმნიდნენ ან საიდუმლოებით იყვნენ მოცული [Sundwal 1943: 22; Bouzek 1985: 159]. მკვლევართა ნაწილი კავკასიის ფიბულათა ადგილობრივ წარმოშობას ემზრობოდა (გ. გობეჯიშვილი, ბ. ტეხოვი, ლ. სახაროვა). არ იყო ერთიანი აზრი ქრონოლოგიასთან დაკავშირებითაც (სულავა 2011: 2).

დღეისათვის, როცა ჩატარებულია კავკასიის ფიბულების ფუნდამენტური შესწავლა, შეიძლება დადგენილად ჩაითვა-

<sup>4</sup> დაინტერესება კავკასიის სიძველებით და, მათ შორის, ფიბულებითაც გაიზარდა 1869 წლიდან, ოსეთის სოფ. ყობანის აღმოჩენების შემდეგ. იქ გამოვლენილ სიძველებს არაერთი მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომი მიეძღვნა (Virchow 1881; 1883; Chantre 1882; 1885-1887; Bayern 1882; Morgan 1889; უვაროვა 1900). ყობანის სამაროვნის, რომელიც, მკვლევართა აზრით, კავკასიის არქეოლოგიისათვის ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც ევროპისათვის ჰალშტატის სამაროვანი, მასალების უდიდესი ნაწილი აღნიშნულ მეცნიერთა დაინტერესებითა და ზელშეწყობით (აგრეთვე კოლექციონერთა მცდელობითაც) სხვადასხვა ქვეწების დიდ მუზეუმებში მოხვდა (სენ-ერმენი, ლიონი, ვენა, ბერლინი, ბუდაპეშტი, ლონდონი, რომი, სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი, თბილისი, ვლადიკავკაზი, ნალჩიკი) (Крупнов 1960: 25-40. Козенкова 1996: 7-9. სულავა 2011: 3).

ლოს კავკასიის ფიბულების ტიპოლოგიის, ქრონოლოგიისა და გენეზისის საკითხები (სულავა 2011); თუმცა ახალმა აღმოჩენებმა და ახალმა კვლევებმა შეიძლება გარკვეული კორექტივები შეიტანოს, რაც არქეოლოგიური მეცნიერებისათვის სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია.

კავკასიაში ერთწილადი რკალისებური ფიბულების აღმოჩენები<sup>5</sup> ემთხვევა კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალს, რომელიც საქართველოს დასავლეთ ნაწილს მოიცავდა, თავისი ლოკალური კერძითა და ინფილტრაციის ზონებით და აღმოცენებული იყო მძლავრ მეტალურგიულ ბაზაზე (სულავა 2013: 64. Sulava, Chagelishvili, Kalandadze, Beridze 2013).

კოლხეთში, სოფ. კურზუში (მარტვილის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი ფიბულა, რომელიც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია ექსპონირებული, ძველ კოლხეთში აღმოჩენილი ფიბულების ერთერთი საუკეთესო, კარგად დაცული ნიმუშია (სულავა 2014: 40).

დადგენილია, რომ კოლხეთში გავრცელებული ადრეული ფიბულები დაბალრკალიანი იყო. ერთ-ერთი ამგვარი ფიბულა (სურ. I), გრეხილი რკალით, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიცაა დაცული, რომელიც აღმოჩენილია შემთხვევით მუხურჩის (პეტრეს ნაკარუ) სამაროვანზე (ელიავა გივი 1987: 57. სულავა 2011: 84-87. სულავა 2014: 41)<sup>6</sup>.

გრეხილრკალიანი ფიბულები ყველაზე გავრცელებული ტიპია მთელ იმ სამყაროში, სადაც ფიბულები არსებობენ. როგორც უცხოური მასალებიდან ვიცით, დაბალრკალიანი, გრეხილლეროიანი (კავკასიის მასალების მიხედვით I 3 ქვეტიპი) ფიბულები გავრცელებულია ზოგადად ძვწ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედ-

<sup>5</sup> დღევანდელი მონაცემებით კავკასიაში აღმოჩენილი ათასმდე ფიბულიდან 80% საქართველოს ტერიტორიიდანაა ცნობილი (სულავა 2011: 224).

<sup>6</sup> ამ ადგილას შემდგომში გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპონატი. იხ. აქვე - გვ. 101-110.

ში (სულავა 2011: 86; იხ.: იქვე, მით. ლიტ.). აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ამავე დროს უნდა გამოჩენილიყონ ისინი კავკასიაში ეგეოსიდან საზღვაო გზით განხორციელებული კონტაქტების შედეგად (Куфтин 1944: 316. სულავა 2011: 209). დოკუმენტურად დადასტურება იმისა, რომ საზღვაო კონტაქტები არ იყო ცალმხრივი და მას ორმხრივი ხასიათიც შეიძლება ჰქონოდა, მნელია. მაგრამ ფაქტია, რომ ბულგარეთიდან ცნობილია კავკასიურის ანალოგიური თევზითხურით რკალშემკული ფიბულა (Георгиева 1993: 14, კატ. 2), ხოლო კუნძულ სამოსზე დადასტურებულია კავკასიური წარმოშობის ნივთების (აბზინდები, ზარაკები, ქანდაკებები) აღმოჩენა (Jantzen 1972: 80-85, ტაბ. 79-82. მიკელაძე 1990: 65, ტაბ. XXXVI; ლორთქიფანიძე 2002: 189, 190, სურ. 165. სულავა 2011: 211).

ევროპისაგან განსხვავებით, სადაც გვაქვს რკალისებური ფიბულების წინამორბედი ტიპები (შუა ევროპაში – ორწილადი ხემისებური, მედიტერანულ სივრცეში – ერთწილადი ხემისებური ფიბულები), კავკასიაში, უპირველეს ყოვლისა, კოლხეთში, ფიბულები ერთბაშად გაჩნდნენ. უფრო სწორედ, შემოვიდა თუ არა კავკასიაში ერთწილადი რკალისებური ფიბულების იდეა, ძალიან მალევე დაიწყო მასობრივად მათი ადგილობრივი წარმოება.

სწორედ ამ პროცესის ამსახველია კურზუს ფიბულა (სურ. II), რომელიც უკვე აღარაა ისეთი დაბალრკალიანი, როგორც ძვწ. VIII-VII სს-ის კოლხური სამაროვნების ფიბულებია (როგორიცაა მუხურჩის გრეხილრკალიანი ფიბულა). იგი მიეკუთვნება ძვწ. VII-VI სს-ის, ძირითადად დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან ცნობილ, რომბისებურ რკალიან ფიბულებს (სულავა 2011: 118-123).

კურზუს ფიბულა მაღალრკალიანია, რკალი რომბულგანივებეთიანია და შემკულია სიგრძივ მიმართული წიწვისებური გრავირებით, ფეხი (ბუდე) - გაგანიერებუ-

ლია. კურზუს ფიბულის დამატებითი შემცულობაა ბრინჯაოს ჯაჭვის საკიდი, რომელიც წამოცმულია ფიბულის ნემსზე. ჯაჭვზე გარკვეული ინტერვალებით, ჯაჭვისვე მცირე ფრაგმენტებზე, ჩამოკიდებულია 6 სათვალისებური საკიდი.

ჯაჭვებითა და სხვა სახის საკიდებით შემცული ფიბულები კავკასიის მასალებიდან ცნობილია ლუგოვიდან (სულავა 2011: ტაბ. 43, კატ. 505) ქსნის ხეობიდან (სულავა 2011: ტაბ. 45, კატ. 545), ყობანიდან (სულავა 2011: ტაბ. 59, კატ. 702).

ჩვენთვის კურზუს ფიბულის საგანგებოდ შესწავლის საფუძველი გახდა რამდენიმე მომენტი: უპირველეს ყოვლისა, კურზუს ფიბულა, აერთიანებს უძველესი კონტაქტების ამსახველ ორ კომპონენტს, ორ ნივთს - თვითონ ფიბულას და საკიდებს, რომლებიც სათვალისებრი დუგმების სახითაა წარმოდგენილი; კურზუს ფიბულის რკალის ზედაპირი შემცულია გრავირებული სახით. კურზუს ფიბულა, მიუხდებად იმისა, რომ შემთხვევითი მონაპოვარია, აღმოჩენილია კურზუშივე ასევე, შემთხვევით აღმოჩენილ ისეთი არქეოლოგიური არტეფაქტების გარემოცვაში, როგორიცაა - კოლხური ცულები, სატევრები, საკინძები, სასაფეთქლე ხვიები, მილისებური ხვიები და დუგმები. კურზუს ფიბულა სამარხეული წარმოშობის უნდა იყოს, და სავარაუდოდ, კოლხური ტიპის სამაროვნიდან (როგორიცაა - ურეკი, ნიგვზიანი, ერგეტა, დღვაბა, პალური, მუხურჩა-პეტრეს ნაკარუ, ცაიში), რომელთა ქრონოლოგიაც ძვ.წ. VIII-VI სეით განისაზღვრება (მიქელაძე 1985: 90, 91. მიკელაძე 1982: 34. ბარამიძე 1977: 29, 30. გოგაძე 1977: 60-64. გოგაძე 1978: 53-55. გოგაძე 1984: 29. პაპუაშვილი, ესებუა 2002).

ამგვარად, კურზუს ფიბულა კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ადრეული კონტაქტებისა, რომელიც არსებობდა კოლხეთსა და ევროპის რეგიონებს შორის, საქართველო (და კავკასია) კი ნაწილი იყო იმ უზარმაზარი სივრცისა, რომელშიც ფიბუ-

ლის „იდეა“ ტრიალებდა. ამ სივრცეში მცხოვრები უძველესი ხალხების ურთიერთობის, კონტაქტების შედეგად ხდებოდა მსგავსი ან შედარებით სახეცვლილი არქეოლოგიური არტეფაქტების გავრცელება, რისი ერთ-ერთი უტყუარი საბუთიცაა ფიბულა, რომელიც კოლხური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დამახასიათებელი კომპონენტი გახდა.

### ლიტერატურა

**ბარამიძე მ.** 1977. მერხეულის სამაროვანი. თბილისი.

**ელიავა გ.** 1987. პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა. თბილისი.

**ლათინურ-ქართული ლექსიკონი** 1940. შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**ლათინურ-ქართული ლექსიკონი** 1961. შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ.** 2002. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

**სულავა ნ., აღაძეშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელავა თ., კალანდია თ., 2014. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ალბორი. თბილისი.**

**მიქელაძე თ.** 1985. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. კაეშ II. თბილისი.

**პაპუაშვილი რ., ესებუა თ.** 2002. ცაიშის სამაროვანი. მიებანი. № 9. თბილისი.

**სულავა ნ. 2010.** ბრინჯაოს ნივთებზე „ფანტასტიკური“ ცხოველების გამოსახულებების გავრცელების შესახებ. მიებანი № 19.

**სულავა ნ. 2011.** კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი). თბილისი.

**სულავა ნ., რამიშვილი ქ.** 2011. კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს ნაწარმზე

„ფანტასტიკური” ცხოველის გამოსახულების ქრონოლოგიასათვის. იბერია-კოლხეთი № 7.

**ჯავახიშვილი ივ.** 1960. თბილისი. ქართველი ერის ისტორია. თბილისი.

**Гогадзе Э. М. 1984.** К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. სსმ. გ. XXXVII-B. თბილისი.

**Гогадзе Э. М., Панцхава Л. Н., Дариспанашвили М. В. 1977.** Работы Носири-Мухурчской археологической экспедиции. სსმ. გ. V. თბილისი.

**Гогадзе Э. М., Панцхава Л. Н., Дариспанашвили М. В., Коридзе И. Д. 1978.** Результаты работ Носири-Мухурчской экспедиции за 1976-1977 гг. სსმ. გ. VI. თბილისი.

**Козенкова В. И. 1996.** Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке. Москва.

**Крупнов Е. И. 1960.** Древняя история Северного Кавказа. Москва.

**Куфтин Б. А. 1944.** К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. სსმ. გ. XII-B. თბილისი.

**Латинско-русский словарь 1952.** сост. А. М. Малинин. Москва.

**Латинско-русский словарь,** сост. И. Х. Дворецкий. Москва.

**Латинско-русский словарь 1986.** сост. И. Х. Дворецкий. Москва.

**Микеладзе Т. 1982.** Основные результаты полевых исследований Колхидской археологической экспедиции. ПАИ в 1980 г. Тбилиси.

**Микеладзе Т. 1990.** К археологии Колхиды. Тбилиси.

**УвароваП. С. 1900.** Могильники Северного Кавказа. МАК. т. VIII. СПб.

**Энциклопедический словарь 1902.** изд. Ф. А. Брокгауз и И. А. Ефрон. т. XXXVA. СПб.

**Хаников Н. В., Савельев П. А. 1856.** Древности, найденные на Кавказе. ЗРАО. IX. вып. 1. СПб.

**Bader T. 1983.** Die Fibeln in Rumänien. PBF. XIV. 6. München.

**Bayern Fr. 1882.** Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus und seine vorhistorische Verhältnisse. Verhandlungen der AG. Berlin.

**Betzler P. 1974.** Die Fibeln in Süddeutschland, Österreich und der Schweiz I (Urnenfelderzeitliche Typen). PBF. XIV. 3. München.

**Bouzek J. 1985.** The Aegean, Anatolia and Europe: Cultural interrelations in the Second Millennium B. C. Praha.

**Caner E. 1983.** Fibeln in Anatolien I. PBF. XIV. 8. München.

**Chantre E. 1882.** La nécropole de Koban en Ossetie (Caucase), Matériaux pour l'histoire primitive de l'homme. Toulouse.

**Chantre E. 1885-1887.** Recherches anthropologiques dans le Caucase, vol. I-IV. Paris-Lyon.

**Eles Masi von P. 1986.** Le fibule dell'Italia settentrionale. PBF. XIV. 5. München.

**Георгиева М. 1993.** Фибули от старожелезната епоха във Варненския археологически музей. Известия. 29 (44). Варна.

**Gergova D. 1987.** Früh- und ältereisenzeitliche Fibeln in Bulgarien. PBF. XIV. 7. München.

**Jantzen U. 1972.** Die ägyptische und orientalische Bronzen aus dem Heraion von Samos. Samos VIII.

**Kilian K. 1975.** Fibeln in Thessalien von der mykenischen bis zur archaischen Zeit. PBF. XIV. 2. München.

**Laux F. 1978.** Die Fibeln in Niedersachsen. PBF. XIV. München.

**Morgan J. de. 1889.** Mission scientifique en Caucase I. Paris.

**Pedde F. 2000.** Vorderasiatische Fibeln von der Levante bis Iran. ADOG. Band 24. Saarbrücken.

**Rihovský I. 1993.** Die Fibeln in Mähren. PBF. XIV. 9. Stuttgart.

**Sapouna-Sakellarakis E. 1978.** Die Fibeln der griechischen Inseln. PBF. XIV. 4. München.

- Storch I. I. de Gracia y Asensio 1988.** La Fibula en la Hispanis antiqua: El Suroeste Peninsular. Madrid.
- Sulava N. 2013.** On the diffusion representations of „fantastic” animals on bronze items (Old Colchis and Europe: research perspective). Archaeological Heritage – its Role in Education, Presentation and Popularisation of Science. Bbelgrad.
- Sulava N., Chagelishvili R., Kalandadze N., Beridze T. 2013.** Newly discovered monuments of the Ancient Iron Metallurgy: Research Perspective and Expected Outcomes. The 12<sup>th</sup> International Congress of Tracology. Targoviste (Romania).
- Sundwall J. 1943.** Die ältesten italischen Fibeln. Berlin.
- Vasić R. 1999.** Die Fibeln im Zentralbalkan. PBF. XIV. 12. Stuttgart.
- Virchow R. 1881.** Kaukasische Prähistorie. VBAG. Berlin.
- Virchow R. 1883.** Das Gräberfeld von Koban in Lande der Osseten. Berlin.

### სურათების აღწერილობა

სურ. I – ფიბულა მუხურჩიდან (პეტრეს ნაკარუ)

სურ. II – ფიბულა კურზუდან

Nino Sulava

### Colchian fibulae from Kurzu


Summary

Georgia belongs to the regions where arched fibulae are spread. Fibulae represent artefacts which reflect ancient Mediterranean contacts.


80% of hundreds of fibulae from Caucasia are found on the territory of Georgia. They are characteristic elements of monuments of Colchian culture.

A fibula from the village of Kurzu, kept in the Martvili Museum of Local Lore, represents one of the best pieces of this sort. Together with some other materials (such as, pottery with zoomorphous handles, spectacle-like hooks, bracelets and torques with spiral finials, bronze vases) and engraved ornaments on bronze items, this fibula attests to the early contacts of Colchis with European regions and to the fact that Georgia (and Caucasia, in general) was a part of the vast area, where an „idea” of fibula circulated. As a result of contacts between ancient peoples analogous and somewhat changed artefacts were spread. This is testified by fibulae which became one of the most important and characteristic components of the Colchian culture.

I



II



## ქეთევან რამიშვილი კოლხური ცულები მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან

გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც 1957 წელს დაარსა მხარეთმცოდნემ და ისტორიკოსმა გივი ელიავამ, დაცულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური თუ პალეონტოლოგიური კოლექციები.

არქეოლოგიურ კოლექციაში თავმოყრილია სხვადასხვა დროის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ექსპონატები, რომელებიც მოპოვებულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სადაზვერვო ექსპედიციების მიერ ან შემთხვევითაა აღმოჩენილი.

არქეოლოგიური კოლექციებიდან მეტად საინტერესოა კოლხური კულტურის ბრინჯაოს ნივთები, რომელთა მრავალფეროვნება და სიუხვე ნათლად გვიჩვენებენ მარტვილის მხარის (ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ნაწილის) მძლავრ ჩართულობას ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მეტალურგიული წარმოებისა თუ მხარტვრული მელითონეობის განვითარების პროცესებში. როგორც არტეფაქტები გვიჩვენებენ, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩათვლით აქ ყვავის პროტოკოლხური კულტურის წიაღში აღმოცენებული კოლხური ბრინჯაოს კულტურა ყველა თავისი გამსაზღვრელი ნიშნით. მუზეუმის ექსპოზიციაზე წარმოდგენილია: მაღნის, წიდების, ნაღვენთების, საქმენი მიღებისა და ლითონის სადნობი ქურების შელესილობის ფრაგმენტების მრავალრიცხოვანი ნიმუში, ბრინჯაოს ზოდები, ლითონის საომარი და სამეურნეო იარაღი, კოლხური ცულები, მინიატურული ბრინჯაოს ქანდაკებები, სამკაული, ტანსაცმლის აქსესუარები და სხვა, რაც წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთში (მარტვილის მხარეში) არა მარტო მელითონეობის განვითარების მასშტაბზე, არამედ მათი მეურნეობის მრავალფეროვნებასა და ინტენსიურობაზე, რწმენა-წარმოდგენებზე, ესთეტიკურ ნორმებზე [სულავა 2014: 30].

აღსანიშნავია, რომ მარტვილის მუზეუმის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის

მასალებში დაცულია კოლხური ცულების საქმაოდ მნიშვნელოვანი კოლექცია (18 ცალი), რომელთა შორის უმეტესი ტანშვეტილია, არის მახვილი და ჩაქუჩისებურ ფუიანი ცულებიც, ერთი ცული ტანში ორგზის მოხრილია [სულავა 2014: 32-33]. თითქმის ყველა მათგანი შეუმკობელია ან მცირედაა გაფორმებული გეომეტრიული სახეებით.

მუზეუმში გამოფენილი კოლხური ცულების კოლექციიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამი ცული, რომელთაგან ერთი - უხვადა შემკული როგორც ცხოველსახოვანი ფიგურებით, ასევე გეომეტრიული ორნამენტით [სულავა 2014: 33], ხოლო დანარჩენი ორი გაფორმებულია მხოლოდ გეომეტრიული სახეებით [სულავა 2014: 32, 33].

კოლხური ცული გვიანდელი ბრინჯაოსა და რკინის ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნივთია, რომელსაც დაწახნაგებული ტანი, ბრტყელი პირი და წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი აქვს. კოლხური ცული წარმოადგენდა უნივერსალურ იარაღს, რომელთაგან სადა, შეუმკობელ ცულებს იყენებდნენ როგორც სამეურნეო ცხოვრებაში, ისე საომრად, ხოლო გრაფიკული დეკორით შემკულებს კი საკულტო დანიშნულება ჰქონდათ და რიტუალური პროცესიების დროს გამოიყენებოდა [ლორთქიფანიძე 2001: 178-194]. კოლხური ცულების გრაფიკულ დეკორში კარგად არის ასახული იმდროინდელი საზოგადოების უძველესი რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენები.

გრავირებული კოლხური ცულები ბრინჯაოს ხანის სხვა ნივთებთან ერთად პირველად 1869 წელს ჩრდილოეთ ოსეთის ერთ-ერთ სოფელ ყობანში შემთხვევით იქნა მიკვლეული და აღმოჩენის ადგილის მიხედვით ყობანური ცული ეწოდა, ხოლო შესაბამის კულტურას – ყობანური კულტურა. შემდგომ წლებში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტე-


რიტორიაზე აღმოჩნდა კოლხური ცულის ყველა ფორმა (მათ შორის ყობანში და-დასტურებული ცულის ვარიანტიც), რომ-ლებიც რაოდენობრივად მკვეთრად მეტი იყო ყობანში აღმოჩნდნ ცალებზე. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ლითონ-წარმოების უძველესი ტრადიციის არსე-ბობის პირობებში, კოლხური ცულებისა და კოლხური კულტურისათვის დამახასიათე-ბელი სხვადასხვა ნივთის ჩამოსახემელი ყალიბების უმეტესობა საქართველოს ტე-რიტორიაზე იქნა აღმოჩნდნ ი, მაგალითად: თაგილონი, თელოვანი, ცხირო-გალი, ყუ-ლევი, ერგეტა, ნიგვზანი, ჭალადიდი, ლეჩხუმი, ჭუბერი, მიტარბა და სხვ. [სახაროვა, სულავა 2012: 88-96]. ზემო-თქმულის საფუძველზე გასულ საუკუნეში ცულს კოლხური ეწოდა და დადგინდა, რომ კოლხური ცულის სამშობლო სა-ქართველოა [ჯაფარიძე 1950; ქორიძე 1965; მიქელაძე თ. 1974; სახაროვა 2003; სულავა 2003: სახაროვა, სულავა 2012; 31-34. ივაშენკო 1941. კუჭინ 1944]. ვფიქრობთ, რომ მარტვილის ცულებიც ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს.

კოლხური ცულების შემკულობის უმ-თავრესი დამახასიათებელი ნიშანია ცხო-ველთა და გეომეტრიულ სახეთა ერთო-ბლივი ჩვენებაა. ცხოველთა სამყაროდან გამოისახება ირემი, ძალი, ცხნი, გველი, ბაყაყი, ფრინველი, „ფანტასტიკური” ცხო-ველი. ამ გამოისახულებების უმეტესობას ფონს უქმნის ასევე გრაფიკულად შესრუ-ლებული გეომეტრიული ორნამენტი (სვას-ტიკა, მეანდრი, ჯვარი, ვარსკვლავი და სხვ.), რაც კომპოზიციას მეტად გამომსა-ხველს ხდის და დეკორატიულ ხასიათს ანიჭებს.

კოლხური ცულის ტიპოლოგიურ კლასი-ფიკციას მრავალი მკვლევარი შეეხო (რ. ვი-რხოვი, ე. შანტრი, პ. უვაროვა, ფ. ჰანჩარი, ო. ჯაფარიძე, ე. კრუპნოვი, დ. ქორიძე, ბ. ტე-ხოვი, ლ. სახაროვა). მათ შორის ყველაზე სრულყოფილად მივიჩნიეთ ლ. სახაროვას მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია [სა-ხაროვა 1998: 34-42], რომლის მიხედვი-თაც მარტვილის მუზეუმში გამოფენილი ერთადერთი ცული, რომელიც ცხოველ-სახოვანი ფიგურებითა და გეომეტრიული

ორნამენტით ერთობლივადაა შემკული, - I ტიპისაა.

ცული დამზადებულია ბრინჯაოსაგან, ტანტვეტილია, ტარი დაწახნაგებული, სა-ტარე ხერელი წვეტიან-ოვალური, ხოლო ფართე პირი ოდნავ ასიმეტრიული აქვს (სურ. 1). ყუა იმდენად დაზიანებულია, რომ



სურ. 1

მისი ფორმის ზუსტად დადგენა შეუძლე-ბელი ხდება, თუმცა, საფიქრებელია, რომ იგი ყუამახვილი იქნებოდა. ცულის პირი და ტანი საკმაოდ უხვადა შემკული გრა-ფიკულად შესრულებული ცხოველების გა-მოსახულებებითა და გეომეტრიული ორნა-მენტით. კომპოზიციის მთავარი ნაწილი წარმოდგენილია ცულის პირზე (ორივე მხრიდან), რომელზეც გამოსახულია საკმა-ოდ ნატურალისტურად შესრულებული ძალლის სამი ფიგურა პროფილში, თავით წინ. კომპოზიცია სამკუთხედზეა აგებული - წყვილი ძალლის გამოსახულება მოთავსე-ბულია ცულის ლოფაზე, პორიზონტალუ-რად, ერთმანეთის პირისპირ, ხოლო მესამე - მათ ზევით, ვერტიკალურადაა მოცემული. იგი ტოვებს ლოფის არეს და თავით ცულის სარტყელს, ხოლო დრუნჩით კაჩის წიბურს ეხება. თითოეული ძალლი პირდა-ლებული და ყურებდაცქეტილია. აქვთ გრძელი, ბოლოში აპრეხილი კუდები, სამ-კუთხა მოყვანილობის თათები და მოგრძო ტორსი, რომელიც ზოგ შემთხვევაში და-წინწკლულია. აღსანიშნავია, რომ ცულის ლოფაზე გამოსხულ წყვილ ძალლს შორის

ერთს, უფრო მოზრდილსა და ტანდაწინწკლულს (საფიქრებელია მამრს), უკან ორი ხოლო წინ ერთი ფეხი აქვს, მაშინ, როცა მეორე ტანდაუწინწკლავ, მომცრო (მდედრ) ძაღლს – პირიქით. იქმნება გარკვეული რიტმი – ორი ფეხისა და ერთის მონაცემებია, რაც, ჩვენი მოსაზრებით, განპირობებულია ერთი მხრივ, კომპოზიციის განტვირთვის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, დეკორატიულობის გასაძლიერებლად. საინტერესოა, რომ თუ ცულის ერთ მხარეს, ლოფაზე გამოსახულ წყვილ ძაღლს დრუნჩები ერთმანეთთან ძალიან ახლოს აქვთ მიტანილი, მეორე მხარეს უკვე მკვეთრად მიბჯენილი აქვთ და მათი კავშირი, დამატებით, პატარა პორიზონტალური ხაზით არის აქცენტირებული. აღნიშნული კომპოზიციური სქემა შეინიშნება ვერტიკალურად გადმოცემულ ძაღლის ფიგურებშიც. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით, მათ მხოლოდ ორი ფეხი აქვთ, ცულის პირის ცალ მხარეს წყვილი ძაღლის ზემოთ ვერტიკალურად მოთავსებულ ტანდაუწინწკლავი მდედრი და პირის მეორე მხარეს – ტანდაწინწკლული მამრი ძაღლები პირით კაჩის წიბურს ეხებიან და დრუნჩები ერთმანეთისკენ აქვთ მიმართული, რაც კარგად ჩანს ნახატის ვერტიკალურ ჭრილში წარმოდგენისას და შეეხებოდნენ კიდეც ერთმანეთს რომ არ აშორებდეთ კაჩის ორი წახნაგი, რომლებზეც ერთმანეთის პარალელურად თევზების თითო-თითო გამოსახულებაა დატანილი. რაც შეეხება ცულის შუბლის წახნაგებს ისინი ცულის მთელ სიგრძეზე შექმულია ტალღისებურად მოდელირებული ტანდაწინწკლული და დაუწინწკლავი გველების ექვსი გამოსახულებით, რომლებსაც ისრისებური თავები ზევით, ცულის ყუისკენ აქვთ მიმართული. აღსანიშნავია, რომ გველის გამოსახულებები ცულის ამ ნაწილში არღვევენ ცულის სარტყელს, რომელიც საკმაოდ მკვეთრადაა შემოსალტული ცულის დანარჩენ, ყველაზე იწრო ადგილას. სარტყელი ზემოდან და ქვემოდან შემოსაზღვრულია ორი პარალელური ხაზისაგან შედგენილი ზოლებით, რომელთა შორის არე სამრიგად შევსებულია მცირე წრეებით. ასეთივე წრეები გამოსახულია სატარე ხვრელის გარშემო ორივე მხრიდან.

ცულზე გამოსახული კომპოზიცია მთლიანია დეპორატული ხასიათისა და შესრულებულია ნატურალისტურ-ხაზობრივად. ძაღლის ფიგურები პროპორციულია, სხეულის დეფორმაცია არ შეინიშნება. მიუხედავად ძაღლიან მცირე სტილიზაციისა, რომელიც ოდნავ უტრი-რებული თავისა და განსაკუთრებით ფართოდ დაღებული პირისა თუ დაღრენილი დრუნჩის მოდელირებაში შეინიშნება, რაც თავის მხრივ ექსპრესიულობას აძლიერებს, ცხოველის გამოსახულებები სავსებით რეალისტურ შთაბეჭდილებას ახდენს. ძაღლების ფიგურების სილუეტის გარშემომწერი ხაზი საკმაოდ მოქნილი დინამიკური და გამოსახველია. ამასთან, კომპოზიცია სათანადოდ არის შეხამებული ცულის ფორმასთან. ძაღლების მომრგვალებული თეძო და უკანა ფეხები, ასევე ზემოთ ახრილი კუდები, სათანადოდ მიუყვება და იმეორებს ცულის პირის მოხაზულობას. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ლოფაზე გამოსახული ძაღლთა სამეული, რომელიც კომპოზიციურ სამკუთხედს ქმნის, მთლიანად ვერ ავსებს ცულის ლოფას, ოდნავ ზევით არის წანაცვლებული და მომგებიანად ერწყმის არა მომრგვალებულ, არამედ სამკუთხა სასურათე არეს, რომელიც ცულის ლოფასა და სარტყელს შორის იქმნება. სათანადოდ არის შეხამებული მთლიან კომპოზიციასთან ძაღლების სამკუთხა მოყვანილობის თაოებიც. ნახატის დინამიკურობასა და დეკორატიულობას კიდევ უფრო აძლიერებენ დაკლაკნილი და ზეაღმავალი, მოძრავი გველები, რომელთა თავისუფალი ზესვლა არ არის შეფერხებული ცულის იმ ნაწილში სარტყელის არსებობით. მკვეთრად და მოხდენილად არის გრავირებული ზოლებად დაწინწკლული თევზების გამოსახულებები, რომლებიც თავებით ცულის წელისკენ არიან მიმართული, მათი გადაადგილება შეჩერებულია ცულის სარტყელით, ამიტომ სარტყელზედა არეზე მათი გამოსახულებები აღარ შეინიშნება. კომპოზიციის დინამიკას კიდევ უფრო აძლიერებს მცირე წრეები, რომელიც არა მარტო ცულის სარტყელს ავსებენ, არამედ სატარე ხვრელის

ლსაც შემოუყვება გარშემო და ასევე, სარტყელზედა მთელს არეზეა მიმობნეული.

კოლხური ბრინჯაოს შემჯელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს (ირემთან, ცხენთან, გველთან, თევზთან, ფრინველთან და „ფანტასტიკურ“ ცხოველთან ერთად) წარმოადგენს ძალლის გამოსახულება. სამუცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მრავალი ხალხის ტრადიციაში, ასევე კავკასიელი ხალხებისა და მათ შორის ქართველური ტომების უძველეს რელიგიურ შეხედულებებსა და რწმენა-წარმოდგენებში ძალლი და მგელი ერთ სახეში ერთიანდება [აბაკელია 1997: 56-57]. ერთ-ერთი უძველესი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მგელსა თუ მგელ-ძალლზე საუბრის საშუალებას იძლევა, არის თრიალეთის თასი, ვერცხლის ორფრიზიანი ნაკეთობა, ძვ.წ. II ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ოქრომჭედლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში. ამ უნიკალურ არქეოლოგიურ ძეგლს მრავალი მკვლევარი შეეხო და მათ შორის უმრავლესობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ტახტზე აღზევებული ფიგურისაკენ დაბრული პროცესია ნიღბოსნებისა, რომლებიც მგლის კუდებით არიან შემკული, ასახავს საკულტო რიტუალს, რომლის მსგავსი რამ არაერთ ხეთურ წერილობით წყაროშიც დასტურდება [ბერიაშვილი, სხირტლაძე 1984: 133-153]. ხეთურ-ხურიტულ სამყაროში სხვადასხვა რელიგიურ რიტუალებში მართლაც მონაწილეობდნენ ადამიანები, რომლებიც ცხოველის ატრიბუტებს ატარებდნენ. მაგალითად, „ძალლის“, „მგლის“, „ლომისა“ და სხვა ცხოველთა თაყვანისმცემელი ადამიანები, ანუ ამ ცხოველთა „ხალხი“. მკვლევარები სწორედ „მგლის ხალხად“ მიიჩნევენ თრიალეთის თასზე გამოსახულ ადამიანებს [ბერიაშვილი, სხირტლაძე 1984: 139].

ძალლისა თუ მგლის ბრინჯაოს ფიგურები აღმოჩენილია შილდის სამლოცველოზეც [მაისურაძე, ფანცხავა 1984: 18, 19, ტაბ. XXIV/6-10, 18; ტაბ. XXV/2-7; ტაბ. XXVI/4,5], სადაც ხატისთვის დამზადებულ შესაწირავ ძალლის ფიგურებს შორის აშკარად გამოირჩევა ამ ცხოველის რამდენიმე ჯიში. შილდის მასალებში

ძალლის ფიგურათა სიმრავლე, მაგალითად, ვერბის ქანდაკებებთან შედარებით შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულისთვის, ალაზნის აუზში სამომთაბარო მეცხვარეობის შედარებით მოკრძალებულ ხვედრით წონასა და მონადირეობის, როგორც მეურნეობის ძალლის ერთ-ერთი დარგის მეტად განვითარებაზე უნდა მოუთოებდეს. გარდა იმისა, რომ ძალლისა და მგლის სიმბოლოები კულტმსახურებაში ფართოდ გამოიყენებოდა, ძალლის (მგელ-ძალლის) როლი კიდევ უფრო გაიზარდა გვიანდრინჯაოს ხანაში, სამომთაბარო მეცხვარეობის მზარდ განვითარებასთან ერთად, როცა მწყემსის მარჯვენა ხელი სწორედ ძალლი გახდა [რამიშვილი 2007].

ადამიანის სამსახურში მყოფ ცხოველებს შორის ძალლი ერთ-ერთი უძველეს-თაგანია. სავარაუდოდ, ადამიანმა ეს ცხოველი დაიახლოვა საზოგადოების განვითარების იმ ეტეპზე, როდესაც ჯერ მონადირეობა და შემდგომ მესაქონლეობაც უძაგვრეს საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ამ ფაქტორებმა ხელი შეუწყო ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში ძალლისა თუ მგელ-ძალლის სახის უფრო მყარად დამკვიდრებას. ზოგი მკვლევარის მოსაზრებით, ნადირობისა და ცხოველთა გამრავლების ღვთაების ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოს ძალლი წარმოადგენდა [ვირსალაძე 1964]. სხვა მოსაზრებით, ყოველ ასტრალურ ღვთაებას თავისი დამხმარე, ნებასურვილის აღმსრულებელი არსება ჰყავდა. მაგალითად, ძორიგე ღმერთის და მზექალის დამხმარე მგელი იყო, სხვა ღვთაებათა დამხმარებად გველი და ძალლი გველინება [Бардавелиძე 1957: 45]. ბ. კუფტინის მოსაზრებით, მგელ-ძალლი იგივე „გვერი“ იქონივრაფიულად და მითო-რიტუალურადაც მჭიდროდ არის დაკავშირებული გველთან და ქვესნელის ერთმანეთის მონაცვლე არსებებად გვევლინება. თუ მისი გამოსახულებები ხშირად ერთად გამოისახება კოლხური კულტურის იმ ნივთებზე, რომლებსაც მიცვალებულს ატანდენ [Куфтин 1949: 195]. ამავე დროს, ბრინჯაოს მთელ რიგ ნივთებზე გამოსახულ სიუჟეტებზე ძალლი მოცემულია, როგორც სამიწათმოქმედო ღვთაება, რომე

ლსაც უხვი მოსავლისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მაგიური უნარი გააჩნია. აღსანიშნავია, რომ დაწინაურებული ძალები სამკუთხა ორნამენტის (წვიმის ნიშანი) თანხლებით ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლება [Урушадзе 1988: 51]. სამიწათმოქმედო თემატიკასთან ასევე მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული თევზის გამოსახულებაც, რომელიც სემანტიკურად გადაბმულია მარცვლის გამანაყოფიერებელ ფუნქციასთან. თევზის კულტი დაკავშირებულია აგრეთვე გამრავლების, უშვილობის განკურნებასთანაც. თევზის გამოსახულებები წმირად წყლის სტიქის სხვა, მსგავსი ფუნქციის არსებობისან - გველებთან ერთად გადმოიცემა [Урушадзе 1988: 52]. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ მარტვილის მუზეუმში დაცულ ცულზე გრავირებული ძალები თევზებისა და გველების თანხლებით, შესაძლოა, ნადირობისა და ცხოველთა გამრავლების, ნაყოფიერების ღვთაების ერთ-ერთ ინკარნაციას განასახიერებდნენ.

კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე გამოსახულ სტილიზებულ ძალებსა და ძალისებურ ცხოველებს მეცნიერები წმირად „ფანტასტიკურს“ უწოდებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული „ფანტასტიკური“ ცხოველის რაობის შესახებ. პ. უვაროვა კოლხურ ცულებზე გამოსახულ ცხოველებში დრაკონს, ან „ფანტასტიკურ“ ცხოველს, მგელს, ან ვეფხვს ხედავს [Уварова 1900: 67]; ი. მეშჩანინვის აზრით, ყობანურ ცულებზე გრავირებული „ფანტასტიკური“ ცხოველები მგელ-ძალებია, რომლებიც იძრთა ტოტებს განასახიერებენ [Мещанинов 1925: 250]; შ. ამირანაშვილის მოსაზრებით კი, ეს ცხოველი მგელი, ან ძალია და კოლხური ტომების ტოტებს წარმოადგენს [Амиранашвили 1950: 42-43]; ა. მილერი მიიჩნევდა, რომ ცულებზე გამოსახული „ფანტასტიკური“ ცხოველი უეჭველად ძალი, მგელ-ძალი, ან გარეული ძალია [Миллер 1922: 316-318]; ელ. ვირსალაძე ამ ცხოველებს ქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილ მითიურ ძალს - ყურშას უკავშირებს [ვირსალაძე 1964: 72, 97]; ვ. ბარდაველიძე კოლხურ

ცულებზე გამოსახულ „ფანტასტიკურ“ ცხოველთა უმრავლესობას ძალებიად მიიჩნევს [Бардавелидзе 1957: 29-30, 47-53]; ასევე ლ. ფანცხავა ამგვარ გამოსახულებებს ძალებს უწოდებს [ფანცხავა 1988: 27, 48]. როგორც ვხედავთ, მკვლევართა უმრავლესობა კოლხურ ცულებზე გრავირებულ „ფანტასტიკურ“ ცხოველს ძალად მიიჩნევს. ჩვენც ვიზიარებთ მკვლევართა უმრავლესობის მოსაზრებას. მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად შევისწავლეთ „ფანტასტიკური“ ცხოველის შესრულების სტილი, ვფიქრობთ, რომ თავდაპირველად, როცა გამოსახულება ნატურალისტურად გადმოიცემოდა, კოლხურ ცულებზე გრავირებული ცხოველი მართლაც ძალი იყო, თუმცა - მოგვიანებით, ღვთაებათა უნიფიკაციის პირობებში, რაც სამივე სკნელის არსებათა გაერთიანებულ ჩვენებას და თითოეულის დამახასიათებელ ნიშანთა ერთ ფიგურაში თავმოყრას გულისხმობდა, იწვევდა გამოსახულების ჰიბრიდულ თუ „ფანტასტიკურ“ ცხოველად გარდაქმნას, ხოლო ძლიერი სტილიზაცია და ფორმის მაქსიმალური განზოგადება ამ იდეის განხორციელების ყველაზე მოხერხებული და მისაღები გამოშველობითი ხერხი აღმოჩნდა. კონკრეტული ფორმისა და შინაარსის გამოსახულებები გადაიქცნენ ჰიბრიდულ, სინკრეტულ ფიგურებად, რის შედეგადაც ოდესლაც ძალის გამოსახულებამ „ფანტასტიკური“ ცხოველის სახე მიიღო [რამიშვილი 2010: 81-85].

აღსანიშნავია, რომ მარტვილის ცულზე მოცემული ცხოველის გამოსახულება სავსებით ნატურალისტურადაა შესრულებული, თავით წინ და დანამდვილებით ძალის გამოსახულებას წარმოადგენს.

მარტვილის მუზეუმის ცულზე წარმოდგენილი კომპოზიცია როგორც აგებულებით, ისე ტიპოლოგიურად, მეტად ორიგინალურია და ზუსტი შესატყვისი არ მოეძებნება, მაგრამ გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს თლიას სამაროვნის № 52 და წითელი შუქურას № 94 სამარხებში აღმოჩნდილ I ტიპის ცულებზე გრავირებულ კომპოზიციებთან, სადაც ძალის ფიგურები ნატურალისტურად, თავით წინ, თევზებთან ერთად არიან გამოსახულები. ამ ცუ-


ლების სარტყლებიც სამრიგად, მცირე წრებით არის შევსებული [რამიშვილი 2011: ტაბ. I/2,3. იქვე იხ. ლიტერატურა]. ჩვენ მიერ (სულავა ნ., რამიშვილი ქ.) შემუშავებული ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, თლიას № 52 სამარხის ცული ძვწ. VIII ს-ის პირველი ნახევრით დავათარიღეთ, ხოლო წითელი შუქურას № 94 სამარხის ცული ძვწ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვწ. VII ს-ის პირველი ნახევრით [სულავა, რამიშვილი 2011: 135-137]. გარკვეული მსგავსება შეინიშნება სვანეთში შემთხვევით აღმოჩენილი ცულის შემკულობასთანაც [რამიშვილი 2011: ტაბ. I/5]. სვანური ცულის ლოფაზეც წყვილი ძაღლია გამოსახული ერთმანეთის პირისპირ, თუმცა ისინი თავქვე არიან წარმოდგენილი და მხოლოდ ორი ფეხი აქვთ, ისე როგორც მარტვილის ცულზე ვერტიკალურად გამოსახულ ძაღლის ფიგურას. სვანეთის ცულზე მესამე ძაღლი საერთოდ არ არის, მის ნაცვლად სამკუთხა გეომეტრიული ორნამენტია გამოსახული, რითაც მარტვილის ცულზე გამოსახულ სამკუთხედზე აგბულ კომპოზიციას ეხმანება. სვანეთის ცულიც ძვწ. VIII ს-ის პირველი ნახევრით დავათარიღეთ [სულავა, რამიშვილი 2011: 137].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ მარტვილის მუზეუმის ცული ძვწ. VIII ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

მარტვილის მუზეუმში დაცული ცული თავისი შემკულობით შილა ქართლში, აფხაზეთსა, სვანეთსა თუ საქართველოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილ ეგზემპლარებთან ერთად მყარად იმგვიდრებს ადგილს კოლხური მხატვრული ხელოსნობის საუკეთესო ძეგლთა შორის.

მარტვილის მუზეუმში წარმოდგენილია კოლხური ცულის მეორე, ძალიან საინტერესო ეგზემპლარი, რომელიც მხოლოდ გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული.

ცული I ტიპისაა, დამზადებულია ბრინჯაოსაგან, ტანშევტილია, ტარი დაწახნაგებული, სატარე ხვრელი ოვალური, ხოლო ფართე პირი თითქმის სიმეტრიული აქს. ყუა შემოტვრეულია, მაგრამ საფი-



სურ. 2


ქრებელია, რომ მახვილი უნდა ყოფილიყო. შემომტვრეული და უსწორმასწორო ცულის პირიც. მასზე გამოსახულია ბადისებური ორნამენტით შევსებული ზოლი, რომელიც ჯერ ცულის პირის მოხაზულობას იმეორებს, ხოლო შემდეგ წიბუობს მიუყვება და სარტყელს ებჯინება. ზოლსშიდა არე შევსებულია მომცრო წრეებით და მცირე რკალით, თუმცა, შუა ადგილი თავისუფლადაა დატოვებული. თავისუფალი, მორკალული არე დატოვებულია აგრეთვე ცულის პირის კიდეშიც. ცულის კაჩისა და შუბლის ორივე წახნაგი გაფორმებულია ტეხილი ხაზით, რომელიც მათი შეხვედრის ადგილას, გვერდითა წახნაგებზე, ქმნის რომბების მწკრივს. ცულს აქვს ვიწრო სარტყელი, რომელიც ირიბი, ერთმანეთის პარალელური ხაზებითაა დაშტრიხული. სატარე ხვრელის ზემოთ და ქვემოთ, ორივე მხრიდან, სხივებიანი წრის (მზის) წყვილი გამოსახულებაა გრავირებული.

ცულის შემკულობა დეკორატიული ხასიათისაა, ორიგინალური და დახვეწილი. ერთმანეთან ზომიერადაა შეხამებული სხვადასხა ფორმის გეომეტრიული ორნამენტი, რაც სრულიად არ იწვევს გადატვირთულობის შთაბეჭდილებას. ბადისებური ორნამენტის, წრეების, ტეხილი თუ ირიბი ხაზების, რომბებისა და მნათობების გამოსახულებების მონაცვლეობა მეტად დი-

ნამიკურსა და ცხოველმყოფლობას ანიჭებს ცულის შემკულობას. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ცულის დეკორში ფართოდაა გამოყენებული საყოველთაოდ ცნობილი სა-მიწათმოქმედო სიმბოლიკა, რომელიც მზის, მიწისა და წყლის აღმნიშვნელია, რაც ძვირდობადა დაკავშირებული ასევე ნაყოფი-ერების თემატიკასთან. სიმბოლოთა ამგვარი შეთანხმება შესაძლოა გამოსახავდეს მოთხოვნას სითბოსი, მზის (სხივებიანი წრე), წყლისა თუ ტენის (ტეზილი ხაზი) მარცვლეულის (მცირე წრეები) უხვი მოსავლისათვის და მიწის (ბადისებური ორნამენტი) ნაყოფიერებისათვის.

მარტვილის ცულის შეგავსი გეომეტრიული ორნამენტით შემკული ცულები, როგორც კომპოზიციურად, ისე ტიპოლოგიურად, ცნობილია მაგ., თლიას სამაროვნის № 50 სამარხიდან და ლუხვანოს განძიდან [რამიშვილი 2010: ჭაბ. I/20,21. ლიტერატურა იხ. იქვე]. ორივე ცული I ტიპისაა, ისინი თითქმის მთლიანად შემკულია გეომეტრიული ორნამენტით, მაგრამ განსხვავებით მარტვილის მუზეუმის ცულისაგან, მათ ყუაზე მოცემულია თითო ძალლის მომცრო გამოსახულებაც, რომლებიც ნატურალისტურად, თავით წინ არიან გამოსახულები. აღნიშნული ცულები ჩვენს მიერ შემუშავებული ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე დავათარიღეთ ძვ.წ. VIII ს-ის პირველი ნახევრით [სულავა, რამიშვილი 2011: 137-138]. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მარტვილის მუზეუმის ცულზე ძალლის გამოსახულება საერთოდ არ არის, მხოლოდ გეომეტრიული სახე-ებით შემკული ცულები კი, ზოგადად, ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით არის დათარიღებული [ფანცხავა ლ. 1988: 65], რის საფუძველზეც ვფიქრობთ, რომ მარტვილის მუზეუმში დაცული გეომეტრიული სახეებით შემკული ცული ძვ.წ. VII საუკუნით დავათარიღოთ.

მარტვილის მუზეუმში გამოფენილია მე-სამე კოლხური ცული, რომელიც აგრეთვე მხოლოდ გეომეტრიული ორნამენტითაა გაფორმებული და შთამბეჭდავი შემკულობით გამოირჩევა.



სურ. 3

ცული IV ტიპისაა, ტანში ორგზის მოხრილი, ასიმეტრიული პირითა და ჩა-ქუჩისებური ყუით, რომელიც ორ ადგილას ამოტეხილია. სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალურია. ცულზე მოცემული კომპოზიცია სამკუთხედზეა აგებული, მისი მთავარი ნაწილია ლოფაზე, გორდა პირის კონტურის შესაბამისად, გამოსახული სამი, ერთმანეთზე გადაბმული სპირალური ორნამენტი, რომელიც წერტილებითაა შევსებული, დაწინწკლულია. სპირალური ორნამენტის ზემოთ, სამკუთხა არეზე, წიწვოვანი ორნამენტის ვერტიკალური მწკრივებია მოცემული, კიდევ უფრო ზევით რკალია, ხოლო რკალს ზევითა სიბრტყის ერთი ნაწილი დაწინწკლულია, ხოლო მეორე - ისევ წიწვოვანი ორნამენტის ვერტიკალური მწკრივითაა შემკული. ცულს ნაწილობრივი სარტყელი აქვს, მხოლოდ ერთ წახნაგზე და ისიც წიწვოვანი ორნამენტის ორი პორიზონტალური მწკრივითაა წარმოდგენილი. სარტყელზედაა არე მთლიანად შეუმკობელია.

ცულის შემკულობა დეკორატიულ-ორნამენტული ხასიათისაა. დაწინწკლული სპირალური და წიწვოვანი ორნამენტის მონაცვლეობა მეტად აცოცხლებს კომპოზიციას და მატებს დინამიკურობას, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ერთმანეთზე გადაბმული, მოზრდილი და ჩახვეული სპირალების მონაცვლეობა. ძალიან საინტერესოა წყლის ნიშანი, რომელიც რკალის

## ლიტერატურა

სახითაა გადმოცემული და მზის ნიშანი, რომელიც სპირალითაა აღნიშნული. ამ ნიშნების შეთავსება მცენარეულ – წიწვოვან ორნამენტთან განსახიერებაა ორი საწყისის გაწონასწორებისა, დაბალანსებისა, რაც თავის მხრივ გარანტია ნაყოფიერი მიწათმოქმედებისა.

მარტვილის ცულის მსგავსი გეომეტრიული ორნამენტით შემკული ცული, როგორც კომპოზიციურად, ისე ტიპოლოგიურად, ცნობილია მაგ., თლიას სამაროვნის № 308 სამარხიდან [რამიშვილი 2010: ტაბ. I/18. ლიტერატურა იხ. იქვე]. ცული IV ტიპისაა, თუმცა, განსხვავებით, მის ლოფაზე, მორკალული პირის კონტურის შესაბამისად, ორნამენტულ რკალზე თავჭევე გამოსახულია ძაღლის გადაბმული თავები, რომლებიც ნატურალისტურადა შესრულებული და მარტვილის მუზეუმის ცულზე გამოსახული გადაბმული სპირალური ორნამენტის მსგავსად დაწინწკლულია. თლიას ცული დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით [სულავა, რამიშვილი 2011: 132-133]. აღსანიშნავია, რომ თლიას ცულის შემკულობაში უკვე შეინიშნება სწრაფვა ორნამენტულობისაკენ, რაც მოგვიანებით სრულად განხორციელდა მარტვილის მუზეუმის ცულის შემკულობაში და ასევე მუხრჩაში აღმოჩენილი ცულის დეკორშიც [რამიშვილი 2010: ტაბ. I-24. ლიტერატურა იხ. იქვე], სადაც ძაღლის გადაბმული თავები ჩაანაცვლა მსგავსი ფორმისა და შინაარსის გეომეტრიულმა ორნამენტმა (ამ შემთხვევაში ერთმანეთზე გადაბმულმა და დაწინწკლულმა სპირალებმა), რის საფუძველზეც მარტვილის მუზეუმის ცულს ძვ.წ. VII ს-ის მიწურულითა და IV ს-ის პირველი ნახევრით ვათარიღებთ.

მარტვილის მუზეუმში გამოფენილი სამივე ცული როგორც ფორმით, ისე დეკორით და ღრმა შინაარსობრივი დატვირთვით ძალზე საინტერესო, მნიშვნელოვანი, დახვეწილი და ძალალმხატვრული ნივთებია. ისინი მშვენებაა მარტვილის ისტორიული მუზეუმის განახლებული ექპოზიციისა.

**აბაკელია 6. 1997:** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი.  
**ვირსალაძე ე. 1964:** ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2001:** განძები კოლხური ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის, დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა) – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატება VI. თბილისი. გვ. 178-194.

**მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984:** შილდის სამლოცველო, კაეშ, ტ. VII. თბილისი.

**მიქელაძე თ. 1974:** ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი.

**რამიშვილი ქ. 2007:** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები. თბილისი.

**რამიშვილი ქ. 2010:** კოლხურ ცულებზე გრავირებული „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულებათა ტიპოლოგიისათვის – გ. გამყრელიძე (რედ.), ძიერია-კოლხეთი, № 6, თბილისი. გვ. 81-85.

**რამიშვილი ქ. 2011:** „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულებები კოლხური კულტურის შეატვრული ხელოსნობის ძეგლებზე – გ. კვირკველია (რედ.), ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20. თბილისი.

**სახაროვა ლ. 1998:** კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ძიებანი, № 1, თბილისი. გვ. 34-42.

**სახაროვა ლ. 2003:** კიდევ ერთხელ კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხისათვის – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ძიებანი, № 10. თბილისი. გვ. 35-30.

**სახაროვა ლ., სულავა 6. 2012:** საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბების ისტორიისათვის – ონლაინ არქეოლოგია № 2. თბილისი. გვ. 88-96.

- სულავა ნ. 2003:** ლეჩეუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ - ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ძიებანი, № 10. თბილისი. გვ. 31-34.
- სულავა ნ., რამიშვილი ქ. 2011:** კოლხურ-ყობანურ ნაწარმზე „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულების ქრონოლოგიისათვის, იბერია-კოლხეთი, № 7. თბილისი. გვ. 131-144.
- სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ. 2014:** მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. თბილისი.
- ფანტასია ლ. 1988:** კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
- ქორიძე დ. 1965:** კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
- ჯაფარიძე ოთ. 1950:** კოლხური ცული – ა. აფაქიძე (რედ.), სსმმ, XVI-B, თბილისი. გვ. 35-89.
- ხიდაშელი გ. 1982:** ცენტრალური ამიერ-კავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი.
- Амиранашвили Ш. Я. 1950:** История грузинского искусства, I. Москва.
- Бардавелидзе В. В. 1957:** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси.
- Иващенко М. М. 1941:** Материалы к изучению культуры Колхов – С. Джанашиа (ред.), - მსგ, вып. II, 1-66. Тбилиси.
- Куфтин Б А 1944:** К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, სსმმ, XII- В. Тбилиси.
- Миллер А.А. 1922:** Изображение собаки в древностях Кавказа – И. Орбели (ред.), ИРАИМК, т. II, Петербург. сс. 287-324.
- Мещанинов И.И. 1925:** Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа. – О.Ольденбург (ред.), ЗКВАМР, I. Ленинград. сс. 241-256.
- Уварова П.С. 1900:** Могильники Северного Кавказа - МАК, вып. VIII. Москва.
- Урушадзе Н. 1988:** Древнегрузинское пластическое искусство. Тбилиси.

Ketevan Ramishvili

## Colchian Axes from Martvili Museum of Local Lore

Summary

The article deals with three Colchian axes exhibited in G. Eliava Martvili Museum of Local Lore. All three are made of bronze. One is richly decorated both with zoomorphic and geometric figures, whereas other two bear only geometric ornaments. Graphic compositions are of decorative character. Based on the typological-chronological classification worked out by N. Sulava and K. Ramishvili and taking into consideration parallel data, type I axe from Martvili museum, decorated with zoomorphic (dog) and geometric ornaments can be dated to the second half of the 8<sup>th</sup> cent. BC. Second axe (also belonging to type I) with solely geometric decoration is attributed to the 7<sup>th</sup> cent. BC, whereas the third ax (it falls into type IV), also ornamented with geometric figures, can be dated to the end of 7<sup>th</sup> – first half of the 4<sup>th</sup> cent. BC. Judging by their shape, decoration and semantics of representations, all three axes exhibited in Martvili museum represent extremely interesting, delicate and sophisticated artwork. They truly constitute outstanding exhibits of Martvili exposition

ქეთევან რამიშვილი  
ბრინჯაოს სამაჯური და ბეჭდები მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან

მარტვილის გ. ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სხვა მრავალ-ფეროვან და მრავალრიცხოვან ნივთებთან ერთად, გამოფენილია ძალზე საყურადღებო და საინტერესო სამკაული: ფარაკიანი სამაჯური და ბეჭედი, რომლებიც შემთხვევითი მონაპოვარია [სულავა 2014: 59].

სამაჯური აბაშის რაიონში, ნამარანუშია შემთხვევით მოპოვებული (სურ. 1). დამზადებულია ბრინჯაოსგან, წრიულადაა მორკალული. რკალი თავგაბსნილია, ღერო – მრგვალგანივარეთიანი, ხოლო რკალის ცენტრალურ ნაწილში, ზურგზე, ღეროს გაბრტყელების მეთოდით გამოყვანილია ოვალურ-მრგვალი ფარაკი. ფარაკის მარჯვნივ და მარცხნივ, რკალი, ექვს-ექვსი განივი ღარითაა შემკული, რასაც შემსხვილებული აღგილები მოჰყვება, ხოლო შეძლევ ისევ სამ-სამი ღარია. რკალი აგრეთვე განივადაა



სურ. 1

დაღარული სამაჯურის თავებთან, რომლებიც კონუსური შემსხვილებებით ბოლოვდება და მკვეთრად გამოიყოფა რკალისაგან. რკალის დანარჩენი აღგილები შეუმკობელია. ფარაკზე ძალზე სქემატურად, დაბალ რელიეფში ამოჭრილია ფეხზე მდგომი მანდილოსნის ფრთოსანი ფიგურა პროფილში, რომელსაც, იდაყვში მოხრილ, ზეაწეულ მარცხენა ხელში უჭირავს თაიგული. ქვემოთ, ფარაკის ქვედა, თავისუფალ არეზე შვიდქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული

(სურ. 2). ფიგურა წვივებამდე შემოსილია წელზემოთ შემოტმასნილი, ხოლო წელქვე-მოთ სამკუთხედად გაშლილი კაბით. იდაყვში



სურ. 2

მოხრილი მარჯვენა ხელით დოინჯი აქვს წელზე შემოყრილი. ძალზე სქემატურად არის გადმოცემული გრძელი, მორკალული ფრთა, რომლის ნაკრტენი სამ-სამი მომცრო ხაზითაა მინიშნებული. კაბის ქვედა ბოლოზე ძალიან მკრთალად, ძლივს შესამჩნევი ხაზებით მინიშნებულია ნაოჭები, შესაძლოა გამოსახული იყოს ჩამოშვებული სარტყელი, რომელიც ვიწრო ზოლით უნდა იყოს აღნიშნული. წვრილი ხაზებითაა გადმოცემული ოდნავ მუხლში მოხრილი ფეხები. საკმაოდ მოზრდილ ფეხის ტერფებზე კი წაწვეტებული ფეხსაცმელი აცვია. ფეხებით ეყრდნობა ნიადაგის ზოლს, რომელიც მოკლე, წვრილი ხაზით არის აღნიშნული. ფიგურის თავი სუმარულადაა შესრულებული და აღნიშნულია ძალიან პირობითად, მცირე ოვალით, რომელზეც კეფაზე მომრგვალებული და შუბლზე ოდნავ აწეული თავსაბურავი უნდა ეხუროს. სახის ნაკვთები თითქმის არ განირჩევა. აღსანიშნავია, რომ ფარაკზე გამოსახულება მთლიანად ვერ ავსებს სასურათე სიბრ-

ტყეს. ნახატი მეტად გადაცვეთილია და დეტალების გარკვევა ჭირს. სამაჯური დაზიანებულია, რკალი ფარაკის ცალ მხარეს მოტეხილია. ზომები: ფარაკის სიგრძე – 1, 3 მმ, ფარაკის სიგანე – 1,1 მმ.

მსგავსი ტიპის სამაჯურები, ოღონდ ფარაკის გარეშე, ცნობილია ახალგორის განძიდან, ყანჩაეთიდან, კუშჩიდან, კამარახევიდან, ალგეთიდან და დათარიღებულია ძვ.წ. IV-III საუკუნეებით, ან ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით [გოგინერიძე 2003: 63, 64, სურ. 111-116], ასევე დაბლაგომიდან, ციხია-გორადან, დათარიღებულია ძვ.წ. III საუკუნით [გოგინერიძე 2003: 65, სურ. 120-122, 124].

რაც შეეხება ჭრილაფარაკიან ბრინჯაოს სამაჯურებს, ისინი იშვიათ მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. ამ ტიპის სამაჯურები აღმოჩენილია აწყურის ნაქალაქარზე № 04-5 სამარხში (№ 14, 15, 16), რომელთაგან ერთის ფარაკზე (№ 14), წყვილი პეგასია გამოსახული, ხოლო მეორეზე (№ 15) – კუდაპრეხილი ცხენი, მესამე (№ 16) იმდენადაა დაზიანებული, რომ გამოსახულება არ ჩანს. ვ. ლიჩელის მოსაზრებით, სამაჯურები, ან შემოტანილია აქემენიდური სამყაროდან, ან ადგილობრივადაა დამზადებული აქემენიდური კულტურის აშკარა გავლენით [ლიჩელი 2011: 39]. მისი მოსაზრებით, ამგვარი სამაჯურებს მეტ-ნაკლები ანალოგიები მოეპოვებათ კუშჩისა და კამარახევის სამაროვნებზე მოპოვებულ მასალაში, თუმცა ტექნოლოგიურად სრულიად განსხვავებულები არიან. ასევე შორეული, სილუეტური მსგავსება შეიძლება ჰქონდეს ზემოფარცხმის № 16 სამაჯურთან, რომელიც ძვ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული და ძვ.წ. IV-III და III-II საუკუნეების სამარხებს შორის გარდამავალ საფეხურადაა მიჩნეული [ლიჩელი 2011: 40].

ჭრილაფარაკიანი მსგავსი სამაჯური, გარდა აწყურისა, აღმოჩენილია ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზეც [კახიძე, ვიკერისი 2014: 121-1]. სამაჯურს აქვს საქმაოდ მასიური და მრგვალგანივევეთიანი ღერო. ბოლოები მთავრდება ბიკონუსური შესქელებებით, რომლებიც შემკულია


სიგრძივი ღარებით. რკალის შუა წელზე მოთავსებულია მრგვალი ფარაგი, რომელზეც ამოჭრილია ფრინველის გამოსახულება მარცხნა პროფილში, გრძლად გაშვერილი გაშლილი ბოლოთი, რომლის ნაკრტენი ჩაღრმავებული წერტილებითაა გამოსახული. ფრინველს აქვს მაღლა აწეული კისერი და გამობერილი გულ-მკერდი. თვალი ჩაღრმავებული წერტილითაა აქცენტირებული, აქვს მოკლე ნისკარტი, ფეხებით დგას კვარცხლბეკისებრ გამოსახულებაზე. ფრინველის ზურგს ზემოთ მზის დისკოს გამოსახულებაა, რომელიც მიღებულია წერტილიანი წრეხაზის ირგვლივ მჭიდროდ განლაგებული ჩაჭდეული წერტილებით. გამოსახულება მთლიანად ავსებს ინტალიოს, ანაბეჭდი საკმაოდ მაღალი და მკაფიოა. ფარაკზე დაცული ვარდულის გამოსახულება ციურ მნათობს უნდა გამოხატავდეს. იგი ხომლის სიმბოლოდაა მიჩნეული [ლორთქიფანიძე 1975: 31-32].

რაც შეეხება მარტვილის მუზეუმში გამოფენილი სამაჯურის ფარაკზე გამოსახულ მანდილოსნის ფრთოსან ფიგურას, ჩენი მოსაზრებით, იგი ქალღვთაება ნიკეს ადგილობრივი განსახიერება უნდა იყოს. როგორც ცნობილია, საქართველოში ოვალურ-მრგვალი ფარაკებიანი ბეჭდები ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს შემოდის მოდაში [ლორთქიფანიძე 1975: 13]. დაახლოებით მსგავსი გამოსახულებებით შემკულია ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები, რომლებიც ვ. ბორდმანის მიერ ე.წ. „ბერძნულ-აღმოსავლური“ ტიპის ბეჭდებადაა მიჩნეული და დათარიღებულია ძვ.წ. IV-III საუკუნეებით [Boardman 1970: 771, 775, 803, 806]. აღნიშნული ბეჭდების ფარაკებზე ფეხზე მდგომი ნიკეს სქემატურად შესრულებული გამოსახულებებია ამოკვეთილი პროფილში, ღვთაებას ხშირად ზეაწეულ ხელში თაიგული უჭირავს, ხოლო ფარაკის თავისუფალ, ქვედა არეზე ზოგჯერ ვარსკვლავია გამოსახული. დგომითა და პოზით, ასევე ფეხსამოსითა და ზეაპრობილ მარჯვენა ხელში თაიგულით გარკვეული მსგავსება შეინიშნება აგრეთვე კამარახევში აღმოჩენილ ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭდის

ოვალურ ფარაგზე გამოსახულ, ე.წ. „სპარსელი ქალის” გამოსახულებასთანაც [რამიშვილი 1959: 16], რომელიც პროფილში დგას, აქემენიდური ხანის ე.წ. „შერული სტილი” არის შესრულებული და დათარიღებულია ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით [ლორთქიფანიძე 1981: 45-49 ტაბ. II -7], თუმცა, განსხვავებაც საგრძნობია, „სპარსელ ქალს” ფრთა არ გააჩნია, ზეაპრობილ მარჯვენა ხელში ყვავილი, ხოლო ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში მოზრდილი, თავშეკრული რკალი უჭირავს, გრძელი ნაწინავი აქვს და ტანზე შემოტმასნილი, ვიწრო კაბა კოჭებამდე მოსავს. გარკვეული თემატური და იკონოგრაფიული მსგავსება შეინიშნება აკრეთვე აწყურის ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ № 04-5 სამარხში აღმოჩენილ გიშრის ცილინდრულ მბივზე ამოკვეთილ ე.წ. „ფრთოსანი სულის” გასხვოსნებულ გამოსახულებასთანაც, რომელიც აქემენიდურ ხელოვნებაში ჩანს გავრცელებული [ლიჩელი 2011: 43-44], მაგრამ აღსანიშნავია, რომ განსხვავებაც სრულიად აშკარაა. მოტანილ მაგალითებთან შედარებით, მარტივილები „ნიკე” გამოირჩევა გაცილებით მეტი სქემატურობით, დგომის მოუხერხებელი პოზით, ტორსთან მიმართებაში დისპროპორციულად პატარა თავით, თავისებური სამოსით, კვეთის უაღრესად სიბრტყობრივი სტილით, შესრულების ესკიზური მანერით, ცალკეულ ფორმათა და ნაკვთების სუმარულობით, რაც ნათელს ხდის, რომ ამ შემთხვევაში ფორმის ბერძნულ გაგებასთან საქმე არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ნაკეთობა არც სპარსული უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ სამაჯური გამოსახულებითურთ ოდნავ მოვინონ ხანის, ბრინჯაოდან დამზადებული ჭრილაფარაკიანი სამკაულის ე.წ. „გასადავებულ” ტიპს მიეკუთვნება, ადგილობრივი ნახელავია და „ბერძნულ-აღმოსავლური” სტილის ერთ-ერთი ჯგუფის, კერძოდ კი, როგორც მ. ლორთქიფანიძე უწოდებს, „ბერძნულ-კოლხური” გლიპტიკის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს [ლორთქიფანიძე 1975: 111-112]. ფარაგზე ამოკვეთილი გამოსახულება, ჩვენი მოსა-

ზრებით, ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებთანაა დაკავშირებული, რასაც კიდევ უფრო სარწმუნოდ ხდის ასტრალური ნიშანი - შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც ფიგურის ღვთაებრიობასა და მზესთან მის კავშირს უსვამს ხაზს.

ზემოაღნიშნული მსგავსი უფარაკო სამაჯურების, ჭრილაფარაკიან სამაჯურებისა და ფარაგიან ბეჭდებზე ამოჭრილი სიუჟეტების გათვალისწინებით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ მარტივილის მუზეუმის სამაჯური ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულის, უფრო კი, ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის ნაკეთობა უნდა იყოს. მას სამკაულის ფუნქცია ჰქონდა, თუმცა, გამორიცხული არ არის მისი საბეჭდავად გამოყენებაც.



სურ. 3

საინტერესო ეგზემპლარია მარტივილის მუზეუმში წარმოდგენილი ბრინჯაოს ფარაგიანი ბეჭდი, რომელიც ასევე შემთხვევითი მონაპოვარია (სურ. 3). ბეჭდს აქვს გარედან და შიგნიდან ბრტყელი რკალი, რომელიც ფარაგის მიმართულებით ფართოვდება და უშუალოდ გადადის მრგვალ და ბრტყელ ფარაგში. რკალი გარედან შემკულია სიგრძივი დარებით, ხოლო ფარაგზე ამოჭრილია ფრინველის გამოსახულება პროფილში. ნახატი დაბალი კვეთითაა შესრულებული, ერთ სიბრტყეში, მთლიანად ავსებს ფარაგის ზედაპირს და საკმაოდ მკაფიო იქნებოდა, რომ ფარაგის ზედაპირი გადაცვეთილი და გამოსახულება

პატინით დაფარული არ იყოს, ამის გამო სურათი ძალიან ცუდად იკითხება. ფრინველს უნდა ჰქონდეს გაშლილი ფრთები და უკან გაშვერილი, გადაშლილი ბოლო. ფრთისა და ბოლოს (კუდის) ნაკრტენი ჩაღრმავებული, მოკლე ხაზებითაა გამოსახული. ფრინველს კლანჭებში მოგრძო, კვერთხისებური საგანი უჭირავს. მკერდს ქვემოთ მცენარეული მოტივი უნდა იყოს გამოსახული. ბეჭდის რკალი გახსნილია თუ არა, არ ჩანს, რადგან რკალის 1/3 ნაწილი დაკარგულია. ზომები: ფარაგის სიგრძე – 1,3 მმ, ფარაკის სიგანე – 1,2 მმ.

მსგავსი ფორმის მრგვალფარაკიან ბეჭდებს ჯ. ბორდმანი C ტიპში აერთიანებს და ძვ.წ. IV-III საუკუნეებით ათარიღებს [Boardman 200: 214]. მრგვალფარაკიანი ოქროს ბეჭდი ცნობილია დაბლაგომიდან, მარტვილის ბეჭდისგან განსხვავებით, მას დაწახნაგებული რკალი აქვს, ხოლო ფარაკზე გამოსახულია არტივი, რომელსაც კლანჭებში კურდელი უპყრია. ბეჭდი ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება [თოლორდავა 1976: 68-79, სურ. 94; ლორთქიფანიძე 1975: 55-61, ტაბ. III/15]. სხვადასხვა გამოსახულებებით შემკული ჭრილა, მრგვალფარაკიანი ბეჭდები ცნობილია აგრეთვე ახალგორის განძიდან, ყანჩაეთიდან, ალგეთიდან, ტახტიძირიდან, ვანიდან. ისინი დათარიღებულია ძვ.წ. IV საუკუნით, ან ძვ.წ. IV-III საუკუნეებით, ადგილობრივი ნაწარმა, ხოლო მათ ფარაკებზე მოკემული სიუჟეტები სავარაუდოდ მკვიდრი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებს ასახავს [ლორთქიფანიძე 2003: 28-71; გაგოშიძე 1964: 25-40; გაგოშიძე, გოგიბერიძე, ჯავახიშვილი 2011; კაჭარავა, მუავანაძე 1986: 25].

ფრინველის გამოსახულება გლიპტიგაში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული თემაა. იგი ჩართულია სხვადასხვა კომპოზიციებში, ხან როგორც ღვთაების საღრმოო ფრინველი, ან მისი ატრიბუტი, ზოგჯერ კი ღვთაების განსახიერება. ფრინველის გამოსახულებიანი ბეჭდი მოპოვებულია მოდინახეს ელინისტური ხანის სამაროვანზე. ფრინველს აქვს გრძელი ნისკარტი და მაღლა აწეული ფრთები. ორად გაყოფილი

კუდის ბოლო ძირსაა დაშვებული, მიჩნეულია ადგილობრივ ნაკეთობად [ლორთქიფანიძე 1969: 43-45; ნადირაძე 1975: 38, ტაბ. XII/7]. ფრინველის გამოსახულებაა ამოჭრილი აგრეთვე ფიჭვნარის ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ მრგვალფარაკიან ვერცხლის საბეჭდავიბეჭდის ფარაკზე. ფრინველი პროფილშია მოცემული. გამოსახულება მკვეთრია, აქვს ხაზებით გადმოცემული ფეხები, ზემოთ აწეული კუდი და მოკაუჭებული ნისკარტი, მის ფეხებთან ამოკვეთილია წერტილებით გამოყვანილი ვარდული, ხოლო შემდეგ – ხახვარმთვარე. ა. კაზიძისა და მ. ვიკესის მოსაზრებით, მსგავსი საბეჭდავი-ბეჭდები სამკაულთან ერთად გარკვეულად ხელისუფლების ინსიგნიებსაც წარმოადგენდნენ, ხოლო სიუჟეტური თვალსაზრისით, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდებოდნენ [კაზიძე, ვიკერსი 2014: 160-161].

მოტანილი ფაქტების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ მარტვილის მუზეუმში გამოფენილი ბრინჯაოს მრგვალფარაკიანი ბეჭდი საბეჭდავია, შეთავსებული აქვს სამკაულის ფუნქციაც, უნდა თარიღდებოდეს ძვ.წ. IV ს-ის ბოლოთი და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით, ადგილობრივი ნაკეთობაა, ხოლო სიუჟეტი იძღვნილი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებს უნდა ასახვდეს.

მარტვილის მუზეუმში გამოფენილი ბრინჯაოს ფარაკიანი სამაჯური და ბეჭდი მეტად მნიშვნელოვანი ეგზემპლარებია, რომლებიც კიდევ უფრო ამდიდრებენ არა მარტო მუზეუმის ექსპოზიციას, არამედ საქართველოში აღმოჩენილი ფარაკიანი სამკაულების მრავალფეროვნებასაც.

## ლიტერატურა

**გაგოშიძე ი. 1964:** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბილისი.

**გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., ჯავახიშვილი ქ. 2011:** ტახტიძირის სამაროვანი, ონლაინ-არქეოლოგია, № 1. თბილისი.

**თოლორდავა ვ. 1976:** მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, თბილისი.

**კახიძე ა., ვიკერსი მ. 2014:** ფიჭვნარი VI – საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007 წწ.), კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ნაწილი I. ბათუმის არქ. მუზეუმი – ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმი. ბათუმი-ოქსფორდი.

**ლიჩელი ვ. 2011:** სამარხეული ინვენტარი აწყურიდან, ინტერდისციპლინარული არქეოლოგია I. თბილისი.

**კაჭარავა დ., მუავანაძე ზ. 1986:** ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში, ვანი VIII. თბილისი

**ლორთქიფანიძე მ. 1969:** ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I. თბილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1975:** კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი). თბილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1981:** უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან (ძვ.წ. V-I სს). თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2013:** ახალგორის განძი, ძიებანი, № 11, გვ. 28-71. თბილისი.

**ნადირაძე ჯ. 1975:** ცვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**რამიშვილი რ. 1959:** კამარახევის სამაროვანი, მსკა, II. თბილისი.

**სულავა ნ., აღაპიშვილი თ., ჰაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ. 2014:** მარტვილის მხარეთ-ცოდნების მუზეუმი. თბილისი.

**Гогиберидзе Н. 2003:** Браслеты и гривны Грузии V-I вв. до н. э. Тбилиси.

**Boardman J. 1970:** Greek gems and finger rings, Early Bronze A to Age to Late Classical. London.

**Boardman J. 2001:** Greek gems and finger rings, Early Bronze A to Age to Late Classical. 2<sup>nd</sup> end. New-york.

## Ketevan Ramishvili Bronze Bracelet and Ring from Martvili Museum of Local Lore Summary

The article deals with two pieces of jewelry preserved in G. Eliava Martvili Museum of Local Lore - a bracelet and ring with bezels, both made of bronze. Both bezels bear engraved representations, a winged goddess on the bracelet and a bird on the ring. Taking into consideration parallel materials, it seems rational to attribute the bracelet to the end of 4<sup>th</sup> or to put it more exactly – the beginning of the 3<sup>rd</sup> cent. BC. and the ring to the end of 4<sup>th</sup> –beginning of the 3<sup>rd</sup> cent. BC. As for representations themselves, they must have been connected to religious beliefs of local population. These two exhibits of Martvili museum not solely add on to the variety of its exposition, but at the same time enrich in general the circle of jewelry with bezel discovered on the territory of Georgia.

თინა კახელიშვილი  
მარტვილის მსარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მძივები

მარტვილის გ. ელიავას სახელობის მსარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში სხვა არტეფაქტებთან ერთად ინახება სხვადასხვა მასალის, ფორმისა და შემკულობის უამრავი მძივი, რომლებიც სოფ. მუხურჩაში 1974 წლის გაზაფხულზე თევზსაშენის მშენებლობის დროს შემთხვევით იქნა აღმოჩნილი ბრინჯაოს ნივთებთან ერთად. მოგვიანებით, აღნიშნულ ადგილზე გაემგზავრა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ელ. გოგაძის ხელმძღვანელობით. გათხრების დროს გამოვლინდა, რომ ძეგლი წარმოადგენდა სამაროვანს – კოლხეთისათვის დამახასიათებელი დასაკრძალავი ორფენიანი მოედნით, რომელთაგან პირველი ფენა დათარიღდა ძვ.წ. VIII-VII, ხოლო მეორე - VII-VI ს-ით. მძივები არქეოლოგიური გათხრების შედეგადაც აღმოჩნდა და გაირკვა, რომ სოფ. მუხურჩაში შემთხვევით აღმოჩნილი მძივები ნაწილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მძივებისა, რაც, ასე თუ ისე, აადგილებს მარტვილის მუზეუმში დაცული მძივების დათარიღებას. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩნილი მასალა და მათ შორის მძივებიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

მარტვილის მუზეუმში დაცულ მძივებს შორის გვხვდება სარდიონის, სარდერის, გიშრის, ქარვის, მინის, მინისებური პასტისა და ე.წ. „ეგვიპტური ფაიანსის“ მძივები [სულავა 2014: 52-57].

მუხურჩის სამაროვანზე ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჩანს სარდიონისა და სარდერის მძივები, რომლებიც უხვადაა აღმოჩნილი.

სარდიონი ნახევრად ძვირფასი ქვაა, რომელიც ქალცედონის (კვარცის ჯგუფის) ერთ-ერთი სახეობაა. მუხურჩაში აღმოჩენილი სარდიონის მძივები სხვადასხვა შეფერილობისა, დაწყებული ღია ვარდისფერიდან - მუქ წითლამდე. სარდიონი გავრცელებულია იმ ქვეყნებში, სადაც ვულკა-

ნური წარმოშობის ქანებია. ასეთებს განეკუთვნებიან: ირანი, ინდოეთი, სიცილია, ციმბირი, ყირიმი, კავკასია და სხვა.

ძველი რომაელი ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი პლინიუს უფროსი აღნიშნავს, რომ სარდიონი პირველად ლიდიაში აღმოუჩენიათ და მისი სახელწოდებაც ლიდიის დედაქალაქ სარდისიდან მომდინარეობს. სარდიონს „მზის ქვასაც“ უწოდებენ. ამჟამად, საუკეთესო ხარისხის სარდიონს გობის უდაბნოს ტერიტორიაზე მოიპოვებენ.

სარდიონი უძველესი დროიდან იყო ცნობილი. მას ჯერ კოდევ პალეოლითის ხანიდან მოიპოვებდნენ. გარდა მძივებისა, სარდიონისგან ამზადებდნენ თილისმებს, ქნდაკებებს, თასებს, ბეჭდებსა და გემანტალიოებს. კავკასიაში იგი უკვე ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება, მაგრამ მისი ფართო მოხმარება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში იწყება. მძივების დასამზადებლად გამოიყენება ასევე სარდერი, რომელიც ფერით მცირედ განსხვავდება სარდიონისგან - იგი ინტენსიური, მუქი წითელი ან მოწაბლისფრო, ნახევრად გამჭვირვალე ქვას წარმოადგენს.

საკმაოდ რთულია იმის დადგენა, თუ რომელი ქვენიდან შემოქმნდათ საქართველოში სარდიონის მძივები და სად იყო მათი დამზადების ცენტრები. გ. ლემლეინი კარაულობს, რომ ყავისფერი, გამჭვირვალე, ძარღვიანი სარდიონის მძივები ეგვიპტური წარმომავლობისაა [ლემმლეინ 1971: 184], ვარდისფერი კი - მესოპოტამიური [ლემმლეინ 1971: 193]. სარდიონის ზოგიერთი ჯიში მოიპოვებოდა კოლხეთშიც, სადაც მისი დამუშავება მიმდინარეობდა. ე. გოგაძის მოსაზრებით, ძვ.წ. VII-VI სს. სარდიონის (კერძოდ, წითელი სარდიონის) მოპოვება და დამუშავება მუხურჩაში - „ნაწისქვილარზე ხდებოდა“ [გოგაძე 1990: 227-233].

მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩნილი სარდიონის მძივები მრავალფეროვანია, როგორც ფერის, ასევე ფორმის მხრივ. უხვად გვხვდება მრგვალი, ცილინდრული, დაბალ-ცილინდრული და მრგვალბრტყელი ფორ-

მის მძივები. ასევე, გვხვდება ცრემლის ფორმის მძივსაკიდები (სურ. 1-6).

აღსანიშნავია, სფერული ფორმის სარდიონის მოზრდილი მძივი, რომლის ზედაპირი დაფარულია დაღარული ტექნიკით შესრულებული, ე.წ. „პარკეტული“ ორნამენტით [სულავა 2014: 55].

გარდა ამ მძივებისა, გვხვდება იდეალურად მრგვალი, თაფლისფერი, ნახევრად გამჭვირვალე მუქი ყავისფერი მძივები, რომელთა შესახებ გამოოქმულია მოსაზრება, რომ თითქოს ამ ხარისხით დამზადებულ მძივებს თაფლში ხარშავდნენ. ასეთივე ხარისხის მძივები გვხვდება ნოსირში და ნაგვაზაოში, მცირე რაოდენობით დასტურდება ჩ. კავკასიის გვიაბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზეც, რომელიც იქ, სავარაუდოდ, საქართველოდან უნდა მოხვედრილიყო.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული გათხრების (ექსპ. ხელ. ე. გოგაძე) დროს მუხურჩაში მძივების სახელოსნოს არსებობა დადგინდა [გოგაძე 1990: 162]. მძივების დასამზადებლად იყენებდნენ რბილი ჯიშის ქვებს, რომლებსაც ჰქონდა ერთმანეთის პარალელური სხვადასხვა ზომის ღარები. აღნიშნულ სახლოსნოში ხდებოდა მათი დამუშავება, გარანდვა და გაპრიალება (სურ. 12, 13). ასეთივე სახელოსნო აღმოჩნდა მუხურჩიდან პირდაპირი უმოკლესი გზით 2-3 კმ-ით დაშორებულ სოფ. ნოქალაქევში (სენაკის მუნიციპალიტეტი). მუხურჩაშია და ნოქალაქევის მძივების დამამზადებელი სახელოსნოები ერთმანეთის მსგავსია.

ანალოგიური მასალა დასტურდება კოლხეთში გათხრილ დასაკრძალავ მოედნებზე.

მუხურჩაში სამაროვანზე გვხვდება გიშრის მძივები (სურ. 6). გიშერი, ეს არის ორგანული წარმოშობის მინერალი, მურანახშირთა ჯგუფისა. სახელწოდება გიშერს საქართველოსა და კავკასიაში უწოდებენ, ხოლო სხვაგან მისი გავრცელებული სახელწოდებაა გაგატი, რომელიც დაკავშირებულია ძველი ლილის ქალაქ გაგასთან. პლინიუს უფროსის ცნობით, ქვა გაგატს სახელი „ჰქვია მცირე აზიაში, ლუკიაში

არსებული ქალაქისა თუ მდინარის მიხედვით“.

გიშერი დასავლეთ საქართველოში, ზემოიმერეთში უხვად მოიპოვება, უმთავრესად სოფ. კურსებში [გოგაძე 1990: 162]. კურსების გიშერი გამოირჩევა მსუყე, შავი ფერით, რაც მას მეტ ღირებულებას სძნს, განსხვავებით ლიგნიტისგან, რომელიც უფრო ბაცი ფერისაა.

მუხურჩაში სამაროვანზე აღმოჩნდილი გიშრის მძივები სხვადასხვა ფორმისაა: სფერულებური, ცილინდრული, მართკუთხედისებური და სხვა. ზოგი შემკულია გეომეტრიული, ე.წ. „პარკეტული“ სახით [სულავა 2014: 56]. მარტივილის მუხურჩაში დაცული გიშრის მძივები თარიღდება ძვ.წ. VIII-VII ს-ით.

აღსანიშნავია, რომ მუხურჩაში სამაროვანზე გიშრის მძივებს გარდა აღმოჩნდილია გიშრისგან დამზადებული ცხოველის ფიგურები და კოლხური ცულის მოდელები.

გარდა ზემოაღნიშნული მძივებისა, სამაროვანზე გვხვდება ე.წ. „ეგვიპტური ფაიანსის“ მძივები [სულავა 2014: 57].

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდილი სხვადასხვა მასალისა თუ ფორმის მძივები შეიძლება ყოფილიყო როგორც ადგილობრივი, ასევე შემოტანილი - იმპორტული. ასეთს განეკუთვნება ე.წ. „ეგვიპტური ფაიანსი“ [Алексеева 1975: 23].

„ეგვიპტური ფაიანსის“ მწარმოებლად ეგვიპტე ითვლება. ადრეანტიკურ ხანაში ფაიანსის ნაწარმს ამზადებდნენ ქალაქ ნავკრატისში, სადაც სახელოსნოც არის გათხრილი. „ეგვიპტური ფაიანსი“ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ კომპლექსებში ძვ.წ. VI ს-ში ჩნდება და მისი იქ შემომტანები იყვნენ მილეთელი და როდისელი ვაჭრები.

„ეგვიპტური ფაიანსის“ ჭიქური სხვადასხვა ფერისაა: ლურჯი, მომწვანო, მოყვითალო და წითელიც კი. საქართველოში ძირითადად გვხვდება სხვადასხვა ინტენსივობის ცისფერი ჭიქური. მუხურჩაში აღმოჩნდილი „ეგვიპტური ფაიანსი“ ფორმით მრავალფეროვანია: მრგვალი – მანდარინისებრი, რომელსაც ნახვრეტიდან ნახვრეტამდე აქვს თანაბრად განაწილებული

ვერტიკალური სხვადასხვა ზომის ზოლები; ღოლისებრი, რომლის დაბრტყელებული არე შემქულია რელიეფური ბადისებრი სახით, გვერდზე კი შემოუყვება ვერტიკალური რელიეფური ზოლები; საქმაოდ ხშირად გვხვდება ბრტყელი, რომბისებური ფორმის მძივები, რომელიც შემქულია ისევ და ისევ რელიეფური ბადისებრი სახით. როგორც ჩანს, ეს მოტივი ვერტიკალურ ხაზებთან ერთად დამახასიათებლია ფაიანსის მძივებისთვის.

მარტივილის მუზეუმში დაცულია ბიკონუსური ფორმის მძივები, რომლებიც შემქულია ვერტიკალური რელიეფური ხაზებით. აღსანიშნავია, ცისფერი მილაკისებური მძივი, ასევე, ბრტყელი მართკუთხა მძივი, რომლის ზედაპირი დაფარულია ურთიერთგადამკვეთი ხაზებით. საინტერესოა, ერთი მანდარინისებრი მძივი „ეგვიპტური ფაიანსისა“, რომლის ლებნების ფორმა უფრო განიერია და ოდნავ ამობურცული, ხოლო თავსა და ბოლოში რელიეფური ზოლი შემოუყვება (ერთი მხარე მოტეხილია). ფაიანსის მძივები თარიღდება ძვწ. VII ს. ბოლოთი და VI ს-ის დასაწყისით.

იმპორტული მძივებიდან ეგვიპტურ ფაიანსთან ერთად სამაროვანზე აღმოჩენილია ქარვის მძივები [სულავა 2014: 57].

ქარვა, ისევე როგორც გიშერი, ორგანული წარმოშობის მინერალია, იგი გაქვავებულ წიაღისეულ ფისს წარმოადგენს. ქარვა შესაძლოა იყოს ღია ან მუქი - მისი შეფერილობა მოვითალოდან მუქ წითლამდე მერყეობს. ქარვის ხარისხი ცვალებადია, ჰაერის ბუშტების მქონე ან წყლიანი ქარვა ნაკლებად ფასობს. ყველაზე ღირებული ბალტიის ქარვაა. ქარვისგან ოდითგანვე ამზადებდნენ თილისმებს, სამკაულს. მისი გავრცელების არეალი ევროპაა [Алексеева 1978: გვ. 23]. ბალტიის ზღვის ნახევარეუნძულ რიუგენზე ძველთაგანვე მოიპოვებოდა ქარვა, რომელსაც ადგილობრივი ქურუმები ოქროზე ძვირფასად მიიჩნევდნენ. გერმანელები ამ მინერალს ბერშტეინს - „ცეცხლოვან ქვას“ უწოდებდნენ. სხვა მოსაზრებით, სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან, რაც „დაავადებებისგან დამცველს“ ნიშნავს.

მისი ქართული სახელწოდება კი წარმომდგარია საარსული „ქაპრუბასგან“. ჩვენში გავრცელებული ქარვა ბალტიისპირეთიდანაა. ქარვის ყველაზე გავრცელებული სახესხვაობაა სუკცინიტი, რომელსაც ხშირად ბალტიისპირეთის ქარვასაც უწოდებენ. მის წილად მოდის მთელი ქარვის 98% [მგელიაშვილი 1991: 73-75].

ქარვის შესახებ ცნობებს გვაწვდის არისტოტელე, პლატონი, პომეროსი, პერიდოტე, პლინიუს უფროსი და სხვ. სტრაბონი კი, როდესაც აღწერს კელტებისა და ბრიტანელების სავაჭრო ურთიერთობას, ქარვის სამკაულს სავაჭრო პროდუქციის აუცილებელ ატრიბუტად ასახელებს [თურმანიძე 2005: 45-46].

მუხურჩის სამაროვანზე მოპოვებული ქარვის მძივები სხვადასხვა ფორმისაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მძივსაკიდი მძივით, რომელთაგან მძივსაკიდი პირამიდის ფორმისაა, ხოლო მძივი - ცილინდრული, თავსა და ბოლოში ოდნავ შევიწროვებული (ერთ მხარეს კუთხე მოტეხილი აქვს). მძივსაკიდი მუქი ფერისაა, მძივი კი - შედარებით ბაცი. ისინი თარიღდებიან ძვწ. VII- VI ს-ით.

მუხურჩის სამაროვანზე გვხვდება ძალზე დიდი რაოდენობის მინის მძივები, რომელებიც სხვა მასალისგან დამზადებული მძივებისგან ფერისა და ფორმის მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, ესენია: ოქროფენილი, მონოქრომული, პოლიქრომული, ეწ. თვალადი მძივები და სხვა [სულავა 2014: 57].

მარტივილის მუზეუმში დაცულია ოქროფენილი მინის მძივი, რომლის ზედაპირზე ნაზი, ოდნავ შესამჩნევი ვერტიკალური ხაზები შეინიშნება [სულავა 2014: 57].

ოქროფენილი მძივების დაზადება დაიწყო ძვწ. IV ს-ში ეგვიპტეში, საიდანაც მთელ აღრეანტიკურ სამყაროში გავრცელდა [Алексеева 1978: 34].

საინტერესოა, ლურჯი ფერის, მრგვალბრტყელი ფორმის, კოპებით შემქული მძივი. ამობურცულ, მწვანე ფერის თვალს ძირზე შემოუყვება თეთრი და ყვითელი არშია, რაც მძივს მეტ ფერადოვნებასა და გამომსახველობას ანიჭებს (სურ. 7).

## ლიტერატურა

მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩნდა ლურჯი ფერის, ნახევრად გამჭვირვალე, სხვადასხვა ზომის მრგვალი მძივები (სურ. 8). ასევე აღსანიშნავია, ნახევრად გამჭვირვალე, ღია მწვანე ფერის, ცილინდრული ფორმის მძივი, რომლის ზედაპირი შემკულია სიგრძივი ღარებით.

აღსანიშნავია აგრეთვე, მრგვალბრტყელი ფორმის, მუქი მწვანე ფერის გაუმჭვირვალე მძივი, რომელსაც შემოუყება ბაცი მწვანე ფერის ორი ზოლი.

გარდა მძივებისა სამაროვანზე აღმოჩნდია მინის სხვადასხვა ფერისა და ფორმის მძივსაკიდები. მაგ. ამფორისკისებრი გაუმჭვირვალე, მსხლისებური, კონუსური და სხვა ფორმის საკიდები. აქვეა ქვის ღია ფერის მსხლის ფორმის მძივსაკიდი (სურ. 9, 10).

მუხურჩის სამაროვანზე ასევე უხვად არის მოპოვებული სხვადასხვა ფერის გაუმჭვირვალე მძივები, რომელთაგან ზოგი გლუვია, ზოგი - დაწახნაგებული. აღსანიშნავია, ორი მუქი ფერის ლურჯი მინის დაწახნაგებული მძივი გვერდებზე ვერტიკალური თეთრი ფერის ჩანართებით.

სამაროვანზე აღმოჩნდილია ოქროს მძივი, რომელიც დამზადებულია ოქროს თხელი ფურცლისგან. იგი ძალზე დაზიანებულია (სურ. 11).

როგორც უკვე აღნიშნეთ, მარტვილის მუზეუმში დაცული მძივების დათარიღება ადვილდება, რადგანაც გათხრების შედეგად გამოვლენილი ორფენიანი დასაკრძალავი მოედანი დათარიღებული ძვ.წ. VIII-VII სს. და VII-VI სს-ით. ვფიქრობთ, რომ მარტვილის მუზეუმის მძივები იმავე პერიოდს განეკუთვნება [სულავა 2014: 52-57].

მუხურჩის სამაროვანის მსგავსი ძეგლები გვხვდება ცენტრალურ კოლექში (ერგეტა, დელივაშა და სხვა).

მარტვილის მუზეუმის მძივები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ მძივებთან ერთად საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, მათ გემოვნებასა და სამკაულის მოთხოვნად ფორმებზე, ასევე, რაც ყველაზე მთავარია, მაშინდელი საზოგადოების სავაჭრო ურთიერთობაზე გარე და მეზობელ ქვეყნებთან.

გოგაძე ე., დავლიანიძე ც., ფანცხავა ლ., ლომიტაშვილი დ. 1990: ქვის მძივების საწარმოო ნამოსახლარები კოლხეთიდან. – ძიებანი, N 19. თბილისი. 162.

თურმანიძე მ. 2005: მძივსამკაული ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლიდან - შრომები III. ბათუმი. 45-46.

სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ., 2014. მარტვილის მხარეთ-ციოდნეობის მუზეუმი. აღბომი. თბილისი.

მგელიაშვილი თ. 1991: საქართველოს გეოარქეოლოგია. თბილისი. 73-75.

Алексеева Е. М. 1975: Античные бусы Северного Причерноморья, САИ, вып. Г1-12. Москва. 51.

Алексеева Е. М. 1978: Античные бусы Северного Причерноморья, САИ, вып. Г1-12. Москва. 34.

Леммлейн Г. Г. 1971: Каменные бусы Самтаврского Некрополя – МИГК, вып. 2. Москва. 184-193.

Tina Kakhelishvili

**Beads Preserved in Martvili Museum of Local Lore**

Summary

Numerous beads are preserved along with other artefacts in the archaeological funds of G. Eliava Martvili Museum of Local Lore.

Major part of beads stored in the museum was unearthed in the village of Mukhurcha during the archaeological survey carried out by G. Eliava and S. Janashia Georgian State Museum Nosiri-Mukhurcha archaeological expeditions (director – E. Gogadze).

Various cornelian beads (spheroid, cylindrical and discoid, tear-shaped adorned with the so-called fishbone pattern) were discovered on Mukhurcha necropolis.

G. Lemlein suggested that brown, transparent cornelian beads are of Egyptian origin, whereas pink ones come from Mesopotamia. However, it has already been proven that Colchis itself was a place of obtaining and manufacturing beads. E. Gogadze suggested that in 7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cent. BC. local population obtained and manufactured cornelian (red cornelian in particular) in Mukhurcha, Natsisqvilar. Archaeological excavations conducted in the 80s of the 20<sup>th</sup> cent. attested here existence of a workshop. Similar workshop was attested in Nokalakevi as well.

The following types of beads were also unearthed on Mukhurcha necropolis: jet beads (spheroid, cylindrical, rectangular, adorned with fishbone pattern); imported beads – the so-called “Egyptian faience beads” and glass beads (monochrome – blue, green, polychromous, sandwich gold glass with gold); amber beads (pyramidal and cylindrical, slightly narrowed to the ends); glass pendants of various shapes and color (opaque amphoriskos-shaped, pear-shaped, conical).

A bead made of thin golden plaque and a bronze one were also unearthed on cemetery.

Mukhurcha necropolis is dated to the 8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> and 7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cent. BC., which defines chronology for beads as well.

Beads preserved at the museum enable us to figure out a clear picture of mode of life, taste and demands of the society back then and to have an idea of their understanding of fashion and, most important, trading relations.



1



2



3



4



5



6



7



8



9

10



11



12 - ლյենանდრառ



13 - մախատո

ანა სახვაძე  
მინის სანელსაცხებლე მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან

მინა, როგორც უნიკალური ფიზიკური და ქიმიური თვისებების მქონე ნივთიერება, უძველესი დროიდანვე იზიდავდა ადამიანს. მისგან თავდაპირველად ფერად, გაუმჭვირვალე მძივებს და ამულეტებს ამზადებდნენ.

ძვ.წ. II ათასწლეულში აღმოსავლეთის ქვეყნებში (ეგვიპტე, სირია) მინისაგან ფერადი გაუმჭვირვალე სანელსაცხებლეების დამზადება დაიწყეს [საგინაშვილი 1970: 5]. გამლელვალი მინის მისაღებად, რომლისგანაც შემდეგ ჭურჭელი მზადდებოდა, სილის, სოდის, კაჟმიწისა და კირის ნაერთის იყენებდნენ. მაღალი ტემპერატურით გათხევადებულ მინას გამძლეობისთვის კირს ამატებდნენ და მიღებულ მასას ტიგელებსა და ქოთნებში ასხამდნენ [შალიგაძე 2009: 14].

დრო და დრო მინის ჭურჭლის დამზადების ხერხები ვითარდებოდა და იხვეწებოდა. ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებში საბერავი მილის გამოგონებამ სრული გარდატეხა მოახდინა მინის წარმოების ისტორიაში. იწყება მინის ჭურჭლის მასიური დამზადება. საბერავი მილის საშუალებით ჭურჭელს ამზადებენ როგორც ფორმაში, ისე თავისუფალი ბერვით. თავისუფალი ბერვით ჭურჭლის დამზადებამ მრავალფეროვანი ფორმები გააჩინა. აღსანიშნავია, რომ მინის ჭურჭლის დამზადების უძველეს ხერხებს თანამედროვე მინის წარმოებაშიც აქტიურად იყენებენ.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია თავისუფალი ბერვით დამზადებული მინიატურული მინის სანელსაცხებლე [სულავა 2014: 62] ჭურჭელი თხელკედლიანი, ისფერი მინისაა, პირი შესქელებული და შიგნით ჩაკეცილია, კოლბისებური ფორმის მუცელი შედრეკილი ძირით მთავრდება. სიმაღლე – 5,5 სმ; პირის ღმ – 1,5 სმ; ძირის ღმ – 2,1 სმ.

მიუხედავად იმისა, რომ ჭურჭელს არქეოლოგიური კონტექსტი არ გააჩნია, ანალოგიური მასალის ფონზე, შესაძლებელია ვივარაუდოთ მისი დამზადების მიახლოებითი თარიღი. მინის მკვლევარმა ნ. უგრელიძემ შეისწავლა რა სამთავროს სამართ-

ვანზე აღმოჩენილი მინის ჭურჭელი, შექმნა მისი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია [უგრელიძე 1967: 38-39], რომლის მიხედვითაც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მინის სანელსაცხებლე XXII ტიპს მიესადაგა და ახ.წ. IV-V საუკუნეებით დათარიღდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მინის ადგილობრივი წარმოება ახ.წ. IV-VIII საუკუნეებში უკველდად ივარაუდება [ჩხატარაშვილი 2014: 83], ჭურჭლის ადგილობრივ წარმომავლობაზე საუბრისგან თავს შევიკავებთ. მითუმეტეს, რომ ამ პერიოდში მინის ჭურჭლის იმპორტი სავაჭრო-ეკონომიკური მაგისტრალის საშუალებით კვლავ ხორციელდება საქართველოში.

საქართველოში მინის ნაწარმი აღმოჩენილია როგორც ნაქალაქარების კულტურულ ფენებში, ისე სამარხებში. მინის სანელსაცხებლეების სამარხებში აღმოჩენა (ურბნისი, მცხეთა) მის სარიტუალო დანიშნულებაზე უნდა მეტყველებდეს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ჭურჭელში მოთავსებული ნელსაცხებელი ან ზეთი უხვად იხმარებოდა ყოფაცხოვრებაში პირის საფარებოდ, სპორტული თამაშების დროს ტანის დასაზღვად, აპანოში და სხვა [უგრელიძე 1967: 23].

ამრიგად, სამეცნიერო მიმოქცევაში ახ.წ. IV-V საუკუნეებით დათარიღებულ ჩვენთვის აქამდე ცნობილ მინის ნაწარმს კიდევ ერთი სანელსაცხებლე შეემატა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, რაც ამდიდრებს და ერთი ნაბიჯით წინ სწერს ჩვენს ცოდნას საქართველოში აღმოჩენილ მინის ნაკეთობათა შესახებ.

### ლიტერატურა

**საგინაშვილი მ. 1970.** ურბნისის სამართვის მინის ჭურჭელი. თბილისი.

**სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ.,**

**კალანდია თ., 2014.** არტვილის მხარეთ-  
მცოდნეობის მუზეუმი. ალბომი. თბილისი.  
**უგრელიძე ნ. 1967.** ადრეულ შუასაუ-  
კუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის.  
თბილისი.

**შალიკაძე თ. 2009.** მინის ნაწარმი  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვის-  
პირეთიდან. გონიო-აფსაროსი IX. ბათუმი.  
**ჩხატარაშვილი გ. 2014.** ქართული მინის  
წარმოების ისტორიისათვის. რუსთავი IV.  
თბილისი. 58-108.

Ana Sakhvadze

## Glass Unguentarium from Martvili Museum of Local Lore

Summary

A minute unguentarium is preserved in Martvili Regional Museum. Based on analogous unguentaria discovered at Samtavro necropolis (Mtskheta Municipality), the Martvili specimen was dated to the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cent. AD. The above artefact adds on information about glass vessels unearthed on the territory of Georgia and enhances the scope of scholarly study of the subject



თინათინ ქუთელია  
არაბული მონეტების განძი სოფელ ინჩურიდან

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოქალაქე მზია ჯელიამ 1988 წელს მოიტანა 20 ცალი ვერცხლის მონეტა, არაბული სახალიფოს დირქემები. მისი თქმით, მარტვილის რაიონის სოფელ ინჩურში აღმოჩენილი მონეტები განძის ნაწილია. განძი უპოვია ადგილობრივ მოსახლეს გივი ფირცხალავას და მუზეუმში ჩასაბარებლად მზია ჯელიასათვის გამოუტანებია. მუზეუმმა დაუყონებლივ მიავლინა თანამშრომლები: თინათინ ქუთელია და ოულონ გაგოშიძე ს. ინჩურში ამ განძის აღმოჩენის ვითარების შესასწავლად და მონეტების შესაგროვებლად. ეს ამბავი წინასწარ შევატყობინეთ ბატონ გივი ელიავას – მარტვილის მუზეუმის დირქეტორს.

ჩავედით სოფელ ინჩურში. დავბინავდით გივი ელიავას სახლში. მან გვიამბო აღმოჩენის ამბავი და სახლის მახლობლად ადგილიც გვიჩვენა, სადაც განძი უპოვიათ. ეს არის აპატარა ხევი, რომელსაც სოფლელები “ლვამუშს” უწოდებენ – დიდი ლოდის ქვეშ შედგმული ყოფილა მონეტებით სავსე თიხის ქოთანი. ეს ისეთი ადგილია, სადაც არც ახლა სახლობს ვინმე და, საეჭვოა, რომ ოდესმე ვინმეს ეკვთოვრა, თუმცა ზემოთ, ხევის პირას ძველი ნასოფლარი ჩანს. აშკარაა, რომ რაღაცა საშიშროების გამო ინჩურის მცხოვრებმა ფული საჩქაროდ შედგა დიდი ლოდის ქვის სიცარიელეში, ისე, რომ მიწაც კი არ მოუყრია. ფულით სავსე ქოთანი მშვიდად იდგა ლოდის ქვეშ, სანამ 1988 წლის გაზაფხულზე ბაშვებმა თამაშის დროს არ მიაგნეს მას. აღმოჩენის ადგილას ხალხი შეგროვდა, რაიონის მმართველიც კი მივიდა. მონეტები დაინაწილეს. თვითმხილველები ვარაუდობენ, რომ მონეტები 300 ცალამდე მაინც იქნებოდა და მათ შორის ერთი ოქროს ფულიც ერთა, რომელზედაც ხატი იყო გამოსახული – გვითხრა გივი ფირცხალავამ.

სოფელში შევაგროვეთ მონეტები: ნორა სუბელიანმა გადმოგვცა 96 ცალი, ა. ლო-

მიამ – 4 ცალი, თ. ფირცხალავამ – 18 ცალი, ზ. სილაგაძემ – 17 ცალი. ინჩურში წასვლისთანავე ყოველივე ვაცნობეთ ბ-ნ გივი ელიავას. იგი მეორე დღესვე დაგვიკავშირდა და ჩვენ მასთან ერთად მივაკითხეთ ქ-ნ მადონა გეგეჭკორს, რომელსაც ჰქონდა ამ განძის ოქროს მონეტა. იგი შეგვპირდა, რომ ამ მონეტას მარტვილის მუზეუმს გადასცემდა. ეს პირობა ქ-ნ მადონამ შესარულა. ბატონმა გივიმაც შეკრიბა მოსახლეობაში გაფანტული მონეტები.

ამრიგად, ინჩურის განძიდან მუზეუმებში დაცულია 235 ცალი მონეტა: საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმიზმატიკური საცავის განძების ფონდში – 155 ვერცხლის მონეტა (ინვენტარის №№ 229 26-23080), ხოლო გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 79 ვერცხლის და ერთი ოქროს მონეტა (საინვენტარო №№ 1-79). განძი შეისწავლეს და გამოაქვეყნეს თინათინ ქუთელიამ და ციალა ლვაბერიძემ [ქუთელია, ლვაბერიძე 2014: 212-218].

ინჩურის განძის ოქროს მონეტა ბიზანტიის იმპერატორის მავრიკი ტიბერიუსის (582-602 წწ.) სოლიდი (წონა 4,28 გრამი, ზომა-22 მმ.), მოჭრილია კონსტანტინოპოლიში. დანარჩენი 234 დირქემია. მათ შორის 10 ცალი ომაინთა დინასტიას განეკუთვნება და მოჭრილია ვასიტსა და არმინიაში. 224 ცალი კი აბასიანთა დინასტიის მეურ არის მოჭრილი – ბასრაში, ქუფაში, არმინიაში, ას-სალამში, ჯაში, არანსა და მუჰამადიაში [Тизенгаузен 1873].

ყველაზე ადრეული მონეტა ჰიჯრით 87 წელს (=707/8 წწ.) ვასიტში მოჭრილი დირქემია, ხოლო გვიანი ჰიჯრით 199 წ. (=814/15 წწ.) მუჰამადიაშია გამოშვებული. დირქემების მაქსიმალური წონა - 2,95 გრამია, მინიმალური - 2,77 გრამი, საშუალო წონა - 2,86 გრამი.

ინჩურის განძის აღმოჩენა რიგითი განძის აღმოჩენა არ იყო. მან არსებითად შე-

ცვალა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, თითქოს VIII-IX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, არაბული ფული დასავლეთ საქართველოში არ მიმოიქცეოდა. სულ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია არაბული ფულის განძისა და ცალკეული მონეტების აღმოჩენის 53 შემთხვევა, ინჩხურის განძის ჩათვლით, მათ შორის 10 – დასავლეთ საქართველოზე მოდის.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია:

1. 1950 წელს სოფელ მერჯევში (საჩხერის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა ომაიანთა დინასტიის დირპეტი მოჭრილი ჰიჯრით 100 წელს (=718/19 წწ.) ქირმანში. დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის “განძების ფონდი №7176 [ჯალაღანია 1972:5].

2. 1930 წელს სოფელ მერიაში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა ხალიფა რამიდის მიერ ჰიჯრით 173 წელს (=789/90 წწ.). სიჯისთანში მოჭრილი არაბული დირპეტი [Пахомов 1940: 37 № 821].

3. გელათის მონასტერში აღმოჩენილ მონეტებს შორის ერთი არაბული დირპეტია [Пахомов 1926: 48 №87].

4. სოფელ ზოტში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) XX საუკუნის 90-იან წლების მიწურულს აღმოჩნდა 150 ვერცხლის მონეტა. აქედან ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში მხოლოდ 12 არაბული დირპეტი მოხვდა (მონეტები გატარებულია საერთო საინვენტარო ნომრით – VI: 06-70). განდი დამარტული იყო დიდი ქვის ქვეშ ქოთანში, რომლის მხოლოდ ბირისა და კედლის ფრაგმენტებია შემორჩენილი. განძის ყველაზე აღრეული მონეტა ჰიჯრით 147 წელს (=764/65 წწ.) არის მოჭრილი ალბასრაში, გვიანდელი მონეტა კი ას-სალამშია მოჭრილი ჰიჯრით 195 წელს (=810/11 წწ.). განდი ჩაფლული უნდა იყოს ჰიჯრით 195 წლის შემდეგ [ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია 2013: 54].

5. 1907 არქაბეში (ლაზეთი. რუსეთ-თურქეთის ყოფილი საზღვარი) აღმოჩნდა ომაიანთა და აბასიანთა სახელით მოჭრილი მონეტების განძი, 300-მდე მონეტა. მპოვნე-

ლის სიტყვით, განძში 10-მდე ოქროს მონეტა ყოფილა, რომელიც მას თურქეთში გაუყიდია, დანარჩენი კი ვერცხლის მონეტები იყო. ე. პახომოვს აჩვენეს დაახლოებით 250 ქუფური მონეტა მოჭრილი 723-811 წლებში სახალიფოს სხვადასხვა ქალაქში: ას-სალამში, მუკამადიაში, არმინიაში, ქუფაში, ბასრაში, არანში, მადინათ ბაჯურაისში, ბალხში, ჯაიში, ვასიტში, სიჯისტანში, ბარანჯში, იფრიკიასი, ჰარუნიაში, ალ-ჰარუნანბადში, რეიში, ისტახრში, ქირმანში [Пахомов 1926: 46 № 80].

6. 1959 წელს ბათუმთან მდ. ჭოროხზე აღმოჩნდა არაბული ვერცხლის მონეტების განძი, მპოვნელებმა იქვე დაიტაცეს. ამ განძიდან ერთი დირპეტი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძების ფონდში საინვენტარო № 10220, აბასიანი ხალიფა ამინის (809-813 წწ.) სახელით მოჭრილი ას-სალამში ჰიჯრით 195 წელს (=810/11 წწ.) [ჯალაღანია 1972: 12-13].

7. 1960 წელს დაბა შორაპანში (ზეტაფონის მუნიციპალიტეტი), ციხის მახლობლად აღმოჩნდა არაბული ვერცხლის მონეტა აბასიანი ხალიფა მუთავაქილის სახელით მოჭრილი ბასრაში ჰიჯრით 246 წელს (=859/60 წწ.). მონეტა დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძების ფონდში ინვენტარის №9712 [ჯალაღანია 1972: 25].

8. 1961 წელს სოფელ კორბოულში (საჩხერის მუნიციპალიტეტი) მაჭავარიანების უბანში აღმოჩნდა არაბული ვერცხლის მონეტა მოჭრილი აბასიანი ხალიფა მუთამადის (870-892 წწ.) სახელით ჰიჯრით 252 წელს (=875/76 წწ.). მონეტა დარჩა მპოვნელთან [ჯალაღანია 1972: 26].

9. 1965 წელს სოფელ სავანეში (საჩხერის მუნიციპალიტეტი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა თიხის ჭურჭლით დაფლული მონეტები, რომლებიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიტაცეს. გადარჩენილი 68 მონეტა დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში განძების ფონდში, ინვენტარის № 11848-11945. განძის შემადგენლობაშია 1 ომაიან-

თა და 657 აბასიანთა მიერ გამოშვებული დირპემები, რომლებიც მოჭრილია სახალიფოს ცენტრის ერაყის ზარაფხანებში. მათ შორის არის ერთი უნიკალური დირპემი მოჭრილი არდაშირ ჰერაში (ფარსის პროვინცია) ჰიჯრით 136 წელს (=753/54 წწ.) [ჯალაღაძანია 1972: 6; ჯალაგანია 1979: 51].

ზემო იმერეთში (არგვეთი, კორბოული) სამონეტო განძების აღმოჩენები სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილი იყო იმით, რომ ეს პროვინცია ყოველთვის ისტორიულად დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოსთან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: გურიაში, აჭარასა და ლაზეთში არაბული მონეტების აღმოჩენას იმით ხსნიდნენ, რომ ეს ტერიტორია დაკავშირებული იყო ტრაპიზონთან, სადაც ხორციელდებოდა ბიზანტიის საგარეო ურთიერთობები სახალიფოსთან. ინჩხური კი არც არგვეთში მდებარეობს და არც ტრაპიზონის მახლობლად და არაბული მონეტების ისეთი განძი აღმოჩნდა, რომელშიც წარმოდგენილია ერთ საუკუნეზე მეტი წესის განმავლობაში 707-815 წლამდე არაბეთის სახალიფოს ათ სხვადასხვა ზარაფხანაში მოჭრილი დირპემები. ცხადია, ეს განძი იძლევა ფულადი მიმოქცევის ჭეშმარიტ სურათს. ამ აღმოჩენამ ცხადჰყო, რომ ძველი თვალსაზრისი გადახედვას საჭიროებს. VIII-IX საუკუნეში მთელ საქართველოს ჰერინდა ერთიანი სამონეტო მიმოქცევა, რომელიც დამყარებული იყო არაბულ დირპემზე. შემდგომმა აღმოჩენებმა ამ მოსაზრებას კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინა: გასული საუკუნის 90-იან წლებში ზოგადი (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), 2004 წელს ხელვაჩაურში არაბული დირპემების განძები აღმოჩნდა. ყოველივე ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ჯერ კიდევ 1977 წელს აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წებელდაში მოპოვებულმა ვერცხლის მონეტების განძმა [ჯალაგანია, ბგაჯბა,

Воронов 1983: 10-26]. განძი შედგება 106 მონეტისაგან, რომელთაგან ერთი ხალიფა აღ-მაპდის (775-785 წწ.) სახელით ჰიჯ-რით 163 წელს (=779/8 წწ.) ას-სალამში მოჭრილი დირპემია. დანარჩენი 105 კი – არაბული დირპემების მინაბაძებია. ეს მონეტები სხვადასხვა სიქითაა მოჭრილი, აღ-ბათ, ქუთასში. მათი მოჭრის მიზანი ბრუნვაში მყოფი ძირითადი საფასის – არაბული დირპემების დეფიციტის შევსება იყო.

დანართის სახით ვიძლევით ინჩხურის განძის არაბული მონეტების სიას, რომელიც შევადგინეთ თინათინ ქუთელიამ და ციალა ღვაბერიძემ [ქუთელია, ღვაბერიძე 2014: 212-218].

### ლიტერატურა

**ამრამიშვილი თ. 1965:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბილისი.

**ქუთელია თ., ღვაბერიძე ც. 2014:** ინჩურის განძი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, V, (50-13).

**ჯალაღაძანია ირ. 1972:** ქუთური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში. თბილისი.

**ფაღავა ირ., ვარშალომიძე ირ., თურქია ს. 2013:** ქუთური მონეტების განძი ზოტიდან (გურია). ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V. თბილისი.

**ჯალაგანია ირ. 1979:** Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. Тбилиси.

**ჯალაგანია ირ., ბგაჯბა ი., ვორონი იუ. 1983:** Клад подражаний арабским диргемам из Цебельды. Археологические исследования в Цебельде (результаты раскопок 1977 г.). Тбилиси.

**Пахомов Е. 1926:** Монетные клады Азербайджана. Баку.

**Пахомов Е. 1940:** Монетные клады Азербайджана и других республик краев и областей Кавказа. Баку.

**Тизенгаузен В. 1873:** Монеты Восточно-го халифата. Санкт- Петербург.

Tinatin Kutelia

## **Hoard of Arabic Coins from Village Inchkhuri**

### **Summary**

A clay pot full of coins was accidentally discovered in the village of Inchkhuri (Martvili municipality) in 1988. As reported by eyewitnesses, the pot contained approximately 300 coins that were eventually distributed among the population.

235 coins from the Inchkhuri hoard are nowadays preserved in museums. In particular: 155 Arabic dirhams found their place in numismatic funds of Georgian State Museum, whereas 79 Arabic dirhams, together with a golden solidus of Emperor Maurice (582-602) are stored in G. Eliava Martvili Museum of Local Lore.

The earliest coin of the above hoard was minted in 87 hijri (=707/8) in Wasit, while the latest one was issued in 199 hijri (=814/5) in Muhammedia.

## დანართი

ინჩხურის განძის ვერცხლის არაბული მონეტების სია.

დონასტია	ზარაფხანა	თარიღი პ.	თარიღი ქრისტ.	რაოდენობა
1	2	3	4	5
ომაიანი	ვასიტი	87	707/8	1
ომაიანი	ვასიტი	93	711/12	1
ომაიანი	არმინია	101	719/20	1
ომაიანი	არმინია	111	729/30	1
ომაიანი	არმინია	121	738/39	1
ომაიანი	არმინია	123	740/41	3
ომაიანი	არმინია	124	741/42	1
ომაიანი	არმინია	130	747/48	1
აბასიანები	ბასრა	133	750/51	1
აბასიანები	ქუფა	137	754/55	2
აბასიანები	ნისაბური	137	754/55	1
აბასიანები	ქუფა	139	756/57	1
აბასიანები	ქუფა	140	757/58	1
აბასიანები	ქუფა	141	758/59	2
აბასიანები	ქუფა	142	759/60	3
აბასიანები	ქუფა	143	760/61	3
აბასიანები	არმინია	143	760/61	2
აბასიანები	ჯაი	143	760/61	4
აბასიანები	ას-სალამი	143	760/61	1
აბასიანები	ქუფა	144	761/62	1
აბასიანები	არმინია	144	761/62	9
აბასიანები	ქუფა	145	762/63	5
აბასიანები	ქუფა	146	763/64	2
აბასიანები	ჯაი	146	763/64	1
აბასიანები	არანი	146	763/64	3
აბასიანები	არმინია	147	764/65	4
აბასიანები	ჯაი	147	764/65	1
აბასიანები	ას-სალამი	147	764/65	2
აბასიანები	არანი	147	764/65	8
აბასიანები	მუჰამადია	147	764/65	1
აბასიანები	არმინია	148	765/66	3
აბასიანები	ჯაი	148	765/66	1
აბასიანები	ას-სალამი	148	765/66	1
აბასიანები	არანი	148	765/66	2
აბასიანები	მუჰამადია	148	765/66	4
აბასიანები	არმინია	149	766/67	8
აბასიანები	ჯაი	149	766/67	3
აბასიანები	ას-სალამი	149	766/67	4
აბასიანები	არანი	149	766/67	4
აბასიანები	მუჰამადია	149	766/67	2
აბასიანები	არმინია	150	767	2

აბასიანები	ას-სალამი	150	767	2
აბასიანები	არანი	150	767	3
აბასიანები	ას-სამია	150	757	1
აბასიანები	არმინია	151	768	6
აბასიანები	ას-სალამი	151	768	1
აბასიანები	არანი	151	768	3
აბასიანები	მუჰკამადია	151	768	2
აბასიანები	მუჰკამადია	152	769	1
აბასიანები	არანი	152	769	3
აბასიანები	ას-სალამი	152	769	2
აბასიანები	არმინია	153	770	6
აბასიანები	ჯაი	153	770	1
აბასიანები	არანი	153	770	6
აბასიანები	მუჰკამადია	153	770	1
აბასიანები	ას-სალამი	153	770	4
აბასიანები	ას-სალამი	154	770/71	4
აბასიანები	არანი	154	770/71	1
აბასიანები	ქუფა	154	770/71	1
აბასიანები	ას-სალამი	155	771/72	7
აბასიანები	არანი	155	771/72	3
აბასიანები	მუჰკამადია	155	771/72	1
აბასიანები	არმინია	156	772/73	4
აბასიანები	ას-სალამი	156	772/73	5
აბასიანები	ას-სალამი	157	773/74	17
აბასიანები	ჯაი	157	773/74	1
აბასიანები	ას-სალამი	158	774/75	12
აბასიანები	ას-სალამი	159	775/76	4
აბასიანები	ქუფა	159	775/76	2
აბასიანები	ას-სალამი	160	776/77	8
აბასიანები	ას-სალამი	161	777/78	2
აბასიანები	არმინია	161	777/78	1
აბასიანები	ქუფა	162	779/80	1
აბასიანები	ას-სალამი	164	780/81	1
აბასიანები	არმინია	183	799	1
აბასიანები	არმინია	187	802/03	1
აბასიანები	ას-სალამი	199	814/15	1
აბასიანები	მუჰკამადია	199	814/15	2

მარტვილის მუზეუმში დაცული მონეტები ინჩხურის განძილან



1) 15758: δ-131



2) 15761: δ-178



3) 15761: δ-183



4) 15760: δ-138



5) 16058: δ-200



6) 15760: δ-162



7) 15760: δ-165



8) 15761: δ-189



9) 15760: δ-163

დარეჯან გოგაშვილი  
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული წიგნები:  
რესტავრაცია-კონსერვაცია და ექსპონირება

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოს ოთხ მუნიციპალიტეტში - მარტვილი, აბაშა, სენაკი, ჩხოროწყუ - აღმოჩენილი გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული კოლექციები [სულავა 2014: 4]. სამუზეუმო ფონდში ასევე დაცულია ხელნაწერების კოლექცია, სადაც თავმოყრილია XIX-XX სს. დათარიღებული სასულიერო ხასიათის შემცველი ხელნაწერები: კითხვა-მიგებანი, საეკლესიო განმარტებანი, კატეხიზმო, ლოცვათა კრებული და ა.შ. სასულიერო მწერლობის გარდა ფონდში გვხვდება საერო ლიტერატურის ნიმუშებიც, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“ (1825 წ. 1929 წ.), ასტროლოგიური კრებული (1874 წ. 1880 წ.), ისტორიული ჩანაწერები (XIX ს), ლექსთა კრებული (XIX ს.), ნიადაგისა და მცენარეთა აღწერილობა (XIX ს.) და სხვა. აქვე დაცულია XVII-XIX სს. დათარიღებული, ქრისტიანული ლვითისმსახურებისთვის განკუთვნილი ნაბეჭდი წიგნები: სახარება, კურთხევანი, ლოცვანი, უამნი, ტრიოდიონი და სხვა<sup>1</sup>.

მარტვილის მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე (2013 წ.) მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 2014 წელს ახალი ექსპოზიცია მოეწყო. გამოფენის კონცეფციის შესაბამისად, საგამოფენოდ შეირჩა ექვსი წიგნი, განისაზღვრა მათი რაობა და თარიღი, მომზადდა შესაბამისი ანოტაცია<sup>2</sup>.

<sup>1</sup> პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი დაიბეჭდა რომში 1629 წელს, 1709 წელს, ვახტანგ VI-ის თაოსნობით, თბილისში დაარსდა სტამბა. ვახტანგ VI-ის სტამბაში (1709-1722 წ.) დაიბეჭდა პირველი ქართული სახარება და დავითი, სახწავლო და სამეცნიერო წიგნები, აქვე გამოიცა პირველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“ [ჩიქობავა ა., ვათეიშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბილისი 1983].

<sup>2</sup> წინასწარი შესწავლის შედეგად გამოიკვეთა გარეული უზუსტობები მუზეუმის საინვენტარო წიგნში არსებულ მონაცემებთან დაკავშირებით, ამი-

1. № მს 4053/1 გ-154. წიგნი მღვდელ-მსახურების შესახებ. 1861 წ. ქალალდი. მხედრული. 22,5X19 სმ. დაიბეჭდა მოსკოვის სინოდის სტამბაში. რუსულიდან ქართულად ითარგმნა არქიმანდრიტი ტარასის მიერ.

2. № მს 6174/1 გ-356. კურთხევანი. 1803 წ. ქალალდი. ნუსხური. 20X15,5 სმ. დაიბეჭდა ქუთაისში. გადმობეჭდილია თბილისში 1713, 1764, 1784 წწ. გამოცემული “კურთხევიდან”.

3. № მს 3936/1 გ-87. კონდაკი. 1710 წ. ქალალდი. ნუსხური. 15X11 სმ. დაიბეჭდა თბილისში, ვახტანგ VI სტამბაში.

4. № მს 4059/1 გ-160. სავედროებელი გალობა. 1862 [1861] წ. ქალალდი. ნუსხური. 23,5X19 სმ. დაბეჭდა მოსკოვის სინოდის სტამბაში. რუსულიდან ქართულად ითარგმნა თბილისის საკათედრო ტაძრის, სიონის მღვდლის გრიგორი ცამცივის მიერ.

5. № მს 4048/1 გ-149. კურთხევანი. 1826 წ. ქალალდი, ნუსხური. 35X23 სმ. დაიბეჭდა მოსკოვში.

6. № მს 4062/1 გ-163. უამნი. 1885 წ. ქალალდი. ნუსხური. 23X16 სმ. დაიბეჭდა თბილისში, ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

თითოეულ მათგანი მომზადდა საგამოფენოდ და ჩაუტარდა შეძლევი აქტივობები: 1. განისაზღვრა საექსპოზიციოდ შერჩეული მასალის მდგომარეობა (სურ. 1. 2. 3): - წიგნი აკინძულია და ჩასმულია ყდაში. აღინიშნება სტრუქტურულ, მექანიკური და ზედაპირული დაზიანება. ფურცლებზე და ყუაზე შეინიშნება მტვერი, მიწა, მწერების და მღრღნელების ექსკრემენტები, კიდეები დაფორმირებულია, შეინიშნება გახეული და გადაგეცილი ადგილები

ტომ განისაზღვრა ნაბეჭდი წიგნების რაობა, დაზუსტდა დაბეჭდვის ადგილი და თარიღი.



სურ. 1 № მხ 6174/1 გ-356. კურთხევანი. 1803 წ. 0X15,5 სმ. ქაღალდი. ნუსხური.  
დაიბეჭდა ქუთაისში.

- წიგნი აკინძულია და ჩასმულია ტყავის ტვიფრულ ყდაში, რომელსაც ზემოდან ქაღალდის ფრაგმენტებზე მითითებული საინკავტარი ნომერი აქვს დაწებებული, ტვიფრული ტყავის ზედაპირი დაფარულია ჭუჭყით და მტვრით, საკეტები მოცილებულია ყდის ფრთებს. ალინიშნება სტრუქტურული, მექანიკური და ზედაპირული დაზიანებები, მრავლად არის გადაკეცილი, განეული და დეფორმირებული ადგილები, ფურცლის ზედაპირი დაფარულია მტვრით და სხვადასხვა სახის ლაქებით, წიგნის

შემადგენელი ფურცლის კიდეები დამჩვარული და დაზიანებულია. წიგნი აკინძულია და ჩასმულია ტყავის ყდაში. ყდა დაზიანებულია, განსაკუთრებით ყუა და კიდეები, შეინიშნება ნაკლული ადგილები, საკუთრივ ტყავი გამომმრალი და მყიფეა, ზედაპირზე და ყუაში არის მტვერი, ჭუჭყი და მწერების ექსკრემენტები. შეინიშნება სტურქტურული, ზედაპირული და მექანიკური დაზიანება. ყდის ზედაპირზე დაწებებულია ქაღალდის ფრაგმენტები.



სურ. 2. № მე 39 36/1 გ-87. კონდაკი. 1710 წ. 15X11 სმ. ქაღალდი. ნუსხური.  
დაიბეჭდა თბილისში, ვახტანგ VI სტამბაში.




სურ. 3. № მე 4048/1 გ-149. კურთხევანი. 1826 წ. 35X23 სმ. ქაღალდი. ნუსხური.  
დაიბეჭდა მოსკოვში.

2. განისაზღვრა ჩასატარებელი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, შეირჩა მასალა და დაიგეგმა რესტავრაციის პროცესი: მოსცილდა წიგნის ყდაზე დაწებებული ქაღალდის ფრაგმენტები; ყდის ზედაპირი გაიწმინდა მტვრისა და ჭუჭყისაგან, აუცილებლობის შემთხვევაში გამაგრდა დაზიანებული განშრევებული ადგილები. ქაღალდი. ნუსხური. დაიბეჭდა მოსკოვის სინოდის სტამბაში. რუსულიდან ქართულად ითარგმნა თბილისის საკათედ-


რო ტაძრის, სიონის მღვდლის გრიგორი ცამციევის მიერ.

წიგნის ყდა გადაქექილია, ზემოდან დაწებებული აქვს საინვენტარო ნომერი, რომელიც აზიანებს ხელნაწერს. როგორც ფურცლების, ასევე ყდის ზედაპირი დაფარულია მტვრით და ჭუჭყით, ფურცლის კიდეები დეფორმირებულია, შეინიშნება გადაკეცილი და დაზიანებული ადგილები.

თავიდან



შემდეგ



სურ. 4. საინვენტარო: 4059/1 გ-160. 23,5X19 სმ. სავედრებელი გალობა.  
1862 [1861] წ.

## თავიდან




## შემდეგ



სურ. 5. სურ. 3. № მს 4048/1 გ-149. 35X23 სმ. კურთხევანი.  
1826 წ. ქალალდი. ნუსხური. დაიბეჭდა მოსკოვში.

წიგნი აკინძულია და ჩასმულია ყდაში. ყდა დაზიანებულია, განსაკუთრებით ყუა და კიდეები, შეინიშნება ნაკლული ადგილები. საკუთრივ ტყავი გამომშრალი და მყიფეა, ზედაპირზე და ყუაში არის მტვერი, ჭუჭყი და მწერების ექსკრემენტები. შეინიშნება სტურქტურული, ზედაპირული და მექანიკური დაზიანება. ყდის ზედაპირზე დაწებებულია ქალალდის ფრაგმენტები.


3. საგამოფენოდ შერჩეული წიგნების შემადგენელი ყოველი ფურცელი გაიწმინდა ჯერ მშრალი მეთოდით, რის შედეგადაც მოსცილდა ზედაპირზე არსებული მტვერი, ჭუჭყი, მღრღნელებისა და მწერების ექსკრემენტები, ხოლო შემდეგ თითოეული ფურცელი დამუშავდა ეთილის სპირტით, მოთავსდა ფილტრის ქაღალდებს შორის, გასწორდა და გამოშრა.



სურ. 6 საინვენტარო: № მს 4048/1 გ-149. 35X23 სმ. კურთხევანი.  
1826 წ. ქაღალდი, ნუსხური.

4. გასწორდა გადაკეცილი, დეფორმირებული და გახული ადგილები. რიგ შემთხვევებში გამაგრდა დაზიანებული ფურცლები.
5. განისაზღვრა ექსპოზიციისთვის საჭირო სადგარის ფორმა, რბილი ბალიშის ზომა და წიგნის გადაშლის კუთხე.

6. თითოეული წიგნისთვის დამზადდა შესაბამისი სადგარი და რბილი ბალიში.
7. სპეციალურად დამზადებულ სადგარზე და რბილ ბალიშზე მოთავსებული წიგნები განთავსდა საექსპოზიციო ვიზრინაში.



სურ. 7. საინვენტარო: 4059/1 გ-160. 23,5X19 სმ. სავედრებელი გალობა.  
1862 [1861] წ. ქაღალდი, ნუსხური.



სურ. 8. საღვარი დამზადებულია წიგნის ზომის, წონის, საწერი მასალის, (XVII-XIX საუკუნეების ნაბეჭდი წიგნების ქაღალდი, ზედაპირული შეჭიდულობის ძალებით, ერთმანეთთან დაკავშირებული, მცენარეული ბოჭკოებისაგან შედგენილი თექის მაგვარი ფურცელია. არის მდგრადი და გააჩნია უსწორმასწორო ზედაპირი.) გაშლის კუთხისა და მდგომარეობის გათვალისწინებით და ზუსტად უნდა იმეორებდეს გაშლილი წიგნის ფორმას.

### ლიტერატურა

სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ., 2014. არტვილის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი. ალბომი. თბილისი.

ჩიქობავა ა., ვათეიშვილი ჯ. 1983. პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბილისი.

Darejan Gogashvili

**Books preserved in the Martvili Museum of Local Lore Restoration, Conservation,  
Exposition  
Summary**

The manuscript collection of the Martvili Museum of Local Lore incorporates manuscripts of ecclesiastic literature dating from the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> cent. They include questions and answers, commentaries, catechism, psalters, etc. Besides the works of purely religious character, Martvili funds contain pieces of secular literature – “The knight in the panther’s skin” (1825, 1929), astrological collection (1874, 1880), historical records (19<sup>th</sup> cent.), collection of poetry (19<sup>th</sup> cent.), a description of soil and plants (19<sup>th</sup> cent.), etc. Christian liturgical books printed in the 17<sup>th</sup>-19<sup>th</sup> cent. Gospels, priest’s prayer book, prayer book, Book of Hours, Triodion and others are also prominent part of collection.

New exposition was designed on the bases of memorandum signed between Martvili Museum of Local Lore and Georgian State Museum in 2013. Six books were selected for exhibition and the following preparatory measures were taken:

Various paper fragments were removed from book covers; the surface was cleaned and stratified and damaged parts consolidated. In order to remove dust, dirt and excrements of rodents and insects, dry cleaning method was applied to every single page. Afterwards, they were treated with ethyl alcohol. Folded and deformed pages were straightened and damaged parts repaired.

The shape of exhibition stands, dimensions of soft pillows and angles of book opening were determined. Stands and pillows were prepared. Books placed on specially designed stands were installed in glass showcases.

გიორგი მინდორაშვილი, ლევან მინდორაშვილი, ვახტანგ ზოშტარია

## მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფრესკების ფრაგმენტების რესტავრაცია

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის 2013 წელს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა მარტვილის მუზეუმის განახლების ერთწლიანი პროექტი, რომელიც დაფინანსდა მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ. ამავე პროექტის მსვლელობის დროს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2014 წლის აპრილმაისში დაფინანსდა და განხორციელდა პროექტი<sup>1</sup> – მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი: ფრესკებისა და საკლეუსით წიგნების სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები.

ახალი საგამოფენო სივრცის მომზადებასთან დაკავშირებით ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელთაგან ცალკე უნდა აღინიშნოს მუზეუმის მხატვრულ მასალათა ფონდში დაცული მარტვილის ტაძრის XVI-XVII საუკუნეების ფრესკის ფრაგმენტების კონსერვაცია. გაიწინდა და გამაგრდა ფონდში არსებული კედლის მხატვრობის შემდეგი სცენები:

1. „ბზობა“ (ზომები – 202x220x22 სმ. საინვ. № მს 6146/1 ა-46); თარიღდება 1673-1681 წლებს შორის პერიოდით. თარიღი ეფუძნება საქტიტორო წარწერისა და ფრესკაზე გამოსახულ ისტორიულ პირთა

<sup>1</sup> პროექტის დირექტორი – გია ელიავა (მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი), პროექტის ხელმძღვანელი – ნინო სულავა, ისტორიის მეც. დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფრ. მეც. თანამშრომელი, შემსრულებლები – დარეჯან გოგაშვილი (სემ უფროსი მეც. თანამშრომელი, რესტავრატორი), ლევან მინდორაშვილი, გიორგი მინდორაშვილი, ვახტანგ ზოშტარია (სემ რესტავრატორი), ნინო ოქრუაშვილი (სემ არქიტექტორ-დიზაინერი).

პროექტში მონაწილეობდნენ მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები – ფონდის მთავარი მცენელი ნანა კირთაძე, ფონდის მცენელები – ნინო სურმავა, თეა ხელაია, ტექნიკური უზრუნველყოფა – ალექსტ ხუნწელია და ლექსო ბაჩილავა.

შესწავლას [ჩიხლაძე 1997: 110-113]. „ბზობა“ წარმოადგენს ტაძრის ჩრდილოეთი მკლავისათვის გააზრებული თორმეტი დღე-სასწაულის ერთ-ერთ სცენას (ტაბ. IX).

2. მთავარანგელოზ გაბრიელის ფრესკა (ზომები – 144x127x40 სმ. საინვ. № მს 6145/1 ა-45). მოხსნა მარტვილის მცირე ეკლესიიდან (ე.წ. ჩიქვანთა საგვარეულო საძვალე). 6. ჩიხლაძის მოსაზრებით, თარიღდება XVI საუკუნით და წარმოადგენს პოსტბიზანტიური ოფიციალური მიმართულების მაღალპროფესიული მხატვრობის ნიმუშს.

3. ორნამენტის ფრაგმენტი (ზომები – 54x96x17 სმ. საინვ. № მს 6147 ა-47). მოხსნილია მთავარი ტაძრიდან.

4. წმინდა ლუკა მახარობელი (ზომები – 64x121x22 სმ. საინვ. № მს 6144/1 ა-44). მოხსნილია მცირე ეკლესიიდან. თარიღდება XVI საუკუნით.

5. წმინდა მათე მახარობელი (ზომები – 42x46x16 სმ. საინვ. № მს 6143/1 ა-43). მოხსნილია მცირე ეკლესიიდან. თარიღდება XVI საუკუნით.

აღნიშნული ფრესკების კედლებიდან მოხსნა და მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადატანა მოხდა 1957 წელს. მაშინდელი კულტურის სამინისტროსთან არსებული ძეგლთა დაცვის სამმართველომ სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს მხატვარ-რესტავრატორ კარლო ბაკურაძეს დაავალა მარტვილის ტაძრის კედლის მხატვრობის გაწმენდა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. სამუშაო პროცესში გაირკვა, რომ ტაძრის სამხრეთი მკლავის მესამე რეგისტრში არსებობდა მხატვრობის ორი ფენა. მეოთხეულმა საბჭომ გადაწყვიტა მოხსნილიყო ზედა, XVII საუკუნის ფენა და გამოჩენილიყო მხატვრული თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი, XVI საუკუნის ქვედა ფენა. ორფენოვანი მოხატულობა ხშირად გვხვდება ქართული ტაძრების ინტერიერში. მარტვილის შემთხვევაში XVI საუკუნის

მხატვრობა ამოჩიჩქნილი იყო ბრტყელი წვეტიანი იარაღით, რათა ნალესობის ზედა ფენას ქვედა ფენაზე მჭიდროდ მოჭიდების საშუალება ჰქონოდა. გამოირკვა, რომ ზედა შელესილობა ზოგიერთ ადგილას მკვიდრად არ იყო მოჭიდებული ქვედა ფენას, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მხატვრობა იყო შემორჩენილი. ამასთან, ამოჩიჩქნილი ადგილები არც თუ ხშირი იყო, რაც შედარებით აიოლებდა დასახული სამუშაოების ჩატარებას [ბაკურაძე 1974: 62].

კ. ბაკურაძის აღწერით, ზედა ფენის ფრესკების მოხსნის სამუშაოები შემდევნაირად წარიმართა: წინასწარ მომზადდა მოსახსნელი ფართობის ზომის დაფა; მხატვრობას აეკრო გასამაგრებელი თხელი ქსოვილი და შემოიჭრა შელესილობა კომპოზიციის მიხედვით. ამის შემდეგ, ბრტყელი და გრძელი იარაღებით, ძალზე ფრთხილად განხორციელდა ზედა ფენის მოხსნა; მოხსნილი ფენა დამაგრდა ფანერის დაფაზე და თოკებით დაუშვეს ტაძრის იატაკზე; შემდგომ ფრესკები ჩაისვა სპეციალურ ჩარჩოებში [ბაკურაძე 1974: 62]. ხის ჩარჩოზე გაეთდა ალუმინის მავთულებით შეკრული ბადე და მასზე თაბაშირის ხსნარით დამაგრდა ფრესკის უკანა ნაწილი. წინა მხრიდან ასევე თაბაშირით შეივსო მხატვრობის დაკარგული ადგილები და გაუკეთდა ტონირება აკვარელის საღებავით [ბაკურაძე 1974: 62].

ასეთივე სამუშაოები ჩატარდა მარტვილის ტაძრის ეზოში მდებარე მცირე ზომის ეკლესიაში, საიდანაც გუმბათის ყელის ქვედა არეებიდან, ქვის წყობიდან მოიხსნა მახარობელთა გამოსახულებები. ტაძრიდან და მცირე ეკლესიდან მოხსნილი ფრესკები გადაეცა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს [ბაკურაძე 1974: 62].

იმ დროიდან მოყოლებული, ფრესკის ფრაგმენტები ჩართული იყო მუზეუმის საექსპოზიციო სივრცეში. 57 წლის მანძილზე ფრესკებზე არ ჩატარებულა რაიმე სახის საკონსერვაციო-გაწმენდითი სამუშაოები, რის გამოც ექსპონატები დაიმტვერა. დაზიანდა ჩარჩოზე გადაკრული ტილოს ქსოვილი. ფერწერულ ზედაპირზე ბევრგან ჩაჯდა ჭუჭყი და ლაქები. ფრესკების ცალ-

კეულ მონაკვეთებზე მოირყა მხატვრობისა და ნალესობის ფრაგმენტები. ბზობის სცენის ზოგიერთ მონაკვეთს გასდევდა თავის დროზე მხატვრობის ფენის გასამაგრებლად გამოყენებული ლაქები, რომელსაც უკვე ფერი ჰქონდა შეცვლილი და გაყვითლებული იყო (ტაბ. I-II, ტაბ. III, სურ. 1). ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში არსებული ფრესკები აუცილებლად მოითხოვდა გადაუდებელ გაწმენდა-კონსერვაციას. მხოლოდ ამ სამუშაოების განხორციელების შემდეგ იყო შესაძლებელი ფრესკების ახალ საგამოფენო სივრცეში წარმოდგენა.

ახალ საექსპოზიციო სივრცეში განთავსებამდე საჭირო იყო ფრესკების ფრაგმენტების თანამედროვე საგამოფენო სივრცის ექსპონატებად მოწესრიგება, რაც განხორციელდა წინამდებარე სტატიის ავტორების მიერ. ჩატარებული სამუშაოების შედეგად ფრესკებს ხის ჩარჩოებიდან მოსცილდა დროთა განმავლობაში უკვე საკმაოდ შელახული, დაზიანებული და დამტვერილი ტილოს ქსოვილი. ამის შემდეგ გაიწმინდა ხის ჩარჩო. მას მოსცილდა უანგმოკიდებული ლურსმნები, რომლითაც ტილოს ნაჭერი ჩარჩოზე იყო დამაგრებული.

თაბაშირის ზედაპირის ნალესობა ყველა ექსპონატზე შელესილი იყო საკმაოდ უხეშად (ტაბ. III, სურ. 3-4). ამიტომ, მოხდა ასეთი უხეშად ნალესი ადგილების დათხელება-მოსწორება ზუმფარის მეშვეობით, რის შემდეგაც, ძველ თაბაშირზე არსებული უხეში ნალესობები და დაზიანებები (ნაკლული ადგილები) შეივსო თაბაშირის ახალი ხსნარით. შემდგომ სამუშაო პროცესს შეადგენდა შევსებული და დათხელებულ-მოსწორებული თაბაშირის ზედაპირის ტონში დაფარვა აკრილის საღებავით (ტაბ. IV, სურ. 1-2).

ფრესკებზე მტვერისა და ჭუჭყისაგან გაიწმინდა როგორც მხატვრობის ზედაპირი, ისე ზურგის მხარეები. მხატვრობის ზედაპირზე შეძლებისდაგვარად მოსცილდა ფორებში ჩამჯდარი ჭუჭყის, მტვერისა და ლაქების კვალი. გასაწმენდად გამოიყენებოდა გამოხდილი წყალი და ბამბის ტამპონები. რაც შეეხება ლაქიანი მონაკვეთებს, ისინი იწმინდებოდა აცეტონის ხსნარით. წე-

ბო „Paraloid B72“-ით ფრესკების გარკვეულ მონაკვეთებზე გამაგრდა მორყეული ბათქაშის ადგილები (ტაბ. V).

ექსპონატებს ხის ჩარჩოზე გაუკეთდა ახალი მოჩარჩოება. კერძოდ, ჩარჩოს გადაეკრა მუყაოს მასალა და შეიღება აკრილის საღებავით. ახალი მოჩარჩოების ფერი შეეხამა დარბაზში არსებულ კედლის ფერს. ჩატარებული სამუშაოების ყოველი ეტაპი ფიქსირდებოდა გრაფიკულ სქემებზე (ტაბ. VII, სურ. 1-2; ტაბ. VIII, სურ. 1-2). საკონსერვაციო სამუშაოების შემდგომ, საბოლოო ეტაპზე მოხდა მათი დამონტაჟება ახალ საგამოფენო სივრცეში (ტაბ. V, სურ. 1-2; ტაბ. VI, სურ. 1, 2, 3).

### ლიტერატურა

**ბაქურაძე პ. 1974.** მხატვარ-რესტავრატორის პრაქტიკიდან, უკრ. ძეგლის მეცნარი, № 36, გვ. 58-62.

**ჩიხლაძე ნ. 1996.** მარტვილის ტაძრის მოხატულობათა ფენები, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახ. მუზეუმის ნარკვევები, ტ. II, გვ. 101.

**ჩიხლაძე ნ. 1997.** XVI-XVII საუკუნეების ისტორიულ პირთა გამოსახულებები მარტვილის ეკლესიაში, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახ. მუზეუმის ნარკვევები, ტ. III, გვ. 110-113.

**ჩიხლაძე ნ. 1999.** მარტვილის მონისტრის მხატვრობის სახისმეტყველებისათვის, შ. ამი-

რანაშვილის სახ. ხელოვნების სახ. მუზეუმის ნარკვევები, ტ. V, გვ. 101-115.

### ტაბულების აღწერა

**ტაბ. I.** სურ. 1. „ბზობა“. სურ. 2. წმინდა ლუკა მახარობელი. კონსერვაციამდე არსებული მდგომარეობა.

**ტაბ. II.** სურ. 1. მთავარანგელოზი გაბრიელი. სურ. 2. წმინდა მათე მახარობელი. სურ. 3. ორნამენტი.

**ტაბ. III.** სურ. 1-2. „ბზობა“ (დეტალი). კონსერვაციამდე და კონსერვაციის შემდეგ. სურ. 3-4. უხეშად ნალესი თაბაშირი.

**ტაბ. IV.** სურ. 1. „ბზობა“. ტონირების პროცესი. 2. იგივე. ტონირების შემდეგ.

**ტაბ. V.** სურ. 1. „ბზობა“. სურ. 2. წმინდა ლუკა მახარობელი. კონსერვაციის შემდეგ.

**ტაბ. VI.** სურ. 1. მთავარანგელოზი გაბრიელი. სურ. 2. წმინდა მათე მახარობელი. სურ. 3. ორნამენტი. კონსერვაციის შემდეგ.

**ტაბ. VII.** სურ. 1-2. „ბზობა“. სამუშაო პროცესის სქემები.

**ტაბ. VIII.** სურ. 1-2. მთავარანგელოზი გაბრიელი. სამუშაო პროცესის სქემები.

**ტაბ. IX.** მარტვილის ტაძრის მოხატულობის სექმა – 1996 წელი. ავტორი დ. გაგოშიძე.

Giorgi Mindorasvili, Levan Mindorashvili, Vakhtang Khoshtaria

**Restoration of Fragments of Frescoes from Martvili Museum of Local Lore**

Summary

The conservation works were carried out on the fragments of Martvili church 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> cent. frescoes preserved in the museum funds in order to prepare them for renewed exposition of Martvili Museum of Local Lore. The following scenes of mural painting stored in the funds were cleaned and consolidated:

1. Palm Sunday (202X220X22cm inventory #painting 6146/1 a-46), (Pl. I, fig.1)
2. Fresco of Archangel Gabriel (144X127X40 cm, inventory # painting 6145/1 a-45),(Pl. II, fig. 1 )
3. Ornament fragment (54X96X17 cm, inventory # painting 6147 a-47), (Pl. II, fig. 3)
4. Fresco of Luke the Evangelist (64X121X22 cm, inventory # painting 6144 a-44), (Pl. I, fig. 2)
5. Fresco of Mathew the Evangelist (42X46X16 cm, inventory # painting 6143 a-43), (Pl. II, fig. 2)

No restoration or conservation procedures had been carried out on frescoes for the last 57 years, which resulted in deterioration of their condition. Dust and dirt as well as fragments of linen textile were removed in the process of restoration; wooden frame was also cleaned and rusty nails removed. Coarse plastered surface of frescoes was evened with fresh solution and covered with toned acrylic resin (Pl. IV, fig. 1-2). The exhibits got new frames. All stages of the process were recorded in graphic diagrams (Pl. VII, fig. 1-2; Pl. VIII, fig. 1-2). After restoration process was over, the frescos were installed in the area of exposition (Pl. V, fig. 1-2: Pl. VI, fig. 1, 2, 3).

I



1



2

II



1




2



3

III



1



2



3



4

IV



1



2

V



1



2



1




2



3

## VII




1



2

VIII



მიკრო ბზარები

გადარეცხილი ფერის ფენა


თაბაშირი

აცვენილი ფერი

განგიანი ლურსმნის თავები

ტილოს ნაჭერი

1



ლურსმნის მოცილება


ახალი თაბაშირის შევსებები

ტონირება

Paraloid B-72-ით გამაგრება

ახალი მასალით მოჩარჩოება

2



მარტვილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მკლავი

## სურათების აღწერილობა

1. ბიზანტიის იმპერატორის მავრიკი ტიბერიუსის (582-602წწ) სოლიდი მოჭრილი კონსტანტინებოლში.
2. ომაიანთა დინასტია, დირპემი, ვასიტი, ჰიჯრით  $93 = 711/12$  წ.
3. აბასიანთა დინასტია, დირპემი, არმინია, ჰიჯრით  $123 = 740/41$  წ.
4. აბასიანთა დინასტია, დირპემი, ქუფა, ჰიჯრით  $137 = 754/755$  წ.
5. აბასიანთა დინასტია, დირპემი, მუჰამადია, ჰიჯრით  $147 = 764/65$  წ.
6. აბასიანთა დინასტია, დირპემი, ას-სალამი, ჰიჯრით  $150 = 767$  წ.
7. აბასიანთა დინასტია, დირპემი, არანი, ჰიჯრით  $150 = 767$  წ.
8. აბასიანთა დინასტია, დირპემი, არანი, ჰიჯრით  $154 = 770/71$  წ.
9. აბასიანთა დინასტია, დირპემი, ქუფა, ჰიჯრით  $162 = 779/80$  წ.

**ნინო თავართქილაძე, მარიამ მჭედლიშვილი, სალომე ახალაძე, თეიმურაზ ფარჯანაძე  
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ექსპონატების  
რესტავრაცია-კონსერვაცია**

მუზეუმში დაცული სხვადასხვა სახის მასალა შენახვისა და მოვლის განსაკუთრებულ და განსხვავებულ პირობებს მოითხოვს. სამუზეუმო ექსპონატებზე გავლენას სხვადასხვა ფაქტორი ახდენს, მათ შორისაა არასწორი ტემპერატურა (T) და ფარდობითი ტენიანობა (RH). ამ ორი ფაქტორის ნორმალურ რეჟიმზეა დამოკიდებული ექსპონატთა შენახვის ხანგრძლივობა [Pragnell 1990]. მუზეუმში ტემპერატურის და ტენიანობის რეჟიმის დარღვევის წყაროებად შესაძლოა მოგვევლინოს შიდა და გარე ფაქტორები. მაგ: რეგიონალური კლიმატი, შენობასთან არსებული კლიმატი, შენობის შიდა კლიმატი და ა.შ.

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კოლხეთის დაბლობის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მარტვილის გ. ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული არტეფაქტების მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო. ზედაპირული კოროზიის გარდა ნივთებს აღნიშნებოდა სტრუქტურული ცვლილებები. ნივთების უმეტესი ნაწილი იყო ნაკლული, ზედაპირზე აღნიშნებოდა ღრმულები, ანატკეჩები, ნაკარგები, ბურცობები, ბზარები და ა.შ.

2013-2014 წლებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორების მიერ, სამ ეტაპად განხორციელდა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია.

პირველ ეტაპზე შესრულდა არქეოლოგიური მასალისა და რამდენიმე ეთნოგრაფიული ნივთის, მეორე ეტაპზე განხორციელდა ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალის, ხოლო მესამე საბოლოო ეტაპზე შესრულდა ეთნოგრაფიული მასალის რესტავრაცია-კონსერვაცია.

სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები განხორციელდა რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლის, კერამიკის, ხისა და ტყავის ნივთებზე (სურ. 1-9).

### დამუშავება

არქეოლოგიური ლითონის არტეფაქტების რესტავრაცია

არქეოლოგიური მასალის გარკვეული ნაწილი უკვე დამუშავებული იყო ქიმიურად, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი მდგომარეობა მოითხოვდა ხელახალ რესტავრაციის. რესტავრაციის პროცესი თითქმის ყველა ბრინჯაოს ნივთზე ერთნაირად წარიმართა. ნივთები დამუშავდა მექანიკური მეთოდით. ბრინჯაოს ზედაპირის მექანიკური დამუშავება ძირითადად მიმდინარეობდა გამადიდებლის ქვეშ ლანცეტითა და ბორმანქანაზე დამაგერებული მუისა და ფოლადის ჯაგრისებით. გაწმენდის დაწყებამდე, კოროზიული ფენის მოცილების გაადვილების მიზნით, ნივთის ზედაპირი მუშავდებოდა დეიონიზირებული წყლისა და ეთოლის სპირტის ნარევით. სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოხდა ნივთების კონსერვაცია მაღალმოლექულური პალიმერის პარალინიდ B-72-ის 2%-იანი აცეტონისნარით. რამდენიმე ბრინჯაოს ნივთს აღნიშნებოდა შედარებით ღრმა სტრუქტურული დაზიანება. ასეთ შემთხვევაში საკონსერვაციოდ გამოვიყენეთ 5 %-იანი B-72-ის აცეტონისნარი.

სარესტავრაციო პროცესის ძირითადი მიზანი იყო კოროზის ფენების მოხსნა ორიგინალი ზედაპირის დაუზიანებლად. დამუშავების დროს, ბრინჯაოს პატინის ყველაზე ღრმა ფენების გამოსაჩენად, ქვიშისა და მიწის ფენის მოცილებისას რაიმე სპეციფიური პროცედურა არ წარმოქმნილა. სირთულე შეიქმნა ნივთის ორიგინალი ზედაპირის გამოჩენის მცდელობისას, რომელიც უმეტესად დაფარული იყო სპილენძის კარბონატისა და ქლორიდის ფენებით. ეს ფენები ხშირად საკმაოდ მკვრივი გახლდათ. ზოგიერთ შემთხვევაში ზედაპირის ასეთი ფენი იმდენად ახლოს იყო ლითონურ გულთან, რომ მისი მთლიანად მოხსნა ვერ მოხერხდა, მოიხსნა მხოლოდ მექანი-

კური ნადები და კოროზიის პროდუქტების მცირე ნაწილი.

რკინის არტეფაქტების სარესტავრაციო პროცესი ბრინჯაოსგან განსხვავებულად წარიმართა. ზოგადად, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (მაღალი ტენიანობა), დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული და დაცული რკინის არტეფაქტების მდგომარეობა განსაკუთრებულად რთულია. ხშირ შემთხვევაში ნივთი მთლიანად მინერალიზირებულია. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული რკინის არტეფაქტების გარკვეული რაოდენობა, დაცულობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროებდა ზედაპირის გამაგრებას. მათი ზედაპირი დამუშავდა ტანინის სპირტსნარით (ეთილის სპირტი + ტანინი + დისტილირებული წაყლი). გამაგრების შემდეგ ნივთები გაიწმინდა მექანიკურად და დაიფარა პარალოიდ B-72-ის 2%-იანი აცეტონსნარით.

### არქეოლოგიური კერამიკული მასალის რესტავრაცია

არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი კერამიკული მასალა, უმეტესად საქმაოდ დაზიანებულია (დამტვრებული და ფრაგმენტული). ასეთ შემთხვევაში რთულია ნივთის სრული სახით აღდგენა, რადგან ზოგიერთი ფრაგმენტი დაკარგულია და რესტავრაციის დროს რჩება ნაკლული აღგილები. რეკონსტრუქციის მიზნით, ნაკლული აღგილები იქსება თაბაშირით, რაც ნივთს აძლევს სტრუქტურულ სიმყარეს და აადვილებს ვიზუალურ აღქმას.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული კერამიკის არტეფაქტებიდან ჩვენს მიერ რესტავრირებულ იქნა მხოლოდ სამი ერთეული, აქედან ერთი დიდი ზომის ქვევრი იყო, რომლის რეკონსტრუქცია მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა. ხოლო ორი ნივთი სრულად აღდგა.

სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე კერამიკული მასალა კარგად გაირეცხა. გაშრობის შემდეგ დეტალები შეწებდა პოლივინილაცეტატით (PVA). ზოგადად, სა-

რესტავრაციო სამუშაოებისათვის გამოყენებულ წებოს უნდა ახასიათებდეს შექცევადობა: ე.ი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს შეწებებული ნაწილების ერთმანეთისგან დაცილება, ეს სარესტავრაციო პრაქტიკაში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. (აბესაძე, ბახტაძე 1963: 44).

შემდეგ ეტაპზე მოხდა ნივთის ნაკლული ადგილების შევსება. ჭურჭლის დაუზიანებელი ნაწილიდან სილიკონით ავიღეთ ფორმა, დავამაგრეთ ნაკლულ ადგილზე და შევავსეთ თაბაშირით. გაშრობის შემდეგ თაბაშირი დავამუშავეთ ლანცეტითა და აბრაზიული ქალალდით. აღდგენილი ზედაპირი ორიგინალ ზედაპირზე ნახევარი მილიმეტრით დაბალი გავაკეთეთ. რეკონსტრუქციის დროს აუცილებელია დარწმუნებული ვიყოთ, რომ თაბაშირით შევსებული ფრაგმენტის ფორმა ნამდვილად იდენტურია მისი თავდაპირველი, ანუ ორიგინალი ფორმისა. დაუშებელია რესტავრატორის ფანტაზიით ნივთის აღდგენა.

ფორმის აღდგენის შემდეგ ნივთები საბოლოოდ გასუფთავდა და თაბაშირით შევსებული ფრაგმენტები დაიფერა აკრილის საღებავებით. ორიგინალისა და შევსებული აღგილების გარჩევის მიზნით, თაბაშირი ჭურჭლზე ოდნავ განსხვავებული ტონით დაიფერა.

ხშირად, კერამიკულ მასალას ვიზუალურად არ ეწყობა, მაგრამ მიღრეკილია სტრუქტურული დაზიანებისაკენ [Watkinson 1998: 95.] ამიტომ, რესტავრაციის შემდეგ, პრევენციის მიზნით, ნივთი უნდა დაიფაროს პარალოიდ B-72-ის 2%-იანი აცეტონსნარით. სულ დამუშავდა 188 არქეოლოგიური ერთეული.

### ნუმიზმატიკური მასალის რესტავრაცია

სარესტავრაციო ნუმიზმატიკური მასალა შედგებოდა ბრინჯაოსა და ვერცხლის მონეტებისაგან. მათ შორის იყო ინჩხურისა და ისულას განძი. მათი სარესტავრაციო პროცესი განსხვავებულად წარიმართა. რადგან სამუშაო პროცესის დროს არ იყო მონეტების ქიმიურად დამუშავების საშუალება, რესტავრაცია მექანიკურად განხორ-

ციელდა. ბრინჯაოს მონეტები გაიწმინდა გამადიდებლის ქვეშ ლანცეტითა და ბორ-მანქანაზე დამაგრებული ძუის ჯავრისით. ხოლო ვერცხლის მონეტები გაირეცხა გამოხდილი წყლით და დამუშავდა სპირ-ტით. საბოლოოდ ყველა მონეტა დაიფარა პარალოიდ B-72-ის 2%-იანი აცეტონ-სსნარით. სულ დამუშავდა 214 მონეტა.

ამრიგად, მატერიალური კულტურის ძეგლთა კონსერვაციის საშუალებათა კანონზომიერი გამოყენება, ითვალისწინებს სარესტავრაციო მასალების, სინთეზური და ბუნებრივი პოლიმერების მდგრადობას „სიბერის“ პროცესების მიმართ. მიზანშეწონილად შერჩეული პოლიმერი (პარალოიდ B-72), ექსპლუატაციის სათანადო პირობებში, ხანგრძლივად ინარჩუნებს მთლიანობას, უზრუნველყოფს მატერიალური კულტურის ძეგლის სამედო დაცვას [ინანიშვილი 2003: 12].

მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეობის მუზეუმში გათვალისწინებულია ექსპონატების დაცვის ოპტიმალური პირობები - კლიმატ კონტროლი (ფარდობითი ტენიანობა, ტემპერატურული რეჟიმი).

### ტაბულების აღწერა

**სურ. 1-4** – ანტიკური ხანის კერამიკა რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ  
**სურ. 5, 6** – სკივრი (ხე, ლითონი) რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ  
**სურ. 7, 8** – რკინის სარიტუალო ნივთი რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ  
**სურ. 9** – ვერცხლის შანდალი რესტავრირებული

### ლიტერატურა

აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1963. სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია, თბილისი.

ინანიშვილი გ. 2009. მატერიალური კულტურის ძეგლების კონსერვაცია, თბილისი.

**Pragnell R. 1990.** Recording humidity: no need to lose your hair, Environmental Engineering, September.

**Watkinson D. 1998.** Neal V., Firs aid for finds.

Nino Tavartkiladze, Mariam Mtchedlishvili, Salome Akhaladze, Teimuraz Parjanadze

## Restoration and conservation of exponents in Martvili's Local Lore Museum

### Summary

In 2013-2014 restorers of National Museum have performed in three stages restoration and conservation of exhibits kept at Martvili Local History Muzeum. Restoration-conservation jobs were performed on exhibits made of iron, bronze, silver, ceramics, wood and leather. Inspection of the safety of Muzeum Collections should be performed regularly (from time to time). It will enable correct evaluation of their condition and development of acceptable method for protection of each object.



1

2



3

4



5

6



7



8



9

გიორგი მამარდაშვილი  
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპოზიციის  
შესახებ

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეთნოგრაფიული კუთხე (ექსპოზიცია) ახლებურად რამდენიმე წლის წინ მოეწყო. იგი ამჟამად სამ საგამოფენო ოთახს მოიცავს და შეიძლება ითქვას, რომ მუზეუმის ყველაზე ვრცელ და ექსპონატმრავალ განყოფილებას წარმოადგენს. გარდა ამისა, მუზეუმის ეზოს ამშვენებს ღია ცისქვეშ, გამოფენა რომლის ორიგინალური ექსპონატები ნათლად ასახავს სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფის სხვადასხვა ნიუანსს.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეთნოგრაფიული კუთხე აზრობრივად ორ ნაწილადაა გაყოფილი: პირველი ნაწილი სამეგრელოს წარსულში დაწინაურებული ფენის ყოფას, ხოლო მეორე, უბრალო გლეხთა ცხოვრებას. დაწინაურებული ფენის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ექსპონატების გარკვეული ნაწილი სამეგრელოს მმართველი საგარეულოს – დადიანების, ხოლო დანარჩენი კი სხვადასხვა თავადაზნაურელი გვარის ოჯახთა კუთვნილებას წარმოადგენდა. გამოფენის პირველი ექსპონატი ჯაჭვის პერანგია, რასაც მოჰყვება ხმლები, ხანჯლები, ცეცხლსასროლი იარაღი, ცხენის აღკაზმულობა [სულავა 2014: 64, 65, 100, 101, 104]. აღსანიშნავია ხმლის ვარიაციების სიმრავლე – აქ შეხვდებით როგორც ლოკალურ, დასავლეთქართული სტილის, ასევე აღმოსავლეთქართულ, ჩრდილოკავკასიურ და რუსულ ნამუშევრებს. ყურადღებას იქცევს მანდილოსნებისთვის განკუთვნილი სპეციალური უნაგირები და მათი ღამაზი სამშვენისები. წარჩინებულთა ყოფის ექსპოზიციის ეს ნაწილი თითქოს ხაზს უსვამს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების მეორეულ ხასიათს.

დაწინაურებული ფენის ცხოვრების ამსახველი გამოფენის შემდგომი ექსპონატები ტანისამოსი და საოჯახო ნივთებია [სულავა 2014: 97, 98, 99]. ყურადღებას იქცევს ნატიფად შესრულებული და ტანზე მორგებული ქალის სამოსი. აქვეა მუსიკალური ინსტრუმენტები (დაირა, ჩონგური),

საოჯახო ნივთებისა და ძვირფასეულობის შესანახი, ძვირფასი ლითონისგან და ფაიფურისგან დამზადებული სხვადასხვა ზომის სკივრები, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული წარმოების ჭურჭელი. ჭურჭლის ნაწილი სალომე დადიანისა და აშილ მიურატის (ნაპოლეონის მთავარსარდლის შთამომავლის) კუთვნილებას - წარმოადგენს.

ამავე ოთახს ამშვენებს დიდი ზომის ხალიჩა, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ უკანასკნელ მეფეს, ერეკლე მეორეს ეპუთვნის. ხალიჩას მოყვება დადიანების საზაფხულო სასახლის ხის მასიური კარები, კედლის ტიხერები და ხისავე სკამები. კარები, ტიხერები და სკამებიც მრავალფეროვანი ჩუქურთმებითაა შემკული [სულავა 2014: 107,108].

წარჩინებულთა ყოფის ამსახველი სივრცე ამით მთავრდება და შემდეგი ოთახი იწყება გლეხის საცხოვრებლის შიგა მოწყობის ექსპოზიციით: კერა, ოჯახის მისტიკური ცენტრი, საკრალური ადგილია და ამიტომაც პირველი ექსპონატები შუაცეცხლის ინვენტარი, ხის ორიგინალური ნაჭა და ქვაბებია [ელიავა გივი 1989: 62. 2; 106, 107]. კერას ყოველდღიურობაში საჭირო – გობები, ვარცლები, ანუ დიასახლისისთვის აუცილებელი სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელი მოყვება. კედელზე განთავსებულია პატარა ზომის ორიგინალური ხის ჭურჭელი (მურზგა, ჩაყვა, ნისორი) [ელიავა გივი 1989: 62. 2; 108].

გლეხთა ცხოვრების ამსახველი გამოფენა სხვადასხვა ზომის ჭურჭლით გრძელდება – აქ ნახავთ წყლის საზიდ სპილენძის ჭურჭელს, აგრეთვე ყველის შესანახ და რძის პროდუქტებისთვის განკუთვნილ ხის ჭურჭელს (ნიგა, საგვეთი, მაწური და სხვ.) [ელიავა გივი 1989: 62. 2: 111]. ამ ექსპონატებს მოსდევს ღვინისა და ვენახის ინვენტარი – ყურძნის საკრეფი მოწურელი გიდელი, ვაზის სასხლავი დანები, ქვევრის სა-

რეცხები, მომცრო ქვევრები, თიხის დოქები და ჩაფები [ქლიავა გივი 1989: 18-30, 58]. მეტად ორიგინალურად გამოიყერება მთლიანი მორისგან დამზადებული, ორნაწილიანი გეჯა – ფუტკრის სკა. ოთახის კუთხეში, გლეხთა ტანისამოსი, უბრალო ჩოხა და ახალუხებია გამოფენილი.

შემდეგი ექსპონატები გლეხის სახლიდან „მოშორებით“ ყოფის, საგარეო ნაწილს ასახავს – ისრები, მშვილდი, თხილამურები, ნაბადი; ეს ის ნივთებია, რომელიც გლეხს აუცილებლად სჭირდებოდა მგზავრობისა თუ ნადირობის დროს [სულავა 2014: 109]. აქვე ყანებისა და სოფლისგან მოშორებით მდებარე ახოების დასამუშავებელი თოხები და სხვა იარაღები [ქლიავა გივი 1989: 8-10, 50, 51]. ამავე განყოფილებაშია საინჟინრო დანიშნულების ექსპონატები, სასწორი, სახარატო ხელსაწყოები. ოთახის ცენტრში დგას ხის ჯამ-ჭურჭლის დასამზადებელი ჩარხი [ქლიავა გივი 1989: 59, 60].

მესამე ოთახი ძირითადად სახვნელ იარაღებსა და მარცვლეულ კულტურათა მოვლა-პატრონობისთვის განკუთვნილ ინვენტარს ეთმობა – თვალნათლივაა წარმოდგენილი სახვნელი იარაღის განვითარება უმარტივე-სიდან რთულამდე – ანუ ხის ტოტისებური უმარტივესი ბარჯვიდან და ხაბარჯვიდან რთულ, შედგენილ კინახონაში ერქვანამდე და ოგაფამდე (გუთნებამდე) [ქლიავა გივი 1989: 10-13, 52, 53]. მეტად ორიგინალურად გამოიყერება სამქესლა სახნისი და კბილებიანი კაბტო [ქლიავა გივი 1989: 54]. აქ გამოფენილია გუთანი და მიწის დასამუშავებელი იარაღები სხვადასხვა პირობებისთვის – ზოგი მათგანი განკუთვნილია დაბლობის რბილი მიწების, ზოგი ფერდობების, ზოგიც ახლადგაჭრილი ახოების დასამუშავებლად. კუთხეში მოთავსებული კევრი მარცვლეულის მოყვანის პროცესის სიმბოლური დასასრულია – კაუიანი ქვებითა და ნალის პირებით ძირმოჭერებული კევრით ხდებოდა ნამჯის და მარცვლის განცალკევება, მარცვლეულის ლეწვა. ასეთივე დანიშნულებისაა საცენტრო კუთხეში – ხის ან ქვის დიდი ზომის ჭურჭლი, სადაც მარცვლეული დიდი ზომის, ხის მასიური, უროე-

ბით იცენვებოდა [ქლიავა გივი 1989: 56]. იქვე, საცენტრო სამეგრელოში გავრცელებული მარცვლეულის ჯიშებია წარმოდგენილი, შემდეგ კი ქვის საფქვავი დოლაბები და მარცვლეულის შესანახი კასრია მოთავსებული. ამით ეთნოგრაფიული გამოფენის შიგა ნაწილი მთავრდება და ექსპონატიცია გრძელდება ღია ცის ქვეშ გამოფენით. ამ გამოფენის უმთავრესი ნაწილი საჩვენებელი ვენახია, რომელიც ტრადიციულად წარმოდგენილია როგორც მაღლარი (ტალავერი), ასევე დაბლარი ვენახის სახით. ამ ვენახში ვაზის ლოკალური ჯიშები ხარობს<sup>1</sup>. მუზეუმის ეზოშივე დგას საწნახელი და ყურძნის საწური მოწყობილობა, აგრეთვე, ტვირთსაზიდი საშუალება – ურემი. ეზოს სიღრმეში განთავსებულია მომცრო ზომის ორიგინალური სახლი, პიტაფიცარა და სამზადი სახლი [ქლიავა გივი 1989: 46, 47, 58]. ღია ცის ქვეშ გამოფენა, ისევე როგორც მუზეუმის ეთნოგრაფიული კუთხის სხვა ექსპონატები, ნათელ წარმოდგენას გვიქნის სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფა-ცხოვრების შესახებ და მთლიანობაში ასახავს მის ორიგინალურ და გამორჩეულ ხასიათს.

### ლიტერატურა

**ქლიავა გივი 1989.** ეთნოგრაფიული სამეგრელო. მარტვილი. სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ., 2014. მარტვილის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი. ალბომი. თბილისი.

<sup>1</sup> რომელთა ნიმუშები (25 კოლხური ჯიში) გამებულია მუზეუმის ვენახში.

Giorgi Mamardashvili  
**Ethnographic Exposition of Martvili Museum of Local Lore**  
Summary

The ethnographic exposition of Martvili Museum of Local Lore is comprised of three exposition halls and an open-air exposition designed in the yard of museum.

The exposition of Martvili Museum of Local Lore represents two historical dimensions – lifestyle of nobility of Samegrelo and mode of every-day life of Lay people and peasants.

Part of exhibits of the elite initially belonged to the ruling family of Samegrelo – the Dadianis, whereas the rest of items – chainmail armor, swords, daggers, firearms, horse harness – had been in possession of various noble clans. Variety of sword types is of special interest – the collection includes swords of both local, West Georgian and East Georgian style, as well as North Caucasian and Russian masterpieces. Saddles designed for ladies and their exquisite decorations are also noteworthy.

Another part of exhibits reflecting lifestyle of nobility relates to clothing and various items – sophisticated female dresses, musical instruments (tambourine/*daira*, four-stringed lute/*chonguri*), chests of various size and shape for keeping different items and jewelry, local and imported wares made of metals and porcelain. A part of dinnerware set belonged to Salome Dadiani and Achille Murat (a descendant of the general of Napoleonic wars); a large carpet of one of the last kings of Georgian monarchy – Erekle II, lavishly decorated massive wooden door from summer mansion of the Dadianis, wooden partition walls and chairs.

Interior design of peasants' house is represented with inventory relating to the sacred point of dwelling – hearth. It includes wooden device to hang cooking pots over fine (*nacha*), pots, petrol lamps; cooking pots and petrol lamps; kitchen utensils – flat wooden bowls (*gobi*, *vartsli*), wooden kneading troughs, small wooden vessels (*murzga*, *chakhva*, *nisori*), copper vessels for carrying water, wooden ware for storing cheese and dairy products (*niga*, *sakveti*, *matsuri*, etc.); tools connected to viticulture – woven handle-less baskets for grape-picking (*gideli*), prunes, cherry-bark wine-jar scouring rods, smaller wine-jars (*chapi*), clay pitchers and large clay jars, bicameral beehives made of hollowed out tree-trunk (*geja*); clothing of common people –*chokha* and *akhalukhi*.

Weapons for hunting and tools for crafts are also part of the exposition: arrows, bow, skis, felt cloak (*nabadi*), scales, tools for woodwork and lathe.

The third hall hosts tools and inventory used in agriculture – simple wooden ploughing equipment (*barjgi* and *khabarjga*), sophisticated composite ploughs (*kinakhonashi erkvani* and *ogapa*); ploughing equipment with three plough beams, hay rake with toothed board (*kabto*); threshing boards with attached flint cogs and horseshoe blades for separation of straw from grains; threshing flails with sledgehammers; specimens of cereals widely spread in Samegrelo, stone millstones, bins for grain.

A model pergola and vineyard constitute the main part of the open-air exhibition (*talaveri* and *dablari venakhi*), as well as winepress, means of transportation – two-wheeled ox-cart (*uremi*), small cabin (*pitafitsari*) and special edifice for a kitchen (*samzadi*).

Both open-air exhibition and ethnographic corner exhibits fully recreate mode of life of historical Samegrelo and testify to its original and distinctive character.

ნინო სულავა, ნინო ოქრუაშვილი, გია ელიავა, გიორგი მამარდაშვილი  
**მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული კუთხე**  
**(ისტორია, პრევენცია, პერსპექტივები)**

**ისტორია.** მარტვილის<sup>1</sup> მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 1957 წელს დაარსა მხარის ისტორიის მკვლევარმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ გივი ელიავამ, რომლის სახელსაც ატარებს დღეს მუზეუმი (ელიავა გივი 1968). 1964 წელს მარტვილის მუზეუმის ბაზაზე გაიხსნა ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული გამოფენა, რომლის კონსულტანტი აკად. გ. ჩიტაა იყო. 1973 წელს მუზეუმის ბაზაზევე შეიქმნა ძველკოლხური ვაზის ჯიშების საცდელ-საკოლექციო ნაკვეთი, რომელიც დღემდე მუშაობს, და სადაც გაშენებულია 30-მდე ამჟამად თითქმის დაკარგული ვაზის მსხმოიარე ჯიში - საადრეო ჩეში, კოლოში, დღუნდლუში, ხოჯიში თოლი, მახვატელი, შონური, ოჯალეში, მაჭყვადინა, ეგუძური, პანეში, შხუჩეში, აფშილური, ჭუბერი, ჭოდი, ჭვიტილური, ჩერგვალი, კამური, ჩეხარდანი, პუმპულა, ჩეჭიფეში, უჩინებუ, ტოროკუჩი, ადესა, კაჭიჭი (ტაბ. 1).

2014 წელს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა პროექტი - „მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი: მარტვილის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (ფონდები, გამოფენისა და აღბომის მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამა)“.

პროექტის მიზანი იყო მარტვილის მუზეუმის თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა და საქართველოს სხვა მუზეუმებთან ერთად მსოფლიო სამუზეუმო სივრცეში ინტეგრირება, მუზეუმის გადაქცევა მარ-

ტვილის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად.

როგორც პროექტის სათაურიდან ჩანს, გაკეთდა მუზეუმში დაცული მასალების ელექტრონული მონაცემთა ბაზები, ახალი ექსპოზიციისათვის შემუშავდა სამეცნიერო კონცეფცია, გაკეთდა საგამოფენოდ შერჩეული ნივთების რესტავრაცია-კონსერვაცია და საგამოფენო დოკუმენტაცია, მომზადდა მასალები მუზეუმის აღბომისათვის და გამოიცა აღბომი [სულავა 2014], მუზეუმის 7 დარბაზში გაკეთდა ექსპოზიცია, სადაც წარმოდგენილია - გეოლოგია-პალეონტოლოგია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, ფრესკები და საეკლესიო წიგნები, ეთნოგრაფია.

პროექტის მსვლელობის პერიოდში შესრულდა ისეთი სამუშაოებიც, რაც მემორანდუმის მიხედვით არ იყო დაგეგმილი, მაგრამ სამუშაო პროცესში აუცილებელი გახდა გარეკეული კორექტივების შეტანა.

კერძოდ, პროექტის მიხედვით მუზეუმისათვის უნდა შემუშავებულიყო კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა არ იყო ნაგულისხმევი ამ დანიშნულების ცალკე სივრცის გამოყოფა. მაგრამ მუზეუმის გეგმარების დროს შესაძლებელი გახდა ამ მიზნით ცალკე დარბაზის გამოყოფა, რომელსაც გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა მიენიჭა; ამ დარბაზშა, რომელსაც დიდი ქართველი საერო და საეკლესიო მოღვაწის გიორგი ჭყონდიდელის სახელი მიენიჭა, შეითავსა შემდეგი ფუნქციები - ღია ბიბლიოთეკა-საკონფერენციო დარბაზი; იგი აღჭურვილია სამუშაო მაგიდებითა და კომპიუტერებით, ხოლო ღია ბიბლიოთეკა, რომელიც ამ დარბაზშია, - ლექსიკონებით, არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოლოგიური, ფილოლოგიური ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით (ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი ნაწილი შეგროვდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და საჩუქრად გადაეცა მარტვილის მუზეუმს); გიორგი ჭყონდიდელის სახელობის საგანმანათლებ-

<sup>1</sup> ნაშრომი მოხსენების სახით წაკითხულ იქნა ICOM-ის კონფერენციაზე 2014 წელს და გამოქვენდა 2015 წელს ინგლისურ ენაზე - Nino Sulava, Nino Okruashvili, Gia Eliava, Georgi Mamardashvili 2014. The Open Air Ethnographic Corner of Martvili Local Lore Museum (History, Prevention, Perspectives).

<http://network.icom.museum/icamt/conferences/past/tbilisi-georgia-2014/tbilisi-2014-day-1-2-3/>.

გთავაზობთ სტატიის ქართულ ვარიანტს.

ლო ცენტრი განკუთვნილია ღია გაკვე-  
თილების, სასკოლო და სამეცნიერო კონ-  
ფერენციების მოსაწყობად. სწორედ ამ  
ფართო დანიშნულების, გიორგი ჭყონ-  
დიდელის საგანმანათლებლო ცენტრისათ-  
ვის შეიქმნა პროგრამა, რომელიც სწორად  
და თანმიმდევრულად ამუშავების შემთხვე-  
ვაში, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუ-  
ზეუმს რეგიონის კულტურულ-საგანმანათ-  
ლებლო ცენტრად გადააქცევს, გაზრდის  
თავისი ქვეყნის წარსულით დაინტერესებუ-  
ლი ახალგაზრდების თაობას, რომელთაგან  
მუზეუმისათვის საჭირო კადრიც გამოვლი-  
ნდება.

ცალკე გაკეთდა, აგრეთვე, მარნის ტი-  
პის დარბაზი ღვინის დევუსტაციისათვის,  
სადაც წარმოდგენილი იქნება აქვე წარმოე-  
ბული ღვინის ნიმუშები და ადგილობრივი  
ნატურალური პროდუქტი – ყველი, თაფ-  
ლი, ნიგოზი, ჩირები და სხვა.

**პრევენცია.** მარტვილის მხარეთმცოდნეო-  
ბის მუზეუმის ფონდებში დაცული მასა-  
ლებიდან პროექტის მსვლელობის პერიოდ-  
ში რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა  
არქეოლოგიური მასალის დიდ ნაწილს,  
ნუმიზმატიკურ მასალას, ფრესკებსა და  
საეკლესიო წიგნებს, გაიწმინდა გეოლოგი-  
ური ნიმუშები და ეთნოგრაფიული მასალა.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუ-  
მის ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ კუთხეში  
წარმოდგენილი ღვინის მეურნეობასთან და-  
კავშირებული უკვე იშვიათი ეთნოგრაფიუ-  
ლი არტეფაქტების (საწინები, ურემი, ქვევ-  
რები) შესანარჩუნებლად ღია ცის ქვეშ  
პირობებში, აუცილებელია სისტემატიური  
პრევენციული სამუშაოები – მათი სპეცი-  
ალური ნივთიერებით დამუშავება და  
შემოღობვა-გადახურვა (წნული ღობეებით  
და ყავრითა და ისლით).

მუზეუმის ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ  
კუთხეში წარმოდგენილი ტრადიციული  
მეგრული ყოფის ამსახველი სა-  
თანადო ინტერიერით აღჭურვილი ნაგებო-  
ბების ფუნქციონირება (მაგ.: მეგრული კერ-  
ძების დღე), სათანადო ტურისტული ინ-  
ფრასტურულის შექმნა, უნდა გახდეს ის  
საფუძველი, რომელიც აქტიურად ჩართავს  
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს  
მხარის ტურისტულ მარშრუტში.

სხვა ნაგებობებიც, აგრეთვე, უნდა შეკეთ-  
დეს და დამუშავდეს ხის მასალის დამცავი  
საშუალებებით.

ძველკოლხური ვაზის ჯიშების საცდელ-  
საკოლექციო ნაკვეთის მოვლა-გაფართო-  
ება განაპირობებს ღვინის სადეგუსტაციო  
დარბაზის ფუნქციონირებას.

**პრესექტივები.** მარტვილის მხარეთმცო-  
დნეობის მუზეუმის ახალი ექსპოზიცია, მა-  
ღალ სამეცნიერო და პოლიგრაფიულ დო-  
ნეზე გამოცემული მუზეუმის აღბომი, გი-  
ორგი ჭყონდიდელის სახელობის საგან-  
მანათლებლო ცენტრის ფუნქციონირება,  
მუზეუმის ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ  
კუთხეში წარმოდგენილი ღვინის მეურნე-  
ობასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული  
არტეფაქტები და ძველკოლხური ვაზის  
ჯიშების საცდელ-საკოლექციო ნაკვეთში  
გაშენებული ვაზის ჯიშების პრეზენტაცია,  
ღვინის სადეგუსტაციო დარბაზის ფუნქცი-  
ონირება, მუზეუმის ღია ცის ქვეშ ეთნო-  
გრაფიულ კუთხეში წარმოდგენილი ტრა-  
დიციული მეგრული ყოფის ამსახველი სა-  
თანადო ინტერიერით აღჭურვილი ნაგებო-  
ბების ფუნქციონირება (მაგ.: მეგრული კერ-  
ძების დღე), სათანადო ტურისტული ინ-  
ფრასტურულის შექმნა, უნდა გახდეს ის  
საფუძველი, რომელიც აქტიურად ჩართავს  
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს  
მხარის ტურისტულ მარშრუტში.

## ლიტერატურა

**ელიავა გიგი 1968.** გეგეჭკორის მხარეთ-  
მცოდნეობის მუზეუმი. თბილისი.  
**სულავა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ.,**  
ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვი-  
ლი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრა-  
ძე ი., კირთაძე ნ., სურავა ნ., ხელაია თ.,  
კალანდია თ., 2014. მარტვილის მხარეთ-  
მცოდნეობის მუზეუმი. აღბომი. თბილისი.

Nino Sulava, Gia Eliava, Nino Okruashvili, Giorgi Mamardashvili

## **The Open Air Ethnographic Museum Corner of Martvili Museum of Local Lore (History, prevention, perspectives)**

### **Summary**

**History.** The Martvili Museum of Local Lore was founded in 1957 by a historian and researcher of the local lore Givi Eliava. The museum is named after Givi Eliava now. In consultation with academician G. Chitaia, in 1964 an open air ethnographic exhibition opened in the Martvili Museum, while in 1973 the Museum allotted an experimental plot to cultivate old Colchian vine species. Nowadays up to 30 nearly lost vine species are propagated on it.

In compliance with the project (Martvili Museum of Local lore: Martvili Cultural-Educational centre (funds, preparation of the album and the exhibition, educational program). Based on the memorandum signed in 2013 by Martvili Museum and Georgian National Museum, a wine tasting hall was set up.

**Prevention.** Ethnographic artifacts, connected to winemaking, such as winepress, carriage and pitchers are kept in the Open Air ethnographic Museum corner of Martvili Museum of Local Lore. For preservation of these artifacts in open air conditions, systematic preventive activities are genuinely necessary. Protecting the experimental plot of old Colchian vine species, will condition the functioning of the wine-tasting hall.

**Perspectives.** Presentations of rare ethnographic artifacts for winemaking, in the Open Air Ethnographic Museum corner of Martvili Museum of local lore and vine species in the experimental plot for cultivating old Colchian vine species. Functioning of the Wine-tasting hall, arranging appropriate Tourist Infrastructure will reflect in increased Tourists route.

გვ. I





## შემოკლებათა განმარტება

- თსუ შრომები** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბილისი  
მსეი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი  
მსკა – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. თბილისი  
სდსბ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. თბილისი-ბათუმი  
სემ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბილისი  
სემაის – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები.  
თბილისი  
**სსმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი  
**სსმმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბილისი  
**ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი  
**ციმ** – ცაგერის ისტორიული მუზეუმი  
**ВДИ** – Вестник древней истории  
**ЗКВАМР** – Записки Коллегии востоковедов при Академии Музея Российской Академии Наук. Ленинград  
**ЗРАО** – Записки Русского археологического общества  
**Известия ГАИМК** – Известия Государственной Академии Истории Материальной Культуры. Ленинград  
**ИРАИМК** – Известия Российской Академии Истории Материальной Культуры. Петербург  
**МАК** – Материалы по археологии Кавказа. Москва  
**МИА** – Материалы и исследования по археологии СССР. Москва  
**НЭ** – нумизматика и эриграфика. Москва  
**ПАИ** – Полевые археологические исследования  
**СА** – Советская археология  
**ADOG** – Abhandlungen der Deutschen Orient Gesellschaft  
**AG** – Anthropologischen Gesellschaft  
**AMITEM** – Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediterranean. Ankara  
**VBAG** – Verhandlungen der Berliner Anthropologischen Gesellschaft

## ავტორთა საყურადღებოდ !

კრებულში გათვალისწინებული იქნება შემდეგი რებრიკები: სტატიები (არქეოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, კრიტიკა, ქრონიკა და სხვ.)

რედაქცია იღებს სტატიებს 16 გვერდამდე. გვერდების ამ მოცულობაში შედის: სტატია 10-12 გვერდამდე, გამოყენებული ლიტერატურის სია, საილუსტრაციო მასალა, გრაფიკული ტაბულების და ფოტოების აღწერილობა. რედაქციას უნდა ჩაბარდეს სტატიების ელექტრონული ვერსიები და მათი ამონაბეჭდები. სტატიას თან უნდა ერთვოდეს რეზიუმე ინგლისურად, ერთ გვერდამდე მოცულობის.

გვერდის ზომა – 4; შრიფტი – LitNusx da Times New Roman, შრიფტის ზომა – 12, ერთი ინტერვალით.

დამოწმებული ლიტერატურის მითითება ხდება ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში მაგ.: [კვირკველია 1985: 119, სურ. 5, ტაბ. I/1-3].

გამოყენებული ლიტერატურის სია ნაშრომის ბოლოში დალაგებული უნდა იყოს ანბანის რიგით, ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და შემდეგ ევროპული; თუ აუცილებელია, სხვა შრიფტებზე წარმოდგენილი ლიტერატურის დასახელება (მაგ. ბერძნული, არაბული და ა.შ. შრიფტით), ის სიას ერთვის ბოლოში.

მონოგრაფიის მითითების მაგ.:

ავტორის გვარი, ინიციალები, გამოცემის წელი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი:

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

პერიოდული გამოცემის ან კრებულის მითითებისას მათი სახელწოდება უნდა გამოიყოს დეფისით. აუცილებელია გვერდების სრული მითითება:

Lordkipanidze, O. 2001: The Akhalgori Hoard (An attempt at dating and historical interpretation). – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, 33, 143-190.

კრებულების მითითების შემთხვევაში აუცილებელია კრებულის რედაქტორის მითითება: ლორთქიფანიძე ო., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: მც.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგია, დათარიღება, კატალოგი) (ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი V). თბილისი.

ან: ჯალაბაძე მ. 2003: ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდების ნამოსახლარიდან. – ბ. მა ისურაძე, ნ. ახვლედიანი (რედ.), კავკასიის ბრინ ჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), 45-47. თბილისი.

თუ ერთსა და იმავე ავტორს ერთ წელიწადში ორი ან მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ისინი უნდა დალაგდეს სათაურების ანბანური რიგის მიხედვით და დაინომროს ლათინური ასოებით:

Шелов Д. Б. 1956а: Керамические клейма из раскопок Фанагории. – МИА, 57, 128-154

Шелов Д. Б. 1956б: Монетное дело Боспора VII-II вв. до н.э. Москва.

ცალკე გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი გამოყენებულ შემოკლებათა განმარტების სია.

მოთხოვნები საილუსტრაციო მასალის მიმართ:

ფოტოების ელექტრონული ვერსია, მაღალი ხარისხის, არანაკლებ 300 რეზოლუციის, მკვეთრი გამოსახულებით.

გრაფიკული ტაბულები კომპიუტერულად შესრულებული, tiff ფორმატში, არანაკლებ 600 რეზოლუციის.

საილუსტრაციო მასალას თან უნდა ახლდეს სურათებისა და ტაბულების აღწერა.

თუ დაცული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები, რედაქცია სტატიას არ განიხილავს.

რედაქციას აქვს უფლება გადასცეს სტატია სარეცენზიოდ.

## **Important for the Authors !**

The collection will foresee the following headings: articles (archaeology, history, and ethnology), critics, chronicle, etc.

The editorial office receives articles up to 16 pages. The volume of the pages includes: an article (10-12 pages), references, illustrations, description of plates and photos. The electronic and printed versions of the articles should be submitted to the editorial board. A summary (1 page) should be enclosed.

Page size – A4, Font – LitNusx and Times New Roman, Font Size – 12, single space.

References of literature should be added in the text in square brackets; see the example:  
[Kvirkvelia 1985:119, fig. 5, pl. I/1-3].

References should be listed in the end of the article, arranged in alphabetical order, at first in Georgian, then in Russian and in European languages. If it is necessary to mention publications using other scripts (Greek; Arabic, etc.), they should be added in the end of the list.

Examples of citing a monograph

Author's surname, initials, date of publishing, title, place of publishing

Lortkipanidze, Ot. 2002: At the dawn of the old Georgian civilization. Tbilisi

Citing a periodical or a collection of works, their title should be singled out with a hyphen. It is necessary to note pages.

Lordkipanidze, O. 2001: The Akhalgori Hoard (An attempt at dating and historical interpretation). – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, 33, 143-190.

When inserting the collection of works into the list, it is necessary to indicate the editor's name.  
Lordkipanidze O., Gigolashvili E., Kacharava D., Licheli V., Pirtskhalava M., Chkhonia A. 1981: Colchian pottery of the 6th-4th Centuries BC from Vani (typology, dating, catalogue) (O. Lortkipanidze (editor), Vani V). Tbilisi

Or: Jalabadze M. 2003: About one type of vessel from the Berikldeebi settlement. – B. Maisuradze, N. Akhvlediani (editors), The Problems of Archaeology of Caucasus in the Bronze and Iron Ages (Dziebani, Supplements, X), 45 – 47. Tbilisi

If one author has two or more works published in the same year, they should be put in the alphabetical order of the titles and numbered with Latin letters.

Shelov D.B. 1956a: Pottery Stamps from excavations of Phanagoria. - MIA, 57, 128-154

Shelov D.B 1956b: The monetary system of Bosporus in the 7th–2nd Centuries BC. Moscow

List of abbreviations should be presented on a single page.

Requirements for illustrated material:

Electronic version of the photos of high quality, image resolution – not less than 300dpi, sharp photo image;

Graphic plates, drawn in computer, tiff format, resolution not less than 600;

The illustrated material should be enclosed with the description of photos and tables.

If the listed requirements are not met, the editorial office will not consider your article.

The Editorial Board has the right to pass the article to be reviewed.

გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი  
Givi Eliava Martvili Museum of Local Lore



საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum



ნაშრომის დაკაბადონება და ტაბულების დამუშავება – მაია წულუკიძე  
ნაშრომის კორექტორი - დარეჯან ტოგონიძე  
ნაშრომის რეზიუმების ინგლისური თარგმანი – ნინო მიწიშვილი

ტირაჟი 300 ეგზემპლარი

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში